იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი

თბილისი 2016

ნაშრომში გადმოცემულია ქართველი საზოგადო მოღვაწის, საქართველოში არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, დრამატურგის, ისტორიკოსისა და პოეტის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნაშრომი, ძირითადად, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მარი ბროსეს საარქივო ფონდსა და თბილისის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის, მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის პირად ფონდებში დაცულ, გამოქვეყნებულ და მეტწილად გამოუქვეყნებელ მასალებს ეყრდნობა.

ვფიქრობთ, იგი გარკვეულ ინტერესს აღძრავს საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველში, მით უფრო, რომ წინამდებარე ნაშრომში მკითხველი, სხვა საკითხებს გარდა, არაერთ საინტერესო და უცნობ დეტალს იხილავს, ერთი მხრივ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილსა და მეორე მხრივ, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძეს, აკაკი წერეთელს, პლატონ იოსელიანსა და სხვა ცნობილ მოღვაწეთა შორის ურთიერთობის შესახებ.

რედაქტორი: ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნესტან სულავა
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური;
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჯანელიძე;

შესავალი

არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეში გავლენითა და საზოგადოების პატივისცემით სარგებლობენ, მაგრამ ჟამთა სვლა თავისას შვრება და მათი სახელიც ნელ-ნელა ფერმკრთალდება. თუმცა, დგება დრო, როდესაც მათი მოღვაწეობა კვლავ საზოგადოების ინტერესებში ექცევა და ხელახალი განხილვის საგანი ხდება. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი სწორედ მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

შესავალშივე გვინდა განვმარტოთ, რომ წინამდებარე ნაშრომში დიმიტრის გვარი მკითხველს სხვადასხვა ფორმით შეხვდება: მელვინეთხუცესიშვილი, მელვინეთუხუცესიშვილი, მელვინეთუხუცესოვი. ეს იმითაა განპირობებული, რომ ავტორის ხელმოწერა საკუთარ ნაშრომებსა და წერილებზე ფიქსირდება, როგორც „მელვინეთხუცესიშვილი". პუბლიკაციებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში გვარის მომდევნო ორი ფორმაა გამოყენებული: „მელვინეთუხუცესიშვილი" და „მელვინეთუხუცესოვი". შესაბამისი ადგილის მითითებისას, ჩვენც იმ ფორმას გამოვიყენებთ, თუ რომელ მათგანს (ხელნაწერს, პუბლიკაციას, ოფიციალურ დოკუმენტს და სხვ.) ვეყრდნობით.

დიმიტრის დამსახურებაა ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის - მარი ბროსეს მიერ შედგენილი ქართული ეკლესია-მონასტრების წარწერებისა და კომენტარებისათვის მასალის (ე. წ. „რაპორტების") მიწოდება, რადგან ამ წარწერათა დიდი ნაწილი დიმიტრის მიერაა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოძიებული, გადმოღებული და პეტერბურგში ბროსესთან გაგზავნილი, ფრანგი მეცნიერი მათ ამუშავებდა, თარგმნიდა და აქვეყნებდა[1].

მელვინეთხუცესიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მოღვაწეებთან: პლატონ იოსელიანთან, კონსტანტინე მამაცაშვილთან, გიორგი ერისთავთან, აკაკი წერეთელთან. ოჯახით ახლობლობდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, იოსებ მამაცაშვილთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, დავით კარიჭაშვილთან. კვლევებს აწარმოებდა ცნობილ არქეოლოგებთან - ნ. ზეიდლიცთან, კარგანოვთან, გრაფინია უვაროვასთან, გრაფ სელივანოვთან და სხვებთან.

მასვე დიდი წვლილი მიუძღვის ქართული თეატრის დაარსებისა და დრამატურგიის განვითარების საქმეში.

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილმა ცხოვრების დიდი ნაწილი ქართლში, მშობლიურ სოფელ ხიდისთავში გაატარა და იქვეა დასაფლავებული. მელვინეთხუცესიშვი-

[1] იხ: **M. Brosset**, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848, SPB 1849-1851.

ლებს ხიდისთავთან მინიმუმ ორსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებთ და ჯერ კიდევ ერეკლე II-დან მოყოლებული დიდი გავლენით სარგებლობდნენ. ეს გავლენა მათ XIX საუკუნეშიც შეინარჩუნეს. ნაშრომის პირველ თავში სწორედ დიმიტრის მამა-პაპისა და პაპის-ძმების - კონსტანტინე, თომა და პაატა მეღვინეთხუცესიშვილების ცხოვრება-საქმიანობის დეტალებია გადმოცემული, ხოლო მეორე ნაწილი უშუალოდ დიმიტრის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს ცოლ-შვილი არ ჰყოლია, გარდაცვალების წინ მთელი თავისი მემკვიდრეობა და მიწები დისშვილს (დიმიტრი ბაქრაძის მეუღლეს) დაუტოვა, რომელმაც ისინი ვერ შეინარჩუნა და იძულებული გახდა ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლომდე გაეყიდა ბანკის ვალებში.

ამ ფაქტმა ნაწილობრივ განაპირობა ის ვითარება, რომ მიუხედავად მეღვინეთხუ-ცესიშვილის მოღვაწეობისადმი სამეცნიერო წრეების გარკვეული ინტერესისა (მისი არქეოლოგიური მემკვიდრეობა ნაწილობრივ შესწავლილი აქვს გელა გამყრელიძეს, დრამატურგიული მოღვაწეობა - ეთერ ქავთარაძეს, ეპისტოლარული - შოთა ხანთაძეს და სხვ.), მისი ცხოვრება-საქმიანობა სრულყოფილად ჯერ კიდევ შეუსწავლელი იყო, ღვაწლი – სათანადოდ დაუფასებელი, ხოლო საფლავი – მიტოვებული.

სამწუხაროდ, ზემოთქმულმა მიზეზებმა ის რეალობა შექმნა, რომ მისი მემკვი-დრეობა მშობლიურ ხიდისთავში დღეისათვის მთლიანად გამქრალია და მის ნაფუძარზე სხვები ცხოვრობენ, რომელთა დიდმა ნაწილმა არც იცის, თუ ვინ იყო დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრს მოგზაურობდა, დღეისათვის მისი ფოტოსუ-რათიც არ შემოგვრჩა[2].

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ნაშრომების ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია, ხოლო ჩვენამდე მოღწეული მემკვიდრეობის უმრავლესობა ინახება თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის QD ფონდში, შიფრით - 986 და მოიცავს 56 საქმეს (წერილები, ნაწარმოებები, ლექსები, ჩანაწერები, დღიურები, ოფიციალური საბუთები და სხვ.), რომელიც ჩვენ მიერ მთლიანად იქნა შესწავლილი, ისევე, როგორც მეღვინეთხუცესიშვილის მიმოწერა დიმიტრი ბაქრაძესთან, მარი ბროსესთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან[3]:

1) მასალები ხიდისთავისა და წედისის შესახებ, 1814-1884 წლები, ფურცელთა რაოდენობა - 60;

2) დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საგვარეულო შტო, უთარიღო - 1;

---

[2] აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენი თვალსაზრისი, იხ: წინამდებარე ნაშრომის ბოლოს.

[3] ხსენებულ დოკუმენტებზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელს, ფილოლოგიის დოქტორს ქ-ნ თამარ აბულაძეს.

3) მიმართვა კონსტანტინე (დიმიტრის მამა - ი. ა.) მეღვინეთხუცესიშვილისადმი, ხელს აწერენ მაიორი ტიტოვი და შანშე ერისთავი, 31. VII. 1820 - 1;

4) დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის დახასიათება, 07. X. 1869, 3;

5) შემოსავლის წიგნი № 12; აქტი მამულის გაყოფის შესახებ დიმიტრი კონსტანტინეს ძესა და ვასილ გიორგის ძე მეღვინეთხუცესიშვილებს შორის, 1875 წ. - 4;

6) „მახარობელი გაზაფხულისა“ (ლექსი) - 1;

7) საქართველოს ისტორიის მასალები (ინდიქტიონი, საქართველოს ინდიქტიონი, კავკასია და მოგონება) - 20;

8) წმ. გიორგის ხატის წარწერის პირი, გადმოღებული დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ - 1;

9) მასალები დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ - 32;

10) „მოგზაურობა“, (ავტოგრაფი), დიმიტრი ბაქრაძის მინაწერებით - 15;

11) მოგზაურობის დღიურები (ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, ცუდად იკითხება) - 11;

12) „შურისგება, ანუ მსგავსი ყველაჲ მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულა“, (ავტოგრაფი), 1867 წ. - 9;

13) სოფ. ხიდისთავის გლეხთა საზოგადოების მასალები (ავტოგრაფი), 1867 წ.;

14) „ოხერს ეკკლესიას ეშმაკები დაჰპატრონებიანო“, 12 - 15. X. 1867 წ. - 4;

15) „წიგნი მიწერილი აკაკი წერეთელთან“, 01. XI. 1867 წ. - 3;

16) „ბანკზე“ (ავტოგრაფი), 07. XII. 1867 წ. - 2;

17) „ღირსახსოვარი“ (ავტოგრაფი), 1869 წ. - 4;

18) „ღირსახსოვარი ლაშქრობა კავკასიასა შინა“ 1845 წ. (ავტოგრაფი), 1871 წ. - 35;

19) „ჭიაკოკონა“ (უძღვნი პლატონ იგნატიჩ იოსელიანს)[4], (ავტოგრაფი), 1871 წ. ნოემბერი - 5;

20) „უდაბნო“, აღწერილი 10 აგვისტოს 1873 წ. - 6;

21) ნარკვევი საქართველოს ისტორიის შესახებ, (ავტოგრაფი), 12. II. 1873 წ. - 19. ფონდი H 2497ᵃ - ფანქრით ნაწერი; H 2497ᵇ - იგივე მელნით გადაწერილი; H 2497ᵍ - წერილი „პატრონი გამოუჩნდების“;

22) ნარკვევი (S-4797/7), 28. III. 1874 წ. - 20;

23) H 2599 - „კატა-აწონა“, 1875 წ. - 18;

24) Q 986 - „სპარსელი ეშმაკი“, 29. III. 1876 წ. - 2;

---

[4] სტილი დაცულია - ი. ა.

25) H 2586 - „ბაღი“, 03. IX. 1876 წ. - 2;

26) H 2465 - „სახალხო ურიათათვის“, 1877 წ. - 12;

27) H 2570 - „სახალხო“, 1877 წ. - 9;

28) H 2569 - „დაფარულნი ურიათა საიდუმლონი“, უთარიღო - 4;

29) H 2482 - „ხიდისთავი“, (ავტოგრაფი), უთარიღო, 4;

30) A 1265 - „ქოზიფის მონასტერი“, უთარიღო - 1;

31) H 2489 - „აღწერა უფლისციხისა“, უთარიღო - 6;

32) Q 986 - „სობორო რუისის სოფლისა“, უთარიღო - 3;

33) H 2466 - „ქადაგებები“, უთარიღო - 5;

34) Q 986 - „ბატონყმობა“, უთარიღო - 28;

35) H 2584 - „ბატონყმობა“, უთარიღო - 2;

36) H 2568 - შენიშვნები, უთარიღო - 1;

37) H 2494 - ისტორიული ხასიათის ჩანაწერები, უთარიღო - 5;

38) Q 986 - საქართველოს შესახებ შედგენილი უცნობი კრებულის გარჩევა, უთარიღო - 2;

39) Q 986 - ქრონოლოგიური ცნობები ქორონიკონით, უთარიღო - 2;

40) Q 986 - მოკლე ცნობები თავადაზნაურთა გვარების შესახებ, უთარიღო - 11;

41) Q 986 - წინასიტყვაობა (ეძღვნება ივანე მრისხანეს მეფობის შემდგომ პერიოდს), უთარიღო - 2;

42) Q 986 - შავი ჩანაწერები, უთარიღო - 9;

43) S 5253 - „ანჩხლი ცოლი“, უთარიღო - 15;

44) H 2680 - ლექსების ალბომი, უთარიღო - 9;

45) H 2681 - მელოდრამა „გამოუცდელობა, ანუ დროებით საყვარელთა განშორება“ (პირველ გვერდზე - მიმართვა იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი), უთარიღო - 10;

46) H 2762 - „ტურფა - იგივე ყოვლგნით მშვენიერი“, ლექსი - (ავტოგრაფით), უთარიღო - 1;

47) H 2574 - „ნამდვილი შემთხვევა“, (ლექსი - ავტოგრაფით - დიმიტრი გვარგრძელი), უთარიღო - 4;

48) H 2573 - „მოგონება, ანუ სამნი დრონი საქართველოსი“, ლექსი, უთარიღო - 4;

48ᵃ) ანასტასია თუმანიშვილის ფონდი № 301, „ჩაჩნების ჩვეულება“, (დრამა), უთარიღო - 9;

49) Q 986 - საფოსტო განყოფილების ხელწერილი დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილისაგან, მარი ბროსესადმი გაგზავნილი კორესპონდენციის მიღების შესახებ, 14. V. 1860 - 1;

50) Q 986 - გ. ღოღობერიძის დეპეშები დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისადმი, 23. I. 1863 - 25. I. 1863 - 2;

51) შემოსავლის წიგნი № 12. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წიგნი გოგიასადმი, 14. I, ... - 1;

52) ისააკ თუმანოვის წერილები დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისადმი, 9. VI. 1873 - 5. I. 1877 - 6;

53) S 4797/7 - დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წიგნი მარი ბროსესადმი, 2. IV. 1874 - 1;

54) შემოსავლის წიგნი № 12. დიმიტრი ბაქრაძის წერილი დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისადმი, უთარიღო - 1;

55) Q 986 - დ. მაღალოვი - „ჭეშმარიტი შემთხვეულება", პირი გადაწერილი დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ, უთარიღო - 2;

56) შემოსავლის წიგნი № 12. ფიცხელაურების, ფურცელაძის, ხმალაძისა და ფავლენოვის საქმე (სასამართლოს ოქმის პირი რუსულ ენაზე), 15. XII. 1820 - 44.

თუმცა, ზემოხსენებული ფონდი დიმიტრის ნამოღვაწარს სრულად არ ასახავს და მისი სამეცნიერო, ლიტერატურული და ეპისტოლარული შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე დაცულია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში შიფრით H - 47, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ, ანდერძის თანახმად ინსტიტუტისათვის 1884 წელს შეუწირავს მარი ბროსეს ვაჟს - ლაურენტ ბროსეს[5]. ბროსეს უზარმაზარი მემკვიდრეობიდან დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილთან ურთიერთობა H - 78 ფონდშია თავმოყრილი და შედგება 280 ფურცლისაგან[6], რომლის საერთო სათაურია „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850" და მოიცავს შემდეგ მასალებს:

№	**წერილები:**	გვერდების რაოდენობა
1	შავი ნაწერები: ეკლესიის წარწერათა პირები, ნაწერია ძირითადად, ასომთავრულითა და ნუსხურით, რომლებიც შემდგომ მარი ბროსემ გამოაქვეყნა თავის ე. წ. „Rapport"-ებში.	გვ. 1-63
2	„მოწყალეო ხელმწიფევ!" (წერილები მარი ბროსესადმი): 1849 წ. 26 დეკემბერი „მოგზაურობა გორის უეზდის ხიდისთავის	გვ. 63-100

[5] **Орбели Р. Р.** Грузинские рукописи института востоковедения, Тб., 1956, стр. 7-8.

[6] პეტერბურგში არსებული დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ხელნაწერების ფონდის აღწერასა და მოწოდებაში გაწეული დახმარებისათვის უღრმესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ს. პეტერბურგში მცხოვრებ ქართველს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ქ-ნ ხათუნა ფერაძეს.

	უჩასტკასა შინა“: № 1, 2, 3, 4, 5; ბორჯომის ხეობაში: №6, 8, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22. (თანდართული აქვს ხუცურითა და მხედრული ხელით ნაწერი წარწერები, ეკლესიათა სურათები)	
3	„მოგზაურობა და მიმოხილვა იმერეთისა“	გვ. 100-125
4	„მოგზაურობა ტფილისის გუბერნიასა შინა“	გვ. 126-130
5	„მეფობა და ცხოვრება ირაკლი მეორისა“ (საქმეში დევს მხოლოდ სათაური)	გვ. 131
6	„Его Высокородию члену Императорской Академии наукь - Марии Ивановичу Броссе”	გვ. 132-133
7	„მეფობა და ცხოვრება ირაკლისა მეორისა“ „თავადი მუხრანის ბატონი ბაგრატიონი“; „თავადი ქსნის ერისთავი“; „თავადი ანდრონიკაშვილი“ „თავადი ამილახვარი“; „თავადი ფანასკერტელი-ციციშვილი“; „თავადი აბაშიძე“; „თავადი ფალავანდიშვილი“; „თავადი ჩხეიძე“; „თავადი ხერხეულიძე“; „თავადი თაქთაქიშვილი“; „თავადი ბებუთოვი“; „თავადი მელიქიშვილი“; „თავადი ავალიშვილი“; „თავადი ირალისშვილი“; „თავადი ბეგთაბეგისშვილი“; „თავადი გურჯი რევაზისშვილი“; „თავადი ვეზირისშვილი“; „თავადი ბარათაშვილი“; „თავადი მაჩაბელი“; „თავადი დიასამიძე“; „თავადი სოლოღაშვილი“; „თავადი არღუთაშვილი-მხარგრძელი“; „თავადი სუმბატისშვილი“; „თავადი დავითაშვილი-ბაგრატიონი“; „თავადი ჯავახიშვილი“; „თავადი ფავლენიშვილი“; „თავადი თუმანიშვილი“; „თავადი რატიშვილი“;	გვ. 134-158

	„თავადი მაღალაშვილი“; „თავადი აბაშიშვილი“; „თავადი თარხან-მოურავი“; „თავადი ზურაბისშვილი“; „თავადი ამირეჯიბი“; „თავადი შალიკაშვილი“; „თავადი შარვაშიძე“; <u>აზნაურნი ქართლისანი:</u> „აზნაური თურქესტანიშვილი“; „აზნაური სააკაძე“; „აზნაური გაბაშვილი“; „აზნაური აბაზაძე“; „აზნაური ყორღანაშვილი“; „აზნაური შანშიაშვილი“; „აზნაური კორინთელი“; „აზნაური გარსევანიშვილი“; „აზნაური მახათელი“; „აზნაური ელიოზიშვილი“; „აზნაური მაღალაშვილი“; „აზნაური ხმალაძე“; „თავადი ჩოლოყაშვილი“; „თავადი აბაშიძე“	
8	„ქართული ისტორიის წყაროები”, დიმიტრი ბაქრაძე, 1856 წ. გორი	გვ. 159
9	„Индиктионь“, Состав. сотрудн. Отд. Кавк. Географичес. общества Дмитр. Мегвинетхуцесов. 1860 год	გვ. 165
10	„მის აღმატებულობას, ჩლენს სპ. იმპერატორის სამეცნიერო აკადემიის უფალს, დეისტვიტელნი სტატსკის სოვეტნიკს და კავალერს მარიოზ ივანეს ძეს ბროსეტს“,]ნდიქტიონი	გვ. 166-167
11	„საქართველოს]ნდიქტიონი“, ანუ შემოკლებითი აღწერა რომელთა ღირსახსოვართ შემთხვეულებათა, მეფეთა და სხუათა წერილობით, სიტყვიერ მოთხრობით და მედროეთა“. შედგება სხვადასხვა წერილებისა და სტატიებისაგან: „ფარნაოზ და პირველი მეფობა საქართველოსა შინა“; „მეოცდასამე მეფე ვახტანგ მირდატის ძე ხოსროანი“; „წამება დავით და კონსტანტინესი მურვან ყრუს მიერ“; „ხავკასია“, ანუ ღირს-სახსოვარი ლაშქრობა პირისპირ იმამი შამილისა 1845 წელსა“	გვ. 168. გვ. 174 გვ. 184
	„მოგონება 1859 წელსა“	გვ. 185

	- „უძვირფასესის მშობლისა მსგავსად საგულებელ მარიი ივანოვიჩ!“ (წერილი)	გვ. 201
	- „მოწყალეო ხელმწიფევ მარიი ივანოვიჩ!“ (რამდენიმე წერილია ერთი სათაურით, მაგრამ სხვადასხვა შინაარსით	გვ. 203
	- „მოგონება, ანუ სამნი დრონი საქართველოსი“, ასევე რამდენიმე წერილი სათაურით: „მოწყალეო ხელმწიფევ მარიი ივანოვიჩ:“ - „მკათათვისა კ-სა (=20), ჩყმთ (=1849 წ.) წელსა“ „თქვენო მაღალკეთილშობილებავ უფალო ბროსსეტ“; - „ღვინობისთვის კგ (=23), წელსა ჩყმთ (=1849 წ.), გულით პატივისცემით, უფალო ბროსსეტ“; - ქრისტეშობის კგ (=23), წელსა ჩყმთ (=1849 წ.), მოწყალე ხელმწიფევ, უფალო ბროსსეტ!“; - „11 Февраля 1850 года. Тифл.”, მოწყალეო ჩემო, უფალო ბროსსეტ!”; - თბილისი, ჩყნდ (=1854 წ.) წელსა, ღვინობისთვის, მოწყალე ხელმწიფევ, უფალო ბროსსეტ!“; - „9-სა მაისს 1855 წელსა, ტფილისით, მოწყალეთ ხელმწიფევ უფალო ბროსსეტ!“; - „15 ნოემბერს ჩყნთ (=1859 წ.) წელსა, ქ. ქუთაისი, მოწყალეო ხელმწიფევ, უფალო ბროსსეტ, В Императорскую Академии наукь, Рапорть.	გვ. 211-244 გვ. 251 გვ. 255 გვ. 257 გვ. 259 გვ. 265 გვ. 267 გვ. 278

თბილისსა და პეტერბურგში დაცულ მასალებს შორის კიდევ ის განსხვავებაა, რომ თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერები შესრულებულია რვეულებში, ცალკეულ ფურცლებზე, ოფიციალურ ბლანკებსა და ა. შ., ხოლო პეტერბურგში დაცული ხელნაწერები თაბახის ჭვირნიშნიან ფურცლებზეა ორივე მხარეს ნაწერი.

ჩვენ დავუკავშირდით ხსენებული ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და გავაფორმეთ მემორანდუმი დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პეტერბურგში დაცული მემკვიდრეობის ელ. ვერსიის შექმნისა და მოწოდების შესახებ. მოლაპარაკება შედგა, გაფორმდა ხელშეკრულება ინსტიტუტის დირექტორს - ირინა პოპოვასა და ჩვენს შორის, რომლის მიხედვით, დამზადდა და ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის სამეცნიერო მასალების ციფრული ასლები და რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს პირველად ვაქვეყნებთ.

და კიდევ ერთი: დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საფლავი სოფელ ხიდისთავში, ზედაველას სასაფლაოზე, უყურადღებობის გამო, დროთა განმავლობაში ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საფლავის ეპიტაფია ჩრდილოეთ მხარეს ნესტისგან

დახავსდა და ძნელადღა იკითხებოდა. ნიადაგის დაწევისაგან, საფლავის ქვა ჩრდილო-აღმოსავლეთით გასკდა, წონასწორობის დაცვის მიზნით, ქვას ცენტრალურ ნაწილში ქვემოდან შედგმული ჰქონდა მსხვილი ხის მორი, რომელიც დროთა განმავლობაში დალპა და საფლავში ჩავარდნის დიდი საშიშროება არსებობდა. იმის გამო, რომ საფლავი შეუღობავი იყო (იხ: ფოტო, გვ. 214 – ა, ბ), ზედ დადიოდა მოსახლეობის შინაური პირუტყვი და ა. შ. აღნიშნულ საკითხზე არაერთხელ მივმართეთ, როგორც შესაბამის ორგანოებს, ისე საზოგადოებას[7], მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში საქმე უკეთესობისაკენ არ იცვლებოდა.

2014 წლის ნოემბერში გორის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა კონსტანტინე თავზარაშვილმა, ხიდისთავის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა, ბატონმა ნუგზარ ტლაშაძემ, სოფლის დეპუტატმა, ქალბატონმა ლია კოვზიაშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა, კიდევ ერთხელ მოვინახულეთ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საფლავი. ინიციატივა საფლავის მოპირკეთებისა და ხარჯების შესახებ საკუთარ თავზე სოფლის დეპუტატმა და მისმა ოჯახმა აიღო.

გაიწმინდა და დამუშავდა საფლავის ქვა, რის შედეგად ორივე მხარის (სამხრეთით და ჩრდილოეთით) ეპიტაფია თავისუფლად იკითხება. საფლავს ჩაუტარდა გასამაგრებელი და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, შემოიღობა და ესთეტიკურად მოწესრიგდა. გაუკეთდა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ღვაწლის ამსახველი მარმარილოს წარწერა და სხვ. (იხ: ფოტო გვ. 215).

2015 წლის 17 ნოემბერს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს, ისტორიის, არქეოლოგის და ქართული ლიტერატურის არაერთმა ცნობილმა მკვლევარმა და მეცნიერმა. კონფერენციის მონაწილეებმა, ხელისუფლების, საზოგადოების წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა გვირგვინით შეამკეს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის განახლებული საფლავი, გორი-ატენის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრიამ გადაიხადა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი (იხ: ფოტოები 214-216 გვერდებზე), ხოლო სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენებები კრებულის სახით გამოიცემა.

[7] იხ. ჩვენი ინტერვიუ პროფესორ მარინე გიგაშვილთან: „არ არის დასავიწყებელი დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი“, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 19.09.2014, № 19(227), გვ. 28-29.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ფინაპრები
მეღვინეთხუცესიშვილები და ხიდისთავი

მეღვინეთხუცესის სახელო საქართველოს სამეფო კარზე ჯერ კიდევ თამარის პერიოდიდან ჩანს[8]. XIV საუკუნის ძეგლის „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მის მოვალეობას შეადგენდა ღვინის გადასახადის აკრეფა, ზვრების დამუშავებისას თვალყურის დევნება და სხვ. მეღვინეთხუცესს სასყიდელიც ეძლეოდა, „თითო ჭური ღვინო ზვარზე“[9].

სურ: ა, ბ; ღვინიაანთ საყდარი სოფ. ხიდისთავში (თანამედროვე მდგომარეობა)

როგორც იოანე ბაგრატიონი გადმოგვცემს: „...პირველ იყვნენ ესენი (მეღვინეთხუცესისშვილები – ი. ა.) საციციანოზედ მიწერილნი. უკანასკნელ მეფემან ირაკლი დასდო საკუთრად 1770 წელსა, რომელნიც მოხსენიებულ არიან ტრაქტატსა შინა. მოსულან მეფე ვახტანგის დროს 1655 წ. (იგულისხმება ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰ-ნავაზი 1658-1675 წწ. - ი. ა.) ყოფილან საკათალიკოსო აზნაურნი და რადგანაც მეღვინეთ-უხუცესი კათალიკოსისა ყოფილან, ეს სახელი გაჰგვარებიათ. ესენი არიან ორ გვარად 1) მეღვინეთ-ხუცის შვილებად წოდებულნი. ხოლო მეორენი ჯომარდიძე შვილებად წოდებულნი. ესენი სახლობენ ხიდისთავსა და აქვთ მამული წედისსა შინა“[10].

---

[8] **ივ. ჯავახიშვილი**, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 320.

[9] იქვე, გვ. 321, 322.

[10] **იოანე ბაგრატიონი**, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997, გვ. 54.



იოანე ბატონიშვილი თანამდებობის გაგვარებასთან დაკავშირებით სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს. ისტორიული საბუთებით, XVI საუკუნის ბოლოს ქართლში

მეღვინეთუხუცესის სახელო ჰქონდა ქაიხოსრო ამირეჯიბს[11]. ამავე დროს მიუღია მას სუფრაჯის სახელო და ატენის მოურავობა[12].

მეღვინეთხუცესიშვილები სამეფო კარზე სხვა თანამდებობებსაც ფლობდნენ, მაგ., XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოთარ ალექსიშვილის მიერ ფარსადან ციციშვილისადმი ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნში (სოფ. გრაკალში) ბეჟან მეღვინეთხუცესიშვილი მოწმის სახით ჩანს სახლთუხუცესის რანგში[13] და სხვ.

ისტორიულ საბუთებში ქართლში მეღვინეთხუცესიშვილები აქტიურად ჩანან XVII საუკუნის ბოლოდან[14].

ხიდისთავში პირველად ეს გვარი 1699 წელს გვხვდება. აღნიშნული წლის 24 თებერვლით დათარიღებული სიგელში, სადაც ნოდარ ფანასკერტელ-ციციშვილი ფეშქაშის გამოისობითა და ერეკლე ნაზარალიხანის მოთხოვნით „ერთობით გორელთ“ პირობის წიგნს აძლევს, რომ „ნარუალის გარდა, ზედაველას მთაშია, სანიაჟორში და ურიულშია და სადაც ხელი მიგიწვდეს, შეშა და სახმარი ხე-ტყე ვერავინ დაგიშალოთო“, სხვებთან ერთად მოწმეებად ციციშვილების აზნაურიშვილი - როსტევან მეღვინეთხუცესშვილი და ავთანდილ ჯომარდიძეც არიან დასახელებულნი[15], რაც არ შეიძლება შემთხვევით გარემოებას მივაწეროთ.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირად არქივში არის მისივე ხელით შედგენილი და დახატული გენეალოგია[16]. მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა (გაურკვეველია დოკუმენტზე ისრების მიხედვით გენეალოგიური აღმავალი ხაზი, არ არის მითითებული პიროვნებების დაბადებისა და გარდაცვალების წლები, გამოტოვებულია ზოგიერთი შთამომავალი, რომელიც საბუთების მიხედვით დავადგინეთ, მაგ. გენეალოგიაში მოცემული არ იყო სვიმონის ვაჟი ლუარსაბი (ლუკა), ასევე გიორგის ვაჟი - ვასილი და სხვ.), უდავოდ საინტერესოა მეღვინეთხუცესიშვილების ისტორიის შესასწავლად, რომელსაც შევსებული სახით ვთავაზობთ მკითხველს (იხ. სქემა)

დიმიტრის დიდი პაპის ძმა – თომა მეღვინეთუხუცესიშვილი ერეკლე II-სთან დაახლოებული პირი იყო და მემანდარბაშის თანამდებობა ეკავა[17]. 1793 წლის საბუთით იგი ციციშვილების სახლთუხუცესიცაა[18].

---

[11] **გიორგი ოთხმეზური**, შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVIII სს.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999, გვ. 49.

[12] იქვე, გვ. 50.

[13] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 274-275; დოკ. 392.

[14] იხ: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. № 3135; 10215; 10386; ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1449, საბ. 1190; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 50, დოკ. 73; გვ. 71, დოკ. 100; გვ. 76-77, დოკ. 108 და სხვ.

[15] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. № 13151.

[16] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 30; QD-986; საბუთი № 2.

[17] ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ. ტ. VIII, გვ. 567, დოკ. 563.

1782 წლის 19 აპრილს გაცემული ერეკლეს ოქმის მიხედვით, თომა და მისი ძმისწულები: პაატა და სვიმონ მეღვინეთხუცესიშვილები, მეამბოხე ციციშვილების (ზაქარია, პაატა და ნიკოლოზ) აზნაურები ყოფილან და ერეკლეს, მეფისადმი ერთგულების სანაცვლოდ, მათთვის „უმამულოდ“ ჩამოურთმევია და სახასოდ დაუჭერია[19].

XVIII ს-ის 80-90-იანი წლების საბუთებიდან ჩანს, რომ ერეკლე თომა მეღვინეთხუციშვილს დიდ ნდობას უცხადებს და ქვეყნის იმდროინდელი უმთავრესი პრობლემის „ლეკიანობის“ მოგვარების საკითხში მნიშვნელოვან დავალებებს აძლევს. სამაგიეროდ, სამეფო კარისგან დადგენილი სამოხელეო ულუფა გარანტირებული აქვს. 1784 წელს ქართლ-კახეთის მეფე მინბაშ დავით საამიშვილს სწერს: „ქ. ჩვენ მაგიერად მინბაშს დავითს ასე ეუწყოს, მერმე აქ რაც ჩვენი შემორიგებული ლეკი იყო, ისინიც სულ მანდ გამოვაგზავნეთ. თომა მეღვინეთხუცესიშვილი მოასხამს, შენ მოგაბარებს, ...თომა ისევ დაბრუნდება და ერთი სხვა მემანდარი ეყოლებათ ...ათი დღის ულუფა ყაზახიდამ უნდა გაურიგო და ათი დღის შამშადილიდამო“[20].

1786 წლის 28 ოქტომბერს მეფე ახლა ნაზირ ბარამს უბრძანებს, თომა მეღვინეთხუცესიშვილს დადგენილი ულუფა სრულად მისცეს[21].

1788 წელს ერეკლე უკვე უშუალოდ თომა მეღვინეთხუცესიშვილს ავალებს ლეკების მიერ დატყვევებული მოსახლეობის გამოხსნას: „ქ. ჩვენ მაგიერად მეღვინეთ ხუცესის შვილს მემანდარბაშს თომას მოკითხვა ეუწყოს, მერმე ტყვეების კვალობაზე ლეკებს წიგნი მივწერეთ და ღთის გულისათვის შენც გაისარჯე, ჩვენს შვილთანაც მიდი, დავით სარდალთანაცა და გარსევანთანაცა და ამ ტკიცების საქმეს დიდათ ეცადე ღთის გულისათვის ბეჯითი იყავ, რომ რაც ტყვეები ჰყავთ დაგვახსნევინონ ასე რიგათ რომ დახსნა შევიძლოთ“[22].

მეფე მეღვინეთხუცესიშვილს მამულისა და სარწმუნოებისადმი ერთგულებას შეახსენებს და დიპლომატიის გამოჩენას სთხოვს: „...ჩვენი ერთგულება და ქრისტიანობის სიყვარული ახლა გაგიჩნდება, ამ წიგნს ლეკებს ნუ უჩვენებ, სიტყვით გაისარჯე და ათი თხუთმეტი ლეკი იშოვნე, ქრთამს დაპირდი და მაგ ტყვეების საქმეს ასე ეცადენითო“[23].

1795 წლის 11 იანვარს თომა მეღვინეთხუცესიშვილის ერეკლესთან საჩივრის წიგნიდან ჩანს, რომ იულონ ბატონიშვილის ბელოთში დგომისას, მის ერთგულ ოსებს

---

[18] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 200, დოკ. 185.

[19] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. QD, საბ. 420; ამ საკითხზე დაწვრ., იხ: **იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი.** ზედაველას ბრძოლები, გვ. 61-63.

[20] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. AD, საბ. 1146, შემდეგ: ხეც.

[21] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, თბ., 2008, გვ. 156, დოკ. №732.

[22] საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1449, საქმე № 877, ფურცელი 1-2.

[23] ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1449, საქმე № 877, ფურცელი 1-2.

ლეკები თავს დასხმიან და „მოყადაღეებს“ ისინი ვერ შეუმაგრებიათ. თომას „დიდი ჯაფა გადახდენია“, რომ შემოჭრილ ლეკებთან შუამავლობა გაეწია და უკან გაებრუნებინა. ამ დამსახურებისათვის იულონი თომას კოშკზე თუმანს შეჰპირებია, მაგრამ „მოყადაღეებს“ თომასათვის ფულის მიცემაზე უარი უთქვამთ.

ერეკლეს ერთგული „დიპლომატის“ დაჩაგვრა „მოყადაღეებისა“ და ოსებისათვის არ შეურჩენია და ყაფჩიბაშ გიო ავალიშვილს ავალებს: „ახლავ გამოურთვი და მოეც, თორემ თუ გამტყუნდებიან ერთიორად წავართმევთო“[24].

თომა მეღვინეთხუცესიშვილის ერეკლეს დიპლომატის რანგში ყოფნა შემთხვევითი არ იყო. მან ბრწყინვალედ იცოდა ლეკური ენა და, როგორც ზემოთ მოტანილი დოკუმენტებიდანაც ჩანს, დაღესტნელებთან მოლაპარაკებას უმეტესად ის აწარმოებდა. ამ ფაქტმა მეღვინეთხუცესიშვილს ძალზე დიდი ავტორიტეტი მოუპოვა[25]. როგორც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი გადმოგვცემს, თბილისის მოურავსა და ერეკლეს სიძეს - დავით ციციშვილს, ვეზირიშვილების დაჩაგვრა და მათთვის მამულის წართმევა დაუპირებია. გაჭირვებულ ვეზირიშვილს დასახმარებლად თომასათვის მიუმართავს, ხოლო თომას ეს ამბავი ერეკლემდე მიუტანია და მიზეზიც განუმარტავს: „თქვენი სიძეობით ართმევს, თორემ სარდალს სიმართლე არა აქვსო“. ერეკლეს მემანდარბაშის აზრი გაუთვალისწინებია და მამული ვეზირიშვილებს დარჩენიათ.

განაწყენებულ ციციშვილს ისღა დარჩენოდა, თომა მეღვინეთხუცესიშვილის ავტორიტეტი ეღიარებინა: „მამული შენ წამართვი თორემ ვეზირიშვილები ჩემთან რას გახდებოდნენო“[26].

თომას სამეფო კარზე გავლენა და სახელო ერეკლეს გარდაცვალების შემდეგაც არ დაუკარგავს. როგორც ცნობილია, გიორგი XII საკუთარი უსაფრთხოების მიზნით ხშირად იწვევდა ლეკთა რაზმებს. ამ შემთხვევაშიც მეღვინეთხუცესიშვილის როლი მოწვეულებთან ურთიერთობაში საკმაოდ აქტიური იყო.

1799 წლის 4 აპრილს გიორგი XII მემანდარბაშს ისევ ლეკებისაგან სტრატეგიული ობიექტების დაცვას სთხოვს: „ქ. ნაზირო იოსებ და მეღვინეთ ხუცესიშვილო მემანდარბაშო თომავ, აბანოებს ლეკები თურმე ძალას ატანენ. ორი ლეკი გამოარჩიეთ, დააყენეთ, რომ ძალა აღარ აქნევინოთო“[27].

---

[24] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 314, დოკ. 298.

[25] **იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი**. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის გენეალოგიისათვის, პროფ. გივი წულაიას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ. 96.

[26] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საბ. № 34.

[27] საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1449, საქმე, № 879, ფურცელი 4.

ამავე წლის 23 აგვისტოს მეღვინეთხუცესიშვილების არზიდან ჩანს, რომ თომას „ამ ლეკების საქმიდან“ კურთხეულის ბატონის (იგულისხმება ერეკლე II - ი. ა.) დროს სტაბილური შემოსავალი 23 შაური ჰქონდა[28].

ხსენებულ პრივილეგიას გიორგი XII მეღვინეთხუცესიშვილებს უცვლელად უნარჩუნებს[29]. 1798 წლის 27 მაისის გიორგი XII-ის მიერ დარეჯან დედოფლისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ ომარ-ხანთან მოლაპარაკებას ასევე თომა მეღვინეთხუცესიშვილი აწარმოებს წელიწადში „ხუთასის თუმნის“ პირობით და სამაგიერო „მტკიცედ დოსტობით“[30].

თომა მეღვინეთხუცესიშვილის ხსენებული შემოსავალი (500 მან. წლიურად) დასტურდება ციციანოვის 1803 წლის 17 ნოემბრის რაპორტითაც. მასში აღნიშნულია, რომ ლეკების „პრისტავობის“ გამო, თომას ერგებოდა ღვინის გადასახადის მეოცედი, რაც შეადგენდა 20 საპალნეს 200 მანეთის ღირებულებისას. სალეკო გადასახადიდან მას ერგებოდა მეათედი, ასევე 200 მანეთის ღირებულების, და ულუფა - 100 მანეთის ღირებულების (ჯამში - 500 მან.)[31].

იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ ხელმოწერილი 1804 წლის იანვრის სენატის დადგენილების მიხედვით, მეღვინეთხუცესიშვილის სახელოს კვლავ თომა მეღვინეთხუცესიშვილი[32] ფლობს[33].

ასევე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა სამეფო კარზე თომას ძმას - პაატა მეღვინეთხუცესიშვილს (დიმიტრის დიდ პაპას). იგი მუსიკალური ნიჭით ყოფილა დაჯილდოვებული და თანამედროვეთა გადმოცემით - მეფე გიორგის საყვარელი მგალობელი[34].

მუსიკალური ტრადიციები მისმა შთამომავლებმა წარმატებით გააგრძელეს.

თომა მეღვინეთუხუცესიშვილი, ძმასთან ერთად, სარგებლობს ზემოხსენებული გარემოებით, ასევე იმ ფაქტით, რომ XVIII ს-ის 80-იანი წლების ბოლოსათვის ხიდისთავში დიდი რაოდენობით „ბეითალმანი“ მიწები დაგროვდა[35] და ერეკლეს

---

[28] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 567-568, დოკ. 563.

[29] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 568.

[30] საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 306, დოკ. № 319.

[31] Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. II. Тифл., 1868. გვ. 42, დოკ. № 57.

[32] 1811 წლის 28 მაისს გაცემული ერთი საბუთის მიხედვით, თომა მეღვინეთხუცესიშვილი უკვე გარდაცვლილი ჩანს (საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 8(9), საქმე 236, გვ. 1-2).

[33] Акты... т. II., გვ. 45, დოკ. № 62.

[34] ხეგ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საბ. № 34.

[35] აღნიშნულთან დაკავშირებით, იხ: ჩვენი სტატია - „პეტრე ბაგრატიონი და ხიდისთავი”, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, №2; თებერვალი 2011, გვ. 42-45; ასევე ვრცლად არის საუბარი ჩვენ ნაშრომში „ხიდისთავის ისტორია”.

სოფელში ორმოცდაათ დღიურ მიწასა და თან მოყოლილ ყმების დასახლებას სთხოვს. სამაგიეროდ ძმები მეფეს ამ ხალხის „ქვეყნის ხარჯსა“ და სამსახურში ჩაყენებას ჰპირდებიან: „...თქვენგან რომ ყმისა და მამულის წყალობა დაგვემართა, ჩვენი თან გამოყოლილის კაცებისაც ასე წყალობის იმედი გვებძანა: თქვენ იქავ წედისის გარეშემო [ბეი]თალმანი მამული მოძებნეთო და იმათთვისაც წყალობა დაგემართებათო. ჩვენი ეს მოხსენება იმან გაგვაბედვინა, რომელიც ერთი-ორი თან გამოყოლილი კაცნი გვყავს, თავს შესაფარებელი ადგილი არა აქვსთ და ამისათვის ქვეყნის სამსახურსაც აკლიან და ჩვენთვისაც ურგებელნი არიან. ჭიდისთავის გარშემო თქვენი [სა]ხასო ბეითალმანი მამულები არის, რომ იქაურის მემკვიდრის მომთაბარისა კაცისაგან ვიცით. ამას გევედრებით, რომ იმ გამოყოლილის კაცებისთვინაც ერთი საკომლო მამულის წყალობა დაგვემართოს და ბინა მიეცესთ, რომ ან თქენს (sic) საქვეყნო ხარჯში არ გამოაკლდნენ და ჩვენც გვარგონ რამე.

ზედელებიც ხომ თავეთის მამულს ვეღარ უდგებიან და ამ დროებში ისინიც იმათ შემოვახვიოთ, რომ არსად დაგვეფანტნენ, ამ მოწყალებას ვთხოვთ. ფებერვლის კა, ქკს უოდ“ (=27. 02. 1787 წ.)[36].

როგორც დოკუმენტიდან ვიგებთ, ხიდისთავი სახასო (მეფის საკუთრება) სოფელი ყოფილა. ასევე საინტერესოა, ვინ იგულისხმება საბუთში დასახელებულ „ზედელებში“, რომლებიც „თავეთის მამულს ვეღარ უდგებიან“ და რა არის ამის მიზეზი. შესაძლოა, აღნიშნულ ტოპონიმში ხიდისთავში, ზედაველას ქედზე მაცხოვრებელი მოსახლეობა მოიაზრებოდეს.

ერეკლე მეღვინეთხუცესიშვილებს ყველა თხოვნას უსრულებს და ხიდისთავის მამასახლისს ავალებს: „...[ხიდის]თავს ჩვენის ყმების ...ერთი მამული საკომლო მიწ[ა უპოვ]ნია, ჩვენ ეს მოხსენება გაუგონეთ [და] ერთის მთელის საკომლოს მიწის წყალობა ...ხიდისთავის მამასახლისო ...მთელი ზომით გაურჩიეთ და მოაბარეთ.

...ორმოცდაათი დღიური უნდა მოუზომოთ და ზომა მისცეთ“[37].

თუმცა, ერეკლეს მხრიდან მეღვინეთხუცესიშვილებისადმი ეს პირველი წყალობა არ არის. ჯერ კიდევ 1784 წლის 10 მარტს ქართლ-კახეთის მეფე გოგია სააკაძეს უბრძანებს, რომ თომა მეღვინეთხუცესიშვილს წედისს მამული უბოძოს და სახასო ყმები დაასახლოს[38], მაგრამ მეღვინეთხუცესიშვილისათვის ნაწყალობევი წედისელი ყმები იმ დროისათვის ფარსადან მაჩაბელთან ყოფილან შეხიზნულნი და მაჩაბელს მათ გამოშვებაზე უარი უთქვამს. თომას სამართლის აღსადგენად მეფისთვის მიუმართავს.

---

[36] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), მასალები შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953, გვ. 214, დოკ. № 157.

[37] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, დოკ. № 157; გვ. 214.

[38] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები... დოკ. №240, გვ. 63.

ყმებიდან ერთ-ერთი სასულიერო პირი ყოფილა, ერეკლეს მისგან გამოურკვევია საქმის გარემოება და განაჩენი ისე გამოუტანია. 1787 წლის 14 ივნისის ქართლ-კახეთის მეფის არზაში ვკითხულობთ: ,,ქ. ჩვენ მაგიერად მის ბრწყინვალებას მაჩაბელს ფარსადანს და ერთობილ მაჩაბლებს ასე უანბეთ: მერე მეღვინეთხუცესიშვილს თომას ყმა წედელი ორი კომლი, ერთი მღდელი და ერთი ამისი განაყოფი მანდ გყავსთ სადმე და არ ანებებთ, რას ემართლებით და ან რის საბუთით უჭერთ თავის ყმასა. თავისი ყმანი დაანებეთ, წამოიყვანოს. თუ არ დანებეთ (sic:), იასაულით მოვა და თავის ყმას ისე წამოიყვანს. მაგ მღვდელმა აქ ჩვენ მოგვახსენა თავისი საქმე, მაგრამ ამას თავის ყმას ვერავინ წაართმევს.

...თუ ასეთი სიტყვა ექნება რამე, რომ ეკლესიას დაანებებს, ის მოგვახსენოს".[39]

ვერც ხიდისთაველები შელევიან იოლად ორმოცდაათ დღიურ მიწას და მეღვინეთხუცესიშვილებისათვის მხოლოდ თვრამეტი დღის მიწა მიუციათ, ისიც სხვადასხვა ადგილას („არევით"), რაც ერთი წლის შემდეგ პაატა და თომა მეღვინეთხუციშვილების ახალი საჩივრის მიზეზი გამხდარა. 1788 წლის 16 ივლისს ისინი ერეკლეს შეახსენებენ: „...შარშან მარტში თქვენი წყალობა ოქმი გვებოძა და ხიდისთავის გარშემო ორმოცდაათის დღის ბეითალმანის მიწის წყალობა დაგვემართა სამამულეთა, ჩვიდმეტ-თვრამეტის დღის მიწა მოგვეცა. და დანარჩომისა, ვიზედაც ბძანება გვქონდა, ეს გვიპასუხეს იმ სოფლის კაცთა: ნიკოლაოზ მოლარეთხუცესი მოვიდეს და შეგისრულებთო.

მეორეთ მოგახსენეთ და კიდემ ოქმის წყალობა დაგვემართა: ნიკოლოზ მოლარეთხუცესიც დაისწარით და რაც წყალობა გვიბოძებია, უნდა შეუსრულოთო. იმ თარიღში მოლარეთხუცესი იქ არ გახლდათ და იმისი ძმა ნინია დაგვესწრა: დაგვინუსხეს და მოგვცეს. მაგრამ ჩვიდმეტ-თვრამეტის დღის მიწა არევით მოგვცეს.

ამ მოწყალებას გევედრებით: ერთი ბეჯითი ოქმი კიდევ გვებოძოს იქაურს თქვენს სახასოს დონდარაშვილზედ და ტლაშაძე იოანე ღვდელზედ. როგორც თქვენი ნაბოძები ოქმები აცხადებდეს, ისე გვებოძოს, სიმართლით მოიქცნენ და ნიკოლოზ მოლარეთხუცესიც იქ დაგვესწრას.

ქ. რამდენის დღის ბეითალმანი მიწა იქ დარჩეს და ან საგანაყოფო, რაც ჩვენ გვებოძება იმას გარდა, ღმერთმან იმდენი თქვენი წყალობა ჩვენ მოგვცეს. იქაურს კაცთ ჩვენის კაცების მოშორება კი არ უნდათ, და თქვენი წყალობა თითო-ოროლის დღის მიწა რომ მოჴნან და დაიჭირონ, ის კი აღარ ემეტებათ..."

მეღვინეთხუციშვილების საჩივრებით „გაბეზრებული" ერეკლე ხიდისთავის მოხელეებს ბეცია თარხნიშვილს, ნიკოლოზ მოლარეთუხუცესს, მღვდელ იოანე ტლაშაძესა და დონდარაშვილს სწერს: „...რა მოხდა რომ ჩვენი ნაბოძები მამული ვერ

[39] საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. III, ტფ., 1910, გვ. 200, დოკ. № 212.

მიეცით. რა წამს ეს ოქმი მოგვიდესთ, მაშინვე როგორადაც ჩვენს ნაბოძებ ოქმებში ეწეროსთ, იმ გზით დაანებეთ და იმოდ[ე]ნათ შეუსრულეთ, ამათ ჩვენთან ნუღარ აჩივლინებთ, თორემ ჩვენი საწყენი იქნებაო“[40].

ერეკლეს ბრძანების მიუხედავად, მეღვინეთხუციშვილების „საჩივრები“ სამეფო კარის წინაშე ამით არ დასრულებულა.

ასპინძის ბრძოლაში (20. 04. 1770 წ.) გამარჯვების შემდეგ, გიორგი მამასახლისს მეფის ბრძანება მიუღია, ბარალეთიდან აყრილი გლეხები (სულ 6 კომლი) ხიდისთავს დაესახლებინა, მაგრამ მალე სოფელი კვლავ ლეკიანობისა და შავი ჭირის ეპიდემიის მსხვერპლი გამხდარა და მოსახლეობა კიდევ ერთხელ დაფანტულა. 1774 წლის 28 იანვარს გიორგი მამასახლისი ერეკლესთან საჩივარში აღნიშნავს: „თქვენი ბძანება იყო, რომ ხიდისთავს უნდა [ვ]ყოფილიყავით. ხიდისთავი ხომ მტრისაგან წახდა, ახლა სამი კომლი სასირეთს გახლავართ, ორი კომლი მეტეხს, ერთი კომლი ხანდაკს ...ჩვენის უბედურობით ასე დავიფანტენითო“[41].

ექვსიდან ოთხი კომლი მეფეს ხიდისთავში როგორღაც დაუბრუნებია და თომა და პაატა მეღვინეთხუცისშვილებისათვის უწყალობებია. როგორც ჩანს, ჯავახები ვერც მეღვინეთხუცისშვილების ბატონობას შეეგუვნენ, ისარგებლეს, რომ ერთ-ერთი მათგანი – ბერუა, იოანე ბატონიშვილის გამდლის – წყნარისახარის ძმისწული იყო, სამეფო კართან ურთიერთობდა და 1791 წლის 23 ოქტომბერს გიორგი ბატონიშვილთან გააგზავნეს საჩივრით: „ჩემო მოწყალევ, ორჯელ ტყვეობიდამ თავი დამიხსნია ვალითა და ვახშით და ისევ თქვენს საფარველს ქვეშ გხლებივარ. ხიდისთავს გახლავარ და ლამის მესამედ დამატყვევონ ...თქვენი ყმა და მონა გახლავარ, ნუ დამკარგავთ, ერთი მტკიცე ოქმის წყალობა მიყავით, რომ ხარჯში არავინ შემაწუხოსო“[42].

გიორგი ბატონიშვილი გორის „გამგებელს“ - ოთარ ამილახვარს ავალებს: „რადგან ასე შეუძლებელი და ვალის პატრონია, ხარჯში და გამოსაღებში ნუ გარევთო“, მაგრამ თომა და პაატა მეღვინეთხუცესები ყმის დაკარგვას ვერ შელევიან, ერეკლესათვის 1787 წლის წყალობა „შეუხსენებიათ“ და მიუმართავთ: „თქვენს მზესა ვფიცავთ, რომ თუ ის კაციც გამოგვერთმევა, თქვენი წყალობა სიგელი სულ მოგვეშლებაო“[43].

გიორგი ბატონიშვილს თავისი სიტყვა უკან ვეღარ წაუღია და თომასა და პაატას, ბერუას ნაცვლად მაგიერს შეჰპირებია, მაგრამ ამაოდ: „ჩვენ დიდი მადლობა

---

[40] ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ. ტ. VII, სასამართლი არზა-ოქმები, თბ., 1981, გვ. 770-771; დოკ. 810.

[41] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 243, დოკ. 248.

[42] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 130-131; დოკ. № 116.

[43] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 137, დოკ. 122.

მოვაკსენეთ, მაგრამ მას დღეს აქეთ თვალითაც არ გვინახავს ის კაციო“, წუხდნენ ერეკლესთან საჩივარში მეღვინეთხუცესიშვილები მოგვიანებით[44].

თომა მეღვინეთხუცესიშვილს ყმების დაბრუნების მიზნით, ახლა ერეკლესათვის მიუმართავს და მიზნისათვის ნაწილობრივ მიუღწევია. ერეკლე ადგილობრივ მოხელეს – პეტრე ავალიშვილს უბრძანებს: „მერე მეღვინეთხუციშვილ თომას ორი გლეხი კაცი მდივანბეგის სამართლით რომ დარჩა, ეგ კაცნი აუყარე და თომას მოაბარე, ხიდისთავს ჩამოიყვანე, ამ ზამთრობით იქ ხიდისთაველებსა სახლები უნდა ათხოვონ და ბზეც მისცეს საქონლისათვის გაზაფხულზე, იმათ ერთ ალაგას ღ~თით ბინას მივსცემთ. ხიდისთავის მოხელენო ყადაღა უყავ ეს ასე აღასრულონო“[45].

1787 წელს მეღვინეთხუცესიშვილს, ყმებთან დაკავშირებით, ახლა მაჩაბლებთან შეექმნა პრობლემები. აღნიშნული წლის 14 ივლისს ერეკლე II ფარსადან მაჩაბელს უბრძანებს თომა მეღვინეთხუცესიშვილისათვის წართმეული ყმების უკან დაბრუნების შესახებ[46].

1795 წლის 6 თებერვალს თომა და პაატა მეღვინეთხუცესიშვილები ერეკლესთან კიდევ ერთხელ ჩივიან, ამჯერად შეპირებული მიწების გამო: „ჩემო ჭელმწიფევ, ამ საქმეზე მრავალჯერ თავი გვიწყენია და [თ]ქვენი წყალობა ხუთი ოქმი გვაქვს, რომ ხი[დი]სთავის გარშემო ორმოცდაათის დღის ბეითალმანი თუ საგანაყოფო მიწა უნდა მოგვცემოდა, ოცამდინ დღის მიწას სახელი დაგვირქვეს შორსა და გამოუყენებელი. და ამ უბრალოს მიწებში დღენახევრის მიწა არის, რომ კაცს გამოადგება; და თქვენს ოქმშიაც ასე აცხადებს: გორის ძირში რომ მიწა არის, ის უნდა მიეცესო. თქვენს იასაულს სამჯერ ჭელი აღუმართავს და ჯვარი დაუსვამს და ვისაც უჭირავს, იმ გლეხ კაცს ჯვარი მიღმა გადაუგდია და კიდევ მოუხნავს.

ჩვენ თქვენს სამართალში ვეპატიჟებით, თუ სიტყვა აქვს რამ, თქვენს სიმაღლეს მოახსენოს. და ისიც პირობას მოგვცემს ხოლმე, მოვალ სამართალშიო, მაგრამ ექვს წელიწადს ასე გვატყუებს, არც სამართალში მოგვდევს და ახლაც ბაღათაც კეთება დაიწყო და თქვენი ამდენი ოქმიც გაგვიბათილა. ჩვენც თქვენის დოვლათით ერთის გლეხის კაცის პასუხის მიცემა შეგვიძლია, მაგრამ თქვენის უნებური საქმე მოგვხდომოდა, ამას ვიშიშვით და ვიკრძალებით.

ამ მოწყალებას ვითხოვთ, ერთის იასაულის წყალობა დაგვმართოს, რაც ხანი გამოსულა, რომ ის მიწა ჩვენა გვბოძებია, იმის ღალა წაგვირთვას და მოგვცეს და ის მიწაც დაგვანებოს. და კიდე სხვა თუ ბეითალმანი მიწა ეჭიროს ვისმე ისიცა, რომელიც ჩვენ უჩვენოთ, რომ ეგების თქვენი წყალობა შეგვისრულდეს და ამ მიწის

---

[44] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 136, დოკ. 122.
[45] გსიემ 7648, ნაწილი 4, № 50, გვ. 319.
[46] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები... დოკ. №746, გვ. 159.

შეუსრულებლობის მიზეზით. თქვენი წყალობა რამდენიმე კომლი კაცი გვებოძა და ოთხიოდ კომლი ჩვენ გამოგვყვა, აქა-იქ დაფანტულები გახლავან, თქვენს საქვეყნო ხარჯს და ლაშქარსაც აკლიან და ჩვენ ხომ სულ არა ვიცით რა“[47].

ერეკლესადმი მიწერილ არზაში მოხსენიებული „გლეხი კაცი“, რომელიც დღენახევრის მიწაზე თავის ნაშრომს ვერ ელეოდა, წალკოტიც გაუშენებია და მეღვინეთხუციშვილებს ექვსი წლის განმავლობაში სასამართლოშიც არ მისდევდა, XVIII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ატენიდან ხიდისთავში ჩამოსახლებული სეხნია აბრიაშვილია[48]. სხვათა შორის, სეხნიას ხსენებული მიწა თვითნებურად არ დაუმუშავებია და ადგილობრივი მოურავისა და მოხუცებულების რჩევით, ოთხი დღის სახნავ ცარიელ მიწაზე ვენახი გაუშენებია, რაც თომა მეღვინეთხუციშვილთან კვლავ დავის საგანი გამხდარა.

სასამართლოს საქმე 1795 წლის 28 მაისს განუხილავს.

სამართალში თომა მეღვინეთხუციშვილს ისევ ერეკლეს მიერ რვა წლის წინათ ნაბოძები ოქმი წარუდგენია, რომლითაც „სახასოს ბეითალმანიდან ორმოცდაათი დღის მიწა“ უნდა მისცემოდა.

მსაჯულებს ახლა სეხნიასათვის მოუთხოვიათ ხსენებულ მიწაზე ნასყიდობის წიგნი წარმოედგინა, რაც აბრიაშვილს ვერ მოუხერხებია და მიზეზად უთქვამს: „ატენი რომ ლეკებმა წაახდინეს, მაშინ დამეკარგაო“.

მაშინ მოხელეებს სეხნიას მოწმეები დაუკითხავთ, რომელთაც დასტური აბრიაშვილის მფლობელობაზე მხოლოდ ერთი დღის მიწაზე განუცხადებიათ.

მსაჯულებსაც სამართალი მოწმეების ჩვენების მიხედვით განუსჯიათ. ერთი დღის ვენახი აბრიაშვილის მფლობელობაში დაუტოვებიათ, ხოლო სამი დღის – მეღვინეთხუციშვილისათვის მიუკუთვნებიათ[49].

როგორც ჩანს, აბრიაშვილი მიწასა და ნაამაგარს ვერ შეელია, მისი დამუშავება გააგრძელა და არც დაწესებული ოცდახუთი კოდი პური გადაიხადა, რაც თომა მეღვინეთხუციშვილის კიდევ ერთი საჩივრის მიზეზი გახდა 1801 წლის 4 მაისს.

ამჯერად მეღვინეთხუცესი დავით ბატონიშვილთან (გიორგი XII-ის ძე - ი. ა.) ჩივის: „სანატრელის პაპის თქვენის ოქმით და ბრძანებით ხიდისთავს გარეშემოში ორმოცდა[ა]თის დღის ბეითალმანი მიწა მებოძა სამამულეთა. ოცდასამის დღის მეტი არ მიჭირავს. ერთმა გლეხმა კაცმა სამი დღის მიწა არ დამანება. ოცდახუთი კოდი პური ჭემწიფის ოქმით და მდივანბეგის განაჩენით წ[ა]ერთო. და კიდევ თავისას არ

---

[47] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 319-320, დოკ. 303.

[48] ვფიქრობთ, გვარში ტექნიკური ხარვეზია და უნდა იყოს „ამბრიაშვილი”. ხიდისთავში ამბრიაშვილები დღესაც მრავლად ცხოვრობენ.

[49] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 658-659; დოკ. 382.

იშლის, მე თქვენი მეშინიან; შორს ხელს იშვერს უსარგებლოს ალაგსა, მე ის არ მინდა; და რომელიც განაჩენში მიწერია, იმას ვითხოვ“[50].

გლეხის სიჯიუტით აღშფოთებული თომა მეღვინეთხუციშვილი ბატონიშვილს სთხოვს დადგენილება „გაამკაცროს“: „ამ წყალობას ვითხოვ, ერთი მაგარი ოქმი და იასაული მიბოძოთ. ის მიწა მამაბაროს და რაერთი ხანი რომ იმას ეხმარებინოს, იმისი ღალაც წამირთოს და მამაბაროსო“[51].

საბოლოოდ, მეღვინეთხუცესიშვილებს მიზნისათვის მაინც მიულწევიათ და ორმოცდაათი დღის მიწა მიულიათ, მაგრამ უკვე ერთმანეთში დაუწყიათ დავა, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

1798 წელს თომა და პაატა მეღვინეთხუციშვილებს მიწის თაობაზე ამჯერად უთანხმოება ალექსიშვილებთან მოსვლიათ და საქმე „ხანჯლის ხმარებამდე“ მისულა.

ფარნაოზ ბატონიშვილს საქმის წარმოება იასაულ დავით აბაზაძისათვის დაუვალებია[52].

აბაზაძეს ოთხი კაცი: დავით თუთუნაშვილი, ავთანდილ ბაბალაშვილი, იასე ტლაშაძე და ივანე ნონიკაშვილი გამოურჩევია და მათთან ერთად სადავო მამულში მისულა.

„განჩინებით“, რაც ალექსიშვილს სადავო მამულში „ჭირნახული ექნა“, უანგარიშეს და მისი გადახდა – ოთხი თუმანი თეთრი, მეღვინეთხუცესიშვილის ყმას – ივანე მაწონაძეს დააკისრეს, სამაგიეროდ მიწა მეღვინეთხუციშვილებს დარჩათ.

„ამ მამულის საქმე ასე გადასწყდა, რომ დღეს და დღეის იქით ერთმანეთთან სადაო არა აქვსთ რა ამ მამულზედაო“, წერდნენ ფარნაოზ ბატონიშვილისადმი მოხსენებაში „მოსამართლეები“[53].

დიდი თავგადასავლების შემდეგ, ასე ხდებიან მეღვინეთხუცესიშვილები ხიდისთავის გარკვეული ნაწილის მფლობელები.

1803 წლის ოფიციალური მონაცემებით, ხიდისთავში ყველაზე მეტი ყმა (10 კომლი) სწორედ თომა მეღვინეთხუცესიშვილს ჰყავდა[54]. თუმცა, მეღვინეთხუცესიშვილს ყმები მარტო ხიდისთავში როდი ჰყოლია. ქართლ-კახეთში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თომა მეღვინეთხუცესიშვილს ციციანოვისადმი წარუდგენია 1788 წლის 19 ნოემბრით დათარიღებული იულონ და ალექსანდრე ბატონიშვილების მიერ ბოძებული და ერეკლეს, დარეჯან დედოფლის,

---

[50] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 733, დოკ. 768.
[51] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 733, დოკ. 768.
[52] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 50-51; დოკ. 16.
[53] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 55-56; დოკ. 18.
[54] Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею т. II. ч. I, Тифл., 1868, стр. 75; док. №121.

გიორგი, ვახტანგ და მირიან ბატონიშვილების მიერ დამტკიცებული წყალობის სიგელი, რომლითაც სამეფო კარი ერთგულ მოხელეს სოფ. წედისში 14 კომლ გლეხს უწყალობებდა თავის უძრავი ქონებით[55].

თომა მეღვინეთხუცესიშვილი უშვილო დარჩენილა, იგი ძმებთანაც აღარ გაყრილა და მისი ქონება ძმიშვილებზე გადასულა მემკვიდრეობით.

თომას საქმე გააგრძელეს მისმა შთამომავლებმა: კონსტანტინე და სიმონ მეღვინეთხუცესიშვილებმა.

გამოჩენილი მხედართმთავრის, ბოროდინოს ბრძოლის გმირის - პეტრე ბაგრატიონის ტორმასოვისადმი 1811 წლის 28 მაისის საჩივრის წერილიდან ჩანს, რომ თომა მეღვინეთხუცესიშვილს ერეკლესგან არა მარტო ხიდისთავის მიწები მიუღია, არამედ სოფელი წედისიც[56], რომელიც, თომას გარდაცვალების შემდეგ, სიმონ და კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილების მფლობელობაში მემკვიდრეობით გადასულა[57].

მეღვინეთხუცესიშვილებმა ხიდისთავში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნეს გავლენა.

ჯერ კიდევ 1820 წლის 31 ივლისით დათარიღებული წერილიდან ვიგებთ, რომ გუბერნატორის ბრძანებით დიმიტრის მამა - კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილი გორის მაზრაში ე. წ. „სტანდარტების“ უფროსად ინიშნება და გადასახადების ზუსტი აღრიცხვა-კონტროლი ევალება. წერილში ნათქვამია: „...რომელ განშორებისათვის მეტის საწყაოთი მცხოვრებელთაგან მიმართებისა ჟამთა მათგან მაღაზიაში პურისა წარიდგინების მაღაზიებში გორისა და სურამისა. აღმორჩეული კეთილშობილთადმი სარწმუნოებისანი კაცნი, რომლისთვისაც დაინიშნებით თქვენ გორის მაღაზიასა შინა და შემწეცა გეძლევათ თქვენ გორში მცხოვრები ნონია ბურგელოვი. ...თქვენა გქონდეთ ფიცხელი ხედველობა, რათა მიბარებისასა ჟამთა მცხოვრებელთაგან პურისასა არ მოხდეს რა მათგან წყვაში მომატებული, რომელიც უნდა იყოს მიღებული ხორბალი ჩვენ მიერ ერთად დაბეჭდილი ნახევარ კოდიანით თავმოდგმული, ისე რომ ორის ნახევარ კოდიდამ შედგეს ერთი კოდი ან ქერით მაღაზიებში ქონებულის სპილენძის ჩეთვერთით ეგრეთვე თავმოდგმული ... შემთხვევასაცა წყვაში მომატებისა მაშინვე უნდა გამოაცხადოთ და როდესაც რომელ რიცხვში რომლის სამფლობელოდამ ან ვისგან სახელდობრ იქნება შეტანილი ჩაიწეროს დავთარში“.

წერილს ხელს აწერენ „ოკრუჟნის ნაჩალნიკი“ - მაიორი ტიტოვი და „გორის უეზდის კეთილშობილთ მარშალი“ პოლკოვნიკი შანშე ერისთავი[58].

---

[55] Акты... т. II., გვ. 1078, დოკ. № 2081.

[56] საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ЦГИА Грузии, Фонд 8(9), дело 236, л.л. 7-16.

[57] **იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი**. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის გენეალოგიისათვის, გვ. 98.

[58] **ხეც**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, საბ. 3.

კონსტანტინე და მისი ბიძაშვილი - სვიმონ მეღვინეთხუცესოვი აქტიურად მონაწილეობენ ხიდისთავში მიწის დავების განხილვებსა და განაჩენის გამოტანაშიც. 1821 წლის 4 ოქტომბრით დათარიღებულ საბუთში, დავით ზაქარიას ძე ციციანოვსა და მიხეილ მალაქიას ძე შარვაშიძეს შორის ხიდისთავის მიწასა და ყმებზე წარმოშობილ დავაში გადაწყვეტილების მიმღებად, აღმსრულებლებად და საბუთის დამწერებად კონსტანტინე და სვიმონ მეღვინეთხუცესოვები ჩანან[59].

ორი წლის შემდეგ (1823 წ.), ბერო აბრამაშვილსა და ანდრიასშვილს შორის წარმოშობილ დავაში მომრიგებლებად კვლავ „კეთილშობილნი" სვიმონ და კონსტანტინე მეღვინეთხუცესოვები არიან[60].

საბუთების მიხედვით, დავა ნინია აბრამაშვილსა და ანდრიაშვილს შორის 40-იან წლებამდე გაგრძელებულა, რომლის მედიატორებად (მომრიგებლებად) ისევ სვიმონ და კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილები არიან, მაგრამ 1842 წლის 20 ივნისისათვის კონსტანტინე უკვე გარდაცვალებული ჩანს[61].

შედარებით ადრე, 1811 წლის 23 მაისს, სვიმონ მეღვინეთხუცესიშვილი მოწმედ ჩანს ხიდისთაველი ქვაკრეფიაშვილების მიერ ავგუსტინე ბაქრაძისადმი მიწის ნასყიდობის სიგელშიც[62].

1864 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობა ოფიციალურად გაუქმდა. რეფორმის წინარე მოსამზადებელ სამუშაოებს ცნობილი საზოგადო მოღვაწე - დიმიტრი ყიფიანი ხელმძღვანელობდა, რომელმაც სრულყოფისა და პირობების გარკვევის თვალსაზრისით, პროექტში ქართლ-კახეთის მთელი გავლენიანი თავად-აზნაურობა ჩართო. მათ შორის - გიორგი სვიმონის ძე მეღვინეთხუცესოვიც, რომელიც 1862 წლის 30 აპრილს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო შეკრებაზე ბატონყმობის გაუქმების საფუძვლების შესახებ დადგენილებაზე, ხელისმომწერთა შორისაა გორის მაზრიდან 70-ე ნომრად[63].

ერთი წლის შემდეგ (1863 წლის 7 ივნისს), გორის „უეზდის" მებატონეებს მოუსმენიათ და თანხმობა ხელის მოწერით დაუდასტურებიათ დიმიტრი ყიფიანის მიერ მომზადებულ პროექტზე. ხელისმომწერთა შორის კვლავ არის გიორგი მეღვინეთხუცესოვი[64].

როგორც ჩანს, მეღვინეთხუცესიშვილს პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებში უფრო მნიშვნელოვანი დავალებებიც ჰქონია, რის გამოც, გორიდან მისი თბილისში

---

[59] **ხ ეც**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, საბ. 1.
[60] **ხ ეც**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, საბ. 1.
[61] Государственный исторический архив Грузии, фонд 254, опись 1, дело 892, л. 79-83.
[62] გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, გიემ 4850/1.
[63] **შ. ჩხეტია**, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 116.
[64] **შ. ჩხეტია**, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 289.

გადაყვანა გამხდარა საჭირო. თუმცა, საინიციატივო ჯგუფს მოგვიანებით ამ საქმის სხვა შემსრულებელი მოუძებნია და გიორგი მეღვინეთხუცესიშვილი გორში დარჩენილა. ხსენებულთან დაკავშირებით, 1863 წლის 28 მარტს მ. თუმანიშვილი სწერს დიმიტრი ყიფიანს, რომ მეღვინეთხუცესიშვილის გამოგზავნა თბილისში უკვე საჭირო აღარ არის, რადგან მან (თუმანიშვილმა - ი. ა.) მონახა ერთი კაცი, რომელიც მზადყოფნას გამოთქვამს ყოველგვარი დავალების შესრულებაზე და კალიგრაფიაც კარგი აქვსო[65].



სურათზე: კონსტანტინე ვასილის ძე მეღვინეთხუცესიშვილი

საბუთების მიხედვით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხიდისთავში ასევე შეძლებული მემამულეები ჩანან: იოსებ და მისი შვილი რომანოზ მეღვინეთხუცესიშვილები (რუსულენოვანი საბუთების მიხედვით - ღვინიევები). ისინი მიწების საკმაო რაოდენობას ფლობდნენ და იჯარითაც გასცემდნენ[66]. სწორედ იოსებ ღვინიევის ქალიშვილი იყო ბარბარე (Варвара) იოსების ასული ღვინიევი, რომლის ვალიც დაედო დიმიტრის დისშვილს - ანა ბაქრაძეს, მას შემდეგ, რაც ბიძამისისაგან მემკვიდრეობით მიიღო მთელი მისი მიწები. 1889 წლის ივნისში ნოტარიუს ივანე პოლტარაცკის[67] თანდასწრებით, ბარბარა იოსების ასული ღვინიევი და ანა იოსების ასული ბაქრაძე ხუთ წლიან გარიგებას დებენ ხუთი ათას მანეთზე. პროცენტით ბაქრაძეს „ძირის“ გარდა უნდა გადაეხადა დამატებით 1200 მანეთი (სულ 6200). თანხის სანაცვლოდ ანა ბაქრაძე თავდებში ბიძის მიერ ანდერძით გადმოცემულ მიწებს დებს. ბაქრაძე პირობას იძლევა, რომ თუ დათქმულ დროს თანხას ვერ გადაიხდის, დათქმაში ჩადებული მიწები კანონის ძალით გადადის ღვინიევის ხელში[68].

მიუხედავად იმისა, რომ ანა ბაქრაძეს ვალის გადახდა თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა (1873 წლის 07 ივნისს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ შედგენილი საბუთის მიხედვით, მეღვინეთხუცესიშვილის მფლობელობაში არსებული

---

[65] **შ. ჩხეტია**, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 137.

[66] გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ფ. „წერილები და საბუთები“. № 9435; 1, 2, 3.

[67] ივანე პოლტარაცკი (1836-1892), ცნობილი იურისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. დაახლოვებული იყო ილია ჭავჭავაძესთან, ივანე მაჩაბელთან და XIX საუკუნის სხვა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებთან. სწორედ ილია ჭავჭავაძის წინადადებით შეირთო 1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ცოლად ივანე პოლტარაცკის ქალიშვილი ნინო.

რუსულ ენაზე თარგმნა ილიას თხზულებები „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი“ და სხვ.

[68] **ხეგ**, დიმიტრი ბაქრაძის საარქივო ფონდი, საბ. № 153.

მიწების საერთო ღირებულება 26769 მანეთს შეადგენდა[69], რომელიც მთლიანად მიიღო მემკვიდრეობით დიმიტრის დის შვილმა), ჯერ კიდევ 1884 წელს ანდერძით გადაცემული მიწების დიდი ნაწილი, ანა ბაქრაძეს ხიდისთაველი და ატენელი გლეხების: ივანე და ანდრია ტლაშაძეების, იოსებ, ალექსი და ზაქარია ვანიშვილების, სვიმონ და თომა მედოიძეების, დავით ჯაფარიძისა და სხვებისათვის მიუყიდია[70].

ამას ისიც დაერთო, რომ მეუღლის - დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების (+1890 წ.) შემდეგ, მას სათავადაზნაურო ბანკის ვალებიც დაედო, სადაც თავდებში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისაგან ნაანდერძევი მიწები ჰქონდა ჩადებული[71].

მოგვიანებით ანა ბაქრაძის ვალები კიდევ უფრო გაზრდილა და 1897 წლისათვის 10 ათასი მანეთისათვის მიუღწევია. დიმიტრი ბაქრაძის პირად საარქივო ფონდში ინახება თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მიერ გაცემული „დასტური“ (Удостоверение) იმის შესახებ, რომ ბანკი არ არის წინააღმდეგი მიიღოს ანა ბაქრაძის მიერ ვალში ჩადებული ხიდისთავისა და წედისის მიწები[72].

სურათზე: ძველი ბუხარი სვიმონ მეღვინეთხუცე-სიშვილისეულ კერაზე

დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილის ახლო ნათესავი (ბიძაშვილი) იყო ცნობილი პიროვნება, ხალხოსანი და გორის სცენისმოყვარეთა წრის აქტიური წევრი - ვასილ გიორგის ძე მეღვინეთუხუცესიშვილი (იხ: გენეალოგია). საზოგადოებრივი საქმიანობის გარდა, იგი აქტიურად იყო ჩართული სოფლის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაშიც. მაგ. 1879 წელს ხიდისთავში გადაუწყვეტიათ საზოგადოებრივი დეპო დაეარსებინათ, რომლის საწყისი კაპიტალისათვის ადგილობრივებს „ხუთი მანეთიდგან თუმნამდის“ შეუწირავს, ხოლო ვასილ მეღვინეთხუცესიშვილს 50 მანეთი[73].

---

[69] ხეც, დიმიტრი ბაქრაძის საარქივო ფონდი, საბ. № 153.
[70] ხეც, დიმიტრი ბაქრაძის საარქივო ფონდი, საბ. № 153, გვ. 50.
[71] ხეც, დიმიტრი ბაქრაძის საარქივო ფონდი, საბ. № 17; 113; 142; 153.
[72] ხეც, დიმიტრი ბაქრაძის საარქივო ფონდი, საბ. № 17.
[73] გაზ. „დროება“, 24. 08. 1879 წ. № 176, გვ. 2-3.

გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების აღსანიშნავად, ვასილ მეღვინეთხუცესიშვილს 1882 წელს საკუთარ სახლში მეგობრებთან ერთად მიუწვევია დიდი ქართველი პოეტი - ვაჟა ფშაველა და მათ საპატივსაცემოდ სადილი გაუმართავს. წვეულებას, ვაჟას გარდა, თბილისიდან ჩამოსული გორის გიმნაზიის კურსდამთავრებულები ივანე რატიშვილი და შემდეგში ცნობილი ექიმი, საკუთარი ხარჯით ილია ჭავჭავაძის თხზულებების გამომცემელი - მიხეილ გედევანიშვილიც დასწრებიან. მეგობრების მოთხოვნით აქ წაუკითხავს ვაჟას ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ შესახებ დაწერილი რეფერატი, რომელსაც დამსწრეთა დიდი მოწონება დაუმსახურებია.

მეღვინეთუხუცესიშვილის ბაღში ამ დროს ახალგაზრდებს სტუმრად სწვევიათ გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი – დიმიტრი სემიონოვი, რომელსაც ქართველებისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო, სასწავლებლიდან გაწვევას უპირებდნენ. რეფერატის წაკითხვის შემდეგ, სემიონოვს ვაჟასთვის უთქვამს: „შენ ჩემო ლუკა! გეტყვი იმას, რაც შენთვის ხშირად მითქვამს! ბუნებით პოეტო, შენი ტალანტი არ დამარხო. განავითარე გონება, იკითხე სხვადასხვა მიმართულების წიგნები და მაშინ შეძლებ, რომ ყოველმხრივ ჩვენი სინამდვილე დაასურათო“.

სტუმრების საპატივსაცემოდ მასპინძელს ჭიანური მოუტანია, ბაიათები დაუკრავს და სტუმრები დიდად მოუხიბლავს[74].

XIX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ვასილ მეღვინეთხუცესიშვილს თავისი მიწის (თუ სახლის) ნაწილი მიუყიდია ხიდისთავში დროებით მაცხოვრებელ - ალექსი გაბრიელის ძე ჩხიტაურისათვის, რომელმაც, თავის მხრივ, 1893 წლის 9 მაისს ეს ადგილი 300 მანეთ „ნაღდ ფულად“ მკვიდრ ხიდისთაველ - სოლომონ გოგიას ძე დოღოზაშვილს მიჰყიდა[75]. მიუხედავად იმისა, რომ საბუთში არ კონკრეტდება, სვიმონ მეღვინეთხუცესიშვილისეული „ალაგი“ ცარიელი მიწაა თუ საცხოვრებელი კარ-მიდამო, დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი უნდა მოვიაზროთ, რადგან, ჯერ ერთი, ხსენებული ადგილი სოფლის ცენტრალურ ადგილში მდებარეობს და მეორეც, მეზობლადაც საცხოვრებელი „სახლ-კარები“ ფიქსირდება. აღმოსავლეთით ვასილ მეღვინეთხუცესიშვილისეულ „ალაგს“ სასოფლო საწისქვილო რუ ესაზღვრებოდა, დასავლეთით - ჩხიტაურის სახლ-კარი, ჩრდილოეთით - ტატო

---

[74] **გიგი ხორნაული**, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 2008, გვ. 74-76.

[75] საბუთის მოწოდებისათვის მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ბატონ ვალერი ტლაშაძის მისამართით, რომლის მამამ (რევაზ ტლაშაძემ) 1957 წელს დოღოზაშვილებისაგან იყიდა ხსენებული ადგილი და 1893 წელს გაცემული ნასყიდობის სიგელიც ამგვარად მოხვდა ტლაშაძეებთან. ბატონ ვალერის, ახალი სახლის აშენების მიუხედავად, ასევე ხელუხლებლად დაუტოვია მეღვინეთხუცესიშვილისეულ კერაზე აშენებული ძველი ბუხარი (იხ.: სურათი 27-ე გვერდზე).

ამბრიაშვილის სახლ-კარი, ხოლო სამხრეთით ტატიშვილი (ტატიევის) ტარიელის სახლ-კარი.

მოგვიანებით, ვასილ მეღვინეთხუცესიშვილის მუსიკალური ტრადიციები წარმატებით გააგრძელა მისმა ვაჟმა - კონსტანტინე ვასილის ძე მეღვინეთუხუცესმა (1891-1972). იგი დაიბადა და სიყმაწვილის წლები გაატარა ხიდისთავში.

დედამისს პროფესიული მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული და ფორტეპიანოზე უკრავდა. პირველი გაკვეთილები მუსიკაში კონსტანტინემ ოჯახშივე მიიღო და ჯერ კიდევ 8 წლის ასაკში დაეუფლა ამ ინსტრუმენტზე დაკვრას. დედა კონსტანტინეს ადრე გარდაეცვალა და ხიდისთაველმა მართა ხუბულურმა გაზარდა, რომლის ამაგის გადახდას მთელი ცხოვრება ცდილობდა. მალე ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. 1903 წელს იგი შეიყვანეს სამუსიკო სასწავლებელში. 1909 წელს თბილისის სამუსიკო სასწავლებლის პარალელურად დაამთავრა გიმნაზიაც და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტისა და კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, იგი პირველ მსოფლიო ომში გაიწვიეს და მხოლოდ 1919 წელს დაუბრუნდა სამშობლოს ოფიცრის ჩინით და მუშაობა დაიწყო იურისტად, მაგრამ მოსამართლის კარიერაზე უარი თქვა და მუსიკისადმი სამსახური ამჯობინა. 1928 წლიდან იყო თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი, 1932 წლიდან - პროფესორი, ხოლო 1943 წლიდან თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მუსიკის კათედრის გამგე. ლექციების პარალელურად იგი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ლამის მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება. კონსერვატორიაში მუშაობისას კონსტანტინესთან მისულა მისი ერთ-ერთი სტუდენტი, მოხდენილი გარეგნობის ქალიშვილი და პროფესორისათვის უთხოვია ბერიას „კლანჭებისაგან“ დაეხსნა. კონსტანტინეს ეს ამბავი ბელადისათვის უცნობებია, რომელთანაც უშუალო ნაცნობობა ჰქონდა. სტალინს მისივე თანდასწრებით დაურეკავს ბერიასათვის და შეურისხავს. რა თქმა უნდა, „რუხი კარდინალი“ ამ ფაქტს იოლად არ დაივიწყებდა. მართლაც, მცირე ხნის შემდეგ, ბორჯომში დასასვენებლად მყოფ კონსტანტინეს ღამით თავს დადგომიან უშიშროების თანამშრომლები და თბილისში სასწრაფოდ წაყოლა უბრძანებიათ. ძნელი გამოსაცნობი არ იყო, ეს ამბავი რითაც დამთავრდებოდა, მაგრამ „КГБ“-ს თანამშრომელთა შორის ერთ-ერთი, გვარად ტატიშვილი კონსტანტინეს ყოფილი სტუდენტი გამომდგარა და მისი დახმარებით გაქცევა მოუხერხებია. ერთ ხანს მეღვინეთხუცესიშვილი შორეულ ციმბირში აფარებდა

თავს და მხოლოდ ბერიას დახვრეტის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ერთადერთი ვაჟიშვილიც[76] უკვე გარდაცვლილი დახვედრია[77].

ცხოვრების დარჩენილი ნაწილი კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილმა მთლიანად ახალგაზრდობის აღზრდას შეალია.

ავტორია ოპერებისა: „ამირანი“ (1927 წ.), „ბეკინას ქორწინება“ (1953 წ.), „დავით გურამიშვილი“ (1963 წ.). ბალეტისა - „ჭანი გოგონა“ (1947 წ.). დაწერა მუსიკა სპექტაკლებისათვის: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (ა. ცაგარელი) და „მზის დაბნელება“ (ზ. ანტონოვი). ავტორია შრომებისა: „შემავალი ტონის თეორია“ (1928 წ.), „ქართული ხალხური პოლიფონია“ (1935 წ.) და სხვ.

გარდაიცვალა 1972 წლის 30 ნოემბერს, დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.

სურათზე: ღვინიაანთეული ნაწისქვილარი (თანამედროვე მდგომარეობა)

კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილს სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა და პატივს სცემდა მშობლიურ სოფელ ხიდისთავს. 1970 წელს იგი სტუმრად სწვევია გორში თავის სტუდენტს - ბატონ გია ხუბულურს და უთხოვია მისთვის ხიდისთავში ბავშვობის ადგილები დაეთვალიერებინა. როგორც ბატონი გია გადმოგვცემს, თვალზე ცრემლმომდგარი ეფერებოდა ღვაწლმოსილი პროფესორი ბავშვობისდროინდელ ადგილებს, თითოეულ ადამიანსა და სახლს.

მეღვინეთხუცესიშვილები სოფელში საკუთარ ეკლესიასაც ფლობდნენ. დღეისათვის იგი „ღვინიაანთ საყდრის“ სახელწოდებითაა შემორჩენილი (იხ: სურ. მე-12 გვერდზე).

---

[76] სხვა ცნობით, კონსტანტინეს ვაჟი იყო თეიმურაზ მეღვინეთხუცესიც, ანსამბლ „ორერას“ კლავიატურისტი და მუსიკალური ხელმძღვანელი 1964-1973 წლებში.

[77] მასალისა და კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილის ფოტოს მოწოდებისათვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ ხიდისთავის სამუსიკო სკოლის დირექტორს, ბატონ გია ხუბულურს. მისივე აქტიური ძალისხმევით რამდენიმე წლის წინათ ხიდისთავის სამუსიკო სკოლას მიეკუთვნა კონსტანტინე მეღვინეთხუცესის სახელი.

მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, დაახლ. 3 კილომეტრზე, ადგილ „ღვინიანთეულში“. ეკლესია დარბაზულია, არც-თუ მცირე ზომის (დაახლ. 11X8). ნაგებია რიყის ქვითა და ქართული აგურით. კედლები ნაშენებია ქვით, ხოლო კამარებში, თაღებსა და გადახურვაში აგურია გამოყენებული. შესასვლელები ჰქონია სამხრეთით და დასავლეთით. კედლის მხატვრობის კვალი არ ჩანს. აქვს მცირე სარკმელები ოთხივე მხარეს. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო მოზრდილი ნიშია. გადახურული იყო ცილინდრული კამარით[78]. იგი გვიან ფეოდალური ხანით უნდა თარიღდებოდეს. ალბათ მასში წირვა არ ტარდებოდა და შესაბამისად, მრევლიც არ ჰყავდა, რადგან XIX-XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო დავთრებში იგი მოხსენიებული არ არის.

ვიცით, რომ 1886 წელს ეს ეკლესია უკვე იდგა, სავარაუდოდ, ძველ საძირკველზე. გაზეთ „ივერიის“ ინფორმაციით, აღნიშნულ წელს ადგილობრივ გლეხებს - აბაზაშვილებს, ამ ადგილას მიწის თხრისას უპოვიათ ზარი და ჯვარი, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ წერილის ავტორს საჭიროდ მიუჩნევია აღენიშნა: „სასურველი იქნებოდა ჩვენ არქეოლოგ დ. ბაქრაძეს, რომელიც აქაური მემამულე და გავლენიანი მცხოვრებია, ამ ამბისათვის ყურადღება მიექციაო“[79]. „ივერიის“ ინტერესი ალბათ იმითაც იყო განპირობებული, რომ დიმიტრი ბაქრაძე მეღვინეთუხუცესიშვილების სიძე (დიმიტრის დის შვილის ქმარი) იყო და მეუღლის საგვარეულო ეკლესიისადმი მეტი ყურადღება მოეთხოვებოდა.

მიუხედავად სერიოზული დაზიანებისა, ეკლესიის თავდაპირველი ფორმის სრულფასოვანი წარმოდგენა და აღდგენა შესაძლებელია.

ეკლესიის გვერდით არის ასევე დაზიანებული ნაწისქვილარი. ისიც სიპი ქვით არის ნაგები და საკმაოდ დიდია (ზომებით 14X10 იხ. სურ. 30-ე გვ). ადგილობრივების გადმოცემით, წისქვილს ჰქონია დამხმარე ნაგებობებიც (თავლა, ბოსელი), რადგან შორიდან ურმებით დასაფქვავად მოსულებს აქ რამდენიმე დღე უწევდათ ლოდინი[80].

---

[78] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 125.
[79] გაზ. „ივერია“, 01. 05. 1886 წ. № 94; გვ. 2.
[80] ეს ამბავი 82 წლის ადგილობრივ მოსახლეს - შოთა კვიცაშვილს პაპისაგან ახსოვს.

ოჯახი, ბავშვობისა და ყრმობის წლები

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში 1815 წელს, აზნაურ კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილისა და ანა წინამძღვრიშვილის ოჯახში.

დიმიტრის დედის – ანა წინამძღვრიშვილის მამა - დეკანოზი იოსები იყო ძმა ილია წინამძღვრიშვილისა, რომლის ინიციატივით დაარსდა სკოლა სოფ. წინამძღვრიანთკარში.

მოგვიანებით იოსებ დეკანოზს თავისი ქალიშვილისათვის მზითევში მიუცია საცხოვრებელი სახლი თბილისში.

თუმცა, კონსტანტინეს ბინაზე მემკვიდრეობა იოლად არ მიუღია და ვალში 30 თუმნის გადახდა მოუწია. იოსებ დეკანოზის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი - ივანე (კონსტანტინეს მოყვარე) 1831 წლის 21 თებერვალს სიძეს პირობის წიგნს აძლევს: „..მე ქვემო ამის ხელის მომწერელმა, მოგეც ესე წერილი თქვენ ჩემს სიძეს კეთილშობილს კონსტანტინე მეღვინეთხუცესოვს ასე, რომ რადგანაც განსუენებულს ჩემს მამას დეკანოზს იოსებს მიეცა სახლი მზითევში თავის ქალის თქვენის მეუღლის ანნასათვის მდებარე ამა თფილისში პირველს ჩასტში მეორეს კვარტალში, რომელიც ხსენებული სახლი იგი არის აქაურის მცხოვრებელის მხატვარს ანტონასთან ოცდაათ თუმან თეთრ ფულად ჩვენს ვალში, ამისთვის თავის ნებითა და ამ წერილითა განგიახლებ და გაძლევ ხსენებულს სახლს განმეორებით შ~დ (შემდგომად - ი. ა.) გარდაცვალებად ჩემის დისა, თქვენ და მემკვიდრედ თქვენთა ძეთა და ასულთა დანაშთენთა დისა ჩემისათა, რომელ მდგომისა მის სახლში მოვალეს ჩვენსა მისცეთ თქვენ ოცდა ათი თუმანი ჩვენი ვალი და დაგრჩეთ თქვენ საუკუნეთ და სამფლობელოდ იგი სახლები, როგორც ალალს მემკვიდრეს და მეპატრონეს. (ხელმოწერა რუსულად „Иван Цинамдзгваров“)[81].

როგორც ჩანს, მემკვიდრეობით ნარგები სახლი მეღვინეთხუცესიშვილებს მაინც აღარ შერჩათ, ან გაყიდეს, რადგან მოგვიანებით, მარი ბროსესადმი პეტერბურგში გაგზავნილ წერილებში დიმიტრი თბილისში იოსებ მამაცაშვილის მისამართს უთითებს[82].

გენეალოგიის მიხედვით, გარდა დიმიტრისა, მის მშობლებს ჰყავდათ კიდევ 4 შვილი: ნინო, დავითი, ალექსანდრე და კეკე.

---

[81] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. QD, საბ. 457.

[82] **შოთა ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, კრებულში: „საისტორიო მოამბე“, № 6, თბ., 1952, წერილი 10, გვ. 20; ხეცგ, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 15.

ნინო დაბადებულა 1812 წელს. მისი ნათლია ყოფილა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე. დაუმთავრებია თბილისის ქალთა სასწავლებელი.

1829 წელს 17 წლის ნინო მიუთხოვებიათ იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილისათვის, რომელიც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და რუსეთში, კერძოდ, ვიატკაში გადაასახლეს. ამ დროისათვის ნინოს და იოსებს უკვე ორი შვილი ჰყოლიათ, აქედან ერთი - ჩვილი. დაკითხვის ოქმებში (1832 წლის დეკემბერში) იოსებ მამაცაშვილს აღნიშნული აქვს, რომ ჰყავს ორი თვის ვაჟი ნიკოლოზი[83].

მთლიანობაში იოსებ მამაცაშვილსა და ნინო (ნინა) მეღვინეთხუცესიშვილს 6 ვაჟი და 7 ქალი შესძენიათ. აქედან 1 მცირეწლოვანი გარდაცვლილა, ხოლო ერთ-ერთ ვაჟს - დიმიტრის, არტილერიის პოლკოვნიკის ჩინამდე მიუღწევია და ბრძოლაში დაღუპულა პოლონეთში.

იოსებისა და ნინოს ქალიშვილზე 1865 წელს იქორწინა დიმიტრი ბაქრაძემ, ანუ, მეღვინეთუხუცესიშვილისათვის იოსებ მამაცაშვილი და დიმიტრი ბაქრაძე სიძეები იყვნენ.

შობა დღეს, 82 წლის ნინო მეღვინეთხუცესიშვილი წასულა სალოცავად ანჩისხატში, სადაც გაცივებულა და 1894 წლის 12 იანვარს გარდაცვლილა.

შვილებს დედის ნეშტი წაუსვენებიათ რუისში და მეუღლის გვერდით (იოსებ მამაცაშვილი გარდაიცვალა 1874 წელს) დაუკრძალავთ, ნინოს მიერვე აშენებულ ნიშში.

მიცვალებულის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოუთქვამთ დეკანოზ მძინარაშვილს, რუისის სკოლის მასწავლებელს - ვ. ბიბილაშვილს, რომელთაც აღუნიშნავთ მისი ღვაწლი, ლმობიერება და სათნოება როგორც საუკეთესო დედისა.

დაკრძალვას დასწრებიან ახლომდებარე შვიდი სოფლიდან, განსაკუთრებით განუცდიათ ეს ამბავი რუისის ღარიბ მოსახლეობას და ქვრივ-ობლებს, რომელთაც განსვენებული დიდ შემწეობას აძლევდა[84].

დიმიტრის დანარჩენი დედმამიშვილებიდან დავითი და ალექსანდრე ადრეულ ასაკში ჩანან გარდაცვლილნი (მაგრამ არაუადრეს 1831 წლისა, რადგან ზემომოყვანილ დოკუმენტში, კონსტანტინეს მოყვარე „ძეთა“ და „ასულთ“ მრავლობით რიცხვში ახსენებს).

---

[83] **გიორგი გოზალიშვილი**, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 244.
[84] გაზ. „ივერია”, 26 იანვარი, 1894 წ. № 19, გვ. 2.

სამწუხაროდ, მონაცემები არა გვაქვს დიმიტრის კიდევ ერთი დის - კეკეს შესახებ. ხსენებული დოკუმენტიდან გამომდინარე, ვიცით, რომ იგი 1831 წელს დაბადებული იყო.

დიმიტრი თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა იურიდიული განხრით. მოგვიანებით მან სამხედრო განათლებაც მიიღო და შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში, ჩრდ. კავკასიაში ანდისა და დარგოს ოპერაციებშიც მონაწილეობდა, რის გამოც, წმ. სტანისლავის IV ხარისხის ორდენითაც დააჯილდოვეს. დარგოს ოპერაციას მან ორი ნაშრომი მიუძღვნა.

თუმცა, მეღვინეთხუცესიშვილის სამხედრო მოღვაწეობა ამით დასრულდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მისი გატაცება სამხედრო კარიერა არ ყოფილა, ამიტომ მან ცხოვრების ამ გზაზე უარი თქვა და 1845 წლის 5 დეკემბერს გორის სასამართლო კანცელარიაში დაიწყო მუშაობა[85].

სახელმწიფო სამსახურის პარალელურად, 1848 წლიდან იწყება მისი აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობა.

არც სახელმწიფო სამსახურში კარიერა ყოფილა დიმიტრის მოწოდება. კანცელარიის რუტინული სამსახური ბევრ დროსა და ენერგიას ართმევდა, ამიტომ 1849 წელს იგი ბროსეს სთხოვს, რათა შუამდგომლობა გაუწიოს მისივე (ბროსეს) მეგობარ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელ ლელთან, კანცელარიაში მცირე მწერლად გადაყვანის მიზნით. „აქ დრო მექნება ვისწავლო ფრანციცული და თათრული. ეს ორივე ჩემთჳს ფრიად საჭირო არს, იქავ ხშირად მექნება შემთხვევა კარგის წიგნების კითხვისაო“[86].

1851 წლისათვის იგი მართლაც გადაუყვანიათ კანცელარიის სამოქალაქო განყოფილებაში, ხოლო 1852 წელს აურჩევიათ გეოგრაფიული საზოგადოების წევრად[87].

---

[85] **ხეც**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, საბ. № 4.

[86] **შოთა ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 12, წერ. №4.

[87] **ხეც**, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 16.

შეხვედრა და ურთიერთობა მარი ბროსესთან

დიმიტრის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა XIX ს-ის 40-იანი წლების ბოლოდან იწყება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა ცნობილ ფრანგ ქართველოლოგთან, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ – მარი ბროსესთან სიახლოვემ.

სავარაუდოდ, ფრანგ მეცნიერს დიმიტრი მისმა სიძემ (დის ქმარმა), გენერალ-მაიორმა იოსებ მამაცაშვილმა შეახვედრა, რომელიც ბროსეს ჯერ კიდევ თბილისიდან იცნობდა.

როგორც ცნობილია, მარი ბროსე საქართველოში 1847 წლის ზაფხულში, აგვისტოს ბოლოს ჩამოვიდა. თბილისში ყოფნის დროს იგი გაეცნო ქრისტეფორე მამაცაშვილის (იოსებ მამაცაშვილის მამის) მდიდარ ბიბლიოთეკას[88], რამაც ფრანგ მეცნიერზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გიორგი, კონა, ოქრო და ელიზბარ ერისთავების, ზაქარია ჩოლოყაშვილის, იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილისა და დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის ინიციატივით ბროსე მოუწვევიათ გორში.

მარი ბროსე გორში იმყოფებოდა 1848 წლის 7-დან - 12 აპრილამდე. მან დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის თანხლებით დაათვალიერა გორის სიძველეები, ურბნისი, რუისი, ატენი, გორიჯვარი. უნახავს ღვარებში ელიზბარ ერისთავის მინის ქარხანა და სხვ[89]. გამგზავრების წინა დღეს, 11 აპრილს ოფიციალური ნაწილის შემდეგ ფრანგი მეცნიერის საპატივსაცემოდ გორის „უეზდის“ კეთილშობილს საზოგადოებას სადილი გაუმართავს[90], რომელსაც 66 თავადაზნაური და რუსი ჩინოვნიკი დასწრებია. თამადა ყოფილა გიორგი ერისთავი, რომელსაც ბროსეს სადღეგრძელოში დამსწრეთათვის მიუმართავს: „...უფალნო! დავლიოთ სადღეგრძელო უფლის ბროსსეტისა, რომელსაც უყვარს ენა რუსთაველისა, პეტრიძისა (sic) და ხონელისა და რომელიც აცნობებს ამა ენასა განათლებულსა ერსა, მხარესა და ქუჱყანასა“.

---

[88] **Шота Хантадзе**, Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970, გვ. 113.

[89] **Ш. Хантадзе**, Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, გვ. 113-114.

[90] ზოგიერთი ცნობით, ეს სადილი გაიმართა ხიდისთავში, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მამულში, იხ: **ე. მამისთვალიშვილი**, გორის ისტორია, ტ. II, ქართლი, 1999, გვ. 166; **Гастон Буачидзе**, Мари Броссе (страницы жизни), Тб., 1983, стр. 245. ჩვენი აზრით, ზემოხსენებული პერიოდის განმავლობაში (1847 წლის 7-12 აპრილი), ბროსეს დიმიტრის ოჯახში უნდა ეცხოვრა ხიდისთავში.

საპასუხო სიტყვაში ბროსეს საქართველოს ისტორიის შესანიშნავი ცოდნა გამოუმჟღავნებია, რომელსაც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა სპეციალური სტატია მიუძღვნა „ცისკარში“[91].

მალე ბროსე იმერეთში გამგზავრებულა და ორი თვის განმავლობაში მოუვლია სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი.

ქართლში უკან დაბრუნებისას ფრანგ მეცნიერს სურვილი ჰქონია გორის მაზრის გარკვეული ადგილების ხელახლა მოხილვისა. გორის მაზრაში მოგზაურობისას დიმიტრის პიროვნებას და ინტელექტს ფრანგ მეცნიერზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, ამიტომ ჯერ კიდევ 1848 წლის ივნისში ქუთაისიდან მეღვინეთხუცესიშვილს ატყობინებდა, რომ გორში მალე დაბრუნდებოდა და სთხოვდა მისთვის სამოგზაურო მარშრუტი შეედგინა, ბროსე მიანიშნებდა, რომ სასურველი იყო რამდენიმე ადგილი ერთობლივად „გაესინჯათ“[92].

მართლაც, მარი ბროსე გორში 26 ივნისს დაბრუნდა და დიმიტრის თანხლებით მოიარა ცხინვალი, შინდისი, ნიქოზი, წუნარი, ბორცვისჯვარი, ტბეთი, თირი, აჩაბეთი, საბაწმინდა, იკორთა, კორინთა, ყანჩაეთი, წირქოლი, ლარგვისი, ოძისი, ქსოვრისი, ღართისკარი, მჭადიჯვარი, წილკანი და სხვა სოფლები. 4 ივლისს ბროსე თბილისში დაბრუნდა, ხოლო 23 ივლისს პეტერბურგში გაემგზავრა[93].

იმპერიის დედაქალაქში გამგზავრებამდე, ბროსემ მეღვინეთხუცესიშვილს გააცნო საქართველოში სტუმრად მყოფი ცნობილი რუსი პოეტი - იაკობ პოლონსკი, რომელიც იმდენად მოიხიბლა დიმიტრის პიროვნებით, რომ ხშირად სტუმრობდა მასთან ბინაზე და თან გაჰყვა იმერეთში მოგზაურობისას[94].

ფრანგი ქართველოლოგის პეტერბურგში წასვლის შემდეგ საქმიანობა დიმიტრიმ დამოუკიდებლად გააგრძელა.

არც ბროსეს გაუწყვეტია მეღვინეთხუცესიშვილთან კავშირი. განსაკუთრებით ინტენსიური იყო მათი მიმოწერა 1848-1849 წლებში, ანუ, სანამ ბროსეს საქართველოში მოგზაურობის შესახებ ჯერ კიდევ ცოცხალი შთაბეჭდილებები ჰქონდა. „დამრჩა საწერი ორი თვისა და ნახევრის ოდიშს, აფხაზეთს, სვანეთს და იმერეთში, რომლისთვისაც დიდი ნივთიერება მაქვს. გუჯრების ამბები დავწერე და დავაბეჭდვინე მოკლედ. ახლა გრძლად უნდა დავსწერო - გთხოვთ ერისთავის

---

[91] იხ: **დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი**, „სადილი გორის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოთა“, ჟურნ. „ცისკარი“, 1860 წ. აპრილი, № 4, გვ. 281-283.

[92] **სოლომონ ყუბანეიშვილი**, აკად. მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწე დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილისადმი, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 5944, გვ. 1, შემდეგ: გიემ.

[93] **Ш. Хантадзе**, Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, გვ. 115.

[94] **Гастон Буачидзе**, Мари Броссе, გვ. 252.

შჯლებსა თუ აქვსთ ძველი, ძალიან ძველი გუჯრები, თუ გინდ მეფე ალექსანდრეს დროჲსა, თუ ცოტა წინაუკანა. გადაწერეთ თუ გადააწერინეთ მათი ნებადართვითა რამდენიმე, იმისთვის, რომ ვირშელებისა და ქვენიფნეველ ერისთავთ-ერისთავებისა არაფერი არა სწერია ცხოვრებაში და ესე საქმე დიდია. უთუოდ ვისმე ხელში დარჩა ამისთანა ძველი ამბები და უამისოდ არ შეუძლია კაცსა ზედმიწევნილებით გაიგოს და განმარტოს უწინდელი დროების ისტორია", წერდა დიმიტრის ფრანგი მეცნიერი[95].

ამავე წერილში ბროსე მეღვინეთხუცესიშვილს სთხოვს, რომ მეორედ მოინახულოს ვერეს ღვთისმშობლისა და ატენის სიონის ეკლესიები და ყურადღება მიაქციოს ადრე ჩანახატის სახით გაგზავნილ სიონის ტაძრის წარწერის ბოლო სტრიქონს: „ჩავწერე თქვენგან აღწერილი ვერის ღთისმშობლის მონასტერი რომელიცა დაჰხატეთ და მოგიცია ჩემთვის ხატიცა და ზედწარწერილობები. უცხოა მოიხსენიებთ, აწ იქა როგორათაც მგონია მირიანიცა და გრიგოლიცა ატენის საყდრის დიდ ზედწარწერაში მოხსენიებულნი საკუთრად უკანასკნელი ტრიქონი (sic) ასე დაგიწერია: ⊕447 თუ შემთხვევა გექნება გთხოვ მეორედ გაშინჯეთ ეს ოთხი ასო თუ ნიშანი. მგონია ქორონიკონი უნდა იყოს, თუ ქართული, თუ არაბული ციფრებით დაწერილი"[96].

6 თვის განმავლობაში (1848 წლის 16 ნოემბრიდან - 1849 წლის 25 ივლისამდე) ბროსეს მეღვინეთხუცესიშვილისათვის ოცამდე „რაპორტი" გამოუგზავნია კომენტარებითა და შენიშვნებით[97], რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფრანგი ქართველოლოგის ჩვენი ქვეყნისა და მისი ისტორიისადმი უდიდეს ინტერესს. ამ შემთხვევაშიც წერილების ძირითადი ადრესატი დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილია.

მარი ბროსეს რეკომენდაციით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ კავკასიის მეფისნაცვალ – მიხეილ ვორონცოვის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა დიმიტრი მეღვინეთხუცისშვილს არქეოლოგიური მოგზაურობის გაგრძელების ნებართვა მიეღო. გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ, 1849 წლის სექტემბერში მოგზაურობისა და კვლევითი მუშაობის ჩატარების შესახებ გუბერნატორისაგან ნებართვა მიღებულ იქნა და მარი ბროსემ დიმიტრის სპეციალური მარშრუტი შეუდგინა შემდგომი მუშაობის წარმართვისათვის.

პირველი მოგზაურობის ჩანაწერები და ორი ნაშრომი, რომელიც დიმიტრის ხელში ჩავარდნია: „შემოკლებითი მოთხრობა საქართველოს თავადთა და აზნაურთა თუ რომელ მეფეთაგან აღყვანებულ არიან ესე ვითართა ღირსებათა ზედა, ოდეს და ვინ სიდით მოსრულან საქართველოსა შინა და რომელნი ყოფილან მათგანნი სახელოვანნი და განდიდებულნი ახოვანებითა მიერ თჳსთა და ვითარ შთამოდიან

[95] ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 9.
[96] ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 9.
[97] ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 14.

მამრობითს სქესით მათგან აწმყონი გვარნი მათნი“ და „მეფე ერეკლეს წიგნი მოწერილი ბატონიშვილობაში ინდოეთიდამ, ოდეს ნადირშაჰი იბრძოდა აქ“[98], დიმიტრის ბროსესათვის გაუგზავნია პეტერბურგში.

დღეისათვის ორივე ეს ძეგლი ინახება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში.

საციციანოსა და გორის მაზრის შესახებ დიმიტრის მიერ პეტერბურგში გაგზავნილ მასალებს მარი ბროსე აღტაცებაში მოუყვანია: „მადლობა ღმერთსა დაიწყო ქართველმა კაცმა სიყვარულისაგან მამულისა და მეცნიერების გულისთვის თვითონ თვალებით გაშინჯვა და ძუელთა მოსახსენებელთა საქართველოსათა! გაგიმარჯვის, მიამა დიდათ რომ საციციანოსი და გორის მაზრის დასავლეთისა ეს ნაწილი გივლია, რომელი მე არ მინახავს. უთუოდ ბევრი გიშოვნია იქა ღირსი ხსოვნისა ზედწერილობანი საყდრებისა და მონასტერთა, ნუ დააგვიანებთ, აკადემიასთან პირდაპირ გაგზავნეთო“[99].

სხვა წერილში ბროსე ახალგაზრდა მეცნიერისადმი საქებარ სიტყვებს არ იშურებს: „თქვენ კარგი მოყმე ჭაბუკი ბრძანდებით, მეცნიერება და მამული გიყვართ, სახელი გექნებათ ამისთანა ძიებაების გამოო“[100]. ამ სიტყვებს ბროსე დიმიტრისადმი გამოგზავნილ არაერთ წერილში ხაზგასმით იმეორებს[101].

სამწუხაროდ, მეღვინეთხუცესიშვილს ბროსეს რეკომენდაციით ვორონცოვის მიერ კვლევებისათვის გამოყოფილი 200 მანეთი მალე გამოლევია და იძულებული გამხდარა გორში დაბრუნებულიყო. უსახსრობით ხელფეხშეკრული და საქმის კეთების სურვილით გულანთებული ახალგაზრდა ძალიან წუხდა უმოქმედობას: „მე მსურს რაც საქართველოში ძველი ეკკლესიაა, თუ მონასტერი, ჯვარი, ხატი და რაზეც ძველი წარწერილობაა, ყველა აღვწერო თვითოეულად და წარწერებიც ეგრეთ გადმოვიღო ...მე ჩემს თავს და შრომას არ დავზოგავ, მაგრამ ღონისძიება არა მაქვს, როგორც აქამდე ვიარე საკუთარის ჩემის ხარჯით, კიდევ ისე ვიარო უცნობსა და შორს ალაგებშიო“, სწერდა იგი ფრანგ მეცნიერს[102].

მეღვინეთუხუცესიშვილისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მარი ბროსეს 1849 წლის 23 თებერვალს პეტერბურგში ისტორიულ-ფილოლოგიური სექციის სხდომაზე მოხსენება წაუკითხავს[103], რასაც დიდი ინტერესი გამოუწვევია და

---

[98] **შოთა ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 6-7, წერილი 1.

[99] ხ ე ც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 9.

[100] **სოლომონ ყუბანეიშვილი**, აკად. მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწე დიმიტრი მეღვინეთუხ-უცესიშვილისადმი, გიემ, 5944, გვ. 6.

[101] **სოლომონ ყუბანეიშვილი**, აკად. მარი ბროსეს წერილები... გვ. 4-5; 11; 12; 18.

[102] **შოთა ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 9, წერ. № 2.

[103] **M. Brosset**, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848 SPB 1851, III, გვ. 92-95.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ამ სამეცნიერო მოხსენებისათვის სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით დაუჯილდოვებიათ[104].

ბროსეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს რომ დიმიტრი არქეოლოგ-მაძიებელთა რიგებში მიეღოთ და იგი მართლაც აკადემიის მაძიებლად ჩაურიცხავთ[105].

წარმატებამ დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს „ფრთები შეასხა". იგი ბროსეს სთხოვდა, შუამდგომლობა გაეწია შესაბამის პირებთან, რათა ქართლში მოგზაურობის ნებართვა დროულად მიეღო და დაწყებული საქმე არ შეფერხებულიყო: „ვითხოვ მიშუამავლოთ, დამერთვას ნება კიდევ ვიარო ექვს თვეს აპრილიდგან. უეჭველია, რომ ბევრს კარგ ანბებს ვიშოვნი ამ წიგნებისათვის და ზოგიერთ სასიამოვნო პრედანიებს, ისე მოთხრობას ხალხთა შიგა და შიგ სხოლიოებში ჩაუმატებ", ნათქვამია 1848 წლის 28 დეკემბერს გაგზავნილ წერილში[106].

როგორც მომდევნო წერილებიდან ირკვევა, მარი ბროსე მეღვინეთუხუცესიშვილს სთხოვდა სამთავისის ტაძარში ხელმეორედ მისვლას, იქ ორი წარწერის ამოკითხვას და აშურიანში ილარიონ სამთავნელის ლავრის ნახვას. ბროსეს ასევე სურვილი ჰქონია, მეღვინეთუხუცესიშვილს იმდროინდელ ახალციხის საფაშოსა და სომხეთში ემოგზაურა, ასევე გამგზავრებულიყო ათონის მთაზე.

დიმიტრის მართლაც ხელახლა დაუთვალიერებია სამთავისის ტაძარი და უცნობი წარწერებიც აღმოუჩენია. ახალი რაპორტით მარი ბროსე ფრიად კმაყოფილი ჩანს: „დაუკობელი ქება უნდა თქვენი შრომისა ...ბევრი რამ არის ღირსი ხსოვნისა თქვენს რაპორტშიო", აღნიშნავს ფრანგი მეცნიერი[107].

ბროსეს თითოეულ წერილში იგრძნობა უდიდესი სითბო და პატივისცემა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისადმი. „უსაკუთრესო მეგობარო ჩემო", ასე იწყებს 1848 წლის 16 ნოემბრით დათარიღებულ წერილს ფრანგი მეცნიერი[108]. „მოწყალეო ხელმწიფევ", ამბობს კიდევ ერთგან[109]. „თქვენ საკუთრად დარწმუნებულ იყვნეთ, რომ ჩემდა გარდა უმჯობესი მეგობარი და მოსამსახურე არა გყავთ და ვგიე მარადისო", ნათქვამია მესამეგან[110]. „იმედი მაქვს არ დაგავიწყდება საქართველოს სიძველეთა მეძიებლობის სიყვარული და შემწე იქნებით ამაში, არა მხოლოდ სურვილის და

---

[104] **გელა გამყრელიძე**, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი (1815-1878), ჟურნ. „ძიებანი", 1999, № 4.
[105] **რუსუდან დოდაშვილი**, მარი ბროსე ქართული მწერლობის მკვლევარი, გვ. 41.
[106] **შოთა ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 9, წერ. № 2.
[107] ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 11.
[108] ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 9.
[109] ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 15.
[110] ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 9.

შრომისა ჩემისა და ნამეტნავად მამულისა თქვენის დიდებისა და სახელისაო“, იმედს გამოთქვამს სხვაგან[111] და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ბროსე მეღვინეთხუცესიშვილს განიხილავს არა როგორც ასისტენტს, არამედ ეყრდნობა და ანგარიშს უწევს მის მოსაზრებებს, ერთობლივად აანალიზებენ და მსჯელობენ საკვლევ საკითხებზე. მაგ. დიმიტრის მიერ წაკითხულ სამთავისის წარწერებთან დაკავშირებით ბროსე კმაყოფილებას გამოთქვამს და აღნიშნავს: „კარგად გიქნია, რომ სამთავისის ეკლესია მეორედ გაშინჯედ. იმისთვის პირველად, რომ ჩემგან არ ნახული ორი ზედწარწერილობა გიშოვია მანდა, საკუთრად კარიბჭეზედ რომ არის დაწერილი ბაგრატ მეოთხის დროისა და მერე სხვა, ამას გარდა აშურიანისა ზედ-წარწერილობა პირველ საჭირო იყო და ამით ცხადათა ჩანს ესე, რომ ილარიონ სამთავნელი წინათქმულის მეფის თანამედროვე იყო. მაშასადამე ამისსავე მეფობასა აღშენებულ იყო სამთავისის ეკლესია, როგორც აჩვენებს აღმოსავლეთის მჭარეს დაწერილი ვაჩე ყანჩაელის ძის - ილარიონის სახელი[112].

ასევე ერთობლივად აანალიზებენ ბროსე და მეღვინეთხუცესიშვილი ბაგრატის ტაძრის სამშენებლო წარწერას (იხ თავში: „მოგზაურობა იმერეთში“).

იგივე შეიძლება ითქვას სხვა რაპორტებზეც, საიდანაც ცხადი ხდება, რაოდენ ანგარიშს უწევდა მარი ბროსე დიმიტრი მეღვინეთხუციშვილის აზრს: „დიდად შემწე იქნებით ჩემი, თუ აზრი თქვენი შემატყობინოთ გრძლად, ხარი ხართან ახლოს შებმული უმჯობესადა ხნამს, ვიდრე ერთი მარტოო“[113].

დიმიტრის თითოეულ წერილს ბროსე სულმოუთქმელად ელის და საყვედურსაც უთვლის ინფორმაციის დაგვიანების გამო: „დიდიხანია არ მიმიღია წერილი თქვენი, არც მოგზაურობის აღწერა. მეშინოდა, დაიკარგა ჩემის მიზეზითაო. ასე ვფიქრობდი: მადლობა ღმერთს, არაფერი ცუდი არ შეგემთხვა და უფრო კარგი გენახათ“[114].

ფრანგი მეცნიერი დიმიტრის სთხოვს ინფორმაციის მიწოდებისას მაქსიმალურად სიტყვამოჭარბებული იყოს: „ჯერ ცოტა უნდა დაგტუქსოთ, იმისათჳს, რომ ალაგებისა და გზის აღწერაში ჭელმოჭირებული იყავით. მსურდა, რომ აღგეწერათ რომელის გზით გივლია, რომელი მდინარე, სოფელი, ციხე, ტყე გაიარეთ. მე უცხო ვარ და იმისათვის დიდი სწავლა ჩემი იქნებოდა ადგილების დანიშვნა“[115].

---

[111] ხ ე ც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 16.

[112] ხ ე ც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 11.

[113] **სოლომონ ყუბანეიშვილი**, აკად. მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწე დიმიტრი მეღვინეთუხ-უცესიშვილისადმი, გვ. 11.

[114] **რუსუდან დოდაშვილი**, მარი ბროსე ქართული მწერლობის მკვლევარი, გვ. 41.

[115] ხ ე ც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 11.

ბროსე პირობას იძლევა, რომ დიმიტრის თითოეულ წერილს ყურადღების მიღმა არ დატოვებს: „ეჭვი ნუ გექნება, რაც რაიმე საინტერესო და ცოტა მაინც ღირსეული იქნება, დიდ ყურადღებას მივაქცევ და უფროსებს წარვუდგენო“[116].

ასეთივე დამოკიდებულებაშია დიმიტრი მარი ბროსეს მიმართ. მეღვინეთხუცესს დაუსრულებია ერთ-ერთი გამოკვლევა საქართველოს ისტორიის შესახებ და მიუხედავად იმისა, რომ ცენზურისაგან მისი დაბეჭდვის დასტურიც მიუღია, მარი ბროსეს შენიშვნების გაუთვალისწინებლად მისი დაბეჭდვა მიზანშეწონილად არ მიუჩნევია. 1874 წლის 2 აპრილს გაგზავნილ წერილში დიმიტრი სთხოვს ბროსეს, რომ მისი ნაწარმოები კრიტიკულად განიხილოს და თუ ღირსეულად ჩათვლის, აკადემიისაგან დაბეჭდვის ნებართვა გამოითხოვოს: „...წარსულ წლებში მე ვცდილობდი ყოვლის ღონისძიებით შემესრულებინა თქვენი ჩემდამი მონდობილი საქართველოს გამოკვლევა, რომელსაც უწოდებენ ორს მომეტებულს სახელებს: ქართლოსიანი და ივერია. ამაზედ და სხვა საგნებზედ პირველს დასაწყის ამასთანავე მოგართმევ თავის უფლისციხის მხატვრობით, უმორჩილესად გთხოვ მოწყალეო ჩემო განიხილოთ, თუმცა, ცენზორისაგანაც არის გაშვებული, მაგრამ მე ჯერ თქვენს გაუშინჯავად ვერ გავბედე ამის გამოთქმა, უკეთუ შენიშნავთ რასმეს უალაგოს, მიბრძანეთ დარიგებით მე ადვილად გავასწორებ თქვენი სურვილისამებრ და თუ ღირსეულად დაინახამთ, მაშინ ანუ აკადემიამ დაბეჭდოს ესრეთ ქართულად ანუ მე დასაბეჭდის ღონისძიებაც მებოძოს აკადემიისაგან“[117].

მეღვინეთხუცესიშვილის პასუხისმგებლობამ, შრომისმოყვარეობამ და საქმის კეთების უნარმა მარი ბროსეს აზრი გაუჩინა, რომ დიმიტრი სახელმწიფოს ხარჯზე საზღვარგარეთ მიევლინათ ტაო-კლარჯეთის ქართული მონასტრებისა და წარწერების შესწავლის მიზნით. 1849 წლის 30 იანვარს ბროსე პეტერბურგიდან ატყობინებს მეგობარს, რომ „მოგვივიდა კნიაზ ნამესტნიკისა (იგულისხმება ვორონცოვი - ი. ა.) ქაღალდი. უ. დიმიტრის გავისტუმრებ საზღვარს გარეთაო, ამა და ამ ჯამაგირს პირველ შემთხვევაში მივსცემო. გაგვიხარდა დიდათ ჩვენგან რაც საჭიროა და შესაფერისი მეცადინეობა თქვენთვის არ დაგაკლებთ, დამიჯერეთო“[118].

მოტივაციის ამაღლების მიზნით, ბროსე დიმიტრის უამრავ საინტერესო სიძველის ნახვასა და სიურპრიზს ჰპირდებოდა და სწუხდა იმაზე, რომ ეს მოგზაურობა აქამომდე არ შედგა: „სწორის გულით მოგახსენოთ, ვწუხ იმისათვის რომ თქვენი პირველი მოგზაურობა არ იყო მტკვრის სათაო ქვეყნებში, სად უთუოდ იშოებდით უძვირფასეს სიძველეებსა და უღირსეს - მისაბაძებელსა ქართველთა სამეფოᲒსაო“[119].

---

[116] ხეᲪ, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 11.
[117] ხეᲪ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 53.
[118] ხეᲪ, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 14.
[119] ხეᲪ, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 16.

ფრანგი მეცნიერი იქვე იტყობინებოდა ამ მოგზაურობის მნიშვნელობას და მეღვინეთუხუცესს არწმუნებდა, მისი შრომა შეუფასებელი არ დარჩებოდა: „მხნე და მხიარულად იყუნეთ, ჯერ პატივი გექნება და კეთილის თქვენის მამულისა და ამასთანაც ჯილდოს შესაფერისს მიიღებთო“[120].

მოგზაურობის მარშრუტში ჭოროხის ხეობა და მტკვრის სათავე შედიოდა. მეღვინეთხუცესიშვილს ექვსი თვის განმავლობაში უნდა მოევლო სპერი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, კლარჯეთი. ბროსე დიმიტრის სთხოვდა აღუწერელი არაფერი დაეტოვებინა, რადგან „ეს ადგილები ბაგრატიონთა მეფეთა აკვანი იყო და იქ უთუოდ იპოებიან მოსახსენიებელნი საქართველოს ხალხისაო“[121].

მარი ბროსეს ვორონცოვის თანხმობა დიმიტრის საზღვარგარეთ მოგზაურობის შესახებ, მართლაც მიუღია: „ახლა აქ იყო უფ. საფონოვი[122] და ნამესტნიკიცა, რომელთა მიერ შევიტყე მათის ნება-დართვითა თქვენი წასვლა მალე მტკვარს იქითაც და ძველს ახალციხის საფაშოში“, ატყობინებს წარმატებით გახარებული ბროსე დიმიტრის[123].

დიმიტრი იმდენად იყო საქართველოს სიძველეების მოსალოდნელი ნახვით მოტივირებული და დაინტერესებული, რომ მთავრობისაგან მხოლოდ მინიმალურ თანხას ითხოვდა და ბროსეს სწერდა, რომ ძალასა და ენერგიას არ დაზოგავდა თითოეული ძეგლის აღწერის მიზნით: „გუშინ საფონოვის ქაღალდი მივიღე რომელიც მწერს - ნამესტნიკმა ინება და მისწერა ხაზინის პალატას მომეცეს მე ფული, რომელიც ჯერ არ მიმიღია. აქამდის ჩემის მცირე ჯამაგირით დავდიოდი. არ მეყოფა რაც ნამესტნიკს უნებებია, რადგან გრანიცას გარეთ უნდა გავიდე, მაგრამ სანამდისაც საკმაო იქნება ვივლი, მერმე ისევ თქუენ გაცნობებთ და შეგაწუხებთ. მე ჩემს შრომას არაოდეს დავზოგამ. სხვა არა მინდა რა, არც ჩინი, არც ჯვარი, არც მადლობა, ცარიელი ფულით შემწეობის მეტი, რომლითაც მქონდეს ღონისძიება შევკრიბო, რაცა საქართველოს ღირსი სახსოვარია მიფარებული. გაუწყებთ სადაც ვიქნები და მომწერთ ხოლმე“[124].

1850 წლის დამდეგისათვის მეღვინეთხუცესიშვილის ტაო-კლარჯეთში გამგზავრების თითქმის ყველა ტექნიკური დეტალი მოგვარებულა[125] და ბროსე 20

---

[120] **სოლომონ ყუბანეიშვილი**, აკად. მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწე დიმიტრი მეღვინეთუხ-უცესიშვილისადმი, გიემ, 5944, გვ. 4-5.

[121] **სოლომონ ყუბანეიშვილი**, აკად. მარი ბროსეს წერილები... გვ. 6-7.

[122] სტეფანე ვასილის ძე საფონოვი (1811-1862), მსახურობდა ვორონცოვთან თბილისში, სამოქალაქო კანცელარიის დირექტორის თანამდებობაზე.

[123] **სოლომონ ყუბანეიშვილი**, აკად. მარი ბროსეს წერილები..., გვ. 12.

[124] **ხეიგ**, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, № 10.

[125] დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირად სააარქივო ფონდში დევს 1850 წლით დათარიღებული მეფისნაცვლის თანხმობის ოფიციალური საბუთი თბილისის სამხედრო გუბერნატორის ხელმოწერით,

იანვარს დიმიტრისადმი მიწერილ წერილში უკვე მოგზაურობის ინსტრუქციის ცალკეულ საკითხებს აზუსტებს. მას სპეციალურად წაუკითხავს გერმანელი მოგზაურის - კოხის ცნობები და დიმიტრის სთხოვს იმავე ადგილების მონახულებას, რათა უკვე აღწერილთან შედარების საშუალება მიეცეს: „ახლა შევიტყვე, თქვენ მალე წასვლას აპირობთ. მოგვივიდა კნიაზ ნამესტნიკისა ქაღალდი, უფალ დიმიტრის გავისტუმრებ სამზღვარს გარეთაო, გაგვიხარდა დიდათ. ჩვენგან რაც საჭიროა, და შესაფერისი მეცადინეობა თქვენთვის, არ დაგიკლებთ, დამიჯერეთ. მე თუ თვით თავით თვისით წავიდოდი მგზავრად ამ უცხო ქვეყნებში სიძველეების საძიებლად, უფრო გულსმოდგინე არ ვიქნებოდი ჩემის კეთილისათვის, მანამ ეხლა ვიგულისმოდგინებ თქვენთვის. მჭნეთ და მხიარულათ იყუნეთ. ჯერ პატივი გექნება და კეთილი თქვენის მამულისა და ამასთანაც ჯილდოს შესაფერს მიიღებთ, ვინაითგან დაგიწერეთ სამოგზაურო ინსტრუქცია, წავიკითხე ნემეცისა კოხის მოგზაურობა ჭოროხისა ჭეობაში და მტკურის სათაოში. ეს არიან ადგილები, სად უშოვია კოხსა ზედწარწერილობაები რამე: ისპირას ციხის კარზედ და ციხის კედელზედ და ციხის პატრონის სასახლეზედ: სამი არტანის ციხის კარზედ, დორთ-ქილისას საყდრის კარზედ (დორთ-ქილისა, ქართულათ ოთხი საყდარი, კოლას მაზრაშიდ არის, მტკურის სათაოზედ).

ახლა, მოწყალეო ბატონო ჩემო, ღმერთმა წარგიმართოს მოგზაურობა. ჭშირ-ჭშირად დამწერდეთ წიგნსა, დარწმუნებულ იყუნეთ ჩემს მეგობრობას და დაუვიწყებლობაში. გონებითა და გულითა წარგყვების თქვენი გულითადი მეგობარი ბროსე“[126].

ინსტრუქციაში განმარტებულია მოგზაურობის მიზანი, რომ აქ არის უამრავი ციხე-სიმაგრე და ეკლესია უძველესი წარწერებით, რომლებიც ქართველი ხალხის ისტორიას ასახავენ.

ბროსე მეღვინეთხუცესიშვილს მოუწოდებს, რომ გამგზავრებამდე დაკვირვებით გადახედოს ვახუშტის ნაშრომს.

მოგზაურობის გეგმა საკმაოდ მასშტაბურია. მასში დასახელებულია თითოეული ციხე-სიმაგრე, დასახლებული პუნქტი და ეკლესია, რომელიც უნდა ენახა დიმიტრის, გადმოსაღები ფრესკები და წარწერები, ჩასაწერი თქმულებები. სიძველეების მცოდნე ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგად, დიმიტრის შეეძლო შეეცვალა მოგზაურობის მარშრუტი, ჩაემატებინა სანახავი ობიექტები და სხვ. მეღვინეთხუცესიშვილს უნდა მოევლო მტკვრის ზემო წელი, ახალქალაქისა და ალექსანდროპოლის მაზრები, მდ. ჭოროხის ხეობა.

რომ მეღვინეთხუცესი იგზავნება საზღვარგარეთ თურქეთსა და აჭარაში (ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუ-ცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 9).

[126] ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 10.

მოგზაურობის მარშრუტი იწყება ფარავნის ტბის მიდამოებით, განჯა, ფოკა, მირაშკანი, ინგალისხევი, დოლისყანა? (დედანშია Лодис-хана, нине Долють-хана), აღეწერა მეფე სუმბატის დროინდელი წარწერები.

მტკვრის მარჯვენა ნაპირას კარწახის ტბასთან (Харцахское озеро) უნდა ენახა წყაროსთავის ეკლესია და გადმოეღო მისი წარწერები.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ინსტრუქციაში მითითებულია: არტაანი, კოლა, ოთხთა ეკლესია. ბროსეს ცნობა ჰქონდა, რომ სამცხეში უნდა ყოფილიყო გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღწერა, მაგრამ დაზუსტებით არ იცოდა მისი ადგილსამყოფელი, ამიტომ დიმიტრის სთხოვდა მოეძებნა ეს ნაშრომი.

ერუშეთში მოსანახულებელ ძეგლთა შორის მითითებულია: ნაქალაქევი, ბანა, ოლთისი, ფანასკერტის ციხე, კალმახი (IX საუკუნის ეკლესია), არტანუჯი, იშხანი.

კლარჯეთში: ანჩის მონასტერი, ფორჩხა, პანაკარი? (Панакарь), ანაკერტი, ნათლისმცემელი.

შავშეთში: თუხარისის ციხე, ტბეთი და სხვ.

ბროსე ითხოვდა, უკან დაბრუნებისას მეღვინეთხუცესიშვილს ენახა ყველის ციხე, ზარზმისა და წურწუმის მონასტრები და აღეწერა მათი წარწერები.

რამდენადაც ახალციხის მაზრაში ბევრი სომხური ეკლესიაც იყო, დიმიტრის რეკომენდაცია ეძლეოდა მათი წარწერების პირებიც გადმოეღო.

ფრანგი მეცნიერის მოსაზრებით, ბაიბურთამდე შემორჩენილი იყო ქართული ენა, მაგრამ შერყვნილი სახით, ამიტომ დიმიტრის უნდა ჩაეწერა მოსახლეობასთან საუბრები, განსხვავებული ფრაზები და ტერმინები.

მარი ბროსეს გეგმა მხოლოდ ტაო-კლარჯეთსა და შავშეთ-ჯავახეთში მოგზაურობას არ გულისხმობს. ინსტრუქციის მიხედვით, უკან დაბრუნებისას დიმიტრის უნდა ენახა: მანგლისი, გულარეხის (ალბათ გუდარეხის - ი. ა.) მონასტერი, ბეთანია, ფიტარეთი, აბიბოს მონასტერი, კვირიკეთი-ვარდისუბანი, ლიპარიტის-უბანი, ტანძია, დმანისი, ბოლნისი, წუღრუღაშენი, ძელი-ჭეშმარიტი, ლორე, უცუნი, კობერტი, სომხური მონასტრები: ახპატი და სანაირი, აღსტაფის ციხე, კაიენი და კაიწონი, ცურტავი, ახტალის მონასტერი.

რამდენადაც იმერეთში მოგზაურობისას ბროსეს ბევრი რამ ვერ მოუსწრია, თხოვნა იყო, დიმიტრის ენახა: საჩინო, ამაღლება, ხონის მონასტერი, ტაბაკინის მონასტერი და გამოქვაბული, ნუნისი, კარაგეული (ხარაგაული?) და სხვ.

მარშრუტის მეოთხე თავში მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსანახულებელ ძეგლთა სია: კასრისხევი, ბრუტსაბძელი, დუშეთის მაზრაში: გელეთი - ეკლესია წიქარისწყალზე, სასახლის სოფელი, ეკლესია ლომისა, გველეთი-სტეფანწმინდა, ყოვლადწმინდა გერგეტი, თრუსო, ფასანაური და სხვ. წერილს ბროსე

იმედიანად ასრულებს: „იმის გათვალისწინებით, რაც მან გორის მაზრის აღწერისას გააკეთა, მეღვინეთხუცესიშვილისაგან ბევრს უნდა ველოდეთო“[127].

საპასუხო წერილში დიმიტრი ბროსეს ატყობინებს, რომ ტაო-კლარჯეთში გამგზავრებას ივნისის თვეში აპირებს და ინსტრუქციის თანახმად ყველა დასახელებულ პუნქტს მოივლის. იგი ითხოვს, რომ ბროსემ კოხის მოგზაურობა გერმანულიდან რუსულად უთარგმნოს და ისე გამოუგზავნოს, რათა თითოეულ დეტალში კარგად გაერკვეს.

მაისში მოწერილ წერილში ფრანგი ქართველოლოგი მეგობარს სიფრთხილისკენ მოუწოდებს, რადგან მტრულად განწყობილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებზე უნდა გაევლო: „იყუნეთ მჭნე და გონიერი, თუ საშიში ადგილი იყოს, ნუ წახვალთ, უფრთხილდით სჯობს ათისა ადგილის ნახვა უშიშრად, მინამ ერთსაცა დიდის შიშითაო“[128].

თუმცა, ბროსე ტყუილად ფრთხილობდა, რადგან დიმიტრის ეს მოგზაურობა გარკვეული მიზეზების გამო არ შედგა. 1854 წელს ამ საკითხისადმი ზომიერად განწყობილი ვორონცოვი საქართველოდან გაიწვიეს და ეს განზრახვა ბროსესა და მეღვინეთხუცესიშვილს განუხორციელებელი დარჩათ[129], თუმცა, დიმიტრიმ ფრანგი მეცნიერის სურვილი ნაწილობრივ მაინც აღასრულა და ინსტრუქციაში გაწერილი სხვა ადგილები ფეხით მოიარა, აღწერა და პეტერბურგში გაუგზავნა.

სამწუხაროდ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს მარი ბროსე ფიზიკურად აღარ უნახავს. მიუხედავად ამისა, იგი სიცოცხლის ბოლომდე უდიდეს პატივს სცემდა და სისტემატიურ მიწერ-მოწერაში იყო მასთან.

---

[127] გაზ. „Кавказ”, 06,05,1850, № 35, გვ. 2-4.

[128] ხეიც, მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი № 14.

[129] გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმ დროისათვის მეფის მთავრობის ინტერესიც ნაკლები იყო აღნიშნული ექსპედიციის მოსაწყობად. რუსეთი იმ პერიოდისათვის თურქეთთან ომის დაწყებას აპირებდა (1853-1856 წწ. ე. წ. „ყირიმის” ომი) და ქართული სიძველეების კვლევისათვის ჯერ არ ეცალა. ასე რომ მეღვინეთხუცესიშვილი და ბროსე არახელსაყრელ დროსა და ვითარებაში აღმოჩნდნენ. თუმცა, მოგვიანებით მსგავსი ექსპედიცია მაინც შედგა. მისი ინიციატორები კვლავ მარი ბროსე და მეღვინეთხუცესიშვილის სიძე, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი - დიმიტრი ბაქრაძე იყვნენ. ამ პერიოდისათვის რუსეთი ყირიმის ომში დამარცხების გამო რევანშისათვის ემზადებოდა და მისთვის უკვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ინტელიგენციის კეთილგანწყობის მოპოვებას. მსგავსი ექსპედიცია მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალება უნდა ყოფილიყო. ხელისუფლება ამით ორ საქმეს აკეთებდა, ერთი, რომ ადგილობრივი მოსახლეობის გულს იგებდა და მეორეც, იმ ტერიტორიების შესწავლა, რომლის დაპყრობას საიმპერატორო კარი აპირებდა, მის ინტერესებშიც შედიოდა.

1873-1874 წლებში დიმიტრი ბაქრაძემ მოიარა იმ დროისათვის ჯერ კიდევ ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი გურია და აჭარა, ქობულეთი, ბათუმი, ჭოროხის ხეობის ქვემო წელი და შექმნა შესანიშნავი ნაშრომი: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში”.

ასეთივე პატივისცემას გამოხატავდა ბროსე მეღვინეთხუცესიშვილის მიმართ. მას, დიმიტრის დისშვილის - ზაქარია მამაცაშვილისათვის, პეტერბურგიდან გამოუტანებია დავით ჩუბინაშვილთან ერთად გამოცემული ვახუშტის შრომა. ბროსე მოკრძალებულად აღნიშნავს, რომ ავადმყოფობის გამო მხოლოდ ჩუბინოვის თანამონაწილე ვიყავი და მეტი ვერ შევძელიო. „მიიღეთ ეს წვლილი შეწირულობა გულ-კმაყოფილებით, ქართველივით და მეგობარივით. უთუოდ მოგეწონება გასულის დროისა მამულის თქვენის ამბავიო“[130].

წერილის დასასრულს ბროსე ბოდიშს იხდის დიმიტრის წინაშე კალიგრაფიისა და ლექსიკის გამო: „ცოტა გარდავეჩვიე ქართულ ენასა, იმისთვის რომ ახლა დამცირდა რიცხვი აქა მცხოვრებთა ქართველთ და ავადმყოფობის გამო არა ხშირად დავიარები სტუმრადო“[131].

მარი ბროსეს რეკომენდაციით 1852 წლის ივლისში დიმიტრი უფლისციხის გამოკვლევას იწყებს. ბროსე დეტალურ ინსტრუქციებს აძლევს დამწყებ არქეოლოგს საჭირო მოქმედებების შესახებ: „ზომით უნდა მოხაზოთ საყდრები, ერთი კლდეში ამოკვეთილი, მეორე ქვაზედ ამოყვანილი: დარბაზები, სახლები, დუქნები, რუები, წისქვილები, რაც არის ხელოვნების დანარჩომი ეს ყველა გადმოხაზეთ, წერილი თუ სადმე იპოება გადასწერეთ და ყველასი მოთხრობა და განმარტება დაწერეთ რუსულ ენაზე: მე ყოველთვის მზადა ვარ შეგეწიო წიგნით და სიტყვითო“[132].

დიმიტრიმ მართლაც დაათვალიერა უფლისციხე და 1852 წლის აგვისტოში დაწვრილებითი ანგარიში გაუგზავნა მარი ბროსეს არქეოლოგიური ძეგლის მდგომარეობის შესახებ.

საპასუხო წერილში ბროსე აღტაცებას არ მალავს დიმიტრის ნამუშაკევის გამო: „დიდად მესიამოვნა აღწერა უფლისციხისა, თუმცა ვიცოდი რომ ბევრი ძიება გიქნია და ძვირფასი სიძველე გიშოვია იქა, მაგ დიდიხან უგულებელყოფილს და დაგდებულს ქალაქსა შინა. ამას გარდა ამხანაგნი ვიყავით მოგზაურობის დროს ერისთავიანთ მამულში, განგიგრძელებია სიარული ჩემგან უნახულ ადგილებში და ისეთი კარგი რამ წარწერილები მოგიგროვებია, რომ თქვენზედ დიდი იმედი მქონოდა მეგობარ ყოფილთა ძიებაების დროსაც და მას უკანაც შეეფერებოდა დაუვიწყებლობა ჩვენ შორის. გული ვერ მოგატყუებს, მე ყოველთვის მზად ვიყავ და ახლაცა შემწე ყოფად თქვენთა და თქვენებურთა რაც ძალი მექნება“[133].

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბროსე პეტერბურგიდან თბილისში მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს სწერს ვრცელ წერილს ფრანგულ ენაზე და სთხოვს, თარგმნონ

---

130 ხ ე ც, მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი № 17.
131 ხ ე ც, მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი № 17.
132 ხ ე ც, მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი № 16.
133 ხ ე ც, მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი № 17.

იგი რუსულად და დაბეჭდონ გაზეთ „კავკაზში“, რათა ქართველებს შორის გაღვივებულიყო დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისადმი მიბაძვის სურვილი[134].

1857 წლის 18 იანვარს დიმიტრი ბაქრაძისადმი მიწერილ წერილში ფრანგი მეცნიერი კვლავ მეღვინეთხუცესიშვილის მიერ მოპოვებული მასალების მნიშვნელობაზე მიანიშნებს: „მოგეხსენება, რა უქნია ჩვენს ნაცნობს და მეგობარს (იგულისხმება დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი - ი. ა.), რა კარგი და უცხო ამბები შეკრიბა იმ ადგილებში, სადაც არ ეგონა შესაძლებელიო“[135].

სწორედ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა გააცნო ბროსეს ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარი დიმიტრი ბაქრაძე, რომლის ნაწერებს მაშინვე მიუქცევია უკვე საქვეყნოდ აღიარებული ფრანგი მეცნიერის ყურადღება. 1857 წლის 19 იანვარს მეღვინეთხუცესიშვილისადმი გამოგზავნილ წერილში ბროსე ინტერესსა და კმაყოფილებას გამოთქვამს ბაქრაძის ინტელექტის მიმართ და რჩევებსაც იძლევა: „წავიკითხე დიმიტრი ბაქრაძის სიტყვა „ქართული ისტორიის წყაროები“, რომელი ფრიად მომეწონა. ჩანს კარგად გაზრდილი კაცია, უცხო ენების მცოდინარე, ჩემი ფრანციცულად ნათხზის წიგნების წამკითხველი, შეიძლება მასთან ვიმუსაიფო საქართველოს სიძველეთათჳს, და თუ ცდილობს ასე რამდენსამე წელიწადს, ბევრს კარგსა იქს. აი ამაში პასუხი დამიწერია მისთჳს: ვურჩევ რომ გუჯრები იკითხოს, შეკრიბოს და განჩხრიკოს. ამას გარდა კარგი იქნება, თუ როგორც თქვენ გიქნია მოგზაურობა საქართველოში, ისევ ის ეცადოს ნახვად ძველს საყდრებ-მონასტრებისა და ზედ წარწერები მოაგროვოს. ამითი მოიგებს უსრულესსა გაცნობასა საქართველოჲსა“[136].

ამის შემდეგ ბროსეს ბაქრაძისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა და მეღვინეთხუცესიშვილთან მოწერილ თითოეულ წერილში მისი ახალი ნაშრომების გაცნობის სურვილია გამოთქმული: „გთხოვთ კიდევ მომიკითხეთ დიმიტრი ზაქარიას ძე (იგულისხმება დიმიტრი ბაქრაძე - ი. ა.) და მოახსენეთ ჩემ მაგიერ რომ ძალიან მსურს სია ესე შეთხზულთა მისთა სტატიათა, რომელიცა ადრე მითხოვია მისგან“[137].

ბროსეს საშუალებით დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ბევრს ზრუნავდა პეტერბურგში გამოცემული ქართული წიგნის (ჩუბინაშვილის ლექსიკონი, ქართლის ცხოვრება, ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, ვახუშტის გეოგრაფია და სხვა) საქართველოში გავრცელების თვალსაზრისით. ათი წლის (1841-51 წწ,) განმავლობაში

---

[134] **ნიკო ხუციშვილი**, „მარი ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობა გაზეთ „კავკაზის” ფურცლებზე”, კრებულში: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, II, თბ., 2002, გვ. 141.

[135] **ნიკო ხუციშვილი**, მარი ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობა გაზეთ „კავკაზის” ფურცლებზე, გვ. 32.

[136] ხეც, მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი № 18.

[137] ხეც, მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი № 19.

მას, პეტრე ქებაძესთან ერთად გაუყიდია და პეტერბურგში მარი ბროსესათვის გაუგზავნია 255 მანეთი და 78 კაპიკი[138], ხოლო ქებაძის გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე დამოუკიდებლად გაუგრძელებია, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმისადმი ინტერესი პეტერბურგშიც შენელებულა: ,,წიგნები, რაოდენნი დაგრჩეს პეტრე ქებაძის უკან; ჩვენი კომიტეტისა ბძანება არის, რომ ყოველნი მოცემულ იყვნენ ჩვენს კომისიონერს ემლია... (არ იკითხება - ი. ა.), რამდენი წიგნები დაგრჩათ მასთან გაგზავნეთ ფოჩტით ...თუ ფული მოგსვლია რამე კარგია, გამომიგზავნეთ ესეცა: თუ არადა არავის არ ენაღვლება, არავინ არ შეგაწუხებსო", ნათქვამია, 1857 წლის 25 თებერვლით დათარიღებულ ბროსეს წერილში[139].

1874 წელს დიმიტრი ბროსეს სთხოვს დაეხმაროს უკვე დასრულებული საქართველოს შესახებ გამოკვლევისა და უფლისციხის ჩანახატების გამოცემაში.

ამ დროისათვის მეღვინეთხუცესიშვილი უკვე უმუშევარია და აღარც ჯანმრთელობა უწყობს ხელს. ამის მიუხედავად, ცდილობს საკუთარი ხარჯებით მიიყვანოს დაწყებული საქმე ბოლომდე: ,,მერწმუნეთ მე ძვირად მიღირს ჩემი მოგზაურობა, ვალიც დავიდე, ოღონდ აკადემიისა და თქვენი სურვილი შემესრულებინა. ამგვარ შემთხვევაში თქვენ კარგად მოგეხსენება ოცი თუმანი მე არ მეყოფოდა თუ ჩემიც არ მომეხმარებინა. მე დავრჩი შტატ გარეთ, ვცხოვრობ სოფელში არა უქმად და სამსახური აღარა მსურს თავისუფალი ცხოვრების მეტი ჩემს სახლში, გორის ახლო" (იგულისხმება სოფ. ხიდისთავი – ი. ა.)[140].

1874 წელს დიმიტრი ბაქრაძე სწერს მარი ბროსეს პეტერბურგში, რომ დიმიტრი ამ ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობს და ძალზე ნერვიულიც გახდაო. ბაქრაძე ბროსეს სთხოვდა წერილი მოეწერა მეღვინეთხუცესიშვილისათვის, რაც მას ძალზე გაახალისებდა. ბროსეს მართლაც გამოუგზავნია საქართველოში თავისი ფოტო, რომელსაც დიმიტრი შოთა რუსთაველის სურათთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა.

1878 წლის 16 დეკემბერს მიწერილი წერილით დიმიტრი ბაქრაძე ბროსეს დიმიტრის გარდაცვალებას და მის უკანასკნელ თხოვნას აუწყებდა: ,,სიკვდილის წინ მთხოვა, გადმომეცა თქვენთვის, რომ საფლავში მიაქვს თქვენდამი უსაზღვრო ერთგულება.

მის სამუშაო მაგიდაზე სიცოცხლის ბოლომდე ერთმანეთის გვერდით იდო ორი ფოტოსურათი - თქვენი (ბროსეს - ი. ა.) და რუსთაველის.

---

138 **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 24, წერილი 13.
139 ხეც, მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი № 19.
140 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი № 53.

ვიცი რომ ეს ამბავი მძიმედ იმოქმედებს თქვენზე, მაგრამ ჩემს მოვალეობად მივიჩნევ გადმოგცეთ მისი სიკვდილის წინ ნათქვამი სიტყვები და სურვილიო", წერდა ბაქრაძე[141].

მართლაც ძალზე მძიმე მოსასმენი იყო მარი ბროსესათვის ერთგული და უმცროსი მეგობრის - დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის გარდაცვალების ამბავი. იმ დროისათვის მეღვინეთხუცესიშვილი მხოლოდ 63 წლის იყო, ხოლო ბროსე - 76 წლის (გარდაიცვალა ორი წლის შემდეგ, 1880 წელს).

[141] **Гастон Буачидзе**, Мари Броссе, стр. 259.

მარი ბროსესა და დიმ. მელვინეთხუცესიშვილის ერთობლივი მოგზაურობა აღმ. საქართველოში


კერესტანი
ბელეთი
ბაბაღა
ბოლოკანი
ბოლოკანი
ბოლოკანი

მოგზაურობა შიდა ქართლში 1848-1849 წლებში

ქართლში მოგზაურობა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს მშობლიური სოფელ - ხიდისთავიდან დაუწყია 1848 წლის 15 ოქტომბერს. მარი ბროსესთან მიწერილ რაპორტებში დიმიტრი დაწვრილებით აღწერს თითოეულ სიძველეს, მის თავისებურებებს, ეკლესია-მონასტერს, ციხე-კოშკსა და მათზე არსებულ წარწერებს. ძეგლისა და წარწერის მდგომარეობა რომ თვალსაჩინო გახადოს, კომენტართან ერთად, თან ურთავს ჩანახატებს ადგილმდებარეობით, კომენტარებითა და შენიშვნებით.

მეღვინეთხუცესიშვილი გასაგებად და საინტერესოდ წერს, თუმცა, მისი თხრობისათვის დამახასიათებელია არქაიზმები და ბარბარიზმები, მაგ: „რაჟცა“, „ჩუცნის“, „ეკკლესია“, „თჯთ“, „გარნა“, „აღ“ ზმნისწინი, „უეზდის ნაჩალნიკი“, „სტანცია“, „გუბერსკის სუდია“ და სხვ., რაც, მისი თანამედროვე ავტორების დიდი უმრავლესობისათვისაა დამახასიათებელი.

ხიდისთავში დიმიტრის აღწერილი აქვს, მისივე თქმით, „ახლად აშენებული ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესია“[142] და ვერცხლით შეჭედილი საკმაოდ ძველი და წარწერებიანი ჯვარი, რომლის დახასიათებას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. იგი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი ზომის (2 ადლის, ანუ, დაახლ. 2 მ. 04 სმ. სიმაღლის) ჯვარი იმ ჯვრის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც მცხეთაში უფლის კვართის მოტანისას აღმოცენებული კვიპაროსის ხისგან იყო გაკეთებული, ხოლო ჯვარს ცენტრალურ ნაწილში ჩატანებული ჰქონდა ძელი ჭეშმარიტის ფრაგმენტი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდისა (306-337 წწ.) დედამისის - ელენეს მიერ იყო ნაპოვნი.

ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ მისი აღნიშვნა ბიზანტიაში კირილე იერუსალიმელს უკავშირდებოდა, 351 წლის 7 მაისიდან დაიწყო და „ჯვრის გამოჩინების“ სახელით იყო ცნობილი. აღნიშნული თარიღი (თვე და რიცხვი) ემთხვეოდა საქართველოში წმინდა ნინოს წყაროს გვერდით აღმოცენებულ „ფოთოლდაუცვენელ“ ხის მოჭრის ფაქტს, რომლისგანაც მოგვიანებით სამი ჯვარი გამოკვეთეს და წმ. ნინოს მიერ მითითებულ ადგილებში დადგეს[143].

---

[142] საარქივო დოკუმენტებით ცნობილია, რომ ხიდისთავის ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესია ადგილობრივი მემამულის - ალექსიძის (ალექსიევის) ინიციატივით აუშენებია, იატაკი დაუგია, მოუპირკეთებია და ხატებით შეუმკია მღვდელ - გიორგი კარიჭოვს (კარიჭაშვილს) 1801 წელს. (საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, Фонд 489, опись 1, дело 41, 294, л. 21). ამდენად, 1848 წელს იგი ახლად აგებული ვერ იქნებოდა.

[143] დაწვრ. აღნიშნულ საკითხზე იხ.: ჩვენი სტატია - „ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია”, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული № 6, თბ., 2014, გვ. 8-24.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცნობით, ახალჯვარი თავდაპირველად ბობნევის ეკლესიაში ყოფილა დაბრძანებული, რომელიც აზნაურ საკაძეებს ეკუთვნოდათ, მათ რიცხვში ყოფილა „დიდი მოურავიც“. როდესაც მტრის შემოსევის გამო[144], ატენის ხეობა ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და მოსახლეობისაგან დაიცალა, ჯვარი ხიდისთავში წამოუღიათ და ახლად აგებულ ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესიაში დაუბრძანებიათ. მოგვიანებით, ხიდისთავში დასახლებულან ჯვრის წარწერაში მოხსენიებული და ვერცხლით შემამკობელი - გრიგოლ და ზურაბ საკაძეები და მათი მოძღვარი - გიორგი კოშორიძე. 1790 წელს ჯვარი ვერცხლის პერანგში ჩაუსვამთ და შეუმკიათ ერეკლე II-ის ვაჟის - ფარნაოზ ბატონიშვილისა და მისი თანამეცხედრის - ქსნის ერისთავის ასულის - ანნას ხარჯითა და ბრძანებით[145]. მარი ბროსესადმი რაპორტში დიმიტრის სრულად აქვს მოტანილი ჯვარზე გაკეთებული წარწერა[146] და იქვე მიუთითებს, რომ სურვილი ჰქონია გამგზავრებულიყო და დაეთვალიერებინა ბობნევის ახალჯვრის ეკლესია, მაგრამ ზამთრის მოახლოვებისა და ცუდი ამინდების გამო, იმ ხანად ვერ მოუხერხებია[147].

დიმიტრის მოგზაურობა აღმოსავლეთით გაუგრძელებია და 18 ოქტომბერს მისულა სოფ. ხოვლეში, სადაც მისთვის უმასპინძლია ქაიხოსრო ჯავახიშვილს და ამინდის გაუმჯობესებისთანავე, მღვდელ - იასონ მძინარიშვილთან და ორ თანმხლებ პირთან ერთად, გამგზავრებულა საჯავახოს მთაში. სწრაფად გაუვლია კლდიანი და ვიწრო ხეობა, ტყე და 10 ვერსის[148] გავლის შემდეგ, უნახავს ქვიტკირით ნაშენი იოანე ნათლისმცემლის დარბაზული ტიპის ეკლესია[149], რომელშიც დაბრძანებული ყოფილა იოანე ნათლისმცემლის მცირე ვერცხლის ხატი, ხოლო ეკლესიის ირგვლივ

---

144 დიმ. მეღვინეთხუცესიშვილი არ აკონკრეტებს მტრის ვინაობას და მხოლოდ „მაჰმადიანებს” მიუთითებს. სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ლეკთა შემოსევები, რომლებიც განსაკუთრებით XVIII საუკუნეში გახდა ინტენსიური, ატენის ხეობა კი მათი ერთ-ერთი მარშრუტი იყო. ამის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი აქედან აიყარა და ხიდისთავსა და სხვა, შედარებით უსაფრთხო ადგილებში გადასახლდა.

145 იმავე 1790 წელს, ერეკლე II-მ სოფ. ხიდისთავი საუფლისწულოდ უბოძა ფარნაოზ ბატონიშვილს, აქედან გამომდინარე, ხელდებულ სოფელში დაბრძანებული სასწაულთმოქმედი ჯვრის შემკობა ბატონიშვილის მიერ ლოგიკური ჩანს.

146 ახალჯვრის აღწერილობა დაცულია თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირად საარქივო ფონდშიც, (QD-986, საბუთი № 10), თუმცა, პეტერბურგში ბროსესთან გაგზავნილ წერილში, ჯვრის აღწერილობიდან ზოგიერთი ადგილი დიმიტრის ამოუღია.

147 Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვერდი 65, შემდეგ: ИВР РАН.

148 ვერსი - (რუს. Версть), ძველებური რუსული სიგრძის ერთეული, უდრის 1,06 კმ-ს; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

149 დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ აღწერილი ეკლესიის ზუსტი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. რკონისაკენ მიმავალ გზაზე, შესაძლოა ეს იყოს სოფ. ჩაჩუბეთის იოანე ნათლისმცემლის კლდის ქვით ნაგები ძველი ეკლესია (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 209-210; **სერგი მაკალათია.** თეძმის ხეობა, თბ., 1959, გვ. 34)

ჯავახიშვილების მიერ ჩაყრილი ყოფილა რამდენიმე კოკიანი[150] ქვევრები, ღვინით სავსე, რომელსაც იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულის დროს ხსნიდნენ და დროს ატარებდნენ[151].

სამი ვერსის გავლის შემდეგ დიმიტრი ღრმა ხევში ჩასულა, შემდეგ თანდათანობით მთებისაკენ შეუმაღლებია და ფიჭვიანი ტყეებიც მალევე დათოვლილი მთებით შეცვლილა. ერთ შევაკებულ ადგილას უნახავს თლილი ქვით ნაგები უგუმბათო ეკლესია, ძველი და დაზიანებული მოხატულობით, შედარებით გვიანდელი ხატებით. ეკლესიის სამხეთ კედელზე ამოუწერია ქტიტორის ასომთავრული, ადგილებში დაზიანებული წარწერა, რომელსაც განმარტებები აქვს დართული[152]. ეკლესია XIX საუკუნეში განუახლებია თავად ალექსანდრე ჯავახიშვილს[153].

მეღვინეთხუცესიშვილს გზა გაუგრძელებია თეძმის ხეობით რკონის მონასტრისაკენ და აღუწერია რკონის მაღალ კლდეზე „ჩამოკიდებული მაგარი ციხე“. ციხის დათვალიერებისას აღმოუჩენია ძველი და ჩამოქცეული ეკლესია, ნამოსახლარები და ხაროები, ხოლო ციხის ზემოთ „შეუვალს კლდეზედ“ ქვიტკირით აგებული საყარაულო[154]. მონასტერში მისვლამდე მოგზაურისათვის ადგილობრივებს უნახვებიათ დიდი ცაცხვის ხე, რომლის ჩრდილი ოთხას კაცს ჰფარავდა. გადმოცემით, როდესაც მისი ერთი ტოტი გახმებოდა და ჩამოვარდებოდა, აუცილებლად ერთ-ერთი ჯავახიშვილის სიკვდილი უნდა მოჰყოლოდა[155], ამიტომ ჯავახიშვილები ავადმყოფობისთანავე ამ ხესთან მოდიოდნენ და თუ ხეს მრთელს ნახავდნენ, უკან იმედიანად ბრუნდებოდნენ, დარწმუნებულები იმაში, რომ აუცილებლად გამოჯანსაღდებოდნენ.

რკონის ეკლესიას დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი შემდეგი სიტყვებით აღწერს: „ეკკლესია არს ფ˜დ (ფრიად - ი. ა.) ძველი, ესრეთის სახითა (ტექსტის დედანში ამ ადგილას მეღვინეთხუცესიშვილს ჩახატული აქვს სამნავიანი ბაზილიკა), შინაგან მაღალი, დიდი და ბნელი. ოთხ სვეტზედ დადგმული თლილი ქვით კეთილნაშენი, ბერძნული მხატვრობით“[156]. დიმიტრი დაწვრილებით მიმოიხილავს რკონის

---

[150] კოკა - სითხის საწყაო საქართველოში. მისი ტევადობა საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და დროში სხვადასხვა იყო. XVIII საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში „სწორ“ კოკად ითვლებოდა 4 ჩაფი, ანუ 30-34 ლიტრა.

[151] ИВР РАН, Н-78, გვ. 66.

[152] ИВР РАН, Н-78, გვ. 66, Verso.

[153] იგულისხმება დიდი ქართველი ისტორიკოსის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის - ივანე ჯავახიშვილის მამა.

[154] ИВР РАН, Н-78, გვ. 67. სავარაუდოდ, საუბარია დრისის ციხეზე, რომელიც ჯავახიანთ ციხის სახელითაცაა ცნობილი (იხ: **სერგი მაკალათია**. თეძმის ხეობა, გვ. 27-28).

[155] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 10. აღნიშნულ ლეგენდას გადმოგვცემს სერგი მაკალათიაც. (**სერგი მაკალათია**. თეძმის ხეობა, გვ. 33).

[156] ИВР РАН, Н-78, გვ. 67.

წარწერებსა და იქ არსებულ აკლდამებს. ასულა თეძმის მეორე მხარეს მაღალ კლდეზე არსებულ ბერების სადგომში და გაუკეთებია ჩანახატები.

რკონიდან გზა გაუგრძელებია აღმოსავლეთით და შაბწყალას[157] ნაპირზე უნახავს გუმბათიანი თლილი ქვით კეთილნაშენი წმ. გიორგის ეკლესია[158], ამოუწერია ორი წარწერა.

ეკლესიაში დიმიტრის დახვედრია რუსი ეროვნების ყოფილი სამხედრო მოხელე - იაკობი, რომელიც 15 წლის განმავლობაში იქ ცხოვრობდა, ტაძარსაც უვლიდა და თავს მეაკვნეობით ირჩენდა[159].

სამხრეთ-აღმოსავლეთით რვა ვერსის გავლის შემდეგ მეღვინეთხუცესიშვილს უნახავს საორბისის წმ. გიორგის უგუმბათო ეკლესია, შიდა მოხატულობით. ეკლესიას იმ დროისათვის გალავანი ჰქონია გარს შემორტყმული. გადმოუწერია ტაძრის ქტიტორის, ერისთავთ-ერისთავის - ესტატე-კახას 1152 წლის წარწერა.

საორბისიდან მკვლევარი ბინდისას უკან გამობრუნებულა და 9 საათის სიარულის შემდეგ მიუღწევია ხოვლეს, სადაც ორი დღე გაჩერებულა ზამთრის სიცივისა და უამინდობის გამო, თუმცა, მეღვინეთხუცესიშვილი დროს აქაც უქმად არ კარგავს და ადგილობრივი გლეხებისაგან იწერს ძველად ატენის ხეობიდან შემოსული ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის მათ ხსოვნაში შემორჩენილ ეპიზოდებს.

22 ოქტომბერს დიმიტრი მოგზაურობას აგრძელებს და მიდის მეტეხის ეკლესიაში, რომელიც, მისივე სიტყვით იყო: „საარხიმანდრიტო კეთილნაშენი გუმბათიანი, თლილის ქვისა, ოთხს სვეტზედ დადგმული ყ˜დ წ˜ს სახელზედ“. მეღვინეთხუცესიშვილი, ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომზე დაყრდნობით, ეკლესიის აშენებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს და ადგილობრივთა განმარტებასაც ურთავს ტოპონიმთან დაკავშირებით, თითქოს ვახტანგ გორგასალს ოვსეთში ლაშქრობისა და ბაყათარ გოლიათის ძლევის შემდეგ, წარმოუთქვამს სიტყვები: „მე ვსტეხე“ (ე. ი. მე ვძლიე, გავიმარჯვე) და ამ გამარჯვების აღსანიშნავად აუგია ეს ტაძარი[160]. თუმცა, ტოპონიმის ხალხურ წარმომავლობას იგი დაუეჭვებია. მართლაც, მაღალი კიბის საშუალებით, გუმბათის ყელში დიმიტრის აღმოუჩენია სამშენებლო წარწერა, რომლის მიხედვით, ტაძრის მშენებლად ქართლის მეფე ლუარსაბი გვევლინება[161] და იქვე გაუშიფრავს იოთამ ამილახვრის 1628 წლით დათარიღებული მხედრული წარწერა.

---

157 შაბ-წყალა, იგივე გოსტიბეს წყალი, მდ. თეძმის მარჯვენა შენაკადი.

158 იგულისხმება იკვის წმ. გიორგის XI ს-ის ცნობილი ტაძარი.

159 ИВР РАН, Н-78, გვ. 67, V. პროფ. თამარ გოგოლაძეს რკონიდან აღმოსავლეთით, იკვის ეკლესიის მახლობლად, მდ. შაბწყალას მარჯვენა ნაპირზე, XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს უნახავს კლდეზე გამოკიდული ხის აკვანი, რაც ზემოხსენებული ფაქტის გამოძახილი უნდა იყოს.

160 ИВР РАН, Н-78, გვ. 69.

161 მეტეხის წარწერები შეისწავლა და გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ოთხმეზურმა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ დიმიტრი მეღვინეთხუცესისეულ

ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გვერდით მდგარა ძველი, სახურავჩაქცეული ეკლესია, წარწერების გარეშე, თლილი ქვით ნაგები. სწორედ ამ ეკლესიას მიიჩნევს მეღვინეთხუცესიშვილი ვახტანგ გორგასლის მიერ აგებულად.

ჯვარგუმბათოვან ტაძარში დაბრძანებული ყოფილა მთლიანად ვერცხლისა და ოქროთი დაფერილი, წმინდანთა ნაწილებით შემკობილი და კარგი ხელოვნების ღვთისმშობლის მიძინების ხატი, მრგვლოვანი და მხედრული წარწერებით, შვიდი ვერშოკის (დაახლ. 30 სმ-ის) ზომის. ზურგზე არსებული უთარიღო წარწერის[162] მიხედვით, ხატი შეუმკია ლევან მეფისა და მისი თანამეცხედრის - თინათინის ძეს - ნიკოლოზ კათალიკოზს.

ტაძარშივე ყოფილა ღვთისმშობლის ვერცხლით შეჭედილი, ოქროთი დაფერილი და თვალ-მარგალიტით შემკული, შედარებით დიდი ზომის (12 ვერშოკის, ანუ დაახლ. 53 სმ-ის) ძვირფასი ხატი ზურგზე მხედრული წარწერით, რომლის მიხედვით ხატი „მცირედ მოუჭედავს“ მღვდელ-მონაზონ არქიმანდრიტ ნიკოლოზს, ხოლო მასზე დასმული ქორონიკონის მიხედვით, 1723 წელს თვალ-მარგალიტით შეუმკია მის ძმისწულს, მდივან-მწიგნობარს - სოლომონ მაღალაძეს[163].

აქვე უნახავს დიმიტრის მცირე ეტრატზე „მშვენიერის ხელოვნებით“ წმინდად ნაწერი პატარა (2 ვერშოკი, ანუ დაახლ. 9 სმ.) სახარება, „პირველს ფურცელზედ ძნელად გასარჩევი და მიმქრალებულის ასოებით“ შესრულებული, ამ სახარების გადამწერი ბესარიონ მწერლის მინაწერით. წარწერაში მოხსენიებული ქორონიკონის

მეტეხის წარწერებთან დაკავშირებით, ბატონი გიორგი აღნიშნავს, რომ წარწერები „მნიშვნელოვანი ხარვეზებითაა წარმოდგენილი” (იხ: **გიორგი ოთხმეზური**. „მეტეხის წარწერები”, ჟურნ. „კლიო”, № 18, თბ., 2003, გვ. 3-12). პეტერბურგში, მარი ბროსესთან გაგზავნილ წერილში დიმიტრის ეს ხარვეზები ნაწილობრივ გაუსწორებია და „მეფეთ-მეფე ლუარსაბისა” და „გალატოზთა ზედამდეგის” წარწერები იმგვარად აქვს ამოკითხული (სახელის მიუთითებლად), როგორადაც გიორგი ოთხმეზურს. გარდა ამისა, პეტერბურგში მარი ბროსესთან გაგზავნილ აღწერილობაში დ. მეღვინეთხუცესიშვილს მოტანილი აქვს იოთამ ამილახვრის წარწერაც, რომელიც დაცული არ არის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და ამის შესახებ გიორგი ოთხმეზურიც მიანიშნებს (გ. ოთხმეზური. „მეტეხის წარწერები”, გვ. 8). თუმცა, მეღვინეთხუცესიშვილს ხსენებული წარწერა სრულად ვერ ამოუკითხავს და გაურკვეველი ადგილები მრავალწერტილით მოუნიშნავს.

[162] მიუხედავად იმისა, რომ წარწერა დათარიღებული არ არის, მიახლოებით მაინც შეიძლება მისი დადგენა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ნიკოლოზის სახელით ცნობილია ორი კათალიკოსი: ნიკოლოზ VI (1561-1584 წწ.) და ნიკოლოზ VII (1584-1589 წწ.) (იხ: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ენრიკო გაბიძაშვილისა და ექვთიმე კოჭლამაზაშვილის რედ., თბ., 2007, გვ. 683-684). ამ ორი ნიკოლოზიდან, პირველი ბარათაშვილია და მისი მეფის ძეობა უნდა გამოვრიცხოთ. რაც შეეხება ნიკოლოზ VII-ს, იგი მართლაც ბაგრატიონი იყო და მისი მშობლები კახთა მეფე ლევანი (1520-1574) და თინათინ გურიელი იყვნენ (იხ: ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი 1903, გვ. 191, დოკ. 246). ამდენად, კათალიკოს ნიკოლოზ ლეონის ძეს ხატსა და სახარებაზე წარწერა 1584-1589 წლებში უნდა გაეკეთებინა.

[163] ИВР РАН, Н-78, გვ. 71.

მიხედვით, ბესარიონს სახარება გადაუწერია 1581 წლის (ქ҃კს ს҃თ) 17 ივნისს, შაბათ დღეს.

სახარების მეორე ფურცელზე ჩვენთვის ნაცნობი ნიკოლოზ კათალიკოსის წარწერაა, რომლის მიხედვით, კათალიკოს-პატრიარქს მეტეხის ღვთისმშობლისადმი ოთხთავი შემოუწირავს[164].

სახარების მესამე და უკანასკნელ ფურცელზე შესრულებული ხუცური წარწერის მიხედვით, კიდევ ერთხელ ფიქსირდება მეტეხის ღვთისმშობლისადმი ოთხთავის შეწირვა. ამჯერად იგი შერმაზან ბარათაშვილის ასულ ანას შეწევნით შეუწირავს მღვდელ დიმიტრის. სავედრებელში ასევე იხსენიებიან ანას შვილები: ქაიხოსრო და დარეჯანი[165].

სახარება ტყავგადაკრული და ვერცხლის ბუდეში ყოფილა ჩასმული, აშოთან ბატონიშვილის 1672 წლის (ქ҃კს ტ҃ი) წარწერით[166].

---

164 ИВР РАН, Н-78, გვ. 72, V. ამჟამად მეტეხის ოთხთავი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Н 2903). იგი შეისწავლა და გამოსცა ბატონმა თემურ ჯოჯუამ. იხ: **თ. ჯოჯუა**. მეტეხის ოთხთავი, „მრავალთავი" XXI, თბ., 2005, გვ. 190-199.

165 ИВР РАН, Н-78, გვ. 72, V.

166 აშოთან ბატონიშვილი, როგორც მეფის ძე, ძმასთან - თეიმურაზთან და ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსთან ერთად, მოხსენიებულია გიორგი XI-ის (ქართლის მეფე 1675-88; 1703-09 წწ.) მიერ საბერძნეთის პატრიარქ დოსითეოზისათვის მონასტერთა გამოსყიდვის სიგელში. იხ: Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею т. I, Тифл., 1866, გვ. 26-27.

მეტეხის ოთხთავის აშოთან ბატონიშვილის ზემოხსენებული თარიღიანი (ქორონიკონი ტ҃ი) წარწერა წაკითხული აქვს მოსე ჯანაშვილსაც (იხ. **მოსე ჯანაშვილი**. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა), გაზ. „ივერია", 14.04,1892, № 76, გვ. 2-3; 17.04.1892, №79, გვ. 3; 18.04.1892, № 80, გვ. 2-3). თუმცა, მოსე ჯანაშვილი ქორონიკონს მე-13 მოქცევაში სვამს და 1140 წლით ათარიღებს (780+360=1140), სტატიის ავტორი უფრო შორსაც მიდის და აშოთან ბატონიშვილის შოთა რუსთველთან იდენტობასაც არ გამორიცხავს (დასახ. ავტორი, გაზ. „ივერია", 18.04.1892, № 80, გვ. 3). ამ საკითხში ეჭვი იმავე წელსვე შეიტანა პოლიევქტოს კარბელაშვილმა (იხ: მღვდ. პოლ. კარბელაშვილი. „სოფ. მეტეხის ოთხთავის" აღწერის შესავსებლად, გაზ. „ივერია", 25.05.1892, №106, გვ. 3). მეტეხის ოთხთავის ზემოხსენებული წარწერის თარიღი საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა თ. ჯოჯუამ (**თ. ჯოჯუა**. მეტეხის ოთხთავი, „მრავალთავი" XXI, თბ., 2005. გვ. 197).

როგორც ბატონი თემურ ჯოჯუა აღნიშნავს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მეტეხის ოთხთავის Н 2903 ხელნაწერის შედარება მხოლოდ ქართულ პრესაში 1891-1892 წლებში დაბეჭდილ მასალებთან (მოსე ჯანაშვილი, სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა), გაზ. „ივერია", 1892, № 79, გვ. 3. № 80, გვ. 2; გ. საძაგელოვ-ივერიელი. ძვირფასი ეტრატზედ ხელთ-ნაწერი მეტეხის ოთხთავი 1049 წლისა, (არქეოლოგიური შენიშვნა), გაზ. „მწყემსი" 1891, №8, გვ. 10; პ. კარბელაშვილი. სოფელ მეტეხის ოთხთავის აღწერის შესავსებლად, გაზ. „ივერია", 1892, № 106, გვ. 3) იყო შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ ბატონ თემურ ჯოჯუას მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული Н 2903 ხელნაწერის მეტეხის ოთხთავთან იდენტობის შესახებ, სრულად ადასტურებს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ ზემოთქმულ ავტორებთან (მ. ჯანაშვილი, კირიონ II, პ. კარბელაშვილი) შედარებით 50 წლით ადრე ნანახი და აღწერილი მეტეხის სიძველეები და წარწერები (ИВР РАН, Н-78, გვ. 71- R, 72; 72-V).



მეღვინეთხუცესიშვილის მიერ შესრულებული კიმოთესუბნის ეკლესიის ჩანახატი

მეტეხიდან მეღვინეთხუცესიშვილი სოფელ გომში მისულა და სოფლის სიძველეთაგან აღწერს გომის ციხეს (კოშკს), რომელიც იესე მეფეს აუშენებია საკუთარი და მეზობელი სოფლების მცხოვრებთათვის ლეკთა შემოსევების დროს თავშესაფარებლად. აქვე მეღვინეთხუცესიშვილს ჩაუწერია საინტერესო თქმულება სახლთუხუცეს გიორგი მაღალაშვილის დის, მშვენიერი ხამფერვანის ტრაგიკული ისტორიის შესახებ, რომელსაც XVII ს-ის I მეოთხედში, საქართველოში შაჰ-აბას I-ის ბატონობის დროს ჰქონია ადგილი. ხამფერვანი ფრიად ღვთის მოშიში და

„საქებურის ქცევისა“ ყოფილა და ორმოც წლამდის ქალწულობის აღთქმა ჰქონია დადებული.



მეღვინეთხუცესიშვილის მიერ შესრულებული თიღვის ეკლესიის ჩანახატი

ეს ამბავი თბილისში შაჰის მიერ დასმული მოხელის (დიმიტრი მას გიჟი ხანის სახელით მოიხსენიებს) ყურამდის მისულა და ხამფერვანის წასაყვანად გომში ადგილობრივი თავადი „საბა ვინმე“ ორბელიანი და რამდენიმე შეიარაღებული ყიზილბაში გაუგზავნია.

ხამფერვანი თურმე ღვთისმშობლის ხატზე მკერდ მიდებული ლოცულობდა და უფალს ევედრებოდა, ძალა მიეცა აღთქმის დასაცველად, როდესაც მისკენ მიმავალი ყიზილბაშები დაუნახავს, იმავე მდგომარეობაში უყოყმანოდ გადაშვებულა ციხიდან მდ. მტკვრისკენ, თითქმის 100 მეტრიან (60 საჟენიან) უფსკრულში.

შემზარავი სანახაობის შემსწრე ყიზილბაშები უკანმოუხედავად შებრუნებულან თბილისს.

დაჩეხილ-დასახიჩრებული ხამფერვანი ადგილობრივებს მცხეთაში წაუსვენებიათ და იქვე დაუკრძალავთ, ხოლო მოგვიანებით მასზე ლექსიც გამოუთქვამთ[167].

ზამთრის მოახლოებისა და ამინდების გაუარესების გამო, გზის გაგრძელება შეუძლებელი ყოფილა, ამიტომ დიმიტრი გომიდან გორში დაბრუნებულა.

გომის სიძველეთა აღწერისა და თქმულებით სრულდება დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის 1848 წლის შიდა ქართლში მოგზაურობათა დღიურები. ამის შემდეგ იგი მოგზაურობის ჩანაწერების ნაცვლად, წერილების სახით გადმოგვცემს ნანახ-განცდილს, რომლის საერთო სათაურია „აღწერა გორის უეზდსა შინა ეკლესიებთა და მონასტერთა ზედა ღირს სახსოვარ წარწერათა სრულიად, ხოლო

[167] ИВР РАН, Н-78, გვ. 72,V - 73.

მდებარეობათა მათთა შემოკლებით ღუბერსკის სეკრეტარის და კავალერის დიმიტრი კონსტანტინეს ძის მეღვინეთხუცესოვის მიერ, დროსა მოგზაურობისას თვისსა 1848 წელსა“[168], რომელიც იწყება ვერეს ეკლესიის ჩანახატით: „ყოვლად წმინდა მონასტერი ვერე“, რომლის წარწერები განმარტებებისა და კომენტარების გარეშე ჩაუწერია.

მომდევნო აღწერა სარკის წმ. გიორგის მონასტერს ეხება. დიმიტრის თქმით, იგი: „უწარწერო, ფ˜დ დიდი გაუთლელის ქვით ნაშენია“. ეკლესიის გარშემო ყოფილა ნასახლარები. ეკლესიის შიგნით უნახავს ორი ხის ჯვარი. პატარა ჯვრის კვარცხლბეკზე ყოფილა სამკუთხედად შესრულებული წარწერა, რომელიც მკვლევარს გადმოუღია და ეკლესიის ჩანახატიც შეუსრულებია.

მეორე დღიურში ყინწვისის წმ. ნიკოლოზის მონასტერია აღწერილი ზაზა ფანასკერტელის ფრესკის ჩანახატითა და წარწერებით. მონასტერი დიმიტრის მძიმე მდგომარეობაში დახვედრია. „ნიკროსკოპით“ დიდი გაჭირვებით გადმოუღია კამარაზე შესრულებული წარწერა, რომელიც ფრინველთა სკორესგან ძალზე დაზიანებული ყოფილა. ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გვერდით მდგარა ორი მომცრო ეკლესია, ნათალი ქვით ნაგები, მაგრამ ორივე ჩამოქცეული. მეღვინეთხუცესიშვილს გადმოუხატავს ზაზა[169] ფანასკერტელის ფრესკა და კამარის თავზე ოვალურად შესრულებული ასომთავრული წარწერა (იხ. აქვე, დანართი, წერილი № 2, გვ. 70).

მესამე დღიური ეხება მძოვრეთის ხეობაში, ციციშვილების სასახლესთან არსებულ მცირე ეკლესიის აღწერას. საკურთხევლის კედელზე ყოფილა ნოდარ ციციშვილის ღვთისმშობლისადმი სულის შესავედრებელი მცირე ასომთავრული წარწერა, თარიღის გარეშე, რომელიც მეღვინეთხუცესიშვილს კომენტარებისა და განმარტებების გარეშე გადმოუღია. იგი იქვე მიუთითებს მაღალ მთაზე „შეუვალს ციხეს“, წარწერების გარეშე[170].

საციციანოში სტუმრობისას დიმიტრისათვის უმასპინძლია დავით ციციშვილს, რომლის ოჯახშიც უნახავს წმ. გიორგის ხატი, წარწერა მთლიანად გადმოუწერია და თან ურთავს ხატზე ხსენებული წარწერის მიზეზსაც: „ოდეს ყაენი მოვიდა (იგულისხმება აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის ლაშქრობა - ი. ა.) და მოაოხრა საქართველო, მაშინ ანტონ კათალიკოსი (ანტონ II - ი. ა.) ბძანდებოდა თელავს აქა, ოდეს მეორედ აპირებდა ყაენი მოსვლას და სრულიად უმეტეს მოოხრებასა, მაშინ კათალიკოსს გამოეცხადა ხატი ესე და ეტყოდა: ნუ შეძრწუნებულხარ, არამედ

---

[168] ИВР РАН, Н-78, გვ. 76, V.

[169] მარი ბროსე, წარწერის თანდართულ კომენტარში არ გამორიცხავს ზაქარიას. იხ: M. Brosset, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I’ Armenie, exsecute en 1847-1848, SPB 1851, III, გვ. 30.

[170] ИВР РАН, Н-78, გვ. 81, V.

ეტყოდე მეფეს, რომელ ყაენზედ არს რისხვა ღვთისა მივლინებული, ნუღარ აიყრებითო და ნურცა მე წამასვენებთო სადმე და მსწრაფ მეფესა შემდგომ მიიჭრა კაცი, რომელმა მოახსენა ყაენი მოკლესო შუშასაო“[171].

ციციშვილებთან სტუმრობის შემდეგ, მეღვინეთხუცესიშვილი მისულა წრომს, რომლის აღწერას მეოთხე დღიურს უთმობს. მასში ნათქვამია: „წრომს დიდი მონასტერი ყ˜დ წმინდისა, მშვენივრად თლილის ქვით ნაგები და აია სოფიას კენჭებით შემკული (დიმიტრი მოზაიკას გულისხმობს - ი. ა.), საკურთხევლის ცა, სდგა საშუალ მცხოვრებთა ვაკეზედ, გუმბათი და სხვა არის დაქცეული“[172].

წრომის შემდეგ დიმიტრის მოუხილავს წვიმოეთის ნათლისმცემელი (ხცისი), გაუკეთებია ეკლესიის ჩანახატი და გადმოუღია წარწერა, მათ შორის ბაგრატ „აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა“ და მისი ძის - გიორგი უფლისწულის, რომელიც თანდართული ქორონიკონის (ქ˜კნი სკბ) მიხედვით, 1002 წლით თარიღდება და, აქედან გამომდინარე, ბაგრატ III-ს ეკუთვნის. ასევე წაუკითხავს ტაძრის კარიბჭის გვერდებზე არსებული წარწერა[173].

წვიმოეთიდან დიმიტრი გამგზავრებულა ახალდაბას. გაუკეთებია ეკლესიის ჩანახატი და გადმოუღია წარწერა, რომელიც ქორონიკონისა (ქ˜კნი კა=1333 წ.) და მოხსენიებული პირის (მეფეთა-მეფე გიორგი, დიმიტრის ძე) მიხედვით, გიორგი ბრწყინვალეს უნდა ეკუთვნოდეს.

მარი ბროსესადმი გაგზავნილ № 7 წერილში მეღვინეთხუცესიშვილი იუწყება, რომ კიმოთესუბნის მონასტრის გზაზე, მარჯვნივ სალ კლდეს გარს არტყია დაბურული ტყე, ხოლო ამ კლდეში მაღლა გამოქვაბულებია, რომლებშიც ასვლა შეუძლებელია, რადგან მისასვლელი გზა არ ჩანს და მხოლოდ შორიდან შეიმჩნევა „დურბინდით“, რომ ზოგიერთი სენაკი ქვით არის ნაშენი და შებმული ხის კარები აქვს. წერილის ბოლოს იგი ჩანახატს ურთავს გამოქვაბულების შესახებ[174].

მერვე წერილში დიმიტრი დიდ ადგილს უთმობს კიმოთესუბნის (მეღვინეთხუცესიშვილი მას „კიმოთისმანის“ სახელით მოიხსენიებს) ეკლესიის აღწერას, თანდართული შესანიშნავი ჩანახატით. ეკლესიის მახლობლად მრავლად უნახავს ბერთა ნამოსახლარ-სადგომები, ხოლო ქვიტკირის აკლდამა ძვლებით ყოფილა სავსე. ტაძრის სამრეკლო და კარიბჭე ჩამოქცეული, ხოლო გუმბათი - დაზიანებული დახვედრია, საიდანაც წყალი ჩამოდიოდა, ამიტომ მონასტერი შედარებით დაუზიანებელი სამხრეთის მხრიდან დაუხატავს. მკვლევარი დაწვრილებით აღწერს

---

[171] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 8.

[172] ИВР РАН, Н-78, გვ. 82.

[173] ИВР РАН, Н-78, გვ. 83.

[174] ИВР РАН, Н-78, გვ. 84.

ტაძრის ზომებს, ფრესკების მდგომარეობას. ეკლესიაში, ან მის სიახლოვეს დიმიტრის წარწერები ვერ უპოვია, გარდა ერთი მარმარილოს ნატეხისა, წარწერით - „ზაზა ავალიშვ..“

მეცხრე წერილში მეღვინეთხუცესიშვილი სურამის უბნის აღწერას იწყებს იტრიის მონასტრით. აქაც, ჩვეულებისამებრ, ტაძრის აღწერას თანდართული აქვს გრაფიკული ჩანახატი და ქტიტორების: ბეჟან ჩხეიძისა და ნიკოლოზ წინამძღვრის საამშენებლო წარწერა სამრეკლოს თავზე, რომელიც ქორონიკონის მიხედვით 1656 წლით თარიღდება და როსტომ მეფე და მარიამ დედოფალი არიან მოხსენიებულნი. ტაძარში დიმიტრის უნახავს მრავალნაწილიანი ხატი პირისა და ზურგის წარწერებით, რომელთა მიხედვით ხატი მოუჭედიათ და შეუმკიათ ბეჟან გურგ-ასლანიშვილსა და მის ძეს - ნიკოლოზს 1666 წელს[175].

მეათე წერილი ეთმობა თიღვის მონასტრის აღწერას. ამ შემთხვევაშიც მეღვინეთხუცესიშვილს შესანიშნავი ჩანახატი აქვს შესრულებული. მონასტერს გარს შემოვლებული ჰქონია დაქცეული გალავანი, შიგადაშიგ - ნასახლარებით. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის მონასტერი მოქმედი ყოფილა და წირვა-ლოცვაც აღევლინებოდა. ტრადიციულად, დიმიტრის გადმოუღია ჩრდილოეთის სარკმლის თავზე მოთავსებული წარწერა. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, თიღვის წარწერაში მოხსენიებული თამარი, დავით აღმაშენებლის უმცროსი ქალიშვილია[176].

მეღვინეთხუცესიშვილს ტაძარში მრავლად უნახავს საფლავები, მაგრამ სიძველეთა გამო, ეპიტაფიების ამოკითხვა ვერ მოუხერხებია[177].

ატოცის აღწერისას (წერილი № 11) დიმიტრის ყურადღებას იქცევს სოფლის განაპირას მდგარი ქვიტკირით ნაგები პატარა ეკლესია, სადაც დაბრძანებული ყოფილა წმ. გიორგის სასწაულთმოქმედი ხატი, ზურგზე ვერცხლის ფირფიტაზე ნაწერით, რომელიც სიძველისაგან ვეღარ გაირჩეოდა. სამაგიეროდ, იგი სრულად გადმოგვცემს მეორე, ოქროს პატარა ხატზე მოთავსებულ მხედრულ წარწერას, რომელშიც ზაალ ფალავანდიშვილის ასულის მოსახსენიებელია, ხოლო ეკლესიის შესავალი კარის სამხრეთით შესრულებული წარწერიდან ვიგებთ, რომ მცირე ეკლესია აღუდგენია ლევან ბატონიშვილს XVII საუკუნეში[178].

ატოციდან დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი გადასულა ოქონის მონასტერში (წერილი № 12). ეკლესია იმ დროისათვის ჩამოქცეული ყოფილა, მაგრამ მეცნიერის

---

175 ИВР РАН, Н-78, გვ. 86.

176 **სერგი მაკალათია**. ფრონეს ხეობა, თბ., 1963, გვ. 56; **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 80.

177 ИВР РАН, Н-78, გვ. 87, V.

178 ИВР РАН, Н-78, გვ. 88, V.

მოსაზრებით, „სჩანს, რომელ ოდესმე იქმნებოდა იგი მშვენიერი სანახავი“[179]. ფრესკები, დ. მელვინეთხუცესიშვილის სიტყვით, „ჟამთა ვითარების გამო ძნელადღა განირჩეოდა“. ჩანახატის მიხედვით, ფრესკაზე გამოსახული ყოფილა ორი მამაკაცი მდიდრულ სამოსში, ერთი შედარებით ახალგაზრდაა და, სავარაუდოდ, საერო პირს ჰგავს ეტრატით ხელში, დიმიტრის მინაწერით: „აქ დაწერილია და აღარა სჩანს, რომ წაიკითხებოდეს“, ხოლო მეორე, შედარებით მოხუცებული - სასულიერო პირი უნდა იყოს. მელვინეთხუცესიშვილს გადმოუღია წარწერის გარჩევადი ფრაგმენტებიც[180]. იქვე ყოფილა მეორე, შედარებით მცირე ზომის ეკლესია, რომელშიც დაბრძანებული ყოფილა ოქონის სპილოსძვილის პატარა ხატი ევდემოზ კათალიკოსის წარწერით[181].

მეცამეტე წერილში აღწერილია სოფ. ერგნეთის ქვიტკირით აშენებული ღვთისმშობლის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. მასში დაბრძანებული ყოფილა ივერიის ღვთისმშობილს მცირე ხატი. დიმიტრის მონახულებისას ეკლესიას განაგებდა ბერძენთა არქიმანდრიტი რაფაელი.

№ 14. აღწერილია ბრეთის მცირე ზომის ეკლესია. მის ეკვდერში რატომღაც დაბრძანებული ყოფილა ბორჯომის ეკლესიის ხატები და ჯვრები. ერთ, საკმაოდ ძველ ჯვარზე მოთავსებული ყოფილა ბაგრატ კურაპალატისა და მართა დედოფლის ასომთავრული წარწერა, ხოლო დანარჩენ სამ, სხვადასხვა ზომის ხატებზე ვახტანგ ბატონიშვილისა და მისი მეუღლის თინათინის, ავალიშვილებისა (თარიღდება 1721 წლით) და პაატა გოგიბაშვილის (1684 წ.) სულის მოსახსენიებელი წარწერებია. დიმიტრის ბრეთის ეკლესიაში „აღსავლის კარის წინ“ უნახავს 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთის - პიროს ბრეთელის საფლავი[182], რომელზეც წმინდა მაუდი ყოფილა გადაფარებული და მუდმივად („ყოველს ჟამს“) ენთო კელაპტარი. აქვე ყოფილა ძალზე ძველ ეტრატზე დაწერილი სახარება ვერცხლით შემკული და ნუსხურ-მხედრული წარწერებით, რომელთაგან ყურადღებას იქცევს ფარსადან ფანასკერტელისა და მისი თანამეცხერის ასომთავრული წარწერა[183].

არადეთში (წერილი № 15) დიმიტრის დაუთვალიერებია კოშკზე მიდგმული მცირე ზომის ეკლესია, სადაც დაბრძანებული ყოფილა წმ. საბას ვერცხლით შეჭედილი, ოქროთი დაფერილი და მხედრულ წარწერებიანი ხატი წმინდა ნაწილებით. ადგილობრივების გადმოცემით, იგი ახალციხის საფაშოდან მოუტანიათ აზნაურ იშხნელებს. ეკლესიაშივე დიმიტრის უნახავს ვერცხლით შეჭედილი ხე, წმ.

---

179 ИВР РАН, Н-78, გვ. 89, R.

180 ИВР РАН, Н-78, გვ. 89, R

181 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად, იხ.: **იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი**. ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან, თბ., 2012, გვ. 30-31.

182 ИВР РАН, Н-78, გვ. 90, V.

183 ИВР РАН, Н-78, გვ. 91.

საბას ხელის მტევნის მსგავსი, „ფრიად ძველი ხელობისა“. ეკლესიაში დაბრძანებულ ხატებზე არსებულ წარწერებს შორის ყურადღებას იქცევს ურბნელ ეპისკოპოს ელისეს წარწერა, რომლის მიხედვით, მას ტაძარი მოუხატვინებია და კრამიტით დაუხურავს, ასევე შეულესავს კანკელი. დასმული ქორონიკონის („ტჟვ“) მიხედვით, წარწერას დიმიტრი მეცამეტე მოქცევაში სვამს და 1176 წლით ათარიღებს[184], თუმცა, წარწერა შედარებით გვიანდელია და 1708 წელს უნდა მივაკუთვნოთ (XIV მოქცევის მიხედვით). ტექსტში საუბარია ურბნელ ეპისკოპოს ელისე იშხნელზე (1708-1712 წწ.), რომელმაც მართლაც განაახლა არადეთის წმ. საბას ეკლესია[185]. ხსენებული ხარვეზი მარი ბროსეს „რაპორტებში“ უკვე გასწორებული აქვს[186].

ეკლესიის შესავალი კარის სამხრეთით არსებული წარწერის მიხედვით, ეკლესია აუშენებია მარიამ დედოფალს 1664 წელს.

ამირეჯიბის მიერ აშენებულ საღოლაშენის ეკლესიაში (წერილი № 16) დიმიტრის უნახავს ღვთისმშობილის ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერილი ხატი მხედრული წარწერით, რომლის მიხედვით, მტრის მიერ საღოლაშენის მოოხრების გამო, ხატი შინდისში გადაუტანიათ[187]. იმის გამო, რომ სანთლის ნამწვისაგან ხატი დამწვარი და ალაგ-ალაგ შელახული იყო, მიმბაშ ზაზა ამირეჯიბისა და მისი მეუღლის - ჩოლოყაშვილის ასულ ქეთევანის მეოხებითა და შეწევნით, განუახლებიათ და შეუმკიათ 1787 წელს[188].

საღოლაშენის ეკლესიის შემდეგ, დიმიტრის მოუნახულებია და აღუწერია ბიეთის ეკლესია და ჩანახატიც გაუკეთებია (წერილი № 17). წარწერებით ეკლესია ღარიბი ყოფილა. მეღვინეთხუცესს აქ უნახავს ქვიტკირით ნაგები პატარა სენაკი, იქვე ყოფილა ძვლებით სავსე აკლდამა[189].

მხარის აღწერას დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ასრულებს კირბალის ეკლესიის შესახებ ჩანაწერით (წერილი № 18), რომელიც, წარწერის მიხედვით, აუშენებია მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ჩხეიძეს 1660 წელს[190].

კირბალიდან მეღვინეთხუცესიშვილი გადადის საამილახვროს ცენტრში - ქვემოჭალაში და აღწერს მის სიძველეებს (წერილი № 19). ამილახვრების სასახლის

---

184 ИВР РАН, Н-78, გვ. 92, R

185 იხ.: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი **თედო ჟორდანიას** მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს. 60 – იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს **გივი ჟორდანიამ** და **შოთა ხანთაძემ**. თბ., 1967, გვ. 44.

186 **M. Brosset**, Rapports... III, გვ. 113

187 ИВР РАН, Н-78, გვ. 92, V.

188 ИВР РАН, Н-78, გვ. 93, R.

189 ИВР РАН, Н-78, გვ. 94, R.

190 ИВР РАН, Н-78, გვ. 94, R.

გალავანში დიმიტრის უნახავს ვერცხლით მოჭედილი დიდი ჯვარი, ასომთავრული წარწერით, რომლის მიხედვით, ჯვარი შეუმკიათ და მოუჭედავთ ამირინდო ამილახვრისა და „პატრონი გულქანის“ ნებითა და შეწევნით[191].

გალავანში არსებულ ეკლესიაში ყოფილა ოქროთი დაფერილი და ვერცხლით შეჭედილი რამდენიმე ხატი: ფარემუზ ანდუყაფარის ძის (უთარიღო, ასომთავრული წარწერით), გივი ამილახვრის (მხედრული წარწერით, ქორონიკონით - 1722 წ.), გივი ამილახვრისა და მისი თანამეცხედრის, ვახტანგ V შაჰნავაზის ასულ თამარის (ასომთავრულით - 1682 წ.) წარწერებით. ღვთისმშობლის ხატი შეუმკია „წ˜დითა ოქროთითა და თვალმარგალიტითა მეფეთა ასულ თამარს“ 1635[192] წელს[193].

ამილახვრების სასახლის აღწერის შემდეგ, დიმიტრი გადადის სამთავისის მონასტრის აღწერაზე (წერილი № 20). თითოეული წარწერის (მათ შორის, ვაჩე ყანჩაელის, გაიანეს, სიაუშის, იოთამ და დემეტრე ამილახვრების, დემეტრესა და მისი თანამეცხედრის - თამარ ქსნის ერისთავისშვილის) დღიურში ჩანაწერის გვერდით მეცნიერს თანადართული აქვს გამოანგარიშებული ქორონიკონი[194].

სამთავისიდან მეღვინეთხუცესიშვილს კასპში ჩამოუნაცვლებია, უნახავს წმ. თევდორეს მცირე ეკლესია, იქვე მდგარი დაქცეული ციხე და მხოლოდ ჩანახატი გაუკეთებია, რადგან, მისივე სიტყვით: „აქა არა რაꙋ ღირსი სახსოვარი ნაწერი არ იპოების“ (წერილი № 21.)[195].

ქართლში 1848-1849 წწ. მოგზაურობის ბოლო ჩანაწერი ეხება აშურიანის ხევში, „ერთს მივარდნილს უდაბნოს ალაგას“ დაქცეული ეკლესიის აღწერას (წერილი №22), ყურადღებას იქცევს მისი ჩანაწერი: „ხევ გაღმა ჩრდილოთ მაღალს კლდეებში სჩანან მრავალნი გამოქვაბულნი, აწ კაცთა შეუვალი უგზო-უკვლო, სადაცა განდეგილთა ბერებს უცხოვრიათ“[196]. თვით ეკლესიაში დიმიტრის საკმაოდ მნიშვნელოვან, მათ შორის ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელის წარწერებისათვის მიუკვლევია, რომელთაგან ერთ-ერთის მიხედვით, ილარიონს ნათლისმცემლის ეკლესია

---

[191] გავრცელებული მოსაზრებით, ამირინდო ზევდგენიძე ცხოვრობდა 1455-1481 წლებში. მისი მეუღლე „პატრონი გულქან" უნდა იყოს ბაგრატ ქართლ-იმერეთის მეფის (1466-1478 წწ.) და, რომელიც შემდგომ გაიანეს სახელით შემონაზვნდა და 1508 წელს კასპში ნაყიდი ვენახი შიომღვიმის მონასტერს შესწირა (იხ: **თედო ჟორდანია**. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი» ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 76).

[192] დ. მეღვინეთხუცესიშვილი შეცდომით უთითებს 1631 წელს.

[193] ИВР РАН, Н-78, გვ. 94, V.

[194] ИВР РАН, Н-78, გვ. 95-97.

[195] ИВР РАН, Н-78, გვ. 97.

[196] ИВР РАН, Н-78, გვ. 98, R.

აუშენებია 1032 წელს[197]. ამ შემთხვევაშიც მკვლევარს ტრადიციისათვის არ უღალატია და მონასტერ-სენაკების ჩანახატები გაუკეთებია.

გარდა აღწერილი ეკლესია-მონასტრებისა, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს სხვა სიძველეებიც უნახავს. მაგ., დიმიტრი ბაქრაძის გადმოცემით, იმავე 1848 წელს, მარი ბროსეს დავალებით მეღვინეთხუცესიშვილმა მოინახულა დანახვისის წმ. გიორგის მონასტერი და გადმოუწერია მისი წარწერები, რომელსაც ფრანგი მეცნიერი XI ს-ის დასაწყისით ათარიღებდა[198].

მეღვინეთხუცესიშვილის ქართლში პირველივე მოგზაურობა სხვამხრივაც ნაყოფიერი გამომდგარა და დიმიტრის ხელში ჩავარდნია: „შემოკლებითი მოთხრობა საქართველოს თავადთა და აზნაურთა თუ რომელ მეფეთაგან აღყვანებულ არიან ესე ვითართა ღირსებათა ზედა, ოდეს და ვინ სიდით მოსრულან საქართველოსა შინა და რომელნი ყოფილან მათგანნი სახელოვანნი და განდიდებულნი ახოვანებითა მიერ თჳსთა და ვითარ შთამოდიან მამრობითს სქესით მათგან აწმყონი გვარნი მათნი“ და „მეფე ერეკლეს წიგნი მოწერილი ბატონიშვილობაში ინდოეთიდამ, ოდეს ნადირშაჰი იბრძოდა აქ“. ეს უკანასკნელი დიმიტრიმ რუსულად თარგმნა და მოგვიანებით გაზეთ „Кавказ“-ში გამოაქვეყნა[199].

მოგზაურობა მეღვინეთუხუცესიშვილს საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებოდა, მაგრამ კვლევისა და საქმის კეთების სურვილს იგი ვერ შეუდრეკია[200]. ქართლში მოგზაურობის შემდეგ იგი ბროსეს წერს: „ისეთ ავდარში მომიხდა სიარული, როგორიც შეგვემთხვა ჩუჩენ გორიდან რომ გავედით. რამდენს ადგილს გადაუდებელმა წვიმამ დამამწყვდია და ვიჯექ გაწუწული ცეცხლის პირს თრთოლით, მაგრამ, რადგანაც ესრეთი დაწყება საქმისა ბოლოს კეთილსა მოასწავებს, ამ აზრათ, არა ვწუხდი აგრე რიგადო“[201].

არც მისი უსაფრთხოება ყოფილა დაზღვეული, მაგ., სამთავისის აღწერისა და შესწავლის შემდეგ მეცნიერს თათე მამებელის უდაბნოს ნახვის სურვილიც ჰქონია, მაგრამ ხურვალეთის შემდეგ გზა ვეღარ გაუგრძელებია გზებზე ოსი აბრაგების თავდასხმების საშიშროების გამო, როგორც თვითონ წერს: „აზნაური დავით

---

[197] ИВР РАН, Н-78, გვ. 98, R.

[198] **Д. Бакрадзе**. Кавказь вь древных памятниках христианства, в сб. «Записки общества любителелей кавказской археологии», кн. I, Тифл., 1875, გვ. 60

[199] იხ. გაზ. „Кавказ”, 1851, № 8.

[200] იხ: ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის შიდა ქართლში მოგზაურობა (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით), პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2015, გვ. 446-491.

[201] **შოთა ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 7, წერ. № 1.

მაღალოვი და ექვსნი თოფ-იარაღიანი კაცნი გამომყვნენ, რადგან ოსების შიში იყო, რომელნიც რაზბოინიკობდნენო“[202].

1850 წლის მაის-ივლისში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა და სურვილი ჰქონდა გურია-აჭარაც მოევლო, მაგრამ იმ დროისათვის ეს შეუძლებელი იყო, რადგან საქართველოს ეს ძირძველი ტერიტორია ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული.

დანართი – დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა შიდა ქართლში

მკითხველს ვთავაზობთ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (ИВП РАН) მარი ბროსეს საარქივო ფონდში (H-47) დაცულ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ ბროსესადმი გადაგზავნილი მასალების (H-78) შინაარსს.

დანართის საჭიროება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ, როგორც მისი გაცნობის შემდეგ მკითხველიც დარწმუნდება, მეღვინეთხუცესიშვილის მიერ აღწერილი ეკლესია-მონასტრების, ჩანახატების, გადმოწერილი წარწერებისა და იქ დაცული სიძველე-სიწმინდეთა (სახარებების, ხატების, ჯვრების, ლაპიდარული წარწერების და ა. შ.) დიდი ნაწილი დღეისათვის დანგრეული, დაკარგული, განადგურებული ან საქართველოდან გატანილია, ამდენად, დიმიტრისეული ჩანაწერები ხშირად ერთადერთი ხელმისაწვდომი დოკუმენტური მასალაა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და უნიკალური მნიშვნელობა ენიჭება.

ჩანაწერები შესრულებულია თაბახის ორ გადაკეცილ ფურცელზე, თითოეულ გაშლილ ფურცელს მარცხენა მხარეს, ზემო ნაწილში უზის ჭვირნიშანი. ნომერაცია მისდევს მხოლოდ გვერდის წინა მხარეს, ანუ „VERSO“ დანომრილი არ არის, რასაც ვტოვებთ უცვლელად და მივანიშნებთ „R“-ით (შუბლი), ან „V“-ით (ზურგი).

ნაწერია გაკრული, მაგრამ ლამაზი, ადვილად გასარჩევი ხელით. ჩანახატებსა და ეკლესიათა მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოღებულ წარწერებს ტექსტს ვურთავთ უცვლელად, სქოლიოში სათანადო კომენტარებით.

აღნიშნულ დანართში სრულად მოგვაქვს მხოლოდ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის შიდა ქართლში მოგზაურობის დღიურები, მასალებს ქვემო ქართლსა და სომხითში, ასევე დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის შესახებ, წინამდებარე ნაშრომში თავის ადგილზე იხილავს მკითხველი.

---

[202] **შოთა ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 8, წერილი 2.

აღწერა

გორის უეზდსა შინა ეკლესიებთა და მონასტერთა ზედა ღირს სახსოვარ წარწერათა სრულად; ხოლო მდებარეობათა მათთა შემოკლებით ღუბერსკის სეკრეტარის[203] და კავალერის დიმიტრი კონსტანტინეს ძის მეღვინეთხუცესოვის მიერ, დროსა მოგზაურობისა თვისსა 1848 წელსა[204].



Description des églises du District de Gori,
par M. Dimitri Méghvinetch-Khoutzéiof
1848.

[203] აქაც და დოკუმენტებშიც, სტილი დაცულია – ი. ა.

[204] Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვ. 76.

ყოვლადწმინდა მონასტერი ვერე და მისი წარწერები





სურათებზე: ა, ბ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გაკეთებული ვერეს მონასტრის ჩანახატი და მისი წარწერები; გ, დ, ე - ტაძრის თანამედროვე მდგომარეობა

ხიდისთავის უჩასტკაში

წერილი № 1 (იხ: სურ.: № 1, 2)

ეკლესია ესე სარკის წმ. გიორგი არის ფ˜დ დიდი გაუთლელის ქვით ნაშენი და შიგა ზოგან აგურჩატანებული სდგა საციციანო ტყიან მთათა შუა მაღლობზედ, რომელსა წინ უძევს მცირე ვაკე და გარს ტყეთა შინა მაღლობლად მისსა სჩანს ბერებთა სამყოფი ნასახლარები, ეკლესიასა ზედა გარედამ და შიგნით არა ვითარმე საჭირო წარწერილება არა იპოების. შიგ ასვენია ორი ხის ჯვარი ერთი დიდი, მეორე პატარა, რომელთ ზედა ეგრეთვე არა სწერია, მხოლოდ რომელ ქვაზედაც პატარა ჯვარი დგა, იმ ქვაზედ სწერია სამკუთხეზედ ესრედ[205]:



სურათი № 1

[205] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 80.



სურ. № 2

№ 2

ყინცვისის წ˜ს ნიკოლოზის მონასტერი ყ˜დ უცხო სრულიად წმინდა აგურით ნაშენი დიდი და მაღალი გუმბათიანი სდგა საციციანოს ტყეთა შუა მაღლობზედ და მთანი მაღალნი დაბურულნი ფურცლით ზედა დასცქერიან. დასავლეთის მხრით უდგა პატარა ერთი დაქცეული ქვისა და მეორე შეურყეველი ნათალის ქვისავე ეკლესიები, მონასტერი შიგნიდან არის შემკული ბერძნულის მხატვრობით. ეგრეთვე დაქცეულის ეკლესიის საკურთხეველი და სხუა არა რა გარედამ წარწერილობა არა სჩანს. შიგ მონასტერში აღმოსავლეთით და დასავლეთით ორთა კამარასა ზედა თუმცა სჩანს ნაწერი, გარნა ფრინველთაგან თეთრად წამხდარია და ძლივსღა განირჩევა ნიკროსკოპით დიდროანი ასონი[206] ესენი აღმოსავლეთით (სურ. 3)“[207]:

ამავე დიდს ეკლესიაში დასავლეთით ჩრდილოეთის მხრის კედელზედ არის დახატული ესრედ (სურ. 4):



სურ. № 3

---

206 აღნიშნულის გამო, მეღვინეთხუცესიშვილს წარწერა ხარვეზებით გადმოუწერია: „ლთი ჩმი...თ: ვე: და სახვლსა და მდაბლსა”. ანალოგიურად აქვს წარწერა მოტანილი ბროსეს. რაც შეეხება, წარწერაში „ი”-სა და „თ”-ს შორის მოთავსებულ სამ გრაფიკულ ასოს, ისინი ქართული ანბანის „ც”-სა და „ჴ”-ს ემსგავსებიან, თუმცა, შინაარსი იკარგება. აღნიშნული გრაფიკული ასოები გაუგებარი დარჩენილა მ. ბროსესთვისაც (იხ: (**M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 97).

207 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 81-R.

სურ. № 4

ხიდისთავის უჩასტკაში № 3

მძოვრეთის ხეობაში, სადაცა შეკრებით მდგარან თავადნი ციციანი, მათ სასახლესთან არის მცირე ეკკლესია კარიბჭეში, რომელზედაც სწერია[208] (იხ: სურ. 5) შიგნით საკურთხევლის კედელზედ მარჯვნივ აქავ მაღლა მთაზედ დგა ციხე მტერ შეუვალი, სადაც, თუმცა, წარწერილება არა იპოების გარნა შენობა მისი არის ღირს სახსოვარი. იტყვიან აქაურნი თანი ციციანი ვითამცა ოდეს უნახავს მათ მდგარან მუნ ოვსნი,

[208] წარწერას ბროსე ზუსტად იმგვარად კითხულობს, როგორც ეს დ. მელვინეთხუცესიშვილს აქვს გადმოწერილი № 5 სურათზე: „ყ[ოვლა]დ წ[მინ]დაო ღთ[ი]ს მშ[ობ]ლო ყოველთ[ა] შეწოხებოლთ[ა] ქრისტიანეთა ... შეიწყალე სოლი მონისა შენისა დიდებოლისა ნოდარ ... შეონდე ოკონისამდე ამინ“ (**M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 99).

მაშინდელნი იყო ერთი კოშკი რომელიც აქ საისრების სასროლი ალაგები და შემდგომად ციციანი ზედ მიედგათ ციხე[209]



სურ. № 5

ხიდისთავის უჩასტკაში № 4

სოფელსა წრომს დიდი მონასტერი ყ˜დ წმინდისა მშვენივრად თლილის ქვით ნაგები და აიასოფიის კენჭებით შემკული საკურთხევლისაცა, სდგა საშუალ მცხოვრებთა ვაკეზედ, გუმბათი და სხვა არის დაქცეული, მაზედ არ სად არა რა წარწერილება არა სჩანს რა, მხოლოდ გარედამ სამხრეთის კედელზედ მაღლა ქვაზედ არის ამოჭრილი ეს ასოები[210] (იხ: სურ. 6)[211].



სურ. № 6

ხიდისთავის უჩასტკაში № 5

წვიმოეთის თავს საციციანო ტყეში მაღლობზედ სდგა თლილის ქვით ნაგები მონასტერი ნათლის მცემლის უგუნბათო ცა დაქცეული, რომელზედაც გარედამ აღმოსავლეთის კედელზედ ფანჯრის სიახლედ სწერია ესრედ[212] (სურ. 7)[213]:

---

[209] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 81-r.

[210] სიმაღლის გამო, დ. მელვინეთხუცესიშვილს წარწერა ხარვეზებით ამოუწერია, რის გამოც ბროსესაც ვერ წაუკითხავს. იგი მეორე სტრიქონის პირველი სიტყვის ბოლო ორი ასოსა (Ⴓ ⴓ) და მომდევნო ქარაგმიდან (ⴗⴗⴚ) გამომდინარე, კითხულობს „წ~ო ... დეკანოზი ბარნაბა შ~ე?“, მაგრამ წაკითხულის სისწორეში ვერ დარწმუნებულა და ბოლოს კითხვის ნიშანი დაუსვამს (**M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 99). დღეისათვის წარწერა შემდეგნაირადაა წაკითხული: „წ[მიდა]ო ეკ[ლესი]აო ს[ტე]ფ[ანო]ზ გ[ა]ბაი (გაბარაი? გარბანელი?) შ[ეიწყალ]ე“ (იხ: ქართული წარწერების კორპუსი I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 169).

[211] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 82.



სურათი № 7



სურათი № 8

---

212 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 83-R.

213 ბროსეს „რაპორტებში" წარწერა იმგვარად აქვს მოტანილი, როგორც დ. მეღვინეთხუცესიშვილი გადმოგვცემს № 7 სურათზე: „ს[ა]ხ[ე]ლითა ღთ[ი]სათა მე გლახაკმან ანნა ვიწყე შენებად წმინდისა ამის ეკლესიისა საყოფელსა წ[მინდ]ისა ნათლისმცემლისა სალოცველად ად[იდენ] ღ[მერთმა]ნ ძლიერისა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურატ პალატისა და ძისა მათისა გიორგი ოფლისწულისა და მეფისა ჩ[ვე]ნისა და სახსრად ცოდვილისა სოლისა ჩემისათჳს და მოსახსენიებლად სოლისა მშობელთა და მამათა ჩემთათჳს ქ[ო]რ[ო]ნ[ი]კ[ონ]ი სკბ. წი † იე. (**M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 99). დღეისათვის გარკვეულია, რომ „ანნას" ნაცვლად უნდა წავიკითხოთ „ანანია", გურანდუხტ დედოფალთან დაახლოებული მთავარეპისკოპოსი და ძლიერი ფეოდალი, რომელსაც აუშენებია წვიმოეთის ნათლისმცემლის ეკლესია (იხ: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 460).

ამავე ეკლესიაში დასავლეთით არის მაღალ ფანჯარა მშვენიერის შაბაქით გარეშე მოჭრილი, რომელზედაც ორივეს მხრით სწერია დიდრონი ასოებით ზოგი ძნელად გასარჩევი[214] (სურ. 8)[215]:

ბორჯომის ხეობაში № 6

სოფელსა დაბას ბორჯომის ხეობაში წყალ გამოღმა დასავლეთის მხრით კლდე არს გამოკვეთილი და მის ძირში სდგა ეკელესია სუფთათ თლილის ლურჯის ქვით ნაგები, რომლის აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარე არის მშვენიერი შაბაქა მოჭრილი, ამის მისავალს დასავლეთი მხრით კარების თავზედ მაღლა მსხდომით და სინგურ წასმულის ასოებით სწერია ესრედ[216] (სურ. 9)[217]:



სურათი № 9

---

[214] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 83.

[215] მიუხედავად სვეტის თავსა და ბოლოში (სურ. № 8) დ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილი წარწერის ბუნდოვანებისა, წარწერა მთლიანობაში მაინც იკითხება: „ქ. წმინდაო ნათლისმცემელო (ამ ადგილს ბროსე კითხულობს: „ქ. უფალო ნათლისაო", **M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 101) შეიწყალე და ადიდე გურანდუხტ დედოფალი ორთავე შინა ცხოვრებათა, ქ. ოფალო იესო ქრისტე შეიწყალე და ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ აფხაზთა კუროპალატი მოეც ძლევაი მტერთა ზედა ხილულთა და უხილველთა" (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 460).

[216] მ. ბროსე წარწერას ნაწილობრივ განსხვავებულად კითხულობს, თუმცა, დ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილი წარწერის ძირითადი შინაარსი არ ირღვევა: „ინდიქტიონსა მ[ე]ფ[ე]თ მ[ე]ფის გ[იორ]გ[ი]სა ძის დიმიტრისა მეცხრ[ამე]ტისა (ბროსე - „მაცხოვრისა", **Brosset**, Rapports..., III, გვ. 102) სიტყ[ვი]სა ღ[ვ]თისა ხ[ო]რცთშ[ე]სხმ[ი]ს მ[ი]ზ[ე]ზით (ბროსე - „მსასოებელო", **Brosset**, Rapports..., III, გვ. 102) აღვაშ[ე]ნე ტაძ[ა]რი ესე ჟ[ა]მსა მ[ე]ფ[ე]თ მ[ე]ფის გ[იორ]გ[ი]სა მე მ[ო]ლარ[ე]თხ[უ]ცისა, ქ[ო]რ[ო]ნ[ი]კ[ო]ნ კა". ე. ი. წარწერა დაბის ეკლესიაზე შესრულებულია 1333 წელს (1312+21=1333 წ.), „მეცხრამეტე" ინდიქტიონით გიორგი V გამეფებულა 1314 წელს. დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული თვალსაზრისით, გიორგი V გამეფდა 1318 წელს.

[217] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 84-R.

№ 7

ბორჯომის ხეობაშივე კიმოთის მანის მონასტერთან მიმავალს მარჯვნივ არის ფ˜დ მაღალი სალი კლდე, ჩამოქანებული უდაბნო ყრუს ალაგს და არტყია მას ირგვლივ დაბურული ტყე ბნელი, იმ კლდეში არის მაღლა გამოქვაბულები მრავალი, სადაც არ შეიძლება ამ ჟამათ ასვლა და ნახვა მათი შინაგან, რადგანცა აღარ სითღა უჩანს გზა, არცა ზევიდამ არცა რომლისამე კუთხიდამ მოევლების, გამოქვაბულები ესენი განიშინჯების მხოლოდ შორიდამ დურბინდით, მათ შორის არ არიან რომელნიმე ქვით ნაშენი და დღესაცა სჩანს მათი ხის ამყოლები და შებმული კარებები ხისავე, ძირს უდის ხევის მდინარე ტყით დაბურული[218].

ბორჯომის ხეობაში № 8

კიმოთის მანის მონასტერი ესე წითელი აგურით სუფთად ნაგები გუმბათში ჩინურ ნახმარი და თლილის ლურჯი ქვით დახურული სდგა მივარდნილს ყრუ უდაბნოს ალაგს დაბლობში მცირე ვაკესა ზედა ბორჯომის ხეობაში, სადაცა გარს დიდროანნი ტყიანნი მთანი აღიმართებიან და თჳნიერ ნადირისა არა იპოების რა, აღმოსავლეთით უდის ხევში პატარა მდინარე კიმოთის მანის გემოანი და სუფთა წყალი. მახლობლად ეკკლესიისა სჩანან ნასახლარები მუნ მცხოვრებთა ბერებთა, აკლდამა ქვითკირის მათის ძვლები სავსე და პალატისა მხოლოდღა კარიბჭე ჩამოქცეული, წინ მისავალზედ უდგა სამრეკლო დიდი თავ მოქცეული, თვით ეკკლესია ორს სვეტზედ სდგას, სიგრძე აქვს ოცდა თვრამეტი, სიგანე ჩვიდმეტი არშინი, ამისივე საფერად მაღლა აქვს გუმბათი, კარიბჭე აქვს ნათალის ქვისა უცხოდ შაბაქა მოჭრილი, შიგნით ბერძნულის მხატვრობით შემკობილი, გარნა ჟამთა ვითარებისა გამო ზოგან ჩამოდის წვიმა და მით კედლები ჩამორეცხილია, შიგნით და გარეთ არსად არა რაი საჭირო წარწერილობა არა იპოების, არცა საფლავი ვისიმე სჩანს გამოსაცნობის წარწერით, მხოლოდ ერთს ალაგას გდია მარმარილოს ნატეხი[219].

სურამის უჩასტკაში № 9

სოფელს იტრიის მონასტერი ასე ლურჯით ნათალი ქვით ნაგები სდგა დაბლობში ვაკეზედ, რომლისა დასავლეთის მხარეს სამრეკლოს კარებზედ დიდ ქვაზედ სწერია მხედრულის ასოებით ესე: **ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა და ძალითა ამის მონასტერისათა ჴელ ვყავ და აღვაშენეთ ესე სამრეკლო და სენაკები და გალავანი ჩუ**

[218] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 84.
[219] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 85, 85-v.

ჩხეიძემ ბეჟან და წინამძღვარმან ნიკოლოზ დღეთა ჩუცნთა წარსამართებლად და სულისა ჩუცნის საოხად, მეფობასა როსტომისასა დედოფლობასა დადიანის ასულის მარიამისასა მრავალნიცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი ქკს ტმდ (=1656).

ესევე სწერია აღმოსავლეთის მხარეს ამავე სამრეკლოს ფანჯარის თავზედ. თჳთ ეკლესიაზედ დასავლეთისკენ კარებთან ძირს მარჯვნივ ქვაზედ არის ამოჭრილი ასოები ესრედ: **ქ. ღმთო შ˜იწე საბა აღებეთ ღ˜თ ეიმზ.** შიგნით მარჯვნივ კარებთან: **ქ. ღთო შეიწე პაატა.** სხვა კედლებზედ ნაწერი არა იპოება რა. ეკკლესიაში ასვენია მრავალ ნაწილიანი ხატი, რომელზედა ძირს და ზურგზე სწერია[220]: **მე სასოებით მონდობილმან საფარავათა შენთამან გურგ ასლანიშვილმან ბეჟან და ძეთა ჩვენთა ქაიხოსრო მოვაჭედინეთ და შევამკევით ხატი ესე მრავალ ნაწილიანი დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ და სულისა ჩვენისა საოხად. თჳთ საყდრის მეტი შენამ არა დაგვხდომიარა ყველა ჩვენის მოღვაწებით მოვრთევით რაც ოდენ ძალ გვედვა და ექვსი კვამლი ჩუმათელიძეები ჩხეიძე შევაწირვინეთ ქკ˜ს ტნდ** (=1666). ეკკლესიაში მარცხნივ არის დიდი საფლავის ქვა, ზედა სწერია მხედრულის დიდის ასოებით: **ჩვენ მთავარეპისკოპოზი ჩხეიძე.** სხვა აღარა სჩან[221].

№ 10

მონასტერი ესე დიდი თლილის ქვით ნაშენი არის დიდებული სოფელსა თიღვას მიძინების მღთის მშობლის სახელზედ ვითამცა იტყვიან მუნ მცხოვრებნი. გარს ავლია დაქცეული გალავანი და სჩანან ნასახლარები გალავანშივე გუმბათი აქვს აგურით დახურული[222] ხოლო სხუა თლილი ქვაა, რომელიცა თითო ქვის სიგრძე ოთხი და სამი არშინია, ეგრეთვე შიგნით. თჳთ ეკკლესიას სიგრძე აქვს 34 და სიგანე 21 არშინი. თუმცა ძველია ფ˜დ, გარნა წირვა ლოცვა დღესაც მოისმინების შიგ. ჩრდილოეთის მხრით ფანჯრის თავზედ სწერია (სურ. 10)[223]:

---

[220] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 86.

[221] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 86-v.

[222] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 87.

[223] თიღვის მონასტერი შესწავლილია და სხვადასხვა ავტორების მიერ შესაბამისი გამოკვლევებიც მიეძღვნა (იხ: ლ. რჩეულიშვილი. თიღვა, თბ., 1960; ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 151; ს. მაკალათია, ფრონეს ხეობა, თბ., 1963 და სხვ.). როგორც სერგი მაკალათია აღნიშნავს, ეს წარწერა პირველად გადმოიღო მეღვინეთხუციშვილმა, შემდეგ უვაროვამ (თუმცა, უვაროვას მხოლოდ „ალსაძის" მოსახსენიებელი წარწერა აქვს მოყვანილი და თამარის წარწერას არ ახსენებს, იხ: П. Уварова. Тигви. Материалы по археологии Кавказа, вып. IV, Москва 1894, გვ. 171-172), მაგრამ წარწერის ტექსტი არ იყო მართებულად წაკითხული. წარწერა სრულყოფილად

გარდა ამისა სხვა არა რა წარწერილობა არა სჩანს, ეკკლესიაში, თუმცა არიან დიდროანნი საფლავის ქვები წარწერითა, გარნა სიძველისა გამო ვერ ამოიკითხების ნაწერი[224].



სურ. № 10

№ 11

სოფელს ატოცს სურამის უჩასტკაში ყოფილა ნათალის ქვით ნაგები ეკკლესია ციხეში აწ დაქცეული, რომელზედაც არა არის ღირსი ხსოვნისა. ხოლო ამავე სოფლის მცირედ განაპირებით მაღლობზედ სდგა პატარა ეკკლესია ქვიტკირით ნაშენი, სადაცა ასვენია ხატი წ~ს გიორგისა სასწაულთ მოქმედი, ამ ხატის ზურგზედ ეტყობა ყოფილა ნაწერი და სიძველისაგან ვერცხლისა ასოები სრულიად აღარა სჩანს გამოსაცნობად ჰაზრისა. მეორეს პატარა ხატზედ ოქროთი მოჭედილზედ სწერია გარს მხედრულის ასოებით:

ქ. შეწევნითა ღმერთო შენითა ჩუ~ნ ზაალ ფალავანდიშვილისა ასულმან და სულისა ჩუ~ნისა საოხად ვინცა იხილოთ შენდობა ბძანეთ, ვინცა გამოსწიროს ის შერისხვდეს ქრისტე ატოცს პატიოსანს ჯვარცმას წინ გიორგი ჩუ~ნდა სადღეგრძელოდ.

გარეთ ეკკლესიის კარების თავზედ სამხრეთით სწერია:

წაიკითხა აკაკი შანიძემ, რომელმაც მას ლექსის ფორმა მისცა (ვსარგებლობთ ს. მაკალათიას ნაშრომით, „ფრონეს ხეობა", თბ., 1963, გვ. 56):

ქმნულებამან რაჲ აქისა სოფლისამან
სხჳსაჲ მიიღოს დაწყება ყოფადისაჲ
მოქმედებითა შენ ზედა ჯჳვარცმულისა
ქრისტჱს ღმრთისაჲთა რომელსა მიმართ ჟამასა
მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარ".

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, თიღვის მონასტრის აღმშენებელ თამარში დავით აღმაშენებლის ქალიშვილი უნდა ვიგულისხმოთ (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 324)

[224] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 88-r.

ქ. აქა ღვაწლისა მძლეველო გიორგი შემწე მეყავ ბატონიშვილის ლევანს, რომელმან აღვაშენე მეორედ ეკკლესია ესე სულისა ჩემსა საოხად და ცოდვათა ჩამთ შესანდობლად დღეთა ჩუ~ნთა სადღეგრძელოდ[225].

№ 12

სოფელს ოქონას სურამის უჩასტკაში მაღალსა ალაგსა ზედა თავდაღმა სდგა დიდი დაქცეული ეკლესია თლილის ქვით ნაგები და შიგან აგურ ნახმარი. აწ სჩანს რომელ ოდესმე იქმნებოდა იგი მშვენიერი სანახავი შიგნით ნახატი და სამხრეთის მხარეს კედელზედ გამოსახულია ამ გვარად (სურ. 11) გარნა ძლივსღა განირჩევის სხუა არსად არა რა წარწერილობა არსად იპოების მეორეს[226] პატარა ხის ეკკლესიაში ასვენია ოქონისა ღთაების პატარა ხატი თორმეტი საუფლო შაბაქით ამოკვეთილი ივლისი, ამ ხატის ზურგზედ აწერია ჯვარის გარშემო (სურ. 12)[227]:

სურ. № 11



სურ. № 12

აქაურნი მცხოვრებნი იტყვიან, ხატი ესე ცუდის დროსა ყოფილა მისირში დაკარგული და რომელსამე ციციშვილსა მოუსვენებია აქავ.

---

225 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 88.

226 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 89-R.

227 „ოქონის ხატო შეიწყალე კათალიკოსი ევდემონ უღირსი ამინ". აღნიშნულთან დაკავშირებით ვრცლად, იხ: ჩვენი ნაშრომი, ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან, თბ., 2012. გვ. 30-31.

№ 13

სოფელს ერკნეთს არის ძველი ეკკლესია მცირე ღთ~ს სახელზედ აშენებული ქვიტკირით, სადაც ასვენია ივერიის ღთ\ს მშობლის ხატი პატარა და განაგებს მუნ არხიმანდრიტი ბერძნისა რაფაილ, აქა არა რა საჭირო ღირს სახსოვარი არა იყო რა, არცარა წარწერილობა სჩანდა სადამე.

№ 14

სოფელსა ბრეთს არის პატარა ეკკლესია ქვიტკირის ძველი. ამ ეკლესიაში ასვენია ბორჯომის ეკკლესიის ხატები და ჯვრები ძველები[228], ერთს ვერცხლით შეჭედილ ჯვარზედ რომელიცა არის სიმაღლე ხუთი (რუსული) სწერია ესრედ (სურ. 13)[229]:



სურ. № 13



სურ. № 14-15

მეორე ჯვარზედ, რომელიცა არს ადლ ნახევარი ვერცხლით შეჭედილი, სწერია: **სთ და ვიმიე მე ბატონმან გოგიბაშვილმან ბატონმან პაატამ და თანამეცხედრემან ჩემან ბატონმან ავალის ასულმან ბატონმა ელენემ ჩუ~ნად მოსახსენებლად და ჩვენის ცოდვილის სულისათვის.**

---

228 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 89.

229 ,,ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფის ძეი მეფეთა მეფისა ...ნი ქ[რისტ]ე შ[ეიწყალ]ე მართა დედოფალი. ქე...თ ამაი მ[ი]ქ[ე]ლ რლია ფარგლისთა შეიქ...” (**M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 109).

წ˜დ გიორგის ოქროთი მოჭედილს პატარა ხატზე ირგვლივ სწერია: **ქ. მოიხსენე უფალო მონა შენი გიორგი ავალიშვილი სადგერისა ხეობის მოურავმან ბიძინამ, რომელმა მოჭედა ხატი ესე წ˜ს გიორგის სახსრად სულისა ჩუ~ნად კეთილ დასაფარავად ჩუ~ნად ქ˜კს უი. ვინცა წაიკითხოს შენდობა ებრძანოს.** მეორე ვერცხლით მოჭედილს წ~ს გიორგის ხატზედ სწერია[230] (სურ. 14-15)[231]:

პატარა ხატის ზურგზე ვერცხლზედა არის გამოსახული ჯვარი და ზედ სწერია ასე (სურ. 16)[232]:



სურ. № 16

დიდ ხატზე იოანე ნათლის მცემლისა ოქროთი და ვერცხლით მოჭედილზედა სწერია[233] (სურ. 17):



სურ. № 17

---

230 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 90-r.

231 „შემწე მეყავ მკობ[ა]სა შენსა გამგებელს ვახტანგს ბატონიშვილს შ[ე]ნ კ[ა]რო ღ[ვთი]საო და ძეო მ[ა]მისაო ევმ[ე]ნ[ი]ოლ და მხ[სნე]ლო ადამისაო ი[ე]სო ქ[რისტ]ე შეიწყალე გვ[ე]ყ[ა]ვ ჩ[უე]ნ ბა[ტ]ო[ნიშვი]ლ ლევან და თანა მეცხ[ე]დრესა თინათინს რ[ომ]ელთა მოვა[ჭ]დინეთ ხატი ესე მაცხოვრისა შიშთახევისა მეორედ დამწვარი დღეთა ჩ[ვე]ნთა სადღეგრძელოდ და ძეთა ჩ[ვე]ნთა ქ[ორო]ნ[იკონ]ს ტობ” (=1684 წ.). ცნობილია, რომ ვახტანგ VI-ის მამა - ლევანი ორცოლიანი იყო. პირველი მეუღლე იყო თუთა გურიელი, რომელიც გარდაიცვალა 1678 წლის 11 ოქტომბერს. ამის შემდეგ, ლევანმა მეორე ცოლად, წარწერაში მოხსენიებული თინათინ ავალიშვილი შეირთო. ვახტანგ ბატონიშვილი ხატის მოჭედისას 9 წლის ყოფილა (დაიბადა 1675 წელს).

232 „ძალითა ღთისათა მოსავთა ქ[რისტ]ე[ა]ნ[ე]თა და ჩ[უე]ნდა შესანდობლად გასამრავლათ წყალობათა ღთისათა მე ავალოვმა და თანა მეცხედრემან ჩ[ვენმა]ნ მარიამ მოვა[ჭ]დინეთ ხატი ესე მაცხოვრისა სადიდებლად ჩუენდა სადღეგრძელოდ”.

233 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 90.

მისსა გარდაფარებულია წმინდა მაუდი და ინთების ყოველს ჟამს კელაპტარი. აქავე არის ძველი სახარება ეტრატზედ დაწერილი ერთ ფურცელზედ ეწერა ძლივს წასაკითხის ასოებით ესე: **სახიერისა ღ˜თის მშობელისა, ოქრომჭედლისა სამი ჩარექი ვერცხლი მისსა სარგებელსა ასისა თანგისა ცვილსა მიართმევდე და ნახევ ლიტრასა სანთლისა გულსა მიართმევდეს სხვა ამასთან სათხოვარი არა გეთხოებოდეს რა ხატის სამსახურის მეტი წელიწადიდგან ამას მივართმევდეთ ერთისა სათათარისა შალისა მეტი დაიწერა ესე წლითგან ქ˜კს სლბ**[234] (=1544 წ.) **თიბათვის კე** (ივნისის 25).

სახარების ყდებზედ ვერცხლზედა სწერია (სურ. 18):



სურათი № 18



სურათი № 19

ამავე სახარების მეორე ყდაზე სწერია ესრედ[235] (სურ. 19)[236]:

---

[234] რატომღაც, მარი ბროსე წარწერას 1744 წლით ათარიღებს, თუმცა ქორონიკონს სწორად (232) უთითებს (**M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 112).

[235] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 91-R

№ 15

სოფელსა არადეთს სურამის უჩასტკასა შინა სდგა მაღალს ვაკესა ზედა კოშკზედ მიდგმული პატარა ეკლესია, სადაც ასვენია ხატი წ~ს საბასი ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი ნაწილებით სავსე, აქაურნი მცხოვრებნი იტყვიან: ხატი ესე იყოს მოტანილი ახალციხის საფაშოდამ აზნაურთა იშხნელთა მიერ, რომელზედაც სწერია: **შემწე მეყავ მოსავსა შენსა შენის ჯვარცმისათვის ჯვარცმულად მის მიერ დიდებულო წმინდაო საბაო დღესა განკითხვისასა ვახტანგის ძეთა მეფეთასა**[237].



სურ. № 20

ამავ ეკლესიაში ასვენია ვარცხლით მოჭედილი ხე წ~ს საბას მკლავის მსგავსად გაკეთებული ფ~დ ძველი და არა რა მაზედ წარწერა აღარა სჩანს. გარდა ამისი ძველს ნახატ კანკელზედ სწერია (სურ. 20)[238]:



სურ. № 21

---

236 „ქ. მე ფ[რია]დ ცოდვ[ი]ლმ[ა]ნ შ[ა]ლ[ი]კ[ა]შვილ[ი]ს ასოლმან თ[ა]ნამეცხედრ[ე]მ[ა]ნ ფ[ა]ნ[ა]სკერტელს ფ[ა]რს[ა]დ[ა]ნს მნგოლდმ (გოულდმან - **M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 112.) ხელვყავ დიდებულისა ზვრისა ღთის მშობელსა ოთხთავისა შემკობად სახსრად სულისა ორთავე ჩუენ მეოღლეთა და სადღეგრძელოთა ჩემთა ა[მი]ნ".

237 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 91.

238 „ქ. შეწევნითა ღთისათა შენითა ფ~დ ცოდვილმან მერისლიძემ ორბნელ ეპისკოპოსმან პატრონმან ელისე ...კანკელი ესე შენთვის გავალესვინე დავახატვინე კრამიტით დავხურევით და შევამკევით ხატებით პატიოსანი ტაძარი ესე წმინდასა უდაბნოსა განმანათლებელსა მამათ მამისა საბასა ...სახსოვრად და ცოდვილთა ჩუენთა შესანდობლად ...გვიბრძანებდეთ ქკსა ტჟვ".

ძირს კიდევ კანკელზედ სწერია (სურ. 21)[239]:

გარედამ ეკლესიის კარების თავზედ სამხრეთით სწერია ესრედ[240] (სურ. 22-23)[241]:



სურათი № 22-23

№ 16

სოფელსა საღოლაშენს სურამის უჩასტკასა შინა სდგა საშუალ მცხოვრებთა მცირე ეკლესია ქვიტკირის აღშენებული თავადი ამირეჯიბებთაგან, სადაცა ასვენია ღ~ს მშობლის ხატი მშვენიერი და ნახატი მხატვრობა სასწაულთ მოქმედი ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერილი. სიდიდით არს ერთი ადლი და ნახევარ ჩარექი. ზედა სწერია: **ეჰა საყდარო ღვთისა მაღლისაო დედაო უბიწოდ მშობელო ღვთისა სიტყვისაო მშობელო ქალწულო მარიამ ზეცათა დედოფალო (?) ოდეს ჟამთა ვითარებისგან შენი ესე წმინდა ტაძარი უძღებისა მტერთაგან მოოხრებულ იყო[242] და შენი განმაცხოველებელი ყ~დ წმინდა ხატი მტრის შიშით შინდიშის სოფელში[243]**

---

239 „შემოგწირეთ ჩვენ სტიხარი ...სარტყელი საბუხრეები (?) ფილონი ...მეფისა და დიდისა დღესა განკითხვისასა ამინ".

240 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 92-R.

241 „ჩუენ დადიანის ასულმან დედოფალმან პატრონმან მარიამ აღვაშენე ეკლესია ესე და შევწირეთ წმინდასა და ღთით შემოსილსა მამათ მამასა საბას რათა ოკონისამდე ეგოს მას შინა და მეოხ ექმნას სულისა ჩემსა დღესა მას განკითხვისასა ამინ: ქკს ტნდ".

242 მარი ბროსე წარწერას ამგვარადვე კითხულობს (Brosset M., *Rapports sur un vouage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848,* SPB 1851, VI, გვ. 114-115). თუმცა, თედო ჟორდანია, სიტყვების: „ესე წმინდა ტაძარი უძღებისა მტერთაგან მოოხრებულ იყო", ნაცვლად წერს: „ესე წმინდა ტაძარი ულუმბიისა მტერთაგან მოოხრებული იყო". იხ: *„ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ,* III, 394.

243 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 92.

დასახიზნავათ შეენახათ და იქ წინ აღმთებელის სამთლის დარჩომით დამწვარ იყო შენი შემკულება და როდესაც მადლითა შენითა დაფარულმან მონამან და მსასოებელმან შენმან ამირაჯიბმან მიმბაშმან ზაზამ გიხილე და ვიგულის მოდგინე კვალად მოჭედვითა შემკულობა და განახლება შენი სამკაულითავე შენითა და საფასისა წარსაგებელითა ჩემითა სადიდებლად მეფისა ჩემისა ირაკლი მეორისა და დასაცველად მეუღლისა ჩემისა ჩოლაყაშვილის ასულის ქეთევანისა და ძმათა და შვილთა ჩემთა საფარველად თთვესა ივლის იე: წელსა ჩღპზ ქკს უოე (=1787 წ.).

ამავე ეკკლესიაში არის ძველი სახარება ეტრატზედ სწერია ესრედ: **ქ. ყ˜დ წმინდაო ღ˜ს მშობელო დედოფალო მარიამ ორსავე შინა ცხოვრებასა წინაშე მისსა შენისა და ღთის ჩვენისა მე დადიანის ასულის დედოფალ დედოფალს მარიამს ესე ხელახლად**[244] **შემოგწირე ოთხივე (?) ესე შენ ულუმბისა ღ˜ს მშობელო შეიწირე მცირე ესე შესაწირავი და ვინცა და რამანცა ესე შენ გამოგწიროს ჩვენთა ცოდვათათვის გაიკითხოს მას დიდსა განკითხვისასა. ამინ.**

№ 17

სოფელსა ბიეთს გორის უჩასტკასა შინა არის კლდეზედ შედგმული მაღლობზედ ტყეში მონასტერი ბიეთისა ფ~დ ძველი თლილის ქვისა, აქა საჭირო ზედა წარწერილება არა იპოების რა თვინიერ აღმოსავლეთის მხრით კარების თავზედ მაღლა, თუმცა ეტყობა ოდესმე[245] ყოფილა ნაწერი, გარნა სრულიად ასონი აღარ განირჩევის გამოთქმად ჰაზრისა, ხოლო შიგნით ერთ ქვაზედ სხედან ასონი ესენი: ⵟⵟⵖⵣ[246].

აქავ არის აკლდამა დიდი ძვლებით სავსე, ჩრდილოეთით იქვე ეკლესიასთან ნასახლარი ქვიტკირისა და კლდეზედ პატარა სენაკი. ამა მონასტერსა უწოდებენ ახლოს მისსა მცხოვრებნი აზნაურთა ყანჩაველიანთ მონასტრად და მათგან ყანჩაელი ვინმე ყოფილა მუნ წინამძღუარი.

№ 18

სოფელს კირბალს გორის უჩასტკასა შინა საშუალ მცხოვრებთა მაღლობზედ სდგა პატარა თლილის ქვის ეკლესია კოშკზედ მიდგმული, რომელზედ კარების თავზე სწერია:

---

[244] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 93-R.

[245] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 93.

[246] მ. ბროსე და დ. ბაქრაძე კითხულობენ „გაბრიელა” (**M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 116; **Д. Бакрадзе**. Кавказ в древних памятниках христианства, Тифл., 1875, გვ. 40), ნ. შოშიაშვილი - „გ[ა]ბ[ე]ლ[ა]ჲ” (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 195).

სახელითა ღვთისათა აღვაშენე ეკკლესია ესე ჩხეიძემ მთავარ ეპისკოპოზმა ნიკოლოზ ხელითა ჩემითა საოხად ქკს ტნია (=1673 წ.).

ესევე აღმოსავლეთით მაღლა ფანჯარასთან სწერია[247].

№ 19

სოფელს ჭალას საამილახროში ხიდისთავის უჩასტკაში არის პატარა ძველი ქვიტკირის ეკლესია და ამილახვრიანთ სასახლის გალავანში, სადაცა ასვენია ხატები და დიდი ჯვარი. ამ ჯვარზედ რომელიც არის სიმაღლით ვერცხლით მოჭედილზედ სწერია (სურ. 24)[248]:



სურ. № 24

ღვთის მშობლის ხატზედ სწერია[249] (სურ. 25)[250]:



სურ. № 25

---

247 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 94-R.

248 „ქ. ღმერთო და ჯვარო პატიოსანო ადიდე ორსავე ცხოვრებასა ზედგენიძე ამირინდო ამილახვარი და გორისა მოურავი რომელმან შეჭედა ჯვარი პატიოსანი და ცოდვანი მისნი შეუნდეს ღმერთმან ძმანი და შვილნი უცოცხლოს ღმერთმან და პატრონი გულქან ადღეგრძელე და ცოდვანი მისნი შეუნდვეს ღმერთმან და გამარჯვებით ამყოფენ“.

249 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 94.

250 „ჰოი დედოფალო ყოვლად წმინდაო ქალწულო ღვთისმშობელო მარიამ მეოხ შემწე და მფარველ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებათა დიდთა ქართველთა მეფეთა ასულსა თამარს რომელმან შეამკო ხატი თქვენი წმინდითა ოქროითა და თვალმარგალიტითა ქკ~ს ტკგ“. წარწერაში მოხსენიებული თამარი ვახტანგ V შაჰნავაზის ასული და გივი იოთამის ძე ამილახვრის მეუღლეა, რომელთა ინიციატივით განაახლეს და მოხატეს სამთავისის ტაძარი (იხ: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, გვ. 192).

მეორის ღთის მშობლის ხატზედ სწერია (სურ. 26)[251].



სურ. № 26

პატარა სვეტზედ სწერია: **ჩვენ გივი ამილახვრის ძემ გიორგი ეშიკაღაბაშმა მოვაჭედინეთ ხატი ესე წს გრიგოლსა სულის სახსრად ქ~კს უი** (=1722 წ.).

ოქროთი შეჭედილ ხატზედ სწერია[252] (სურ. 27-28)[253]:





სურ. № 27-28

[251] „ესე ყოვლად წმინდისა ხატი მოვაჭედინეთ ჩვენ პატრონის ანდუყაფარის ძემან ფარემუზ ჩვენად სულკურთხეულისა მამისა ჩვენისა სულისა სახსრად ...ლი ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო შეიწირე ჩვენი ესე კანონი კადრებად მცველ და მფარველ ექმენ დრესა მას დიდსა განკითხვისასა მამასა ჩუენსა ანდუყაფარს ამინ".

[252] „ეჰა საყდარო და სადგურო სულისა წმინდისაო უსაზღვროისა და უხილავისა ღვთისა ქვეყნად გარდამომყვანებელო ყოვლად წმინდაო ღთის მშობელო ჩვენ მსასოებელმან დაიცვა ფრთეთა შენდა მონდობილმან და მრავალთა ცოდვათა ჩვენთა მიერ გარე მოცულმან მე ამილახორმან გივმა თანამეცხედრემან ჩემმა ქართუელთ მეფის ასოლმან ბატონიშვილმან თამარ ვინებეთ ძალითა და შეწევნითა შენითა ხატისა ამის შენისა შემკობა მოვაჭედინეთ ოქროთი და ვერცხლით თვალითა დღეთა წარსამართებლად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად რათა ვიხსნეთ დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ქკ~ს ტო".

[253] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 95-R

№ 20

ამავე სოფელში სდგა დაბალსა ალაგს ვაკეზედ სამთავისის მონასტერი დიდი გუმბათიანი მშვენიერის თლილის ქვით ნაგები და გარს არტყია გალავანი, რომლისა კარიბჭეზედა დადგმულია სამრეკლო აგურით ნაშენი, გალავან შიგნით არის ციხე მიდგმული პატარა, ამის კედელში ძევს მრუდეთ ქვა და ზედ სწერია[254] (სურ. 29)[255]:

სურ. № 29

ამავე კედელში არის დაყოლილი ქვა, რომელზედაც სჩანს ნაწერი, გარნა ფ~დ სიძველისა გამო ასონი არღა განირჩევის.

თჳთ ეკკლესიაზედ აღმოსავლეთის მხრით მაღლა არს გამოკვეთილი უცხოდ შაბაქით ჯვარი და გარს უწერია ესე (სურ. 30)[256]:

სურ. № 30

---

254 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 95.

255 დ. მეღვინეთხუცესიშვილს წარწერა ხარვეზებით გადმოუწერია, რომელშიც გარჩევადი მხოლოდ მეორე სტრიქონია: „აღაშენა ქკნსა სო” (=1050 წ.). მ. ბროსეს წარწერის დასაწყისი და დასასრული გაურკვევია, თუმცა შუა ნაწილი მისთვისაც ბუნდოვნად დარჩენილა: „ქ. ხატო ღვთაებისაო ადვლნს შთის ეყოს სირე ეყჩსას რ[ომე]ლმან ჰწიდასა წხლი აღაშენა ქ[ორონი]კ[ო]ნსა სო” (**M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 123). დღეისათვის ხსენებული წარწერა შემდეგნაირადაა წაკითხული: ‚ქ. ხატო ღმრთაებისაო ადიდე ილარიონ სამთავნელ ეპისკოპოსი ძე ვაჩე ყანჩაელისა რომელმან მარანი და საწნახელი აღაშენა ქორონიკონსა სო” (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, გვ. 192).

256 ჯვრის ზედა ნაწილში წარწერა ბუნდოვანია და მხოლოდ საწყისი (ქ. ღ[მერთ]ო) და ბოლო სიტყვები (უკუნი[სამდე]?) ჩანს მკაფიოდ. წარწერის ეს ნაწილი შემდეგნაირად იკითხება: „ქ. ღმერთი მის შორის და იგი არა შეიძრას უკუნისამდე” (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, გვ. 192). ჯვრის ქვედა ნაწილი მეღვინეთხუცესიშვილს სრულყოფილად მოჰყავს: „ქ. ხატო ღვთ[ა]ებისაო შე[იწყა]ლე სოლი ილარ[ი]ონ რისა (ძისა - **M. Brosset**, Rapports..., SPB 1851, VI, გვ. 3-4) ვაჩე ყანჩაელისი”.

დასავლეთის მხარეს არის ნაწერი ორ ქვაზედ (სურ. 31)[257]:



სურ. № 31

ამავე მხარეს სადაცა არს მიდგმული კარიპჭე და მისგან ნახევარი ნაწერი დაფარულია, ესრედ სწერია რაც სჩანს[258] (სურ. 32)[259]:



სურ. № 32

ამავე მხარეს დიდ ქვაზედ კედელი დაყოლილზედ სწერია (სურ. 33)[260]:



სურ. № 33

შიგ ეკკლესიაში ასვენია ხატი ღვთაებისა, რომელზედაც სწერია მხედრულის ასოებით თჳთ ხატი ესე არის ოქროთი შეჭედილი სიმაღლით ერთი არშინი. **ქ. ეჰა ერთ არსებაო ერთგულებაო ერთ უშობელო და ძეო მხოლოდ შობილო სული წმინდაო**

---

257 „ჰოი დიდისა ამილახორისა თანა მეცხედრესა მეფეთ მეფისა ასულისა მეორედ აღმშენებელსა გაიანეს შეუნდოს ღმერთმან".

258 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 96-R

259 როგორც № 32 სურათზე ჩანს, დ. მეღვინეთხუცესიშვილს წარწერის მარჯვენა მხარე სრულად ვერ გადმოუწერია, ამიტომ სრულყოფილი არ არის. მთლიანობაში წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ქ. ხატო ღმრთაებისაო ადიდე შენ მიერ დამყარებული ძლიერი და უძლეველი ღმრთივ გვირგვინოსანი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთ მეფე გიორგი მე იოანე სამთავნელმან მეფობისა მათისამან აღვაშენე კარიბჭე ესე სალოცველად მეფობისა მათისა ინდიქტიონსა მეფობისა მათისასა იბ ქორონიკონი იყო ტპß". ე. ი. წარწერის მიხედვით, გიორგი III-ის მეფობისას იოანე სამთავნელს 1168 წელს მთავარი ტაძრისათვის კარიბჭე მიუშენებია (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, გვ. 196).

260 „ქ. ხატო ღვთაებისაო მეოხ ექმენ მეორედ აღმშენებელისა შვილისა სიაოშსა ამინ ოფალო ღმერთო".

მასსავე შორის განსვენებულო საყდარო და საყოფელო ერთისა ღვთაებისაო[261] **სამთავისის მონასტერო შეგავედრებ თავსა ჩვენსა და დავადებ სასოებასა ჩუენ ამილახვრის იოთამის შვილი ყორჩიბაში დემეტრე და თანა მეცხედრე ჩვენი ქსნის ერისთავი ასული თამარ, ოდეს ვიხილეთ ტაძარში თქუჷნი ჟამთა ვითარებისაგან უფროსი ხატი მოშლილიყო და ტაძარსა თქვენსა ადრე ესვენა, აღგჳძრა სურვილმან და ძლიერებამან თქუჷნმან და მოვაჭედინეთ და შევამკევით ხატი ესე მაცხოვრისა სულთა განმანათლებლად და ხორცთა მკურნალად და დავასვენეთ ტაძარსა და საყოფელსა თქუჷნსა სულისა ჩვენისა სახსრად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად, რათა მფარველ გვექმენ მადლი და ფარვა და გვიოხოს შეცოდებანი ჩუჷნი დღესა მას დიდსა განკითხვისასა ამინ ქკს ტნა** (=1663 წ)[262].

შიგნითვე სამხრეთით პატარა სამწირველოში მარცხნივ მაღლა კედელში არის დაყოლილი ქვა და ზედ ნაწერი გალესილი იყო, შემდგომ დახატული, რომელზედაც სწერია (სურ. 34)[263]:



სურ. № 34

№ 21

სოფელსა კასპს ხიდისთავის უჩასტკაში, პატარა ეკკლესია წ\ს თევდორისა ძველი სდგა მაღლობზედ და გარს არტყია დაქცეული ციხე გალავანი - ქვით კირისა, აქა არა რა ღირსი სახსოვარი ნაწერი არა იპოების[264].

№ 22

ხიდისთავის უჩასტკაში, აშურიანის თეთრად ხევშია მივარდნილს უდაბნოს ალაგს არის დაქცეული პატარა ეკკლესია ქვითა და აგურით ნაშენი მაღლობზედ ხევის პირს

---

[261] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 96. ალ. ხახანაშვილი ზემოხსენებულ წარწერას 1670 წლით („ქკ~ს ტნჲ“) ათარიღებს (იხ: А. Хаханов. Ксанское ущелье, Экспедиции на Кавказь, Материали по археологии Кавказа, вып. VII, Москва 1898, გვ. 46). თუმცა, ქართული ქორონიკონისათვის „ნ”-სა (=50) და „ჲ”-ს (=60) მეზობლობა შეუთავსებელია. 1670 წელს ვიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ „ჲ“ ზედმეტია, (ქკ~ი ტნჲ (358), 1312+358=1670).

[262] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 97-R

[263] როგორც მეღვინეთხუცესიშვილი, ისე ბროსე, წარწერას თითქმის ერთნაირად კითხულობენ: „ესე სრნი სალ. ესსლტყ სჲ. რემნ შეაბნაწყლობ ძცა ხატი სამთავსსა და მმსა და ძმათა მისთს” (**M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 124). პირველი სტრიქონისაგან განსხვავებით, წარწერის დანარჩენი ნაწილის წაკითხვა შეიძლება: „ესე სრნი სალ. შსსლტყს რ[ომ]ე[ლ]მ[ა]ნ შეაბნ[ი]ა წყ[ა]ლობ[ა]ცა ხ[ა]ტი სამთავ[ი]ს[ი]სა და მ[ა]მ[ი]სა და ძმათა მისთჳს”. აღსანიშნავია, რომ სამთავისის ტაძრის მიმოხილვაში (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, გვ. 191-197) ეს წარწერა მოხსენიებული არ არის.

[264] ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 97.

რომელსაცა ორივეს მხრით ჩაუდის ხევები და შიშველნი მთანი დასცქერიან ხევ გაღმა ჩრდილოთ მაღალს კლდეებში სჩანან მრავალნი გამოქვაბულნი აწ კაცთ შეუვალი უგზო უკვლო, სადაცა ოდესმე განდეგილთა ბერებთა უცხოვრიათ ეკკლესიაზედ აღმოსავლეთის მხარეს ქვასა ზედა სწერია ესრედ[265] (სურ. 35)[266]:



სურ. № 35

მეორე პატარა ქვაზედ აღმოსავლეთითკენვე სწერია[267] (სურ. 36)[268]:



სურ. № 36

სამხრეთისაკენ კარების კედელზედ მარცხნივ გარედამ სწერია (სურ. 37)[269]:



სურ. № 37

---

265 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 98-R

266 „ქ. სახელითა ღვთისათა მე ილარიონ სამთავნელმან ძემან ვაჩე ყანჩაელისამან აღვაშენე წმინდა ესე ეკლესია, საყოფელად წმინდისა ნათლისმცემლისა, ბრძანებითა ფასისა მიღებითა სულკურთ-ხეულისა მამისა ჩემისა ქორონიკონსა სნბ ვინ რაითაცა მიზეზითა ესე უდაბნოი წმინდისა საყდრისა სამთავისისა გამოხსკროლა („ამოჭუეს კროლია” - **M. Brosset**, Rapports..., III, გვ. 126) სიტყვითა ღვთისათა”.

267 ИВР РАН, фонд Н-78, გვ. 98.

268 „წმინდა იოანე ნათლის მცემელო შეეწიე”

269 „ქრისტე ადიდე შენმიერ დამყარებული უძლეველი ბაგრატ კორაპალატი რომლისათსა ზე აღეშენა წმიდა ესე ეკლესიაი სახლი წმინდისა ნათლისმცემლისა სალოცველად მეფობისა მათისა ხელითა ვემ (**ბროსე** - „ჩემ”, Rapports..., III, გვ. 126) გლახაკისა ილარიონ სამთავნელისა ძისა ვაჩე ყანჩაელისა”.

მოგზაურობა ქვემო ქართლსა და სომხითში

მეღვინეთხუცესიშვილის ქვემო ქართლსა და ისტორიულ სომხითში მოგზაურობის მასალები მკვლევარისა და მკითხველის ყურადღებას მრავალმხრივ იქცევს, რადგან აღწერილი ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი (ახპატი, სანაინი, ალავერდი, ახტალა, შამლუღი და სხვ.) ამჟამად საქართველოს აღარ ეკუთვნის და მეზობელი სომხეთის შემადგენლობაშია. დღიურები ასევე ძვირფასი დოკუმენტური წყაროა იმ პროცესის გასაცნობიერებლად, რაც ქვემო ქართლსა და ისტორიულ სომხითში, ჯერ გვიან ფეოდალურ ხანაში ისტორიული ბედუკულმართობის შედეგად შეიქმნა, ხოლო XIX საუკუნიდან უკვე რუსული ხელისუფლების მიერ მიზანმიმართული ხასიათი მიეცა ამ რეგიონის რუსიფიკაციისა და არმენიზაციის თვალსაზრისით. ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, როგორ იცვლება ეკლესია-მონასტრების ქართული (ასომთავრული, ნუსხური) წარწერები თანდათან სომხურით. როგორ ენაცვლებიან ბარათაშვილებსა და ციციშვილებს ჰარუნბეკოვები, არუთინები და მელიქოვები, თუმცა, საკომუნიკაციო ენა ამ ადგილებში ჯერ კიდევ ქართულია. როგორ კნინდება ქართველების როლი ეკლესია-მონასტრების რესტავრაციის პროცესში (ენაცვლებიან ბერძნები და რუსები). წარმოაჩენს საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებას (გახშირებულია ყაჩაღობის, მკვლელობის შემთხვევები, ეკლესიათა უმეტესობა „ცა დაქცეული", დანგრეული, მიტოვებული და „გატყევებულია").

ტერმინი „სომხითი" და მისი ლოკალიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ვფიქრობთ, საკმაოდ გარკვეულია[270] და ზედმეტ განმარტებებს არ საჭიროებს. XIX ს-ის შუა ხანებისათვის ეს ადგილები ერთი ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში შედიოდა და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობის მიზანს ეკლესია-მონასტრების და იქ არსებული სიწმინდეების რეალური მდგომარეობის აღწერა შეადგენდა და არა ეთნიკური კუთვნილების საკითხების გარკვევა.

---

[270] იხ: **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 50, 275, 311, 404, 708; **ივ. ჯავახიშვილი**. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919, გვ. 20-43; **დევი ბერძენიშვილი**. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), I, თბ., 1979, გვ. 3-103; **ზაზა აბაშიძე, ვალერი ვაშაკიძე, ნათია მირიანაშვილი, გიორგი ჭეიშვილი.** ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძვ. დროიდან დღემდე), თბ., 2014, გვ. 16-17; 69-71; 82-87 და სხვ.

1850 წლის მაის-ივლისში მეღვინეთხუცესიშვილმა დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა და სურვილი ჰქონდა გურია-აჭარაც მოევლო, მაგრამ იმ დროისათვის ეს შეუძლებელი იყო, რადგან საქართველოს ეს ძირძველი ტერიტორია ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული.

ქართლში დაბრუნებული დიმიტრი დროს უქმად მაინც არ ჰკარგავს და ოქტომბერში ქვემო ქართლში მოგზაურობას იწყებს. 3 ოქტომბერს იგი გასულა თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და მისულა სოფ. სა...ორს[271]. აქედან მეგზურებს წაუყვანიათ და სამი ვერსის მოშორებით ერთ ღრმა ხევში უჩვენებიათ დიდი და დაქცეული მონასტერი, თლილი ქვის, აგურ ნარევი. სამხრეთის კედელში კარების თავზე ყოფილა მხედრული წარწერა მონასტრის წინამძღვრის ვინმე გიორგის მოსახსენიებლით.

ხევის მეორე მხარეს მოგზაურებს უნახავთ თლილი ქვით ნაგები მცირე ზომის უგუმბათო ეკლესია, აღმოსავლეთის კედელზე დაზიანებული ასომთავრული წარწერებით, რის გამოც, მხოლოდ ფრაგმენტები ამოუწერია. აქედან მეღვინეთხუცესიშვილი, მთებისა და რთული გზის გავლის შემდეგ, იმავე საღამოს მისულა სოფელ მანგლისში, სადაც იმ დროისათვის მდგარა კარაბინერთა პოლკი. სოფლიდან ორი ვერსის სავალზე დაუთვალიერებია მანგლისის დიდებული ტაძარი, რომელიც, მისი სიტყვებით იყო: „ეკკლესია დიდი, გუმბეთიანი, სრულიად წმინდა ლურჯი ქვისა“, და სადაც იმ დროისათვის ბერძენ რესტავრატორებს უმუშავიათ[272]. მკვლევარს საფუძვლიანად დაუთვალიერებია მონასტერი. კიბით ასულა და ამოუკითხავს სარკმლის თავზე, ლურჯ ქვაზე სიძველისაგან „გადაცვეთილი“ სამშენებლო წარწერა, რომელიც, მეღვინეთხუცესიშვილს თუ სწორად გადაუწერია, ახალჯვრის წმ. გიორგის შეწევნით „გლახაკ“ ალექსანდრეს დაუწყია 1020 წელს. იქვე, მეორე წარწერაში იხსენიება „გალატოზი“ საბა და ბერძენი ხელოსნები[273]. კიდევ ერთი თარიღიანი წარწერა შესასვლელი კარიბჭის თავზე 1021 წლით (ქ˙კნი სმა) თარიღდება და ა. შ.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი მანგლისის წარწერების აღწერას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. მას გადმოუღია და მარი ბროსესათვის გაუგზავნია ტაძრის ცხრა წარწერა, რომელთა ნაწილი მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილმა, აკაკი შანიძემ, მალაქია დვალმა და სხვებმაც გამოაქვეყნეს, მაგრამ ისინი შედარებისას, ძირითადად, უკვე ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ წარწერებს ეყრდნობოდნენ, ხოლო ნაწილი უკვე განადგურებული, ან დაკარგული დახვდათ და

---

[271] განმარტება, იხ: აქვე, გვ. 101, შენიშვნა 1.

[272] Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვერდი 126, შემდეგ: ИВР РАН.

[273] ИВР РАН, Н-78, გვ. 128.

მათ აღწერებშიც ვეღარ მოხვდა, ამიტომ მეღვინეთხუცესიშვილის ჩანაწერებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მანგლისიდან დიმ. მეღვინეთხუცესიშვილი ხევის გავლით მისულა კლდეში ქვაბულ ბერების სადგომში, სადაც მდგარა თლილი ქვით ნაგები მცირე ზომის ეკლესია, იმ დროისათვის დაქცეული, ტყე-ჯაგნარით დაფარული და უწარწერო. მანგლისში უკან დაბრუნებულ დიმიტრის კარაბინერთა საცხოვრებლის სიახლოვეს მიუგნია მანგლისის ტაძრიდან წამოღებული ოთხკუთხა, „ყირაზე“ მდგარი ქვისათვის, დაქარაგმებული ასომთავრული წარწერით.

6 ოქტომბერს მკვლევარი მანგლისიდან გამგზავრებულა და გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ მისულა თონეთს. აქედან ღრმა ხევით პატარა თონეთში გადასულა, სადაც ღვთისმშობლის მცირე ზომის ეკლესიაში უნახავს სამი ძველი ხატი, სამივე ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი, რომლებიც მღვდელ თეოდორე მანველიძეს ახალციხიდან გადმოუტანია. ერთი მათგანი, წმ. გიორგის სახელზე, ზომით 11X9 სმ., მხედრული წარწერით, ციციშვილის ასულის - ელენეს სადგერის წმ. გიორგის ტაძრისადმი შესავედრებლით.

მეორე (დედანშია - მესამე - ი. ა.) ხატი, მთავარანგელოზის სახელზე, ზომით 19,8X17,6 სმ., შუბლზე ლალის თვლითა და ბოლონაკლული მხედრული წარწერით: „ღმერთო აცოცხლე...“.

მესამე ხატი (13,2X8,8 სმ.), შუბლზე ძნელად გასარჩევი ბერძნული წარწერით, რომლისგანაც მეღვინეთხუცესიშვილს მხოლოდ „წმ. გიორგი“ ამოუკითხავს[274].

7 ოქტომბერს დიმიტრის, მეგზურის დახმარებით, გაუვლია გუდარეხის ხევი, მაგრამ გაავდრებულა და მოგზაურები, დიდი წინააღმდეგობის შემდეგ, ცხენით, თუ ქვეითად, 12 ვერსის გავლას მთელი დღე მონდომებიან და მხოლოდ საღამოს მისულან საღირაშენს - თავად გოგია ბარათაშვილთან. მეორე დღეს ტაროსი კვლავ გაფუჭებულა და მთებში გამგზავრება ვეღარ მოხერხებულა, ამიტომ მარაბდაში შეჩერებულან. გამოამინდებისთანავე დიმიტრის მეგზური უახლია, მდ. ხრამი გადაულახავს და შულავერის გავლით სადახლოში მისულა თავად ივანე მელიქიშვილთან, სადაც ერთი კვირა დარჩენილა.

7 ოქტომბერს მოგზაურებს გზა გაუგრძელებიათ და ჭოჭუანისა[275] და მდ. დებედას[276] კლდიანი ნაპირის გაყოლებით, მეტად „საძაგელის“ და „ფრიად

---

[274] ИВР РАН, Н-78, გვ. 128.

[275] დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ამგვარად მიუთითებს ჭოჭკანის ხეობას. აღნიშნული ტოპონიმის ადგილმდებარეობას ვახუშტი ბატონიშვილიც შემდეგნაირად აზუსტებს: „მდინარე ესე ბერდუჯი გამოდის მთასა აბოცისასა და დის აღმოსავლით ჭოჭოკანამდე”, (იხ: ვახუშტი

შევიწროებულ კლდეთაგანს“ ადგილების გავლის შემდეგ, გადასულან მდინარეზე საკმაოდ მაღლა გადებულ ხის ხიდზე, რომელიც, მის პირისპირ მდებარე ოთხკუთხა ქვაზე არსებული ქართულ-სომხური წარწერის მიხედვით, აუგია დეკანოზ ტერ-ოჰანეზ ჰარუნბეგოვს 1834 წელს[277].

ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ მეღვინეთხუცესიშვილი მისულა ახპატის მონასტერში, გადაუწერია მისი წარწერები და გამგზავრებულა სანაინის მონასტრის სანახავად, შეხვედრია მის წინამძღვარს - არუთინს, რომელსაც ქართველი მკვლევარი დიდი პატივით მიუღია და უჩვენებია მონასტრის სიძველეები, მათ შორის, სომეხ მეფეთა და დედოფალთა საფლავები[278].

უკან დიმიტრი იმავე გზით დაბრუნებულა, გადასულა მდ. დებედაზე გადებულ ქვის ხიდზე, გზად უნახავს ალავერდის მადნის მწარმოებელი საწარმოები და შეხვედრია იქ მომუშავე ბერძნებს, რომელთაც მაღაროდან სპილენძი ამოჰქონდათ. მეორე დღეს დაუთვალიერებია შამლუღის[279] მადნის საწარმო, სადაც ასევე ბერძნები ყოფილან დასაქმებულნი.

შამლუღიდან ღრმა ტყიანი ხეობის ქვეითად გავლის შემდეგ მეღვინეთხუცესიშვილი მისულა ახტალის მონასტერში, სადაც შეხვედრია იმ დროისათვის მოსალოცად მყოფ თავადებს: ყორხმაზ და ივანე მელიქოვებს - ოჯახებით. მელიქიშვილებს დიმიტრი ახლოს იცნობდა და მათი დახმარებით საფუძვლიანად დაუთვალიერებია ახტალის სიძველეები, მათ შორის, გვირგვინოსანი ქალბატონის ფრესკა, რომელსაც მელიქოვები თამარ მეფედ მიიჩნევდნენ, თუმცა, დიმიტრის მონასტრის წარწერისა და სხვა, მის მიერ ნანახ მსგავს ფრესკებზე დაყრდნობით, გაურკვევია, რომ ფრესკაზე გამოსახული ქალბატონები წმ. გაიანე, წმ. რიფსიმე და წმ. ნინო ქალწულ-მოწამენი ყოფილან.

ახტალის მონასტერში მეღვინეთხუცესიშვილს უნახავს საფლავის ქვები, ქართული მხედრული წარწერით, რომელიც, ეპიტაფიის მიხედვით, მეფე გიორგის (გიორგი XII - ი. ა.) მორდალს, ზაალ დავითის ძე ბარათაშვილს (ბარათოვს) და მის თანამეცხედრეს - ამილახვრის ასულ ანას ეკუთვნოდათ. ისინი საკუთარ ყმებს დაუხოცავთ ხანჯლით ვერაგულად, მძინარენი, ღამით 1812 წლის 12 აპრილს. იმ

ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 306). ამჟამად მდებარეობს სომხეთის ტერიტორიაზე, ახტალიდან დაახლ. 8 კმ-ის მანძილზე.

[276] დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი მდ. დებედას ყველგან მოიხსენიებს, როგორც „დაბადეს”.

[277] ИВР РАН, Н-78, გვ. 129.

[278] ИВР РАН, Н-78, გვ. 129.

[279] შამლუღი - ქალაქი დღევანდელ სომხეთში, მდ. დებედას მარცხენა სანაპიროზე, ალავერდსა და ახტალიდან დაახლ. 8 კმ-ის მოშორებით.

დროისათვის ზაალი მხოლოდ 30 წლის ყოფილა, ხოლო მისი მეუღლე - 26-ის და უმემკვიდრეოდ გარდაცვლილან.

ახტალის მოპირდაპირე მხარეს, ხევს გადაღმა, დიმიტრი მისულა თლილი ქვით ნაგებ, ჩამოქცეულ ეკლესიაში, რომელშიც კლდიდან გამოთლილ ჯვრის კიდეებზე ყოფილა ქართული ასომთავრული წარწერა თარიღის გარეშე. წარწერის მიხედვით, ეკლესია აუშენებიათ დიმიტრის, გიორგისა და ნიკოლოზს[280].

ზემოხსენებული ეკლესიის მონახულების შემდეგ, ორი ვერსის მოშორებით დიმიტრი მისულა თლილი ქვით ნაგებ „ცა დაქცეულ“ ეკლესიაში, რომელსაც აღმოსავლეთის კარიბჭის შესავალზე ჰქონია ამოკვეთილი ხუცური დაქარაგმებული წარწერა, მაგრამ სიძველის გამო ვერ წაუკითხავს[281]. აქედან მკვლევარი კვლავ გადასულა ჭოჭკანს, მეორე დღეს - სადახლოს, ხოლო იქიდან თბილისში დაბრუნებულა, რადგან სიცივეებისა და წვიმების გამო გზის გაგრძელება შეუძლებელი გამხდარა.

ქვემო ქართლსა და ისტორიულ სომხითში მოგზაურობის დღიურები ნაწილია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში დაცული დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ისტორიული და ლიტერატურული მემკვიდრეობისა („Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, სულ 280 გვერდი) რომელიც 125-ე გვერდზე იწყება და მთავრდება 128-ით. ფურცლის კიდეებზე მარი ბროსეს მიერ ზოგიერთ ადგილას ფანქრით მიწერილია შენიშვნები, ძირითადად, წარწერათა ქორონიკონების დაანგარიშებები და დასახლებული პუნქტების დასახელებები ფრანგულ ენაზე, რასაც შენიშვნებში მივუთითებთ. არ ვეხებით ტექსტის სტილისტურ მხარეს, მაგრამ ზოგიერთ ადგილას, აუცილებლობიდან გამომდინარე, ვსვამთ სასვენ ნიშნებს, რადგან ტექსტში ბევრ ადგილას აკლია.

---

[280] ИВР РАН, Н-78, გვ. 129-V.

[281] ИВР РАН, Н-78, გვ. 130.

მოგზაურობა ტბილისის ღუბერნიასა შინა (ტექსტი)

3 ოქტომბერს 1850 წელსა ვიწყე ტბილისიდამ დასავლეთით სამხრეთისავე მაღლა კლდეებზე სიარული, შემდგომ მიველ სოფელს სა..ორის[1] (არ იკითხება - ი. ა.), აქედამ წამიყვანეს სამს ვერსზედ[2] ღრმა ყრუ ხევში, სადაცა ვნახე მონასტერი დიდი, ცა დაქცეული, თლილის ქვისა, აგურ ნარევი[3] და სხუა გარემო მისსა შენობაები სრულიად დაქცეული და გატყევებული, ერთგან კედელში სამხრეთისაკენ ძირს ეკკლესიის კარებთან კლდის ქვაზედ წერია მხედრულის ასოებით:

ქ. ღმერთო შეიწყალე ცოდვილი გიორგი.

მეორე ქვაზე აქავ: ქ. ღმერთო შეიწყალე იო˜ბ წინამძღუარი.



ფოტო № 1

აქავე დასავლეთის მხრით არის ხევზედ გადამდგარი ეკკლესია პატარა უგუმბათო თლილის ქვისა, რომელზედა აღმოსავლეთის მხრით **[125-V]** ფანჯრის თავზე კლდის ქვაზედ სწერია[4] ამოჭრილის ასოებით (იხ: ფოტო № 1, ზემო წარწერა):

მეორე ქვაზედ ესრეთისავე ასოებით სწერია (ფოტო № 1, ქვემო წარწერა):



ფოტო № 2

სხვა ღირსი შესანიშნავი აქა არა მინახამს რა. აქედამ გადავიარე ბალახოვანი მთები და ცუდი გზა საღამოს ბინდზედ მიველ მანგლის, სადაცა არის შტაბ კვარტის კარაბინერის პოლკისა. მეორე დღეს 4 ოქტომბერს ამის დასავლით ორს ვერსზედ ვნახე ეკკლესია დიდი გუმბეთიანი სრულიად წმინდა ლურჯის ქვის, რომელსაცა აახლებდნენ ბერძნის მუშები[5]. ეს სდგა ვაკეზედ დაბლობში გალავან დაქცეული **[126].**

სამხრეთით ამ ეკკლესიის კარიბჭის ბანზედ აველ კიბეზე და ვნახე ფანჯრის თავზედა ნაწერი გადაცვეთილ ლურჯ ქვაზედ ესრეთის მსხდომის მაღლა ასოებით[6] (ფოტო №2, ზედა წარწერა):

აქეთ დასავლეთის მხარეს ამოჭრილის ასოებით[7] (ფოტო № 2, შუა წარწერა მარცხნივ):

მეორეს ქვაზედ ესრეთივე ასოებით[8] (ფოტო № 2, შუა წარწერა მარჯვნივ):

აღმოსავლეთისაკენ კარიბჭის კედელზედ გარედამ სწერია ამოჭრილის ასოებით[9] (ფოტო № 2, ქვედა წარწერა):

ესე ნაწერი აქაურთა ბერძენთა სიქვ.. (არ იკითხება - ი. ა.) უნდა იყოს სახელი და გვარი ქვის მთლელი ოსტატისა ბერძნისა ვისიმე, რომელსაც პირველად აუშენებიათ **[126-V].**

ამავე კარიბჭეში აღმოსავლეთის მხრით ფანჯარასთან სწერია ამოჭრილის ასოებით ლურჯზედ[10] (ფოტო № 3, ზედა წარწერა):



ფოტო № 3

აქავ კარების თავზედ სწერია ქვაზედ გამურული და გადაცვეთილი[11] (ფოტო № 3, ზემოდან მეორე წარწერა):

აქავ მეორე ქვაზედ სწერია[12] (ფოტო № 3, ზემოდან მესამე წარწერა):

კარების გვერდზე, დასავლეთის მხარეს ქვაზედ სწერია[13] **[127]** (ფოტო № 3, ქვედა წარწერა):

აქედამ გაველ ხევს და ვნახე კლდეში გამოქვაბული ბერების სამყოფი დაქცეული თლილის ქვის პატარა ეკკლესია სრულიად გატყევებული[14], აქა არა რაი ღირსი შესანიშნავი არა მინახამსრა, შემდგომ მოველ სადაცა შტაბ კვარტირინის კარაბინერის პოლკია, აქა ახალს ეკკლესიასთან გდია ძველი მანგლისის ეკკლესიიდამ გადმოტანილი კუთხიანი ქვა ყირაზედ[15], რომელზედაცა სწერია ამოჭრილის ასოებით ქარაგმით (ფოტო № 4, ასომთავრული წარწერა):



ფოტო № 4

ამ ქვას ამბობენ აქა წაიღებენ ისევა ძველს ალაგას დასმენო და ნაწერსაც მოაცხოველებენ ბერძნებიო. ახალს ეკკლესიაში ვნახე ორი ძველი ხატები ნაპოვნი ტყეში სალდათებისაგან ბერძნული მხატვრობა. პირველი იოანე ნათლისმცემლის ფრთებით დახატული და მეორე მსგავსი ამისი ეგრეთვე ფრთები, რომლისა ორსავე მხრით უწერია[16] (ფოტო № 4, ქვედა წრეებში ჩასმული ბერძნული ასოები) **[127-V]**:

6 ოქტომბერს მანგლისიდამ წამოველ, დიდრონ ბურუსში ავიარე აღმართები და მიველ თონეთს, აქედამ გავიარე თონეთის ღრმა ხევი, წვიმაში საღამოზედ მიველ პატარა თონეთს. აქ ვნახე ძველს პატარა ღ˜ს მშობლის ეკკლესიაში სამი ძველი ხატი ვერცხლში შეჭედილები და ოქროთი დაფერილები. ესენი გადმოუტანიათ ახალციხის მაზრიდამ მღვდელს თეოდორე მანველიძეს, პირველი წ˜ს გიორგის სიგრძით $2^1/_2$ ვერშოკი[17] და სიგანით ორი ვერშოკი, ზედა სწერია მხედრულის ასოებით:

„წმინდაო გიორგი სადგერისაო ადღეგრძელე ელენე ციციშვილის ასული, იხსენ ყოვლის სატკივარისაგან გიორგი წო სარამს“ (?)

მესამე[18] ხატი მთავარ ანგელოზისა სიგრძით $4^1/_2$ და სიგანით 4 ვერშოკი, თავზედ უზის წითელი თვალი, ზედა სწერია:

„ღმერთო აცოცხლე...“

მესამე სიგრძით $3^1/_2$ ვერშოკი, სიგანით 2 ვერშოკი, ზემოდამ სწერია („წ˜ო გიორგი“) ბერძნულად. ნაწერი არა სჩანს.

7 ოქტომბერს აქედამ გაყოლილმა კაცმა გამატარა გუდარეხის ხევი, სადაცა გაგვიავდრდა და დიდს წვიმაში ძნელად დავდიოდი საძაგელს გზაზედ ზოგან ქვევითად და ზოგანს ცხენით [128] დაბურულს ტყეში, სადაცა ირგვლივ კი არღარა განირჩეოდა რა, ამ გვარი გზა გავიარე თორმეტი ვერსი დილით საღამომდე, საღამოს მიველ საღირაშენს თავად გოგია ბარათაშვილთან, მეორე დღეს ამ გვარსავე ავდარში ვეღარ გავბედე მთებში სიარული, უმეტეს სიცივისაგან და წამოველ სოფელ მარაბდას, აქედამ გავიყოლე კაცი, ჩუ̆ნ გავიარეთ მინდორი, რა გამოიდარა, შემდეგ გავედით მდინარესა ხრამს და მივედი შულავერს. აქედამ მეორე დღეს გადავიარე კლდეები, მინდორი ბალახოვანი და მიველ სოფელსა სადახლოს, სადაცა სდგანან თა˜დნი მელიქიშვილები, აქ დავრჩი წვიმებისაგან ერთ კვირას ივანე მელიქოვთან.

17 ოქტომბერს სადახლოდამ წავიყვანე კაცი და ვიწყეთ სიარული ტყიან მთაში, გადმოველ რა ამ მთას, მიველ სოფელსა ჭოჭუანს. მეორე დღეს აქედამ გაყოლილმა კაცმა მატარა პირველად მინდორით, შემდგომ მდინარისა დაბადეს (sic: იგულისხმება მდ. დებედა - ი. ა.) ნაპირ კლდიანს საძაგელს გზებზედ, სადაცა ვნახე მდებარეობა აქაური ალაგებისა ფრიად შევიწროებული კლდეთაგან. ერთ ადგილას გავედით მდინარეს დაბადეს მაღალს ხის ხიდზედ, აქ ვნახე აღმოსავლეთით სდგა ხიდის პირ გათლილი კოხის ქვისა ჯვარი ამართული, გვერდზე ამისა კლდის ოთხკუთხიან ქვაზედ სწერია სომხურათ და ქართულად: „აღვაშენე ხიდი ესე დეკანოზი ტერ ოჰანეზ ჰარუნბეგოვი ჩყლდ[19]“.

აქედან ვიწყე სიარული ღრუბლიან დღეში ახპატისაკენ ვიწრო ხეობაში აღმართ გზაზე, სადაცა დგანან კაკლის ხეები და ეტყობა ოდეს აქ ყოფილა შენობა და ვენახები[20], შემდგომ გადაველ ახპატს, რომელიცა სდგა ვაკეზედ და სცხოვრობენ გარშემო მისსა სომეხნი, ეკკლესია ესე დიდი [128-V] და მშვენიერი ნათალის სხუა და სხუა ხელოვნებითა ქვით აგებული ეკუთვნის სომხებს[21], მაზედან მრავალი სომხური ნაწერი ვნახე და სხუა რაიცა ღირსი სანახავნი იყო ყოველივე მაჩვენა იქა ერთმა მღვდელმა. აქა არც ერთი ასო ქართული არა იპოების. აქედამ წაველ სანაინს, გავიარე ღრმა ხევები და მინდორი. ღამე მიველ სანაინს, მეორე დღეს ვნახე აქაური ეპისკოპოზი არუთინ და სამღვდელონი, ამათ მიმიღეს პატივით და მაჩვენეს ყოველივე ღირსი სანახავი სანაინისა, გარნა ქართული ნაწერი არა იყო რა და არცა სხუა რაიმე საკუთრად ქართველთა[22]. სანაინი სდგა ვაკესა ზედა ახპატის პირის პირ, ამა ორთა დიდთა და მშვენიერთ ძველთა ეკკლესიებთა ზედა, სადაცა არიან დასაფლავებულნი სომეხთა მეფენი და დედოფალნი, რაიცა ნაწერი სჩანს, სრულად არის დაბეჭდილი სომხურს ენაზე მოთხრობითა სარქის ბერისაგან შედგენილი[23].

აქედამ გამოველ მდინარეს დაბადეს ქვის ხიდზედა და ვიწყე სიარული მადნებისაკენ ალალ ვერდის მთაზედ, მიველ პირველად ალავერდის მადანს, აქა სდგანან ბერძნები[24] და

ხდიან მაღაროებიდამ ამოტანილს სპილენძს, შემდგომ შამლუღის მადანს, აქაცა ეგრეთვე მუშაობენ ბერძნები. მეორე დღეს აქედამ გადაველ მაღლობს და ჩაველ ღრმა ტყიან ხეობაში რამდენიმე ვერსი ვიარე ქვევითად, შუადღისას მიველ ახტალას, ამ დროს მოვიდნენ აქა სალოცავად [129] თავადნი ყორხმაზ და ივანე მელიქოვნი სახლობით[25] ჩუ©ნ შევიყარენით მხიარულად, რადგანაც ერთმანეთს ვიცნობდით. აქა ახტალის ეკკლესია გუმბეთ დაქცეული, თლილის ქვისა, ფ˜დ დიდი მშვენიერი ხელოვნებით ნაშენი და სხუა გარემო მისსა დაქცეული შენობანი დავშინჯეთ და ნაწერი არსად არა რაꙋ იყო[26]. იგი სდგა საშუალ მთათა შუა მცირე ვაკეზედ და ძირს ორს მხარეს ჩაუდის ხევები, შიგან ეკკლესიაში ამათ მიჩვენეს სახე დახატული გვირგვინით დასავლეთით მარჯვნივ კედელზედ, რომლისთვისაც იტყვიან თამარ დედოფალსაო; გარნა ნაწერისა მას ზედა ასოთა დანარჩენი ნაწილი აცხადებს, რომელ ისი და სხუანი მას თანა მხატვრობანი არიან წმინდა დედათა სახე გვირგვინებითა, სახელდობ: წ˜ გაიანე, წ˜ რიფსიმე, წ˜ ნინა და სხუანი ქალწულ მოწამენი. ესრეთი მსგავსი ამათნი მხატვრობა სხვაგან ძველს ეკკლესიებში მინახამ ბევრგანა, აქავ ეკკლესიაში ვნახე საფლავის ქვა, რომელზედაცა სწერია მხედრულის ასოებით:

„ꙁ-ქა მდებარე და წინაშე მხილველთა ჩემთა მიწასა ამას შინა მტვრად შთაბნეულ უხმოებით გეზრახები და მიწით გამოგთხოვ ყოველთავე შენდობასა, ვინაꙋთგან ვიყავ მეცა თქუ©ნებრ ოდეს უკვდავისა და მოკვდავისა არსებათაგან ნებითა დამბადებლისათა ცხოველად შექმნული და ხატებით შემოქმედისათა პატივცემულ, ხოლო სქესითა თავადი სომხეთისა და ჩინებულისა სახლისა ძეꙋ, ხოლო საქართველოს მეფის გიორგის მორდალი თავადი ზაალი დავითის ძე ზურაბის შვილი ბარათოვი [129-V] შობითგან წლისა ლ-ს[27] და ჩემთანა მდებარე თანა მეცხედრე ჩემი თავადის ამილახვრის ასული ანნა წლის კვ-ს[28], რომელნიცა ჟამს შინა სიჭაბუკისსა ვყვაოდით მრავლითა კეთილობისაგან; ხოლო უბედურისა გამო შემთხვევისა ერთსა ცხედარსა ზედა შუაღამ მძინარენი თვესა აპრილს იბ; ჩყიბ წელსა[29] შესაწყალ მოვიკვლენით ხანჯლისა გმერითა (sic: ალბათ ძგერითა - ი. ა.) ორგულთა ყმათა ჩუ©ნთაგან და დაითხა სისხლი ჩუ©ნი სოფელსა შინა ჩუ©ნსა ახპატს, სხეული ჩუ©ნი აქა მცირესა საფლავსა შინა დაიფარა და აღიხოცა ჩუ©ნზედა მემკვიდრეობა სახლისა ჩუ©ნისა“[30].

სხუა აქა ღირსი შესანიშნავი არა მინახამს რა, აქედამ მარცხნივ ხევ გაღმა ვნახეთ დაქცეული თლილის ქვის ეკკლესია[31]. იქ ეყუდა გათლილი კლდის ქვა ჯვარის სახედ, ზედა სწერია ამოჭრილის ასოებით[32] (იხ: ფოტო № 5):



ფოტო № 5

აქედამ ორს ვერსზედ მარჯვნივ პირისპირ დიდს ეკკლესიისა ვაკეზედ სდგა ეკკლესია პატარა თლილის ქვისა ცა დაქცეული, ზედა სწერია აღმოსავლეთის მხარეს კარების

თავზედა კლდის ქვაზედ ამოჭრილის ასოებით ხუცურათ ქარაგმით[3]3, გარნა საღამოს სიბნელისა და სიძველისა გამო აღარ განირჩეოდა ასონი რიგზედ გადმოსაწერად. აქედან ვიწყეთ სიარული ვაკე გზით, მივედით ჭოჭუანს. მეორე დღეს სადახლოს და სადახლოდამ დავბრუნდი კვალადვე ტფილისს, რადგანცა სიცივისა და წვიმებისაგან სრულიად უსარგებლო იქნებოდა ჩემი გრძლად სხუა და სხუა ალაგებში სიარული.

დ. მეღვინეთხუცესოვი.

შენიშვნები

1. თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით მსგავსი დასახელების სოფლის ლოკალიზაცია დღეისათვის ვერ ხერხდება. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის სავარაუდო მარშრუტში, თბილისიდან მანგლისისაკენ მიმავალ გზაზე, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით (შინაგან საქმეთა კომისარიატის გამოცემა, ტოპოგრაფი ევ. ბარამიძე) 1923 წელს გამოქვეყნებულ რუკაზე, კოჯორის სიახლოვეს დატანილია სოფ. „საღურისი“, რომელიც ეტიმოლოგიურად ყველაზე ახლოა „სა..ორისთან“.
2. ვერსი - [რუს. Версть] - სიგრძის ძველებური რუსული ერთეული. უდრის 1,06 კილომეტრს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.
3. ჩვენი აზრით, თბილისიდან მანგლისისაკენ მიმავალ გზაზე, აღწერილობიდან გამომდინარე („ღრმა ყრუ ხევში, მონასტერი დიდი, ცა დაქცეული, თლილის ქვისა, აგურ ნარევი“), უნდა იყოს ბეთანიის მონასტერი. ცნობილია, რომ ეს ტაძარი 1851 წელს აღმოაჩინეს, მას შემდეგ, რაც ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიმ (იმ დროისათვის კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვის სალაშქრო კანცელარიის დირექტორმა) თავად დავით ბარათაშვილის მამულის ახლოს მიწა შეიძინა და იმავე წლის ზაფხულში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ გრიმსა და ცნობილ მხატვარ გაგარინთან ერთად ტაძრის ნანგრევები მოინახულა, სექტემბერში ბეთანიის აღწერილობა გრიგოლ გაგარინმა გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა, გაგარინისავე ცნობით, ტაძრის ფრესკული წარწერები მისთვის წაუკითხავს და განუმარტავს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს. თუმცა, გაგარინი მხოლოდ ტაძრის ფრესკებსა და ხუროთმოძღვრებას ეხება და წარწერების შესახებ არაფერს ამბობს (Гр. Гагарин. Бетания, «Кавказ», № 72, 21.09.1851 г. გვ. 2-3). მისი ჩამორღვეული გუმბათის აღდგენა მოგვიანებით, 1894-1896 წლებში განხორციელდა თავად დავით ზაქარიას ძე ბარათაშვილისა და მღვდელმონაზონ სპირიდონ კეთილაძის მიერ (იხ: გაზ. „ივერია“, 12. 05. 1898, № 98, გვ. 3; 24. 10. 1898, №227, გვ. 3; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 22. 12. 1896, № 64, გვ. 3; 26. 01. 1897, № 98, გვ. 3; www. orthodoxy.ge/eklesiebi/betania.htm და სხვ). შესაძლოა, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ამიტომაც აღწერს მონასტერს დასახელების გარეშე. რაც შეეხება წარწერებს, ჯერ კიდევ 1898 წელს არისტო ქუთათელაძე „ივერიაში“ წერდა, რომ ბეთანიის დიდი ტაძარი (ღვთისმშობლის) მოკლებულია წარწერებს, „მხოლოდ ერთ ალაგას, დასავლეთის კედელზედ ძალიან მაღლა, ბუშთზედ სჩანს ჯერ მნახველთაგან შეუმჩნეველი – ვგონებ წარწერა ხუცურის ასოებით, ერთი ან ორი სიტყვა. პატარა ეკლესიაზე (წმ. გიორგის) კი ორგან არის წარწერა, საიდანაც ჩანს, რომ პატარა ეკლესია აშენებულია „მამასახლის საბასაგან საძვალედ ამირსპასალარისა, ამილბარისა ქმრისა რუსუდანისა, ასული კვირიკესი, მეფისა ტაშირისა. წელიწადი ნაჩვენებია 1196 წელიო“ (იხ: გაზ. „ივერია“, 12. 05. 1898, № 98, გვ. 3).

   უნდა აღინიშნოს, რომ, ბეთანია არც მარი ბროსეს უნახავს (ბროსემ საქართველოში 1847-48 წლებში იმოგზაურა) და ტაძრის წარწერებს იგი იმ დროის ცნობილი ნუმიზმატისა და

სიძველეთა მკვლევარ-მოყვარულის, პოლკოვნიკ ი. ბართოლომეის მიერ მისთვის გადაცემული ასლების მიხედვით განიხილავს (იხ: ვალერი სილოგავა. ბეთანიის წარწერები, თბ., 1994, გვ. 10)

ბეთანიის წარწერები შეისწავლა და გამოსცა ვალერი სილოგავამ, მაგრამ იგი სუმბატ ორბელის, მისი ძის - ივანეს, ამ უკანასკნელის მეუღლის „პატრონი“ რუსუდანის და ვინმე „ეჯიბი წურილაᲘსაძის“ წარწერებს მიმოიხილავს (ვ. სილოგავა. ბეთანიის წარწერები, გვ. 42) და დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის მიერ ზემოთ მოტანილ წარწერას („ქ. ღმერთო შეიწყალე ცოდვილი გიორგი“) არ ახსენებს.

4. ბეთანიიდან დასავლეთით, „ხევზეგადამდგარ“, „პატარა უგუმბათო თლილის ქვის“ ეკლესიას, შეიძლება დიმ. მელვინეთხუცესიშვილი უნდა გულისხმობდეს ქვემო წყლულეთის XII-XIII სს. ივერიის ღვთისმშობლის დარბაზულ ეკლესიას. რაც შეეხება მის წარწერებს. ზემო ექვსსტრიქონიან წარწერაში, პირველ სტრიქონში მხოლოდ სამი ასო (ღთა) გაირჩევა და ვკითხულობთ, როგორც **„ღ[თისა]თა“.**

მეორე სტრიქონის თავნაკლული წარწერა შინაარსით ყველაზე ძნელად გასარჩევია: „...აბლთა შნ წ~ი სე იკა“, რაც სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს წაკითხული: **„...აბ[ე]ლ[ი]თა შ[ე]ნ წ[მ]ი[ნდი]ს ეიკა“** (? შესაძლებელია, მელვინეთხუცესიშვილს ასოები სწორად არა აქვს ამოწერილი და ვიგულისხმოთ „ეკ[ლესიის]ა“).

შინაარსობლივად ყველაზე მეტად დატვირთული მესამე, მეოთხე და მეხუთე სტრიქონია: „მეფბსა თამრსასა აღვშენეთ გ~ისშვილთა კ~ე და ნ~კლ ბასილი ოქროპძე და გლ ო ღო შენვნ“. ამ სტრიქონებს შემდეგნაირად ვკითხულობთ: **„მეფ[ო]ბ[ა]სა თამ[ა]რ[ი]სასა აღვ[ა]შენეთ გ[იორგ]ის შვილთა კ[ონსტანტინ]ე და ნ[ი]კ[ო]ლ[ოზ] ბასილი ოქროპ[ირი]ძე და გლ ო (?) ღ[მერთ]ო შე[უ]ნ[დ]ვ[ე]ნ“**.

რაც შეეხება ბოლო სტრიქონს, როგორც ვხედავთ, ისიც თავნაკლულია (...ცაი მთი ვა ამს ზ~ა ან) და შეიძლება შემდეგი შინაარსის იყოს: **„[შე]ც[ოდებ]ა[ნ]ი მ[ა]თ[ნ]ი ვ[ინც]ა ამ[ა]ს[ა] ზ[ედ]ა ა[რია]ნ“ (ა[მი]ნ?).**

იგივე წარწერას მარი ბროსე განსხვავებულად კითხულობს: **„...ღთ[ის]ასა გ[ლახაკ]თა მმობა ...მ[ო]ნაწილე ...წ[მიდ]აᲘ ესე ეკლესია მეფ[ო]ბ[ა]სა თ[ა]მ[ა]რისასა აღვ[ა]შენეთ გი[ორ]გის შვილთა კ[ოსტანტინ]ე და ნ[ი]კ[ო]ლ[აო]ზ ბასილი თრთმრი და გ[რიგო]ლ თ ღთ შე[უნდვე]ნ ვ[ი]ნცრაი მოიჭირვა ამას ზ[ედ]ა ა[მი]ნ“.** „თრთმრი“-ს ბროსე გეოგრაფიულ პუნქტად განიხილავს და მიიჩნევს, რომ უნდა იგულისხმებოდეს „თორთუმი“ ჭოროხის ხეობაში. (იხ: **M. Brosset**, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I’ Armenie, exsecute en 1847-1848. SPB 1850, II, გვ. 17). საქმე ისაა, რომ ბროსეს წარწერა თვითონ არ უნახავს და მისი ერთ-ერთი კორესპონდენტის (სავარაუდოდ, ი. ბართოლომეის) ინფორმაციას ეყრდნობა და მეორეც, როგორც ზემოთაც ჩანს, მელვინეთხუცესიშვილს წარწერა თბილისიდან გამოსვლის დღესვე უნახავს, რაც წარწერის თორთუმში არსებობას გამორიცხავს (დაწვრ. იხ.: იოსებ ალიმბარაშვილი. ოქროპირიძეთა ერთი ლაპიდარული წარწერის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წმ. მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძის დაბადებიდან 190-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 17.04.2015).

კიდევ უფრო ბუნდოვანია მეორე (ქვედა) წარწერა, რომელსაც თავში დიდი ნაწილი ჰკლებია და შინაარსიც იკარგება: „...ლისა სხრნობსა შა“, ალბათ „შ[ინ]ა“ (დიმ. მელვინეთხუცესიშვილი); „ამასა. აა... ლესა სტრ ნ. ობ[ა]სა შ[ინ]ა“ (მარი ბროსე).

5. ბერძნების მიერ XIX ს. 50-იან წლებში ჩატარებულმა რემონტმა იმსხვერპლა, ან მნიშვნელოვნად დააზიანა მანგლისის ტაძრის ისტორიული ხასიათის მრავალი წარწერა (იხ: E.

Такаишвили. О надписиях манглисского храма. Археологические экскурсии, разискания и заметки. вып. IV, Тб., 1913, გვ. 131, 142-143; აკაკი შანიძე. კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, „მიმომხილველი“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ორგანო, № 1, თბ., 1926, გვ. 235; მალაქია დვალი. მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ., 1974, გვ. 35 და სხვ.).

6. მარი ბროსეს მიერ ფანქრით წარწერის თავზე მიწერილია: „სახელითა მეოხებითა წმინდის ძლიერებითა ახალის ჯვარისათა მე გლახაკმან ვიწყე ალექსანდრემან აღშენებად წმიდისა ამის ეკკლესიისა სალოცავად სულსა ჩემისა, ქორონიკონი იყო სმ“, ხოლო ფურცლის კიდეზე მიწერილია დაანგარიშებული ქორონიკონი: „240-1020“. მ. დვალი ფრიჩის ჩანახატის მიხედვით, ზემოთ მოტანილ ოთხსტრიქონიან წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „[ქ. სახელითა] ღმრთისაჲთა [და შეწევნითა წინდისა] ძელისა ცხოვრებისათა მე გლახაკ[ი...] ღირს [ვიქმ]ენ აღშენებად წმიდისა ამის ეკკლესიისა სალოცველად სულისა ჩემისა, ქრონიკონი იყო სმ“ (იხ: მ. დვალი. მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 39; ტაბულა 53). მ. დვალი კომენტარში აღნიშნავს, რომ წარწერის ასე აღდგენა პირობითია, ვინაიდან წარწერის პირველი სტრიქონიდან მხოლოდ ორიოდ ასო ყოფილა დარჩენილი. მეორე სტრიქონს თავი და ბოლო ჰკლებია („ეს განსაკუთრებით სამწუხაროა, ვინაიდან ამ ადგილზე აღმშენებლის სახელი იყო მოსალოდნელიო), მესამე სტრიქონს მხოლოდ დასაწყისში აკლია ორიოდ ასო, რომელიც აზრის მიხედვით ადვილად აღდგება. მეოთხე სტრიქონი კი, რომლის ბოლოშიც ნათლად იკითხება ქორონიკონი სმ, ე. ი. 240=1020 წელს, სრულიად დაუზიანებელი ყოფილაო“ (მ. დვალი. მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 39). როგორც ვხედავთ, ზემოხსენებულ წარწერაში მარი ბროსეს მიერ ხარვეზი შევსებულია, რაც, ფრანგმა მეცნიერმა, სწორედ დიმ. მეღვინეთხუცესიშვილისაგან მიწოდებული ჩანაწერის შედეგად მოახერხა.

7. ფურცლის კიდეზე მარი ბროსეს ფანქრით მიწერილი აქვს კომენტარი: „ნამდვილად ესე არს: ქრისტე შეიწყალე შუბლათეთრი - ეს უნდა იყოს გალატოზი“. სწორედ აღნიშნული წარწერის ფრაგმენტზე უნდა მიუთითებდეს მ. დვალი, როდესაც აღნიშნავს: „ჩვენ შევნიშნეთ ასომთავრული წარწერის არსებობის კვალი სამხრეთ-დასავლეთის ფასადზე საკმაოდ დიდ ქვაზე. იგი თითქმის იმავე სიმაღლეზეა, როგორც ამ ფასადზე მოთავსებული უკვე აღნიშნული აბულისას წარწერა. წარწერა რამდენიმესტრიქონიანი ყოფილა. ეს ქვა როგორც ჩანს, XIX საუკუნის რემონტის დროს გადაუთლიათ, რის გამოც მასზე ახლა მხოლოდ ორიოდ ასოს გარჩევა ხერხდებაო (მ. დვალი, მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 38, შენიშვნა 54).

8. „ქრისტე შეიწყალე აბოლირდ“. აბოლირდის (ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე და მ. დვალი კითხულობენ „აბოლირას“, თ. ბარნაველი „აბულგარდს“) წარწერას დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი უთითებს ეკლესიის კარიბჭის თავზე დასავლეთით. იგივეს ამბობს ექვთიმე თაყაიშვილი (Е. Такаишвили. О надписиях манглисского храма, გვ. 136). აკაკი შანიძე აღნიშნავდა, რომ ეს წარწერა ტაძრის „სამხრეთ-აღმოსავლეთის ოთახის სარკმლის თავზე“ მდებარეობდა (იხ: აკაკი შანიძე. კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, გვ. 226).

9. დიმ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილ წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ: „ქ. უფალო მოიხსენიე სული ღოდმის ძეთაჲ შეუნდოს ვნ კონსტანტი“. ბროსეს წაუკითხავს: „ქ. უფალო მოიჴსენიე სული ღოდმის ძეთა შალვა, კონსტანტი“ (М. Броссе. Опить разбора надписей Манглисского Храма, გაზ. „Кавказ” 09. 09. 1850, №71, გვ. 4). აკაკი შანიძე წარწერას შემდეგნაირად კითხულობდა: „ქ. ოფალო მოიჴსენე სოული ღოდმაჲს ძეთაჲ შჰ ვნ(?) (და?) კონსტანტისი“, მაგრამ ეჭვს გამოთქვამდა სიტყვათა თანმიმდევრობის ბრუნვებში შეუსაბამობის გამო (აკაკი შანიძე. კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, გვ. 226), ხოლო ე. თაყაიშვილი:

„ქ. უფალო მოიჴსენე სული ღოდომის ძეთა, შეჰუნდვენ კონსტანტი“ (Е. Такаишвили. О надписиях манглисского храма, გვ. 137). განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს თეიმურაზ ბარნაველი: „ქ. უფალო მოიჴსენე სულკურთხეული ღოდომაᲘს ძე თულაᲘ შაჰვან-კოჟრის ტანუტერი“ და არ გამორიცხავს, რომ ტანუტერი (მამასახლისი) თულა ღოდომაᲘს ძე საორბელიანოს ერთ-ერთი მფლობელი ყოფილიყო (თეიმურაზ ბარნაველი. მანგლისის ტაძრის წარწერები, თბ., 1961, გვ. 4-5). როგორც ვხედავთ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილ ტექსტს ყველაზე მეტად ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წაკითხული ედრება.

10. მარი ბროსემ აღნიშნული წარწერა შემდეგნაირად წაიკითხა: „უფალო, სრულიად წმინდაო ...მთავარ ანგელოზო სააღაპეთ ჩვენისა ძისაᲘ შემისწირავს: ორი დღე მღვდელი ეპისკოპოსი ჟამი უწიროს, ვინ შესცვალოს ცოდვათამცა მისთა გარდაიხადოს: ქრისტე შეიწყალე ბაღუაშ (ცხოვრება ლიპარიტ?) (М. Броссе. Опить разбора надписей Манглисского Храма, გვ. 4). როგორც ბროსე სტატიის დასკვნაში მიუთითებს, წარწერაში ტაძრის ქტიტორი ლიპარიტ ბაღვაში იგულისხმება, რომელსაც თავისი შვილის სააღაპედ ტაძრისათვის შესაწირავი განუწესებია. მ. ბროსემ ხსენებული სტატია „კავკაზში“ გამოაქვეყნა 1850 წლის 09 სექტემბერს, როგორც თვითონ უთითებს, თავად ბარათოვის, გ. სლივიცკისა და ეგზარქოს ევგენის (ბაჟენოვი, ეგზარქოსობის წლები 1844-1858 წწ.) მიერ მისთვის 1838, 1844 და 1848 წლებში გაგზავნილ მასალებზე დაყრდნობით, ხოლო დიმ. მეღვინეთხუცესიშვილმა მანგლისის ტაძარი შედარებით გვიან, 1850 წლის 4-5 ოქტომბერს მოინახულა, უნდა ვიფიქროთ, ბროსეს თხოვნით. შესაძლოა, ფრანგ ქართველოლოგს ზემოხსენებულ ავტორთა წაკითხულში ეჭვი ეპარებოდა, რადგან იმ პირის სახელი, რომლის სახელზეც აღაპი იყო დაწესებული, ბროსეს ვერ გაურჩევია. ამიტომაცაა, რომ ფრანგი მეცნიერის მიერ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ტექსტი, დიმ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ მისთვის გაგზავნილს, მთელ რიგ ფრაზებში არ ემთხვევა.

მოგვიანებით ბროსეს წაკითხულში ეჭვი შეიტანა აკაკი შანიძემაც. იგი წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „თთუესა ნოემბერსა რვასა (დღესა) მთავარანგელოზთასა, აღაპი თევდორე ერისთავისა და ვაჩინაᲘს ძისა ჟამის წირვით. რაოდენი მღდელი იყოს, ჟამი უწიროს. ვინ შეუცვალოს, ცოდვამცა მისთ გარდიჴდის (ქრისტე, შეიწყალე ბაღათურ“) (აკაკი შანიძე. კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, გვ. 231). როგორც ვხედავთ, აკაკი შანიძის წაკითხული შედარებით ახლოსაა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადაწერილ ტექსტთან.

11. მარი ბროსეს მიერ ფურცლის კიდეზე ფანქრით მიწერილია წარწერის დაანგარიშებული ქორონიკონი: „241-1021“. თვით წარწერას ბროსე შემდეგნაირად კითხულობს: „ქ... (დიდ)სა ამას საყდარსა აღაშენა ქორონიკონსა სმ“ (М. Броссе. Опить разбора надписей Манглисского Храма, გვ. 4). „კავკაზში“ დათარიღებული წარწერა ამ შემთხვევაშიც არ ემთხვევა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის გადმოწერილს. ქორონიკონი „სმ“=240, ანუ - 1020 წ.

12. მიუხედავად თავნაკლულობისა, გარკვევით მხოლოდ პირველი სტრიქონი იკითხება: „[აცხ]ოვნე შ[ეიწყალე]ნ...“ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი წარწერას უთითებს ტაძრის მშენებლობის თარიღიანი წარწერის გვერდით „მეორე ქვაზე“. აღსანიშნავია, რომ ხსენებული წარწერა მანგლისის წარწერათა წამკითხველ მკვლევარებს განხილული არა აქვთ. როგორც ჩანს, იგი ჟამთა სიავის, ან „რესტავრატორთა“ მსხვერპლი გახდა. ისიც ნიშანდობლივია, რომ ტაძრის მშენებლობის თარიღიანი წარწერაც მარი ბროსეს მიერ გამოქვეყნებამდე დაკარგულად ითვლებოდა (იხ: თ. ბარნაველი. მანგლისის ტაძრის წარწერები, გვ. 15)

13. ბროსე წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „უფალო მოიჴსენე სულსა საყვარელიძე სულა ამინ“ (М. Броссе. Опить разбора надписей Манглисского Храма, გვ. 4), ხოლო ე. თაყაიშვილი: „უფალო [განუსვ]ენე სულსა საყუარელისსა ამინ“ (Е. Такаишвили. О надписиях

манглисского храма., გვ. 137). დ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილ წარწერასთან ე. თაყაიშვილის მიერ წაკითხული უფრო ახლოა, ოღონდ მეორე ფრაზის დასაწყისში დიმიტრის „Ღ“-ს ნაცვლად უნდა ეწეროს „Ლ“.

14. ქვის ეკლესია მანგლისში ჯერ კიდევ IV ს. 30-იან წლებში აშენდა. V ს. II ნახევარში ვახტანგ გორგასალმა ახალი ეკლესია ააგო და მანგლისის საეპისკოპოსო დააარსა. მთავარი ეკლესია, რომელსაც დიმ. მეღვინეთხუცესიშვილი დაწვრილებით აღწერს, XI ს-ის I მეოთხედში იქნა აგებული გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მიერ (იხ: Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, Тифл., 1875, გვ. 94-95; ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 28, 145; თენგიზ თოდრია. მანგლისის ხევი, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1970 წ. № 21, გვ. 48-53; გაზ. „ივერია“, 20. 06. 1895 წ. № 128, გვ. 1).
15. 1824 წლიდან მანგლისში იდგა ერევნის გრენადერთა პოლკი, რომელმაც, თანდათანობით, ადგილზე დაუსახლებელი ტერიტორიების კოლონიზაცია განახორციელა. როგორც ტექსტიდანაც ჩანს, ჯარისკაცები და მათი ოჯახის წევრები ხშირად აზიანებდნენ ტაძარს სამშენებლო მასალის მოპოვების მიზნით. პოლკის მეთაურის ნიკოლოზ მურავიოვის (შემდეგ მეფისნაცვალი კავკასიაში 1854-1856 წლებში) ბრძანებით, ტაძრიდან 2 კილომეტრში დაიწყეს ახალი ეკლესიის მშენებლობა, სადაც ძველი ტაძრის ნანგრევებიდან მიჰქონდათ ჩუქურთმიანი და წარწერიანი ქვები, რის შედეგად უამრავი წარწერა განადგურდა (მ. დვალი, მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 44), თუმცა, არც მოგვიანებით დაადგა ტაძარს კარგი დღე, როდესაც იქ დასახლებულმა კოლონისტებმა გააგრძელეს ძველი ტაძრის ძარცვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ტაძრის მღვდელს მ. გრინიოვს სასულიერო მთავრობაშიც კი უჩივლია, რომ მანგლისის მხარეს გზებზე მომუშავე ხალხი ძველ მონასტერთა ნაშთებს აფუჭებენ, არღვევენ, ზოგგან ბინადაც აქვთ გადაქცეულიო და სთხოვდა საგუბერნიო ადმინისტრაციას, შესაბამისი ზომები მიეღო (იხ:. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 14. 11. 1902, № 1984, გვ. 2).
16. მ. დვალს მოჰყავს მარი ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ოთხსტრიქონიანი წარწერის (ᲝᲝᲦᲨ ᲫᲩᲝᲨ ᲘᲪᲥ ...ᲨᲬᲔᲡ ᲨᲪᲫᲡ Შ ᲪᲡᲨ ᲦᲦᲡᲨ ...ᲭᲔᲩᲡ ᲜᲪᲨ) ე. თაყაიშვილისეული წაკითხული: „Слава тебе Господи... освятили вь первий день луны, месяца февраля ...вь короникoнь 247“ (Е. Такаишвили. О надписиях манглисского храма, გვ. 139), სადაც თაყაიშვილი აღნიშნავდა, „247 ქორონიკონი შეესაბამება 1027 წელს, ე. ი. მანგლისის ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ 1020 წელს, ხოლო დაუმთავრებიათ და უკურთხებიათ 1027 წელსო“. ამ შემთხვევაში თაყაიშვილი ეყრდნობა მარი ბროსეს გამოქვეყნებულ წარწერას, ხოლო ბროსე, თავის მხრივ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გაგზავნილ ტექსტს. როგორც ვხედავთ, ბროსეს მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გაგზავნილი წარწერის მხოლოდ ფრაგმენტი აქვს გამოქვეყნებული, სადაც მეორე სტრიქონი მთლიანად გამოტოვებულია, ხოლო მესამე ნაწილობრივ არის წარმოდგენილი (იხ: ფოტო 4, ასომთავრული წარწერა). გარდა ამისა, მ. დვალი ეჭვს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ წარწერიანი ქვა ტაძრის ნაწილი ყოფილიყო. (როგორც დიმ. მეღვინეთხუცესიშვილიც მიუთითებს, წარწერიანი ქვა ეკლესიის მახლობლად „ყირაზე“ უნახავს). მ. დვალის აზრით, იგი მოთავსებული უნდა ყოფილიყო ტაძრის დასავლეთ კარიბჭეზე, ვინაიდან წარმოუდგენელია, რომ 1020 წელს აგებული ძეგლი 1027 წლამდე არ ეკურთხებინათ, დასავლეთის კარიბჭე კი თუმცა იმავე ეპოქაშია აგებული როდესაც ტაძარი, მაგრამ არა უშუალოდ მასთან ერთად, არამედ რამდენიმე წლის შემდეგო (მ. დვალი, მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 39-40).
17. ვერშოკი – რუს: Вершок, სიგრძის ძვ. რუსული საზომი (არშინის 1/16 ნაწილი), უდრის 4,4 სმ. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

18. ტექსტში მოყვანილი რიგითობის მიხედვით, უნდა იყოს - მეორე.
19. =1834 წ.
20. საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში შექმნილ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართლ-კახეთის აღწერის 1770 წლის დავთარი, სადაც ნათქვამია: „არს ბორჩალო და ფამბაკის ჭეობა, ერთი მთელი სახანო, ამისი კაცი მრავალი დაფანტულა სხვას თემში და ახლა არს ორი ათას ხუთას სამოცი სომხით ...არს აოხრებული ყაიყული, უმკვიდრო ქვეყანა ...არს აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი ქვეყანა დიდი და მრავალი, და ამისი აყრილი კაცი ორმოციდან ერთი თუ დარჩომილა. ერთმანეთში არიან ხიზნად. არს საბარათისშვილო, აოჭრებული ქვეყანა დიდი და კეთილი, ასის კაცისაგან ერთი თუ დარჩომილა სადმე, ერთმანეთში არიან ხიზნად“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 421). მოგვიანებით, რუსული ხელისუფლების ხელშეწყობით, ამ დაცარიელებულ ადგილებში ყარაბაღიდან გადმოსახლებული სომხები დასახლდნენ.
21. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ახპატისა და სანაინის მონასტრები ქართველ მეფეთა მიერაა აშენებული: „არს ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთათა აღშენებული, ეკკლესიანი გუმბათიანნი, კეთილნაშენნი, საეპისკოპოზო“ (იხ: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 308). განსაკუთრებით მფარველობდა ამ მონასტრებს დავით აღმაშენებელი. ახპატის 1121 წლის წარწერაში დავით IV „თვითმპყრობელ მეფედ, სხვადასხვა გავართა და ნათესავთა მფლობელთა, ჰაღპატსა და სანაინზე მზრუნველად“, იხსენიება, „რომელმაც ჰაღპატი აოხრების სიბნელისაგან გაათავისუფლა“ (დევი ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), I, თბ., 1979, გვ. 77).

XVIII საუკუნეში ახპატის მონასტერი ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის მეფის დაქვემდებარებაში შედიოდა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, „გარნა აწე სხედან სომეხნი, არამედ მეფე ქართლისა დასუამს ეპისკოპოზთა მიწერითა ოქივატერიანთა (სულიერი მამა), ვინაჲთგან რავდენნი სომეხნი ქართლს მსახლობელნი არიან, სამწყსოსი მისნი არიან“ (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 308).

ქართველი მეფის იურისდიქცია ახპატში შენარჩუნებულა XIX საუკუნის დასაწყისამდე. დავით ბატონიშვილის „სამართლის“ მიხედვით: „ახპატის ეპისკოპოსი არს მეფისა და მამულიცა იმისი – მეფისა. არა აქუს რაიმე სამართალი კათოლიკოზსა ეჩმიაწინისა, რომელ მას ზედა უფლებდეს, ვინაითგან არს იგი მეფისა ეპისკოპოზი და მეფე აკურთხებინებს თაისის გამორჩევით, და კათოლიკოზი ეჩმიაწინისა მეფისა თხოვნითა აკურთხებს მეფისაგან გამორჩეულსა ეპისკოპოზათ“ („სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964, გვ. 0160). ახპატის მონასტერი მდიდარი იყო ქართული წარწერებითაც (იხ: Симон Джанашия. Об одном примере искажения исторической правды (по поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении»), в. сб. «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», Тб., 2009, გვ. 54).
22. 1604 წელს შაჰ აბას I-მა ქართლის მეფე გიორგი X-ს ლორე ჩამოართვა, ადგილობრივ გამაჰმადიანებულ ფეოდალს ჩააბარა და დებედას ქვემო წელზე ბორჩალუს მომთაბარე თურქმანული ტომი ჩამოსახლა. ქართლის მეფის იურისდიქციის გარეთ აღმოჩნდა მდ. ბამბაკის წყლის ხეობა, მდ. ძორაგეტის ქვემო წელი და მდ. დებედას მარჯვენა სანაპირო სანაინიდან შესართავამდე (იხ: ზაზა აბაშიძე, ვალერი ვაშაკიძე, ნათია მირიანაშვილი, გიორგი ჭეიშვილი.

ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძვ. დროიდან დღემდე), თბ., 2014, გვ. 101) რამაც, აღნიშნულ ტერიტორიებზე, ქართველების საწინააღმდეგოდ დემოგრაფიული ბალანსი მკვეთრად დაარღვია.

23. სარქისის სახელით სომეხ მემატიანეთაგან ცნობილი არავინაა. შესაძლოა დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი გულისხმობს საეკლესიო მოღვაწეს, ფილოლოგსა და არქეოლოგს, მთავარეპისკოპოს სარგის ჯალალიანცს (1819-1879 წწ.), რომელმაც იმოგზაურა აღმოსავლეთ სომხეთში და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა გამოაქვეყნა წიგნში „მოგზაურობა დიდ ჰაიქში“ (I ნაწ. – 1842 წ.; II ნაწ. – 1856 წ.) (იხ: http://armenianchurch.ge/ka/eparqia/istoria).
24. ერეკლე II-მ XVIII ს-ის 70-იან წლებში ახტალა-ალავერდში სამთამადნო წარმოება წამოიწყო, გიუმიშხანეს პროვინციიდან (ანატოლია, თურქეთი) 800-მდე ამ საქმის მცოდნე ბერძენი ჩამოიყვანა და საკმაო შემოსავალიც ჰქონდა, მაგრამ ომარ-ხანმა (1785 წ.) და აღა-მაჰმად-ხანმა (1795 წ.) შემოსევებისას მიწასთან გაასწორეს ხსენებული საწარმოები და იქ მომუშავე ბერძენთა ნაწილიც ტყვედ წაიყვანეს. ამის შემდეგ, ერეკლემ მხოლოდ არასრული ძალით მოახერხა საწარმოების აღდგენა (დაწვრ. იხ: სოსო ალიმბარაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII ს. II ნახევარში, თბ., 2008, გვ. 211-217).
25. გიულდენშტედტის დროს (1770-1772 წწ.) ახტალა დასახლებული ყოფილა „ქართველებით და სომხებით“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 77) თუ როგორ იცვლებოდა დემოგრაფიული სურათი ახტალაში ქართველთა საწინააღმდეგოდ, ნათლად ჩანს გაზეთ „ცნობის ფურცელის“ 1901 წლის ერთი კორესპონდენციიდანაც, საიდანაც ვიგებთ, რომ მონასტერში რუსი ბერები ცხოვრობენ, ხოლო მრევლი, ძირითადად, რუსი, სომეხი და ბერძენი მოსახლეობისაგან შედგება. მონასტრის გარშემო მიწები იჯარით აუღია საფრანგეთის მწარმოებელ საზოგადოებას, რომელსაც მადნების დამუშავება ჰქონია განზრახული. თუმცა, სტატიის ავტორი იმასაც გვაუწყებს, რომ ტაძრის დასავლეთ მხარეს ჯერ კიდევ ეტყობოდა ძველი მხატვრობის ექვსი სურათი „ოდნავ ზედ წარწერილის ხუცურით“ (იხ: გაზ. „ცნობის ფურცელი“, 17. 09. 1901, № 1581, გვ. 1-2).
26. ბუნებრივია, ახტალის მონასტერი, რომლის ამშენებლად XIII ს-ის 20-იან წლებში მხარგრძელთა გვარის ცნობილი წარმომადგენელი ივანე ათაბაგი ითვლება, დიმ. მელვინეთხუცესიშვილის დათვალიერებისას (1850 წ. ოქტომბერში), კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა, ამიტომ მელვინეთხუცესიშვილს იქ ქართული წარწერები ვერ უნახავს. სხვათა შორის, ახტალაში წარწერები ვერ მოუძიებია იქ მოგვიანებით მისულ დიმიტრი ბაქრაძესაც, რომელიც, დიმ. მელვინეთხუცესიშვილის მსგავსად წერს, რომ მთავარი ტაძრის ირგვლივ ყველაფერი უწესრიგოდ მიმოფანტული იყოო. (Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, Тифл., 1875, გვ. 33-35). დღეისათვის მონასტრის ტიბიკონი და წარწერები აღმოჩენილი და წაკითხულია (იხ: დევი ბერძენიშვილი. ახტალის მონასტერი, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1998 წ. № 2, გვ. 112-113; ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბ., 1997, გვ. 305-306; ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ-ს შრომები, ტ. 108, თბ., 1964, გვ. 310-316; Е. Такаишвили. Грузинские надписи Ахталы. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXIX, Тифл., 1901, გვ. 138-145; А. Ерицов. Монастырь Ахтала, Кавказская Старина, I, Тифл., 1872, გვ. 21 და სხვ.).
27. =30 წლის.
28. =26 წლის.

29. =1812 წლის 12 აპრილი.

30. 1812 წელს გლეხებისაგან მოკლული ზაალ ბარათაშვილი კარგად ნაცნობია ნარატიულ ლიტერატურაშიც: ზაალ ბარათაშვილი, „გიორგი მეფის ნასუფრავჯალი, ნამდივანბეგარი, ბატონი ალგეთის, თრიალეთის, გაღმა-გამოღმა ბორჩალოსი" (მიხეილ ჯავახიშვილი. არსენა მარაბდელი, თბ., 1989, გვ. 28), ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი რომანის „არსენა მარაბდელისა", თუმცა, ეპიტაფიის მიხედვით, ზაალ ბარათოვი უმემკვიდრეოდ ჩანს გარდაცვლილი, ხოლო რომანში ქალიშვილები ჰყავს და არც ქრონოლოგიურად ემთხვევა ფაქტები ერთმანეთს. ზაალ ბარათაშვილის მკვლელობის შესახებ, იხ. ასევე: С. Тер-Аветисиян. Крестьянский самосуд над помещиками Бараташвили, Бюллетень Кавказского историко-археологического института, Тб., 1930, № 6, გვ. 16.

31. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს XII საუკუნეში აგებული ქართული წარწერებით მდიდარი ქობერის მონასტერი (ქობერის წარწერების შესახებ, იხ: გიორგი კალანდია, ქეთი ასათიანი. ქობერის მონასტრის უცნობი ქართული წარწერები, ჟურნ. „არტ პალასი", №3(01). 29.07.2011, გვ. 10-14; ასევე: **M. Brosset**, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848, III, SPB 1851, გვ. 136-140).

32. „ძლევაჲ ქრისტესი ამა ადგილის ამშენებელთა დემეტრეს გიორგის და ნიკოლოზს შეუნდოს ღმერთმა".

33. ვახუშტი ბატონიშვილი ახტალის შემოგარენს შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „ახტალის ზემოთ არს ქობერის მონასტერი მცირე, ამის დასავლით – ძელი ჭეშმარიტი, აქა მაღალს კლდესა შინა ქუაბნი მრავალნი, ახპატს ქუეით არს ხეობა ჭოჭოკანისა, მის ქვემოთ არს ეკლესია აგარაკისა" (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 308-309). ვფიქრობთ, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი სწორედ ზემოხსენებულ ეკლესიებს მიუთითებს.

დ. მელვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა ქვემო ქართლსა და სომხითში

პირობითი ნიშნები
- ეკლესია-მონასტრები
- ციხე-კოშკები
- საქართველოს-სომხეთის თანამედროვე საზღვარი
- სამთამადნო საწარმოები
- დ. მელვინეთხუცესიშვილის მოგზაურობის მარშრუტი
ბორჩალო
ბოლნისი
ფარავანი
ქსანი
ალაზანი
ტანა
თელავი
ბორ
ბ
ნ
ატ
ერ
რ
ს
კ
ქ
ქ
ბ
ბ
ბ

მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის დასავლეთ საქართველოში მოგზაურობა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში დაცულ მეღვინეთხუცესიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის 280 გვერდიანი საქაღალდის მეასე გვერდიდან იწყება და მთავრდება 126-ე გვერდზე. საქაღალდეზე მარი ბროსეს სათაურად წაუწერია: „ბატონ დიმიტრი მეღვინეთხუცესოვის იმერეთში ექსკურსია 1850 წლისა“ (ფრანგულ ენაზე)[282]. მოგზაურობის დღიურები ნაწერია მოყავისფრო ჭვირნიშნიან ფურცლებზე გაკრული, ლამაზი ხელით, გამოყენებულია ფურცლის ორივე მხარე, მთლიანობაში კარგად იკითხება. ადგილ-ადგილ ფურცლის კიდეებზე მარი ბროსეს გაკეთებული აქვს ფანქრით შენიშვნები ქართულ-ფრანგულ ენებზე, ძირითადად, პიროვნებათა სახელები, ქორონიკონის დაანგარიშებული თარიღები და კომენტარები.

მოგზაურობისათვის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი საფუძვლიანად ემზადება. საამისოდ მას გულდასმით შეუსწავლია ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფია“ და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა და სიძველეთა იმჟამინდელ ვითარებას ხშირად ვახუშტის ნაშრომს უდარებს. ბროსეს სთხოვს, რომ რუსულად თარგმნოს და გამოუგზავნოს გერმანელი მოგზაურის კოხის ნაშრომი[283], რათა მოგზაურობის თითოეულ დეტალში კარგად გაერკვეს[284]. მაგრამ იმ დროს, როდესაც მეღვინეთხუცესიშვილი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობდა, სამეცნიერო ლიტერატურა საქართველოს ამ რეგიონის შესახებ ძალზე ნაკლები და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისათვის ხელმიუწვდომელი იყო. მაგ., დიმიტრი, ბუნებრივია, არ იცნობდა ცნობილი ფრანგი დიპლომატისა და მოგზაურის ჟაკ ფრანსუა გამბას ნაშრომს, რომელსაც დიმიტრის მოგზაურობამდე ჯერ კიდევ 25 წლით ადრე ჰქონდა პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემული, რადგან გამბას ნაშრომი ქართულად

---

[282] Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვ. 100, შემდეგ: ИВР РАН., Н-78.

[283] იგულისხმება გერმანელი მეცნიერი და ბოტანიკოსი კარლ კოხი, რომელმაც XIX ს-ის 30-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში (იხ: კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981).

[284] ხეც, მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი № 14.

მხოლოდ 1987 წელს ითარგმნა[285]. დიმიტრი მხოლოდ გამბას ქალიშვილთან შეხვედრისას იგებს, რომ ასეთი აღწერილობა არსებობს[286].

საინტერესოა დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის თხრობის სტილი. იგი ნანახი ძეგლებისა და სიძველეების მხოლოდ მშრალი აღწერით არ კმაყოფილდება და ხშირად მიმართავს, როგორც ხალხში გავრცელებულ თქმულებებს, ლეგენდებსა და წეს-ჩვეულებებს, ისე მემატიანეთა თხზულებებს, მაგ., მარტვილის მონასტრის აღწერისას აღნიშნავს: „მარტვილის ეკკლესია არის გუმბათიანი ფ˜დ ძველი და გარედამ გაახლებული თლილის ქვით შინაგან მხატვრობა ძუელი ბერძნული, ერთს მხარეს დახატულია კონსტანტინე და ელენე დაგვირგვინებულნი, რომელთაც უპყრიათ ერთი დიდი ჯვარი. იტყვიან ვითომცა ეკკლესია ესე იყოს მათი აღშენებული“[287]. ასევე საგანგებოდ ხაზს უსვამს ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას სიწმინდეებისადმი, რომელთაც „ორმეოცთა“ ეკლესიის ხილვისას დიმიტრისათვის უფლება არ მიუციათ ე. წ. „კოჭობების“ გახსნისა, რადგან „განცვიფრებით უარს ჰყოფდნენ და იტყოდნენ, რომელ ჩუ℄ნ გაგვიგონია, ვითომცა ამათში იყოს იმა ორმეოცთა წამებულთა ნაწილებიც, რაც ეს ეკკლესია აღშენებულა მას აქეთ მტერსაც ბევრჯელ უნახამს და ვერავის ხელი ვერ შეუხია, ვერც ჩუ℄ნ შეგვიძლიან გავხსნათ და ვნახოთო“[288]. იგივე ხდება სავანის ეკლესიის აკლდამის გახსნასთან დაკავშირებით[289]. დიდ ადგილს უთმობს და დაწვრილებით გადმოგვცემს თავად დავით ჩხეიძის დაკრძალვის იმერულ ჩვეულებას. სამეგრელოში ჭყონდიდის (დიდი მუხის) წარმართულ ტრადიციას და სხვ. საგანგებოდ ასულა მჟავე წყლებამდე და სპეციალურად დაუთვალიერებია დიდი და „ფრიად ძველი“ ეკლესია, რადგან, იქ, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, თამარ მეფის „მკიდარე ნაწნავი“ უნდა ყოფილიყო და სხვ.

როგორც ჩანს, დიმიტრის დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის მარშრუტი მარი ბროსეს რეკომენდაციით აქვს შედგენილი და იმის მიხედვითაა დაგეგმილი, რომლის ნახვა ვერ მოუსწრია, ან შეკითხვები გასჩენია ფრანგ ქართველოლოგს სამი წლის წინ იმერეთში მოგზაურობისას. მაგ., სოფ. ვარძიის მონახულების შემდეგ, დიმიტრი დაჟინებით ცდილობს და თანხასაც არ ინანებს ნუნისის სანახვად, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივებმა ამ სოფლის არსებობა არ იციან და ნუნისის ნაცვლად უბისაში მიჰყავთ, რომელიც ბროსეს უკვე ნანახი ჰქონდა.

---

[285] იხ: **ჟაკ ფრანსუა გამბა**. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები და ურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I, თბ., 1987.
[286] ИВР РАН., Н-78, გვ. 113, იხ: აქვე, შენიშვნა № 32.
[287] ИВР РАН., Н-78, გვ. 110.
[288] ИВР РАН., Н-78, გვ. 111.
[289] ИВР РАН., Н-78, გვ. 125.

მართლაც, ფრანგი მეცნიერი წერილში დიმიტრის უკონკრეტებს, თუ რა უნდა ენახა საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეში: საჩინო, ამაღლება, ხონის მონასტერი, ტაბაკინის მონასტერი და გამოქვაბული, ნუნისი, კარაგეული (ხარაგაული?) და სხვ[290].

ბუნებრივია, მეღვინეთხუცესიშვილმა უფროსი მეგობრის თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვა და როგორც კი შესაბამისი ნებართვა მიიღო დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ იმერეთში მოძიებულ მასალებს მარი ბროსეზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და კმაყოფილებით აღნიშნავდა: „დიდად საქებია მოგზაურობა თქვენი, მეცადინეობითა და ჭკუითა თქვენითა ბევრი კარგი წარმოაჩინეთ და ღირსი ხსენებისა სამსახური მეცნიერებისათჳს გიჩვენებიათო“[291].

აღსანიშნავია, რომ ბროსე მეღვინეთხუცესიშვილს განიხილავდა არა მხოლოდ როგორც ასისტენტს, არამედ ეყრდნობოდა და ანგარიშს უწევდა მის მოსაზრებებს, ხშირად ისინი ერთობლივად აანალიზებდნენ და მსჯელობდნენ საკვლევი საკითხების შესახებ: „დიდად შემწე იქნებით ჩემი, თუ აზრი თქვენი შემატყობინოთ გრძლად, ხარი ხართან ახლოს შებმული უმჯობესადა ხნამს, ვიდრე ერთი მარტოო“, სწერს იგი დიმიტრის[292].

ფრანგი მეცნიერი დიმიტრის სთხოვდა ინფორმაციის მიწოდებისას მაქსიმალურად სიტყვამოჭარბებული ყოფილიყო: „ჯერ ცოტა უნდა დაგტუქსოთ, იმისათჳს, რომ ალაგებისა და გზის აღწერაში ჭელმოჭირებული იყავით. მსურდა, რომ აღგეწერათ რომელის გზით გივლია, რომელი მდინარე, სოფელი, ციხე, ტყე გაიარეთ. მე უცხო ვარ და იმისათვის დიდი სწავლა ჩემი იქნებოდა ადგილების დანიშვნა“[293].

იმერეთში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს მოგზაურობა 1850 წლის 17 მაისს იწყება და 21 ივლისამდე, ანუ 63 დღეს გრძელდება.

„ფოშტის გზაზე“, პირველი, რაც მის ყურადღებას იქცევს, მოლითის მარჯვნივ, მდ. ჩხერიმელას გაღმა, მაღლა კლდეზე დაქცეული ციხეა. თანმხლები აზნაურის - კაცია კიკნაძის გადმოცემით, ამ ციხეს „მწვერის ციხეს“ უწოდებდნენ და თავის დროზე იმერეთის მეფეთა საზაფხულო სადგომს წარმოადგენდა. თუმცა, აშენების თარიღისა და ამშენებლის შესახებ კაციასათვის ცნობილი არ ყოფილა. ციხის დასავლეთით დიმიტრის უნახავს თლილი ქვით ნაგები უგუმბათო ეკლესია, სადაც

---

290 გაზ. „Кавказ”, 1850, № 35, გვ. 2-4.

291 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 16.

292 **სოლომონ ყუბანეიშვილი**, აკად. მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწე დიმიტრი მეღვინე-თუხუცესიშვილისადმი, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფ. 5944, გვ. 11.

293 **ხეგ**, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 11.

კანკელის წინ ჭერამდე აღმართული ყოფილა ხის „გაკოპიტებული“ ჯვარი. გადმოცემით, იგი მწყემსებს შეუქმნიათ ბერის წმ. გიორგის სახელზე მათი საქონელის დაცვის მიზნით. ეკლესია უწარწერო და არაფრით გამორჩეული ყოფილა. შესაძლოა, ეს ფაქტი იმით იყო განპირობებული, რომ ეკლესია ექვსი წლის წინ განუახლებიათ (ანუ, 1844 წელს – ი. ა.) ადგილობრივებს თვით კაცია კიკნაძის „თავმდგომობით“. დიმიტრის სურვილი ჰქონია ჯვრის ამოღების, მაგრამ მისი ძირი ვერ უპოვიათ. თუ მეღვინეთხუცესიშვილის მონაცემებს მეტრულ სისტემაზე გადმოვიყვანთ, ჯვრის სიმაღლე 12 მ. 80 სმ, ხოლო სიგანე დაახლ. 3 მეტრი ყოფილა.

18 მაისს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი მისულა ქუთაისში. ქუთაისის ეტიმოლოგიას იგი „ქვა-მთა-ისის“ ერთობლიობას უკავშირებს. ადგილობრივი მცხოვრების - კანდელაკის, იმერეთის მიტროპოლიტ დავითის, ბერძენი არქიმანდრიტისა და დეკანოზ გამრეკელის (გამრეკელოვის) დახმარებით დაუთვალიერებია ბაგრატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი. გულისტკივილით აღწერს ტაძრის იმჟამინდელ მდგომარეობას. დახეთქილ და ჩამოქცეულ კედლებს, რომლის მიუხედავად, ტაძრის კარიბჭეში დავით მიტროპოლიტი წირვა-ლოცვას აღავლენდა. ტაძრის ჩრდილოეთის მხარეს, სარკმლის ქვეშა წარწერის დასკვნით ნაწილში, ქორონიკონის ადგილას დიმიტრის ამოუწერია ასოები, თუ ციფრები, რომელსაც მარი ბროსესთან მოგვიანებით გაგზავნილ წერილში გამორჩევით აღნიშნავს: „ჩუჱნ ვშინჯეთ ესენი სამ დღეს და ყოვლის ღონისძიებით ვეცადენით გამოცნობასა, გარნა ნამდვილ ვერ მივხვდით და არცა ერთი ძველის წერილის ასლი არა ემსგავსებია მას, ამისთვის ვთქვით უნდა იყოს ესე არაბულიო“[294].

დიმიტრისთვის ალღოს არ უღალატია. თუმცა, 1850 წლის 30 იანვარს პეტერბურგიდან მოწერილ საპასუხო წერილში მარი ბროსე ნიშანთან დაკავშირებით მაინც ეჭვს გამოთქვამს, რადგან, ვერისა და წვიმოეთის საყდრები თითქმის თანამედროვენი არიან ქუთათისის საყდრისა და თუ ბაგრატის ტაძარზე წარწერა არაბულ 1003-ს უდრის, მსგავსი წარწერა ამ ტაძრებზეც უნდა ფიქსირდებოდესო.

ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის განკარგულებით, 19 მაისს არქიმანდრიტისა და რამდენიმე ადგილობრივი ჩინოვნიკის თანხლებით დიმიტრი გამგზავრებულა ქალაქგარეთ გეგუთის ციხე-დარბაზის სანახავად. გზად მათ დახვედრიათ ორი იმერელი, რომელთაც მგზავრებისათვის „ლევან ნიკოლაიჩის“ მოკითხვა და მიწვევა გადაუციათ. იმავე იმერლების დახმარებით დაუთვალიერებიათ გეგუთის დაქცეული ციხე-დარბაზი და იქ არსებული უწარწერო ეკლესია. სოფ. გეგუთში დიმიტრი

[294] ИВР РАН, Н-78, გვ. 100-101.

სტუმრად მიუწვევია ქუთაისის გუბერნიის პროკურორს ლევან ნიკოლოზის ძე ქარქიევს. მას მეღვინეთხუცესიშვილის საპატივსაცემოდ სადილი მოუწყვია, რომლის დასრულების შემდეგ გლეხებს გაუმართავთ „ბურთაობა“. მისი ნახვა „პირველ იყო ჩემთვისო“, აღნიშნავს დიმიტრი[295].

27 მაისს ქუთაისის გუბერნიის მოსამართლე, თავადი მიხეილ თუმანიშვილი მეღვინეთხუცესიშვილს შეჰპირებია ქუთაისის „ღუბერსკი სუდში“ არსებული ძველი დოკუმენტების ნახვას. მეორე დღეს მას მართლაც უნახავს ეტრატზე ნაწერი ერთი ძველი დოკუმენტი, რომლის პირი გადმოუწერია. სიგელში იხსენიებიან „რანთა, აფხაზთა, სომეხთა, შაანშა და შარვანშა ტახტისა და სამეფოს აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის თვით მტკიცედ ფლობით მპყრობელი მეფეთა-მეფე დემეტრე, მისი ძე კონსტანტილე და მისი დედა-„პატრონი გულაშარ“, „მეფეთა-მეფე ბაგრატ“, „დედოფალთ-დედოფალი ელენე“ და დაწვრილებითაა გადმოცემული დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მშენებლობისას მომხდარი ინციდენტი, კერძოდ გალავნის (კედლის) გადანგრევის გამო, დავით აღმაშენებლის ფიზიკური დაზიანებისა და აქიმ ავშანდაძის მიერ მისი ირმის რძით განკურნების ამბავი, რის გამოც ავშანდაძისათვის მეფეს სკანდის, ყვირილას, ჩხარისა და მიმდებარე ტერიტორიები უწყალობებია. ხსენებული დოკუმენტი მოგვიანებით ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართო განხილვის საგანი გახდა. მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვისაც ზემოხსენებული დოკუმენტის ტყავზე ნაწერი დედანი ჰქონდა ხელთ და მის მიერ გადმოწერილი ტექსტის სხვა მეცნიერების მიერ შესწავლილი ამავე დოკუმენტის ტექსტებთან შედარების საშუალებას იძლევა[296].

24 მაისს მეღვინეთუხუცესიშვილი შეხვედრია ქუთაისის მიტროპოლიტ დავითს, საქართველოს ეგზარქოსსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს პლატონ იოსელიანს, რომელსაც ახლოს იცნობდა. დიმიტრის მათთვის გაუმჟღავნებია სურვილი გურიაში გამგზავრებისა და იქაური სიძველეების ნახვის შესახებ, მაგრამ ეგზარქოსი ამ წინადადებაზე არ დასთანხმებია, რადგან იმ ჟამად გურიაში ორი-სამი კაცით სიარული გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული და სწორედ იმ ხანებში მოუკლავთ ავაზაკთა რაზმის ახალგაზრდა მეთაური.

მეორე დღეს დიმიტრის ეგზარქოსისგან მიუღია დასტური და მიწერილობა მღვდელთა და გამგებლებისადმი, რათა მკვლევარისათვის ხელი შეეწყოთ და ეკლესია-მონასტრების სიძველეები ეჩვენებინათ.

---

[295] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი № 12.
[296] იხ. აქვე, გვ. 151, შენიშვნა 11.

26 მაისს უნახავს მოწამეთას მონასტერი და წმინდა მოწამენის: დავითისა და კონსტანტინეს ნაწილები. ამოუწერია ოქროს პატარა სანაწილეზე არსებული ხუცური წარწერები, რომელთაგან ერთი ვარდან დადიანს ეკუთვნოდა, ხოლო მეორეში ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი, სოფრონ ერუშნელისძე სახელდებიან და ვინმე მიხეილის სულის სავედრებელია გადმოცემული.

მოწამეთადან მეღვინეთხუცესიშვილი მისულა გელათში. აქ უნახავს ქართველ მეფეთა გვირგვინები, სამღვდელთმთავრო შესამოსელი და დავით აღმაშენებლისეული ოქროს ბეჭედი თავის ასახდელი სანაწილით და წარწერით, რომელიც სამწუხაროდ დღეისათვის დაკარგულია[297]. მოუნახულებია მონასტერს შეწირული დარუბანდიდან წამოღებული რკინის კარი და ამოუწერია დავით აღმაშენებლის ეპიტაფია.

27 მაისს საღამოს დაბრუნებულა ქუთაისში, მეორე დღეს გაუგრძელებია გზა ოდიშისაკენ და მისულა ხონში, სადაც პარასკევობით იკრიბებოდნენ სხვადასხვა კუთხიდან ჩასული მოვაჭრენი. ხონის ცენტრში იგი აღწერს თლილი ქვით ნაგებ მცირე ზომის ეკლესიას, რომელშიც დაბრძანებული ყოფილა „ფრიად ძველი წმ. გიორგის ხატი" მდგომარე ვითარებაში. ბორნით გადასულა მდ. ცხენისწყალზე და „ყაზახთა" ცხენების დახმარებით, 25 ვერსის გავლის შემდეგ, ბინდისას მისულა სუჯუნას, ოდიშის ჭყონდიდელ ეპისკოპოს დადიანთან. ჭყონდიდელს სტუმარი დიდი პატივით მიუღია და დამსწრეთათვის მოუყოლია 1842 წელს თბილისიდან წამოსვლისას, ორი დღის განმავლობაში დიმიტრის მიერ ეპისკოპოსისადმი გულითადი მასპინძლობის ამბავი[298].

მეორე დღეს სტუმრისათვის უჩვენებიათ სუჯუნის თლილი ქვით ნაგები გუმბათიანი ეკლესია და მშენებარე სამრეკლო. ეკლესიაში დაბრძანებული ყოფილა ვერცხლით შეჭედილი, ოქროთი დაფერილი და თვალ-მარგალიტით შემკული ხატი, ლევან II დადიანისა და მისი გარდაცვლილი მეუღლის მოსახსენიებელი 1646 წლის მხედრული წარწერით. ტაძარში ყოფილა სხვა ხატებიც, წარწერების მიხედვით, ერთი მათგანი შეუმკია თევდორე ხოშტარიას ბატონ დადიანის ძე ჭყონდიდელ-მიტროპოლიტ გრიგოლის ბრძანებით, ხოლო მეორე, ჭყონდიდელ ევდემოზ ჩხეტიძეს სუჯუნის მონასტრისათვის შეუწირავს ვამეყ ლიპარიტიანისა და ელენე დედოფლისაგან პირველად შემოწირული სამი კომლი გლეხი მათი მამულითა და ალაგით. აღნიშნული შეწირულობა მოგვიანებით განუახლებია გაბრიელ ლიპარიტიან-ჭყონდიდელს[299]. მესამე ხატი 1797 წელს პატიოსანი თვლებით შეუმკია,

---

[297] იხ. აქვე, შენიშვნა 16. დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია ვარაუდი, რომ ბეჭედი გიორგი III-ს ეკუთვნოდა (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 428, თ მესხი, ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, თბ., 2015, გვ. 69-71).

[298] ИВР РАН, Н-78, გვ. 105.

[299] ИВР РАН, Н-78, გვ. 106.

განუახლებია და სუჯუნის მონასტრისათვის დაუბრუნებია ჭყონდიდელ-მიტროპოლიტ ბესარიონს, კაცია დადიანის ძეს[300].

სუჯუნაში დიმიტრის ჭყონდიდელთან სტუმრობისას მეღვინეთხუცესიშვილი საკუთარ ოჯახში მიუწვევია მელიტონ ჩხეიძეს. მეორე დღეს აქვე მოსულა გურიის ეპისკოპოსი - ექვთიმეც და ერთად დასწრებიან დაკრძალვას, რომლის იმერული ტრადიციის აღწერას დიმიტრი დიდ ადგილს უთმობს[301].

მეორე დღეს ჭყონდიდელი და მეღვინეთხუცესიშვილი გამგზავრებულან სოფელ კულაში, სადაც ჭყონდიდელს სტუმრისათვის გაუცვნია მისი ნათესავი თავადი - მიქელაძე და მისი დახმარებით მიუღწევიათ მდ. კოდორამდე. ჭყონდიდელ-მიტროპოლიტს დიმიტრისათვის გადაუცია მიწერილობა სამეგრელოს მთავარ - დადიანთან და გაუყოლებია ორი კაცი გზის საჩვენებლად, თუმცა, ერთი მათგანი სოფლის ბოლოდანვე გაპარულა, ხოლო მეორე მხოლოდ დიდი ხვეწნისა და თანხის გადახდის შემდეგ დასთანხმებია მეგზურობაზე, რის შემდეგ, დიდი გაჭირვებით მიუღწევიათ სოფ. ხოფამდე[302] (იგულისხმება ხობი - ი. ა.), სადაც ერთ მოხუც მღვდელს უმასპინძლია და უჩვენებია მცირე ზომის, მაგრამ თლილი ქვით ნაგები ძველი ეკლესია, რომლის კედელზე გამოსახულნი ყოფილან ტაძრის აღმშენებელი - ერისთავთერისთავი და მანდატურთუხუცესი - გიორგი დადიანი. ტრაპეზზე მდგარ პატარა ვერცხლით შეჭედილ ყუთში დაბრძანებული ყოფილა ღვთისმშობლის კვართი და სხვა წმინდა ნაწილები. დიმიტრის გადაუწერია ვერცხლის ყუთზე არსებული მხედრული წარწერა, რომლის მიხედვით, კვართის „კუბო ვერცხლითა და ოქროთი დაუფერავს და თვალ-მარგალიტით შეუმკია ლევან დადიანს, მისი ახლად გარდაცვალებული მეუღლის - ნესტან-დარეჯანის სულის სახსრად და საოხად 1640 წელს (ქ~კს 328). ეკლესიის კარიბჭის შიდა და გარე კედლის მარმარილოს სვეტზე დიმიტრის ჩაუწერია ხუცური წარწერა, რომელიც გადმოგვ-ცემს მანდატურთუხუცეს ვამეყ დადიანის ჯიქეთში ლაშქრობას, გამარჯვებასა და იქიდან მარმარილოს სვეტების წამოღებას[303].

6 ივნისს დიმიტრი მისულა დავით დადიანთან და სამეგრელოს მთავართან ოთხი დღე დარჩენილა. აქ შეხვედრია დადიანების კახელ „მძახლებს": გულბაათ ჭავჭავაძეს, მის რძალს - მარიამ ჭავჭავაძისას, დედით, დით და სიძით. მეღვინეთ-ხუცესიშვილს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვია და „გაუსინჯავს" დადიანების მდიდარი ბიბლიოთეკა[304].

---

[300] ИВР РАН, Н-78, გვ. 107.
[301] ИВР РАН, Н-78, გვ. 107-108.
[302] ИВР РАН, Н-78, გვ. 108.
[303] ИВР РАН, Н-78, გვ. 109.
[304] ИВР РАН, Н-78, გვ. 110.

ქართლელ სტუმარს თავისუფალ სვანეთში გამგზავრების სურვილი გამოუთქ-ვამს, მაგრამ მასპინძლებს სიფრთხილისა და გადაწყვეტილების შეცვლისაკენ მოუწოდებიათ. მხოლოდ შტაბს კაპიტან თავად აბაშიძეს აუღია თავის თავზე მეგზურობა, ისიც მხოლოდ მის სამოქმედო ტერიტორიაზე[305].

11 ივნისს მეღვინეთხუცესიშვილი მეგზურის თანხლებით ზუგდიდიდან ცხენით გამგზავრებულა და ჭაობიანი და ტყიანი გზის წინააღმდეგობების შემდეგ, იმავე საღამოს მისულა შავი ზღვის ნაპირას ანაკლიაში. მდ. ენგურის პირას მკვლევარს უნახავს დაზიანებული ციხე-კოშკი. ღელვის მიუხედავად, უგზოობის გამო, მოგზაურები იძულებული გამხდარან, გზა ზღვის სანაპიროზე გაეგრძელებინათ და ერთ ადგილას მდინარის შესართავთან წყალშიც შესულან, რაც, ლამის სიცოცხლის ფასად დაჯდომიათ. ოთხი საათის მომქანცველი და რთული მოგზაურობის შემდეგ, ისინი მისულან ყულევს, ანუ რედუტ-ყალეს, 17-ში - ხონს, ხოლო იქიდან - მარტვილში გადასულან. დიმიტრის უნახავს და აღუწერია მარტვილის მონასტერი. აქვე ჭყონდიდელისაგან ჩაუწერია ჭყონდიდის ისტორია.

მარტვილიდან მეღვინეთხუცესიშვილი ჭყონდიდელის მიერ მიმაგრებული კაცის თანხლებით მისულა ნოქალაქევში ალექსანდრე დადიანთან. დადიანს სტუმრისათვის დაუთვალიერებინებია მდ. ტეხურის პირას არსებული კოლხეთის ძველი დედაქალა-ქი. კოლხეთის ძველი დიდების ნაშთების ნახვას დიმიტრიზე მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია. დანგრეული გალავანი, ქვევრებით სავსე მიტოვებული ნამარნები, ხავსგადაკრული ჩამოშლილი დუქნებისა და სახლების ნაწილები ყოფილა ირგვლივ მიმოფანტული. ადგილობრივ ეკლესიაში დადიანს სტუმრისათვის უჩვენებია კონსტანტინე დიდისა და ელენე დედოფლის ფრესკა ძელი ჭეშმარიტის ფონზე. წინაპართა გადმოცემით, ეკლესია თითქოს ბიზანტიის იმპერატორსა და დედოფალს აეშენებინოს ორმოც მოწამეთა სახელზე. დიმიტრის ადგილზე მართლაც უნახავს აგურით მოპირკეთებული ორმოცი ოთხკუთხა აკლდამა და მისი ნახვის სურვილი გამოუთქვამს, მაგრამ ადგილობრივების დიდი წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მომხდარა. მათი რწმენით, აკლდამებში სწორედ „ორმეოც სებასტიანელ მოწამეთა" წმინდა ნაწილები იყო დაკრძალული და ისინი ხელშეუხებელნი იყვნენ[306].

ტეხურის სანახებთან დიმიტრი შეხვედრია თავის ძველ ნაცნობს, გურულ თავად - პოლკოვნიკ ერისთავს, რომელსაც მეღვინეთხუცესიშვილი ჯერ კიდევ 1845 წლის დარგოს ექსპედიციიდან იცნობდა და ამ ადგილას სამკურნალო თვისებების მქონე აბანოს გამო ჩამოსულა, რომელიც ადგილობრივებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

---

[305] ИВР РАН, Н-78, გვ. 110.
[306] ИВР РАН, Н-78, გვ. 111.

დიმიტრი, აბაშისწყლის გავლით, მხოლოდ საღამოს პირას დაბრუნებულა უკან მარტვილში. ჭყონდიდელ ეპისკოპოსს სიძველეთა მკვლევარი სტუმრისათვის უჩვენებია ძველი სიგელი, რომელიც გაცემულია ლევან II დადიანის მიერ და მასში დაწვრილებითაა მიმოხილული სამეგრელოს მთავრის იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა და მის ძმა - მამუკაზე გალაშქრება და ის აუარება ძარცვა, ტყვევნა და რბევა, რასაც დადიანი ახორციელებდა იმერეთზე[307].

25 ივნისს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ჭყონდიდელს გამომშვიდობებია და ხონის გავლით დაბრუნებულა ქუთაისს, ხოლო იქიდან - ვარციხეს გადასულა. აქ მას უნახავს ფრანგი კონსულისა და მოგზაურის ჟაკ ფრანსუა გამბას ქალიშვილი და მისი ხის დამამუშავებელი საამქრო, სადაც წყლით „ხერხავდნენ ხეს“. დიმიტრის მათგან შეუტყვია გამბას მიერ საქართველოს აღწერის შესახებ. მკვლევარი ვარციხეში დიდხანს არ დარჩენილა, რადგან ღირშესანიშნავი ვერაფერი უნახავს, გარდა ამაღლების ეკლესიაში ვერცხლის ძველი ხატისა, ასომთავრული წარწერებით, შოშიტა ერისთავისა და მისი თანამეცხედრის - მარეხის მოსახსენიებლით, გაცემული 1613 წელს[308].

27 ივნისს მეღვინეთხუცესიშვილი მისულა საჩინოს, „უჩასტკის ნაჩალნიკ“ თავად ივანე მიქელაძესთან, რომელსაც სტუმრისათვის გაუყოლებია თანმხლები კაცი და ერთად მოუხილავთ ვანის სიძველეები. ჩიჟავაძეების მიერ თლილი ქვით ნაგები დიდი ეკლესია, „ბერძნული“ მოხატულობით, მაგრამ იმჟამად შეთეთრებული და უწარწერო, თუმცა, ადგილობრივ გამგებელს მისულთათვის უჩვენებია ვერცხლის ბუდეში ჩასმული, ოქროს ვარაყით შემკობილი ძველი სახარება, ეტრატზე ნაწერი მხედრული წარწერით, რომლის მიხედვით, სახარება ტყვეობიდან დაუხსნია მეფის ძეს, აფხაზეთის კათალიკოს იოსებს და ვანის მთავარანგელოზისათვის შეუწირავს 1771 წელს, ხოლო ვერცხლის ბუდე შეუმკია ვახუშტი ჩიჯავაძესა და მის თანამეცხედრეს - მარეხ ღოღობერიძეს[309]. ეკლესიაში ყოფილა სამი, ვერცხლით შეჭედილი ხატი, ერთი ისევ ვახუშტი ჩიჯავაძის წარწერით, ოღონდ მისი მეუღლე უკვე გარდაცვალებული ჩანს. მეორე წარწერის მიხედვით ხატი მოუჭედვინებია ვახტანგ ჯანიშინს მისი სიძის, ახლად გარდაცვალებული საზვერელ-ჩიჯავაძის სულის მოსახსენიებლად 1708 წლის 23

---

[307] ИВР РАН, Н-78, გვ. 111-112. ხსენებული დოკუმენტი დაცულია თბილისშიც, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირად საარქივო ფონდში, საბ. № 15, „წიგნი მიწერილი აკაკი წერეთელთან“, შედგება სამი გვერდისაგან. წერილი დათარიღებულია 1867 წლის პირველი ნოემბრით.

[308] ИВР РАН, Н-78, გვ. 112.

[309] ИВР РАН, Н-78, გვ. 114-115.

იანვარს. მესამე წარწერა ასომთავრულით ყოფილა შესრულებული და მისი ავტორი ისევ ვახუშტი ჩიჯავაძეა, ამჯერად მის თანამეცხედრედ ანა ჭილაძე ჩანს.

მიქელაძის ოჯახში დიმიტრის უნახავს სამართლის წიგნი, რომელიღაც ჟამგულანიდან ამოწერილი და გადმოცემულია ბაგრატის ტაძრის ისტორია, დაწყებული ბაგრატ III-ის მიერ ტაძრის აშენებიდან - შაჰ ნავაზის ვაჟის - არჩილის მეფობისას ოსმალთაგან ტაძრის დანგრევამდე (1692 წ.)[310].

28 ივნისს მეღვინეთხუცესიშვილს თანმხლებ პირთან ერთად მოუვლია ვანის მიდამოები და ნიკოლოზ ჩიჯავაძესთან სტუმრობისას მცირე ზომის ეკლესიაში უნახავს საკმაოდ ძველი, ვერცხლით შეჭედილი, ოქროთი დაფერილი და ლალის ოთხი ძვირფასი თვლით შემკული ხატი, ზომით 40X33 სმ., ვახუშტი ჩიჯავაძისა და მისი თანამეცხედრის - ანას მოსახსენიებლით. აქედან იგი მდ. ყვირილას მიმართულებით გაჰყოლია გზას და ტყიან და შემაღლებულ ადგილას (დიმიტრი აღნიშნავს, რომ იმ ადგილიდან მარტვილი მოსჩანდაო) მოუნახულებია თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია, რომელშიც დაბრძანებული ყოფილა ვერცხლით შეჭედილი წმ. გიორგის ხატი დაზიანებული ასომთავრული წარწერით.

ვანიდან მკვლევარი უკან დაბრუნებულა „ყოვლით შემკობილი“ ადგილებით, ტყიანი მთებით და მცირე მდინარეებით, ყვირილა ნავით გადაულახავს და 30 ივნისს მისულა ქუთაისში, ხოლო 2 ივლისს უკვე შორაპანში ყოფილა. მდ. ძირულასა და ყვირილას შესართავთან უნახავს ბევრის მნახველი და კლდეზე აღმართული შორაპნის ციხე, აწ დანგრეული, საიდანაც მდ. ყვირილაში გვირაბი ჩადიოდა.

ძირულის გავლით გადაუვლია „ვაჟებად“ წოდებული სერები და სოფ. ილემში (დიმიტრი წერს - ილევს - ი. ა.) აღუწერია შემოქმედის თლილი ქვით ნაგები მონასტერი, ძველი მოხატულობით, გადმოუწერია წარწერები და ისევ ძირულას გავლით, გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ, მისულა სოფ. წევაში. იქაც გადმოუწერია წმ. გიორგის ეკლესიაში დაბრძანებული ხატების წარწერები, რომელთაგან ერთის ავტორი ყოფილა სოლომონ I-ის თანამეცხედრე „დედოფალთ-დედოფალი“ დადიანის ასული მარიამი, ძის - ალექსანდრესა და ასულთა წმ. გიორგისადმი შესავედრებლით, დათარიღებული 1774 წლით. მეორე წარწერა „ფრიად“ ძველ ხატზე შესრულებული, დაზიანების გამო, დიმიტრის მხოლოდ მისი ფრაგმენტების ამოწერა მოუხერხებია. ისიც წმ. გიორგის სახელზე ყოფილა და ბეჟან სახლთუხუცესსა და მის თანამეცხედრეს - თინათინს შეუწირავს ეკლესიისათვის[311]. კიდევ ერთი ხატი, ვერცხლით დაფერილი, წარწერის მიხედვით

---

[310] ИВР РАН, Н-78, გვ. 112.
[311] ИВР РАН, Н-78, გვ. 118.

მოუჭედავს და ეკლესიისათვის შეუწირავს ელიზბარ მაჭავარიანს და მის მეუღლეს - აბაშიძის ასულ ანას 1819 წელს. წევის ეკლესიის გარეგნული სახის შესახებ მელვინეთხუცესიშვილი მიუთითებს, რომ არის „უგუნბათო, სამხრეთით აწერია კლდის ქვაზედ: „ესე არს ბჭე უფლის, და მრავალნი შევლენ მას შინა“[312].

წევის სიონი მოხატული ყოფილა. ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახული ყოფილა ეკლესიის ქტიტორი - მაჭავარიანი. დიმიტრი იქვე აღწერს სიონის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციას, რომელიც 15 ივლისს იმართებოდა. ამ დროს მლოცველებს ეკლესიაში არსებული ბუკით მოუწოდებდნენ მოსალოცად. შემდეგ მღვდელი იქვე დაბრძანებულ ბაირაღს დაამწყალობებდა და დღესასწაულიც იწყებოდა[313].

წევადან მოგზაურს სამხრეთით რამდენიმე ვერსი გაუვლია, მდ. ძირულა გადაულახავს და მისულა მაღლობზე მდგარ გალავანმორღვეულ ტაბაკინის ეკლესიაში, ძველი მხატვრობით, ქტიტორის - ქუთათელი გერასიმე ჩხეიძის წარწერითა და გამოსახულებით. ეკლესიაში დაბრძანებული ყოფილა ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი დიდი ხნის ხატი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი. ხატზე არსებული მხედრული წარწერის მიხედვით, ბოქაულთუხუცეს თეიმურაზ ჩხეიძეს „ძველთაგან დანაკარგი“ შორაპნის ციხე-ქალაქი მეფე ბაგრატის ბრძანებით „ჴრმლით დაუჭერია“ და თანამეცხედრე თამართან ერთად, „ძველთაგან თათართა მიერ დალეწილი ხატი“ მურასა თვალ-მარგალიტით შეუმკია 1688 წელს[314].

წარწერების აღწერის პარალელურად, დიმიტრი დღიურში ეკლესიის მცირე ჩანახატსაც აკეთებს. ადგილობრივებს მისთვის უჩვენებიათ თლილი ქვით ნაგები მცირე ზომის ეკლესია, რომელიც, გადმოცემით იმავე დაყუდებულ ბერს - ნიკოლოზს აუშენებია, ვისაც ტაბაკინის ეკლესია, ხოლო შემდეგ იერუსალიმს გამგზავრებულა. იმჟამად მცირე ეკლესიის სენაკში უცხოვრია მოხუცებულ ბერს - მაკარს, რომლის მომვლელებად ქუთაისის მიტროპოლიტს განუწესებია ორი დიაკონი.

მელვინეთხუცესიშვილს სვლა გაუგრძელებია სამხრეთით, გაუვლია აჯამურას ხევი, აღმოსავლეთით უკან მოუტოვებია სოფელი კინოთი და „სერებ-ვენახოვანი“ გზითა და საკრაულას გავლით მისულა სოფელ ვარძიას. აღუწერია ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, გალავან-მორღვეული, ირგვლივ შესანიშნავი ხედით. დღიურში გაუკეთებია ეკლესიის მცირე ჩანახატი და გადაუწერია ტაძრისა და იქ არსებული სიძველეების წარწერები. სამხრეთის სარკმელთან ყოფილა ტაძრის ამშენებელ ნოდარ ჩხეიძისა და მისი მეუღლის ტექსტნაკლული წარწერა. ეკლესიის შიგნით

[312] ИВР РАН, Н-78, გვ. 118.
[313] ИВР РАН, Н-78, გვ. 119.
[314] ИВР РАН, Н-78, გვ. 119.

ჩანდა ძველი მოხატულობის კვალი. მკვლევარს იგი შეთეთრებული დახვედრია, რის გამოც არ გამორიცხავს, რომ სხვა წარწერებიც ყოფილიყო[315]. იქვე დაბრძანებული ყოფილა „ფრიად ძველი“, ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი ღვთისმშობლის ხატი, სამკარედიანი, კარედებზე ვერცხლით ამოტვიფრულნი ყოფილან მთავარანგელოზები: მიქელ და გაბრიელი, ძნელად გასარკვევი ასომთავრული წარწერით. იქვე ყოფილა თვალ-მარგალიტით შემკული მეორე, შედარებით მცირე ზომის ხატი ასომთავრული დაზიანებული წარწერით, საიდანაც მხოლოდ ის ირკვევა, რომ ხატი „მეფის ასულ თინათინს“ შეუმკია[316] და ჯვარი, ვერცხლით შეჭედილი და თვალ-მარგალიტით შემკული, უწარწერო, ფრიად ძველი ნახელავი. ადგილობრივებს დიმიტრისათვის ახლომდებარე ეკლესიაც უჩვენებიათ, მაგრამ იქ ღირშესანიშნავი ვერაფერი უპოვია. თვით ეკლესიაში გამგებლობას ეწეოდა ბერძენი არქიმანდრიტი იოანე-ნიკოლოზი, ხოლო მღვდლები ადგილობრივები ყოფილან.

ეკლესიის სამრეკლოზე ყოფილა ვრცელი მხედრული წარწერა, რომლის მიხედვით, დარღვეული და „სრულად შემუსვრილი“ სამრეკლოს აღდგენა დაუწყია ნათლისმცემლის უდაბნოს მამაყოფილს და იმჟამად ვარძიის მონასტრის წინამძღვარს, ლიხთ-იმერეთის მეფის ძის ბატონიშვილის (იგულისხმება იმერეთის მეფის - სოლომონ I-ის (1752-1784 წწ.) ძე - ალექსანდრე - ი. ა.) კარის არქიმანდრიტს ნიკოლოზ ყიფიანს, რომელსაც, მას შემდეგ, რაც ქართლსა და იმერეთში „გალატოზი“ ვერ უშოვია, საკუთარი ხელით და მეზობლების დახმარებით თვით დაუწყია მშენებლობა 1777 წელს[317].

4 ივლისს მკვლევარს ისევ ჩრდილოეთისაკენ უქნია პირი და ნუნისის გზას დასდგომია. გადაულახავს ჩხერიმელა და საქარიის ქედისა და სოფ. იგორეთის გავლით გადასულა ლაშეში. თუმცა, მთელი დღის სიარულის შემდეგ, ნუნისის ნაცვლად მეგზურს დიმიტრი უბისაში მიუყვანია და როდესაც ადგილობრივი მღვდლისათვის ნუნისის შესახებ უკითხავს, მას გაგონილიც არ ჰქონია ამ სოფლის არსებობა. სამაგიეროდ, იმავე მღვდლისაგან შეუტყვია, რომ სამი წლის წინ ბროსეს უნახავს უბისის ეკლესია და გაუშიფრავს მისი წარწერები. მიუხედავად ამისა, მელვინეთხუცესიშვილს უბისა უნახავი არ დაუტოვია, სადაც გამორჩევით აღწერს დიდ ჯვარს, თვალმარგალიტით შემკულს, რომელსაც, რატომღაც, ხანჯალი ჰქონია შემორტყმული და ჩერქეზული ქუდიც ჰფარებია[318].

---

315 ИВР РАН, Н-78, გვ. 120.
316 ИВР РАН, Н-78, გვ. 120.
317 ИВР РАН, Н-78, გვ. 121.
318 ИВР РАН, Н-78, გვ. 121.

ჯვრის გარდა, ტაძარში ასევე ყოფილა ვერცხლით შეჭედილი ხატები და ძველი პატარა სახარება. წარწერები დიმიტრის გადმოუწერია და იქაური მღვდლისა და მოხელისათვის უთხოვია, ისეთი მეგზური გაეყოლებინა, რომელიც ნუნისსა და საქართველოს სამხრეთ საზღვრებს დაათვალიერებინებდა, რის საფასურად ორმაგ გასამრჯელოს შეჰპირებია[319]. მათ მართლაც შეურჩევიათ ადგილმდებარეობის „მცოდნე“ მეგზური, მაგრამ პირველივე დღეს მოგზაურები უსიერ ტყეში შესულან და მხოლოდ დიდი წვალებისა და ძალისხმევის შედეგად უპოვიათ უკან დასაბრუნებელი გზა. უკანა გზაზე, ბედად, დიმიტრის ყანიდან მომავალი გლეხი უნახავს, რომლის დახმარებით მისულა ჭორვილაში. ის ღამე იქ გაუთენებია და მეორე დღეს გამგზავრებულა საჩხერეში, სადაც უმასპინძლიათ წერეთლებს. აქ გაუცვნია ალექსანდრე - პოლკოვნიკი, გვარდიის შტაბს-როტმისტრი, მისი ძმისწული ნესტორი, სვიმონ წერეთელი, მათი ბიძა გრიგოლი და სხვები, რომელთაც იმერული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლიათ ქართლელი სტუმრისათვის. ნესტორ წერეთლის ინიციატივით მოუსმენინებიათ იქ მყოფი მომღერალი გურულებისათვის.

დიმიტრის მასპინძლებისათვის უთხოვია, ეჩვენებინათ საგვარეულო ძველი დოკუმენტები, რათა კოპიოები გადაეღო, მაგრამ წერეთლების ყველა საგვარეულო საბუთი მიტროპოლიტ დავით წერეთელს ჰქონია წაღებული. აღმოჩნდა, რომ არც სხვა თავად-აზნაურებს ჰქონიათ შენახული ძველი სიგელ-გუჯრები. მეღვინეთხუცესიშვილი გულისტკივილით აღნიშნავს ეროვნული სიძველეებისადმი მოსახლეობის ასეთ ზერელე დამოკიდებულებას. ამ მხრივ, ბედნიერი გამონაკლისი ყოფილა ის შემთხვევა, როდესაც სახლთუხუცეს წერეთლის ასულს - „კნეინა“ სალომე ანდრონიკოვისას დიმიტრისათვის უჩვენებია ვერცხლისა და ოქროთი დაფერილი ნახევარ არშინიანი (დაახლ. 0, 35 სმ.) ჯვარი, რომელიც დროშის ტარზე ყოფილა მიმაგრებული, დავით აღმაშენებლის წარწერით და სიძველისაგან ძლივსღა განირჩეოდა, თუმცა მეღვინეთხუცესიშვილს მოუხერხებია მისი გადმოწერა[320].

13 ივლისს ბლაღოჩინ მღვდელს - ოქროპირს დიმიტრი წაუყვანია საჩხერიდან და უჩვენებია ჯრუჭის მონასტერი. ეტრატზე დაწერილი ძველი წიგნები, მათ შორის ძალზე ძველი, ასომთავრულით ნაწერი, დაქარაგმებული და 926 წლით დათარიღებული სახარება (ჯრუჭის ოთხთავი). დაუთვალიერებიათ ჯრუჭის

[319] ИВР РАН, Н-78, გვ. 121-V.
[320] ИВР РАН, Н-78, გვ. 122.

მონასტრის განძი, თუმცა, მეღვინეთხუცესიშვილი მის სახარებისდროინდელ თანადროულობასთან ეჭვს გამოთქვამს[321].

ჯრუჭიდან დიმიტრი გადასულა რაჭაში, სოფ. შქმერში, ხოლო იქიდან - ონში. 14 ივლისს ონის ეკლესიაში მას უნახავს წმ. გიორგის ძალზე ძველი ხატი, რომელიც, გადმოცემით, წლების განმავლობაში სვანეთში ყოფილა დახიზნული „შიშიანობის“ გამო და უკან მოგვიანებით დაუბრუნებიათ. ხატზე ყოფილა ხუცური წარწერა სამი ძმის - გარაყანისძეთა სულის მოსახსენიებლით[322].

ამავე ეკლესიაში ყოფილა ოქროთი დაფერილი და ვერცხლით შეჭედილი, ეტრატზე ნაწერი სახარება, რომელიც მეცამეტე მოქცევის დასასრულს (1312 წ.) გადაუწერიათ გიორგის მეფობისას.

15 ივლისს მეღვინეთხუცესიშვილსა და ოქროპირ „ბლაღოჩინს“ რიონი გადაულახავთ და ასულან მაღალ მთაზე ნათალი ქვით ნაგებ ძეგლევის ეკლესიაში, სადაც, ვახუშტის ცნობითა და ადგილობრივების მტკიცებით, თითოეული მიცვალებულის ზეთით განბანვის მიუხედავად, ჭიქაში ზეთი არ აკლდებოდა, თუმცა, დიმიტრის აქ ზეთი ვერ უნახავს.

შემდეგ აჰყოლიან რიონს, მისულან მჟავე წყლებამდე და სპეციალურად დაუთვალიერებიათ დიდი და „ფრიად ძველი“ ეკლესია, რადგან, იქ, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, თამარ მეფის „მკიდარე ნაწნავი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც ნაწნავი და ვერც ამის მომსწრე-მნახავი დიმიტრის იქ ვერ მოუძებნია და იმავე საღამოს ონში უკანვე დაბრუნებულა.

16 ივლისს ონიდან სამ ვერსზე მაღლა მთაზე, სოფ. სხიერის ეკლესიაში უნახავს ვერცხლით შეჭედილი ხატები.

17 ივლისს მეღვინეთხუცესიშვილი ათვალიერებს მრავალძალის ეკლესიას, სადაც მრავლად ყოფილა საბრძოლო იარაღი შეწირული: ხმლები, შუბები, მუზარადები და სხვ. ადგილობრივების თქმით, ეკლესიაში ყოფილა შაჰ-აბას I-ის კუთვნილი ხმალი, რომელიც იმ ხანებში გაუყიდიათ და აღებული თანხით ტაძრის იატაკი მოუპირკეთებიათ. დიმიტრი შეწირულ ხმლებს შორის გამოარჩევს სპარსული ხელობის ოქროს ტარიან ხმალს, ოდესღაც ძვირფასი თვლებით მოჭედილს, თუმცა, იმჟამად თვლებ ამოცლილს[323]. მეღვინეთხუცესიშვილს ხატებზე არსებული წარწერებიც გადაუწერია და შქმერის გავლით დაბრუნებულა საჩხერეს, სადაც წვიმიანი ამინდების გამო, რამდენიმე დღით შეფერხებულა.

მოგზაურობა დიმიტრის 20 ივლისს გაუგრძელებია, უნახავს სავანის ეკლესია და აღუწერია მისი წარწერები. იქვე, ეკლესიის შიგნით, კანკელის მარჯვნივ ძველ

---

[321] ИВР РАН, Н-78, გვ. 123.
[322] ИВР РАН, Н-78, გვ. 123.
[323] ИВР РАН, Н-78, გვ. 124.

აკლდამაში შენახული ყოფილა ძველი ხატები, მაგრამ მისი გახსნასა და ნახვას ადგილობრივები ვერ ბედავდნენ და არც სტუმრისათვის მიუციათ ამის უფლება.

21 ივლისს კვლავ გაავდრებულა და უგზოობის პირობებში მეღვინეთხუცესიშვილს დიდი ძალისხმევა დასჭირვებია უკან დასაბრუნებლად: „გარდმოვიარე კორტოხის მთა ტყიანი და ხევებიანი წვიმა-ტალახში ზოგან ცხენით და ზოგან ქვევითათ გაჭირვებით ჩამოველ სურამსო“, აღნიშნავს იგი[324].

ამით მთავრდება დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში. ადამიანი, რომელიც საკუთარი ხარჯითა და ინიციატივით, ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობდა ეროვნული სიძველეების შესწავლასა და გადარჩენას, ელემენტარული პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგებოდა. ეს პრობლემები განპირობებული იყო, ზოგან მოსახლეობის ცრურწმენით გამოწვეული შიშით, ზოგან დაუდევრობით და ზოგანაც ბიუროკრატიული აპარატის უმოქმედობით. მას ხან მეგზური ეპარება გზიდან, ხან თანხას დახარბებული უვიცი თანამგზავრი გზის გაგნებას ვერ ახერხებს, ხანაც ადგილობრივები სიძველეებს უმალავენ, რადგან მათი ღრმა რწმენით, მათი გახსნა და უცხო თვალით ნახვა უბედურების მომტანია.

მეღვინეთხუცესიშვილი არაერთგან სწუხს, რომ ისეთ მეგზურს ვერ შოულობს, რომელმაც ადგილობრივი გზები კარგად იცის, მიუხედავად იმისა, რომ იმდროისათვის საკმაო დღიურ თანხას უხდის. მისი სურვილი ქვეყნის სიძველეთა შესწავლის მიზნით, ბევრისათვის გაუგებარი და დროის ფუჭი ხარჯვა იყო. ეს გულისტკივილი მის დღიურებს ცხადად ატყვია: „ვეძიებდი კარგს მოგზაურს კაცს დღეში მანეთათ თავის ცხენით, რომელთანაც მსურდა დამევლო დანაშთენნი ალაგები იმერეთისა, რათამცა მოგზაურობა ჩემი ესე ყოფილიყო სრული, გარნა სურვილი ჩემი ამაო იყო, სახელდობრ ვისაც ვეტყოდი ამა და ამ ქალაქებში მინდა წასვლა და ნახვა ამა ძველთა შენობათა, რომელთაც სწერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში, იგინი ზოგნი დაიზარებდნენ და ზოგნი ვერ ბედავდნენ შორს სიარულს, დიდ ხანს მოუნდებით და ჩვენ საქმეს მოვცდებითო. ამის გამო იძულებულ ვიყავი გამეთავებინა იმერეთს მოგზაურობაო“[325].

იმერეთის შემდეგ, დიმიტრის სურვლი ჰქონია აჭარაში გამგზავრების, მაგრამ თანხისა და შესაბამისი ნებართვის უქონლობის გამო, იძულებული გამხდარა გორში დაბრუნებულიყო.

ჩვენი აზრით, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ჩანაწერები ძვირფასი წყაროა ჩვენი ქვეყნის სიძველეებისა და მემკვიდრეობის შესასწავლად, მით უფრო, რომ

---

[324] ИВР РАН, Н-78, გვ. 125.
[325] ИВР РАН, Н-78, გვ. 124.

დღეისათვის ამ მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგული, განადგურებული, ან პირვანდელი სახედაკარგულია. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ აღწერილი ეკლესია-მონასტერთა და სიგელ-გუჯართა წარწერები მოგვიანებით სხვა მეცნიერებმაც (დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვ.) გამოაქვეყნეს, ჯერ ერთი მეღვინეთხუცესიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ეს მასალა. მეორე, მას ხელთ ჰქონდა აღწერილი სიგელ-გუჯრების დედნები, და მესამე, იგი აღწერს ეკლესია-მონასტრებისა და იქ დაცული სიწმინდეების იმდროინდელ ბუნებრივ მდგომარეობას, ამიტომ შედარების თვალსაზრისით უაღრესად საჭირო ინფორმაციის შემცველია, ამიტომ დანართის სახით ვურთავთ.

„მოგზაურობა და მოხილვა იმერეთისა“ (ტექსტი)

17 მაისს 1850 წელსა ვიწყე სიარული ფოშტის გზით იმერეთს და მიმავალმან მოლითის[1] ფოშტის სტანციიდამ ვნახე მარჯვნივ მაღალსა კლდესა მცირე მდინარისა ჩქერიმელას გაღმა ციხე დაქცეული, მას შინა არა ვითარმე ღირსი შესანიშნავი არა იყორა, ჩემთან მყოფმა კაციამ სთქვა: როგორც მე გამიგონია ძველადვე, ეს ციხე იყო იმერთა მეფეთა საზაფხულოთ სამყოფი და სიმაგრე სამზღვრისა, ამას უწოდებენ ხარაგეულის მწვერის ციხეს და ვინ აღაშენა არ ვიციო. ამის დასავლითს რამდენსავე ვერსზედ სდგა მცირე ეკლესია უგუნბათო თლილი ქვისა, ეკკლესიაში კანკელ წინ მარცხნივ არის ამართული ჭერამდე ჯვარი ხისა გაკოპიტებული, რომლისთვისაც მოუთხრობენ „ოდესმე მცირე წლოვანთა მწყემსთა შეჰქმნეს ჯვარი ხისაგან ბერის წმინდის გიორგის სახელსა ზედა და დაასვენეს აქ რათამცა ძალმან მისმან დაიცვას საქონელი მათი უვნებელ და უკლებელ ხოლო თვით წარვიდნენ თავთავის სახლში, მეორე დღეს იხილეს რა მათ საქონელი თვისი მრთლად, განცვიფრებულთა მათ ყრმათა მიიღეს ეს სასწაულად და დღედმდე ყოველთა იმერთა აქვსთ მაზედ დიდი სასოებაᲘ, რომელზედაცა ძნელად გაბედავს ვინმე ფიცსა. ამა ეკკლესიასა ზედა არცა გარეთ არცა შიგნით წარწერილობა არა რაᲘ არს [100].

ეკკლესია ესე არს გაახლებული ექვსის წლის წინათ, რომლისა აღშენებაზედ კაციამ სთქვა მე ვიყავ ამაზე თავმდგომიო და მაშინ დიდათ მსურდა ამომეღო ეს ჯვარი მოვთხარე მიწა და ძირი ვერ უპოვნეო, კაციას სიტყვით სჩანს ჯვარი უნდა იყოს სიმაღლით ექვსი საჟენი[2] მეტი ოთხკუთხივ გათლილი და სიგანე ოთხი ხუთი არშინი[3]. აქედამ გარე ფოშტისავე გზით მიველ ქალაქსა ქუთაისს (მინაწერი: „კაცია აზნაური კიკნაძე“).

18 მაისს დავიარე ახალი და ძველი ქალაქი ქუთაისი. პირველ მდინარისა რიონ გამოღმა დაბალსა ვაკესა ზედა, მეორე რიონ გადაღმა მაღალსა ქვიან მთასა ზედა, რომელსა მიუღია სახელი ვითარცა იტყვიან სამთა სიტყვათაგან <u>ქვა</u> <u>მთა</u> <u>ისი</u>. ხოლო

ძველთა წერილთა შინა სახელ სდევს ქუთათისი და ჟამთა ცვლილებისა გამო შემოკლებით უწოდებენ აწ ქუთაისი. ძველს ნაქალაქევს მაღლა მშვენიერსა ალაგსა ზედა სდგა დიდი და შერყეული ეკკლესია ყოვლად წმინდისა მღთის მშობლისა და სცხოვრებს (ეს სიტყვა ჩამატებულია – ი. ა.) მიტროპოლიტი იმერეთისა დავით[4] კრებითურთ თჳსით, ტაძარი ესე მაჩვენეს მე აქაურმა კანდელაკმა, ბერძნის არხიმანდრიტმა და დეკანოზმა გამრეკელოვმა, ჩუჱნ შემოუარეთ ამა ტაძარსა გარს და დიდ ხანს ვშინჯავდით ყოველსავე სიძველესა მისსა თვალდაკვირვებით, ტაძარსა სრულად ცა დაქცეული და კედლები დახეთქილი ეგრეთვე გალავან და სხვა შენობა მისი, მარჯვნივ კარიბჭე არს გაახლებული სადაცა მისი ყ̃დ უსამღვდელოესობა მიტროპოლიტი დავით და სხვანი სამღვდელონი გარდახდიან წირვალოცვათა, მარცხნივ ჩრდილოეთის მხარეს ფანჯარას ქვეშე ქვასა ზედა ნაწერის დასასრულს ქორონიკონს ალაგს ამოჭრილი ასოებია ესე ⲣⲣⲟ ჩუჱნ ვშინჯეთ ესენი [100-V].

სამს დღეს და ყოველს ღონისძიებით ვეცადენით გამოცნობასა, გარნა ნამდვილ ვერ მივხვდით და არცა ერთი ძველი წერილის ასლი არ ემსგავსება მათ, ამისთვის ვსთქვით, უნდა იყოს ესე არაბული.

19 მაისს გამოვცხადდი აქაურს გუბერნატორთან[5], რომელმაც მოახდინა განკარგულება მომეცეს მე შემწეობები და 21 მაისთვის ვიცეგუბერნატორი სახლობით, რამდენიმე ჩინოვნიკნი აქაურნი და მე წავედით ქალაქს გარეთ რიონ გაღმა ციხე დარბაზის სანახავათ. ჩუჱნ გავიარეთ ვაკე გზით შვიდიოდ ვერსი და გზაზედ დაგვხვდნენ ორნი იმერელნი მოსამსახურენი, რომელთაც დაგვინახეს რა, გადიხლათეს ფეხები გადიძრეს ფაფანიკები და მძიმეთ თავის დაკვრით გვეტყოდნენ: ლევან ნიკოლაიჩმა თავი დაგიკრათ შეკაცო. გადმოდგნენ წინ ეგრეთვე თავის დაკვრით და გვითხრეს: ლევან ნიკოლაიჩმა მოკითხვა მოგახსენათ შეკაცო, კიდევ წამოდგნენ თავის დაკვრით და სთქვეს: ლევან ნიკოლაიჩმა ბოდიში მოითხოვა თქუჱნთან აქანამდე აქანას გელოდით, ცოტა უძლებ შეიქნა და შინ გიახლათ შეკაცო. ეს იმერლები გაგვიძღვნენ და ვნახეთ ციხე-დარბაზი. იგი სდგა მშვენიერ ვაკესა ზედა შენობა მისი აგურისა შეიცავს საკმაო სივრცესა, აქვე არს ეკკლესია პატარა რომელთა ზედაცა არა რაᲘმე წარწერილობა არცა სხვა შესანიშნავი თჳნიერ ციხე დარბაზის მაღალს გუნბეთს მეტი არა იყორა, შენობა სრულიად დაქცეულია [101]. აქედამ მივედით სოფელს გეგუთს უფალს ქუთაისის ღუბერსკის პროკურორთან ლევან ნიკოლაიჩ ქარქიევთან[6], რომელიც მიგველოდა ჩუჱნ სადილათ და წინამძღოლნიცა ჩუჱნნი იყვნენ მოსამსახურენი მისნი, იმ დღეს გვქონდა ლაპარაკი ციხე-დარბაზზე, ლევან ნიკოლაიჩმა სთქვა: ეს ციხე-დარბაზი როგორც გამიგონიაო ყოფილა მეფეთა ზამთარი სადგური, ზოგნი იტყვიანო ვითამცა თურქთა აღეშენებინოსთ 51 მეფის გიორგის დროს[7]. მე მოვესწარ კიდევ რამდენსამე შენობასა მისსა მრთელსაო და 1815 წელსა იმერეთის მმართველმან ღენერალმან ხათუნცოვმან დააქცევინა და თლილი ქვები ქუთაის სახლებს მოახმარაო[8]. სადილ შემდგომ წავედით იმავე გზით და მოვედით კვალადვე ქუთაისს.

22 მაისს ვნახე ქუთაისის გუბერსკის სუდია თავადი მიხეილ თუმანოვ[9] რომელმაცა აღმითქვა გაშინჯვა რაᲘცა ქუთაისის ღუბერსკის სუდში ძველი დოკუმენტები არის, დღე

ამასთან ვიყავ სადილათ და ესე მეტყოდა სხვათა შორის: ძველის წერილებს და ჩვეულებასა ნახამო ფ˜დ მცირესღა ისევ სოფლებში თავადებისას, მე დიდათ მსურდა მენახა ძველებურად ჩაცმულნი კაცნი და ქალნი იმერეთის თავადაზნაურნი და ქცევა მათნი უწინდელნი. გარნა ქუთაისში ძველებურად აღარავინ სცხოვრობს.

მეორე დღეს გავშინჯე სუდის არხივის დოკუმენტები და ძველი არა იყორა ამის მეტი, ეტრატზედ დაწერილი, რომლისა პირი გადმოვწერე ესრედ: „მეფემან ღვთივ გვირგვინოსანმან ღვთივ აღმაღლებულმან ღვთივ დამყარებულმან ძლევა უძლეველმან იესიან [101-V] დავითიან პანკრატოან სოლომონიან რანთა, აფხაზთა, სომეხთა მეფეთა შანშე: და შანშე[10]: ამა ორისა ტახტისა და სამეფოს აღმოსავლეთის ვიდრე დასავლეთამდის თჳთ მთელ ფლობით მპყრობელისა ქრისტეს ღმრთის მიერ სულ კურთხეულისა მეფეთ მეფისა დემეტრესი ძემან პატრონის აღმაშენებელმან კონსტანტილე და დედამან ჩემმან პატრონმან გულაშარ ესე მტკიცე უქცეველი, უცვალებელი და დაუდებელი და მიზეზ შემოუტანელი და სული წმინდისა ჩუენ ღმრთივ გვირგვინოსანმან ძლიემან და უძლეველმან მეფეთ მეფემან ბაგრატ ნებით ღმრთისათა; აბხაზთა, ქართველთა კახთა და სომეხთა მეფისა იესიან დავითიან ბრძნითა სოლომონიან შანშე და შარვანშე ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და ჩრდილოეთისა სახელმწიფოსა მპყრობელმან: კულად მისი სულ კურთხეულისა მეფეთ მეფისა ბაგრატისა დედოფალთა დედოფალმან ელენე მოსდეგი ჩვენსა კარზედან თქუჱნ ჩვენი ერთგული და ერთგულად მოსამსახურე ჩუჱნი მკვიდრი: ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავშანდაძის გვარის კაცი დიდათ ნამსახური მეფისა როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალავანი დაღმა გარდავარდა სამას და ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა უშველეს მაშინღა სხვა ერთი აქიმი მოვიდა ყველას [102] უკანის ბოლოსა მან ასრე სთქვა თუ (...) ირმის რძეშიგან დავაწვენთ არა ეშველებაო. ქნეს მკითხველთ შეღონდეს წარმოდგა კაცი რქვა ავშანდაძესა უთქსთო თორმეტ ფური ირემი მეწველო სხუა ქუეყანაზედდან არ იშოებაო და მიიღო ავშანდაძემან იპრიანა ღმერთმა დარჩა აღმაშენებელი: შეგიწყალენით ავშანდაძენი არჯევან სკანდას დაღმა და გოგს დაღმა სადა ძევარისა წყალი შეერთვის ყვირილასა ფისისანს და ჩხარის მას დაღმასა ტყის მცველი წყალობად მოგვიცემია ავშანდაძისათჳს მასუკანა და გვეაჯენით რათამცა თქუჱნი ძველი სიგელი გაგიახლეთ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ახალი სიგელი სასისხლო თქუჱნი და მომავალთა ყოველთავე ჩვენ მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან ელენე შეგიწყალეთ და გიბოძეთ მტკიცე და უცვალებელი სასისხლო სიგელი მოკითხულ ვქენით და ძველიცა გაჩენილი იყო ლეონ მეფისაგან აწე ჩვენცა გაგიახლეთ და დაგიმკვიდრეთ რომე ვისცა შერისხდეს ღმერთი და ეშმაკისა ბირებითა სცათეს და თქუჱნი გვარისა კაცი მოკლას და შეაკვდეს ესე ორასი ათასი ძველი თეთრი ბოტინაური თეთრი სანახშირე დაგეურვოს სანახშიროდ და შესამყრელოდ ორმოცჯერ ათი ათას სულის სისხლი დაგეურვოს ვინცა თქუჱნსა გვარისა კაცსა წაუღოს და გინდა (...) ამა სისხლისა ნახევარი დაეურვოს თუ თავნი თავსა სასახლესა ზედან დაგესხას იგივე დაგეუროს სისხლისა აგრევე თუ ვინმე [102-V] შენითა სასაძოვართა გინა ყანითა გინდა ვენახითა სადაცა თქვენი სამძღვარი მიწევდეს რასა გინდა პირობისათჳს თქუჱნისა

სახლისა პირუტყვი გინა ცხენი გინდა ხარი გინდა რაფერი რაცა პირუტყვი სახლისა მეოთხედი დაგეუროს აგრეთვე ვინცა შენისა გვარისა გვარის კაცი შეკოდოს რაგვარათაცა ძველთაგან წესია დღეს გასჩენია მით წესითა დაგეუროს და გაქონდეს მტკიცე ესე სიგელი თქუჱნი ავშანდაძეთა არჯევანს თქუჱნთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე მას შინა როდეს მოგვიდეგით ჩვენსა კარსა ზედან და გვიაჯენით და გაგიჩინეთ სასისხლო სიგელი ორასი ათასი ჩველი ცხუმური თეთრი, თორმეტი გლეხი, თორმეტი თეთრი ჯორი, თორმეტი თეთრი ქორი, თორმეტი მეძებარი, თორმეტი თეთრი მიმინო. ერთი ჩექმა ყელი ატლასის ფერფლი. მოკითხული ვქენით და ძველადაც ასრე იყო თქუჱნი სისხლი და განჩენილი და აწ ჩვენცა დაგიმკვიდრეთ აგრეთვე დაგიმტკიცეთ შერისხდეს ღმერთი და შენსა გვარისა კაცი შეაკვდეს და მოკლას დასცთეს ეშმაკის ბირებითა, ისე ორასი ათასი ძველი ცხუმური თეთრი დაგეუროს უსაფროდ და შესამუსელად აგრეთვე ვინცა თქუჱნისა კაცსა ცოლი წაუღოს და გინა (...) ამა სისხლისა **[103]** ნახევარი დაეუროს აგრეთვე ვინცა თქვენსა სასახლესა ზედა დაგესხას იგივე ნახევარი სისხლის სანახევრო დაგეუროს და თუ ვინმე სასახლე გაგიტეხოს ესევე ნახევარი სახლი დაგეუროს შენსა სასძოვრით გინა ყანითაგინა ვენახით და გინდათ სადაცა თქვენი საზღვარი მიაწევდეს რა გინდარა პირობისათვის წაიყვანს გინა ცხენი გინა ხარი გინდარა პირუტყვი ესევე სისხლი დაგეუროს მეოთხედი გაქვნდეს სიგელი ესე მტკიცე და უცვალებელი ამიერ და უკუნისამდე ავშანდაძეთა ახალბედსა გიორგის გვართა და მომავალთა თქვენთა ყოველთა ამისნი მოწამენი არიან დიდებულნი ერისთავნი, ვაზირნი კარისა ჩვენისანი კათალიკოსნი აფხაზეთისა და საქართველოსა აზნაურნი უზედაესნი და უქვედაესნი მესტუმრენი და მოლარენი იასაულთა უხუცესნი და მესაწოლენი მეაბჯრენი გამგებელნი მეღვინენი ფარეშნი მენაღარენი მესაკლავენი მეაბჯრენი ყოველნივე მოხელენი კარისა ჩვენისა წარმავალნი და მომავალნი ნუ ვინ მოშლით ჩემსა ბძანებასა ნებითა მღვთისათა დაიწერა სიგელი ესე ქრონიკონს ას ორმოცსა და ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეათესა ხელითა დაიწერა მთავარეპისკოპოზისა დავითისათა.

ალექსანდრე[11] (ხელრთვა, იხ. ფოტო № 1) **[103-V].**



ფოტო № 1



ფოტო № 2

ექსარქოსმა[12] მიბძანა გურიაში ამ ჟამად სიარული შენთვის ძნელია, რადგანაც იქ ავაზაკნი გამრავლებულნი არიანო და სხვანი მიშლიდნენ გურიას წასვლას, არ შეიძლება ორისა და სამის კაცით იქ თავისუფლად სიარული. წარსულს დღეებში მოეკლათ ერთი ყმაწვილი კაცი

კაპიტანი ავაზაკთა, რომელნიცა არიან გაცვივნილი გურიელნი და ქობულეთის თათრები[13] ას კაცამდე, მეორე დღეს მივიღე მიტროპოლიტისაგან მიწერილობა მისი მღვდელთა და განმგებელთადმი ეკლესია-მონასტერთა, რომელ მაჩვენონ მათ ვითარცა ეკკლესიები და მონასტრები ეგრეთვე ყოველივე (მასში) განძეულობა და სხვანი.

26 მაისს ქუთაისიდამ მიმავალმან ვნახე მარჯვნი პატარა მონასტერი მოწამეთა სადამცა კუბოში ზეზედ აწყვია ძვლები წმინდათა დავით და კონსტანტინესი[14]. აქავ არის პატარა სანაწილე ოქროსი, რომელსაც აწერია ხუცურად:

„ღმერთო რომელმან ივნე ჯვარზედა უვნებელმან და წმინდანი შენნი ადიდენ მეცა ვარდან დადიანისა მფარველ მექმენ“.

ჯვარზედან სწერია ოთხს რკალს შუა ხუცურად (იხ: ფოტო № 2):

(„ქრისტე ადიდე ბაგრატ აბხაზთა მეფე და ნოველისიმოსი, ქრისტე შეიწყალე სოფრონ ერუშნელიძე ქველისაი, ქრისტე განუსვენე სულსა მიხეილის)

აქედამ წასულმან ვნახე გელათის ეკკლესია დიდი და მშვენიერი თლილის ქვისა, რომელიც სდგა პირის პირ ქუთაისის დაქცეულის დიდი ტაძრისა[15] **[104]**.

გელათის ეკკლესიაში ვნახე სხუათა შორის მეფის გვირგვინები, სამღვდელმთავრო შესამოსნი და ფოსტლები ძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკობილი და კიდევ ბეჭედი დავით აღმაშენებლისა ოქროსი რომელიც ჰქონია თითზედ და თვლის ალაგას ასახდელი ფრიად პატარა ბუდე ნაწილისა ზედ იყო სახე რომელსამე წმინდანისა გამოსახული გარნა სიძველისაგან არღა განირჩეოდა არცა სახე ცხოვლად არცა ნაწერი[16]. გარეთ სადაცა ყოფილა პატარა ეკკლესია და აწ აყუდია დარუბანდიდამ მოტანილი რკინის კარები იქ მაჩვენეს საფლავი დავით აღმაშენებლისა, საფლავის ქვაზედ სწერია გადაცვეთილი ესრედ (ფოტო №3):



ფოტო № 3

საღამოზედ მიველ კვალადვე ქუთაის. მეორე დღეს ვნახე ქუთაისის ღუბერნატორი ბელიავსკი და ვიწყე იმავე დღეს 27 სიარული ფოშტის გზით ოდიშის მხრით.

28 მაისს ვნახე ხონი სადაცა არის რავდენიმე ხის დუქნები და პატარა მაზრა გარემო სოფლებთა. აქა ყოველს პარასკევს მეიდანზედ შეიკრიბებიან მრავალნი ქალნი და კაცნი სხუა და სხუა სავაჭროთ. მეიდნის თავს სდგა პატარა ეკკლესია ძველი თლილის ქვისა ზღუდე შემორტყმული, ეკკლესიაში ასვენია ფ˜დ ძველი და დიდი წ˜ს გიორგის ხატი ვერცხლით მოჭედილი ზეზედ მდგმოიარე. აქედამ წასული გაველ პარომით ცხენის წყალს და შემდგომ ვიწყე სიარული ყაზახის ცხენებით ოდისში, გავიარე თითქმის ოცდახუთი ვერსი სწორე გზა ტყიანი და ზედ ვაზ აშვებული, ბინდისას მიველ სუჯუნას[17] ოდიშის ეპისკოპოზ ჭყონდიდელ დადიანთან[18] **[104-V]**.

მისმან უმაღლესობამ მიმიღო დიდის ალერსით და უბრძანა კრებათა თჳსთა „დღეს სასიამოვნო სტუმარი გვეწვია, ჩუჷნ ვყოფილვართ ამის სახლში 1842 წელსა მომავალნი ტფილისიდამ, ამისგან ჩემი პატივით მიღება იმ ღამეს და მეორე დღესა მე ყოველთვის მახსოვს“. იმ ღამეს გავატარეთ მხიარულად და მეორე დღეს მაჩვენეს სუჯუნას დიდი ეკკლესია თლილის ქვისა გუმბათიანი ახლად დადგმული ექვს სვეტზედ და სამრეკლოსაცა ქვისას აშენებდნენ ბერძნები. ეკკლესია სდგა ვაკეზედა, ერთს მხარეს არის შენობა ხისა რამდენიმე სახლები ჭყონდიდელისა მეორე მხარეზე კრებათა მისთათვის და სხვათა, შიგან ასვენია ძველი ხატები ვერცხლით შეჭედილები, პირველ ოქროით დაფერილი, ფირუზებით და თვალ მარგალიტით შემკობილი სიგრძით თხუთმეტი ვერშოკი[19] და სიგანით რვა ვერშოკი ადლისა[20], რომელზედაც სწერია მხედრულის ძველის ასოებით ესრედ:

„ქ. ეჰა მოწამეთა შორის მხნეო შვიდ წილ უძლეველო ღვაწლისა მძლეო დიდო მხედარო დიდისა მეფისაო წ~ო გიორგი ჴრმლისანო ბოროტმან ვინმე კაცმან ხელ ყო ხატისა შენისა გატეხა, ხოლო ჩუჷნ ძალთა შენითა უკადრისად შემკადრებელი შენი გამოვაჩინეთ და ვითარცა ავსა კაცსა ფერობდა ისე უყავით აწ ჩუჷნ შენ მიერ განძლიერებულმან დიდმან პატრონმან ლევან განვაახლეთ ახლად ოქროსა წყლითა დაფერვითა გარეშემო ოთხის ფენგისა მოჭედისათა და თვალმარგალიტითა და დავასვენეთ სუჯუნის [105] ეკკლესიისა მის კურთხეულის ჭილაძის ასულისა და თანამეცხედრისა ჩუჷნისა დედოფლისა პატრონის ნესტანდარეჯნისა სულისა სახსრად და საოხად ჩუჷნდა სადღეგრძელოდ და ძეთა ჩუჷნთა აღსაზრდელად განახლდა ქორონიკონსა სამასოცდა ათ თოთხმეტსა“[21].

ამავე ხატზედ სწერია ხუცურად: ⊕Ղ ȣՂ ՂՈՂ ՀȣՂՓԵ ՂԼՏՀՂ

მეორის წ~ს გიორგის ხატზედ სწერია მხედრულის ასოებით:

ქ. ღ~თ და ბატონო დადიანის ძე ჭყონდიდელ-მიტროპოლიტი გრიგოლის ბრძანებით შევამკე ხოშტარია თევდორემა.

მესამე წ~ს გიორგის ხატზედ სწერია მხედრულად“

„ქ. ȣოი ყოველთა ქრისტეანეთა ზღუდეო მცველო და შესავედრებელო მხნეო მხედარო ქრისტესო შვიდ წილ უძლეველო ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეთა მთავარო წმინდაო გიორგი სუჯუნისაო ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან მამა ჭყონდიდელმან ჩხეიძე პატრონმან ევდემოზ ვიგულისხმეთ და მოვინდომეთ სასოებითა მოსავმან და მადიდებელმა ტაძრისა შენისამან ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე შესაწირავი ესე ასე რომე კოდორი ვამეყ დადიანისაგან და ელენე დედოფლისაგან პირველად შემოწირული ყოფილიყო და საჭყონდიდელო სახასოთ ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან ელი... გოგიას მისთვის დაეჭირა აწე ჩვენ გამოგვირთმევია ხელ ახლა შენთვის შემოგვიწირავს და ჩვენდა სახასოთ დაგვიჭირავს კოდოლს სამი კვამლი კაცი სოკიორე შელია (შვილი) მისი სახლი კაცები [105-V].

თვალიკაცი ქუბალია და ხოხონია გაგულია მათის სახლის კაცით მამულ და ალაგითა სხვა იქაური პარტახები მამული და ალაგები ჩვენთვის დაგვიჭირავს აწე რამანცა ძემან კაცისამან მეფემან ანუ დედოფალმან გინა უფლისწულმან დიდმან ანუ

მცირემან ანუ რამანცა ძემან კაცისამან ანუ ჩვენმან შემდგომმან-ჭყონდიდელმან უკუნისამდე ეს ჩვენგან გარიგებული მამული და ეს წიგნები თქუჱნ მოგიშალოს და ან ის გლეხები გასცეს ან იმ გლეხების გაცემაში გაეროს და იშუამავლოს და გაცემა მოინდომოს მასაცა რისხავს თავად დამბადებელი ღმერთი და მარტვილისა ღვთის მშობელი და ეს წმინდა გიორგი სუჯუნისა და ყოველნი წმინდანი ღვთისანი ზეცისანი და ქვეყანისანი უხორცოთ ძალნი მათმან დიდებისა მადლმან ნუ იხსნას და ნუცა იხსენების სული მისი ნუცა წირვითა და ლოცვით ნუცა იერუსალიმში წასვლითა ნურას საღთო საქმითა წყეულ და შეჩვენებულ იყო სული და ხორცი მისი ამინ.

ქ. ჩხეიძე ევდემოს ჭყონდიდელისაგან კოდორს სამი კომლი კაცი გიგო ელიასათჳს გამოერთმია და წმინდის გიორგისა სუჯუნისათჳს შეეწირა და ჩუჱნ ლიპარიტის შვილმან ჭყონდიდელმან პატრონმან გაბრიელ ...გან ვაახლეთ საქადაგო ხატი და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია **[106]** და გურიიდგან ჩხაიძე მახარებელი გამოვიყვანეთ და შელის შევყარეთ იგიც ჩვენ შევწირეთ ჩვენდა სადღეგრძელოთ და სულისა ჩვენისა საოხად რათა ჩვენცა გვაქვნდეს დღესა მას განკითხვისასა.

ᲨᲘ ყოველთა ქრისტეანეთა შემწეო და შესავედრებელო შვიდ წილ უძლეველო ღვაწლით შემოსილო მხედარო მოწამეთა მთავარო გიორგი მონდობილი ურ...ეთ და გ... მხედართმთავარო ...შვიდ წილ უძლეველო მოწამეო გიორგი შევამკე ხატი ესე პატიოსანი სახისა შენისა მოსავმან სახელისა შენისამან დადიანის კაციას ძემან მამა ჭყონდიდელმან მიტროპოლიტმან ბესარიონ და შევამკე პატიოსნითა ძვალთა და წმინდა ნაწილებით და დავასვენე სუჯუნას ეკლესიასა სახსრად და საოხად სულთა ჩვენთა ქ᾽ეს აქეთ ჩღჟზ.

თჳთ სუჯუნა არს პატარა მაზრა ოდიშისა, აქ არის რავდენიმე დუქნები ხისა და ბაზარი ყოველს პარასკევს. სუჯუნა არის ჭყონდიდელისათვის საზამთრო სადგური.

1 ივნის აქავე სუჯუნას მოვიდა თავადი მელიტონ ჩხეიძე[22] და სთხოვა ეპისკოპოზს ჭყონდიდელსა განაპატიოსნოს ახლად გარდაცვალებული ნათესავი მისი მოხუცი თავადი დავით ჩხეიძე და ნუგეშ სცეს მგლოვიარესა მისთა. მეორე დღეს 2 ივნისს მისმან უდიდებულესობამ ჩამისვა მე კალიასკაში თვისთან და დეკანოზი, სხვანი კრება მისი მოგვდევდნენ ცხენებით და **[106-V]** ჩვენ გავიარეთ ვაკე გზა გავედით ცხენის წყალს და საღამოზედ მივედით სადაცა დგანან თავადნი ჩხეიძეები. იმ ღამეს ჭყონდიდელი მიიღეს გარდაცვალებულის ჩხეიძის სახლში და ჩვენ გამოგვიპატიჟა თავადმა მელიტონ ჩხეიძემ თავის სახლში, მეორე დღეს მობძანდა აქავე გურიის ეპისკოპოზი ექვთიმე[23] კრებითურთ და მრავალნი თავადაზნაურნი ქალნი და კაცნი. აქავ ვნახე პირველად ძველი ჩვეულება იმერთა მიცვალებულსა ზედა ესრედ: თავადის დავით ჩხეიძის სახლი იყო ხისა ქვიტკირზედ დადგმული რავდენიმე ოთახები, რომელთა ჭერი და ბოძები აჭრელებულია მრავალგვარად, შუა ზალაში ერთ მხარეს იდგა კუბო მორთული ხავრდითა და მეორეს მხარეს თავს იჯდა დაბლა ხალიჩაზედ შვილი მისი ფეხშველი, ქუდმოხდილი და პერანგის საკინძ გახსნილი, მასთან ქალნი და მონათესავნი თავშიშველნი ოცამდე მოტირალნი, მეორეს სახლში იყო საწოლი და ქვეშაგები ზედ დაგებული რომელზედაც, ტანისამოსი მიცვალებულისა ეწყო ვითარცა მწოლიარე, თვით პატარა სტოლი, სტოლზედ საწერ-კალამი ან კანონი მეფის ვახტანგისა სადგანაც მიცვალებული ყოფილა

დიანბეგი და სახელოვანი იმერეთში. მეორეს სტოლზედ ეწყო სხვა და სხვა რიგზედ ვერცხლეული და თოფი ვერცხლით შეჭედილი ეჭირა მოსამსახურეს. გარეთ კარწინ იყო გრძლად ფანჩატური დადგმული და ირეოდა მრავალი ქალი და კაცი სხუა და სხუა გვარად ჩაცმულ დახურვილნი: იმერელნი, მეგრელნი, გურიელნი და სხუანი, ვითარცა მოტირალნი ეგრეთცა მაყურებელნი [107]. მეცხრე საათზედ შეიქმნა ეზოში უეცრად საშინელი ხმა და ყვირილი დიდი მოსამსახურეთა ვაი, ვაი, ვაი ისინი იყვნენ ორმოცამდე ჩოხა ჩაძრობილი წელამდე და თავშიშველნი შეცვივდნენ სახლში თავში ცემით, გამოიტირეს მათ მცხედარი, შემდგომ მიუტირეს ჭირის უფალთა, ქვეშაგების და დალაგდნენ გრძლათ ხსენებულს ფანჩატურში გარეთ, სადაცა იდგა ცხენი უკულმა შეკაზმული შავგადაფარებული თავით ფეხამდე. ამ დროს ორთა მათ ეპისსკოპოზთა და კრებათა მისთა შემოსილთა ნახეს მხედარი და ჭირის უფალნი, იგინი დასდგნენ კუბოს თავს, კუბოსთანვე იდგნენ სამნი კაცნი და სამნი მოახლენი თავშიშველნი ტირილით, გარეთ მოიტანეს ექვსთა კაცთა ტივის ხე გათლილი და სამთლად შედგენილი ფრიალებითა და სხუა და სხუა ფერის მხატრობით აჭრელებული, აანთეს მასზედ რამდენიმე სამთლები და ამართეს ის კარწინ სახლის ბან კიდევ უმაღლესი, ხალხთაცა იწყეს ერთი მეორისა ხმობა და თქმა: ეს სანთელი მაჭავარიანმა (ქუთაისის უეზდის ნაჩალნიკმა)[24] შეაწია და თვით ორასი კაცი ცხენოსნით მოვიდაო სატირლად. მაჭავარიანს მიუძღოდნენ წინ მოზარენი რავდენიმენი გლეხნი; თავად აზნაურნი და თავნი ქუდ მოხდილ სტიროდა მოთქმით, ამან იტირა მოთქმით კუბოსთან დაჩოქილმან და ყოვლის სიტყვისა მის ბოლოს ისმოდა გრიალი მოზარეთა ვაᲘი, ვაი, ამ გვარად იწყეს დინება რიგრიგათ მახლობელთა მონათესავეთა და მცნობთა ქალმა და კაცთა დიდს ხანს. კიდევ მოიტანეს თორმეტმა კაცმა ეგრეთი დიდი სამთელი და დასდგეს მეორესთან მას მოსდევდნენ ცხენოსანი, სამასამდე გლეხნი და თავად აზნაურნი [107-V] მათ შორის ბოლოს სიძე მიცვალებულისა ცოლით თავშიშველნი შორითვე მაღლის ხმით ტირილით მომთქმელნი, ქალი მიცვალებულისა და სხუანი მასთან მყოფნი ქალნი იყვნენ დართული მძიმედ დარახტულ ცხენებსაზედა მსხდომიარენი, ამათ იტირეს ეგრეთვე და შემდგომ რომელნიმე წავიდოდნენ თავ-თავის სახლად. რომელნიმე დასეირნობდნენ დიდს ეზოში, სადაცა დიდროანი ხეები დააჩრდილებდნენ მშვენიერსა მწვანეს, გარდა ამისა, თუმცა ბევრი შესანიშნავი ვნახე აქა, გარნა საჭიროთ არა ვრაცხ დაწვლილებით თქმისა, მხოლოდ ეს უნდა ვსთქვა რომელ ესრეთი ჩვეულება იმერთა ჰქონიათ სამწუხაროთა და სალხინოთაცა, იმერეთში შესაბრალისებელთა და სატირელი არა მიცვალებულ, არამედ ჭირის უფალი რომელნიცა ერთს კვირას ზოგჯერ მომეტებით და ნაკლებ ზის სადაცა კუბო სდგა და ყოვლისა მნახველსა მისსა თვითეულად თავში ცემით შესტირის მითქმით. საღამოზედ დაასაფლავეს მიცვალებული და მეორე დღეს ჩუᲪნ ვიწყეთ სიარული ისევ კალიასკით სოფელსა კულაში, აქ მაჩვენა და გამაცნო თავის ნათესავნი ჭყონდიდელმა თავადნი მიქელაძეები. საღამოზედ მივედით კოდორს. მეორე დღეს მისმან უსამღვდელოესობამ მიმიწერა სამეგრელოს მთავარ დადიანთან წიგნი და გამაყოლა ორი კაცი გზის მაჩვენებლად, ერთი იქავ სოფლის ახლოს გამეპარა და მეორემ დიდის

ხვეწნით და ფულის ჩუქებითა მატარა ტყით დაბურვილი და ხლართვა გზები და მომიყვანა ძლივს ს. ხოფსა [108].

იმ ღამეს მიმიღო მოხუცმან მღვდელმან და მეორესა დღესა მაჩვენა ეკკლესია ფ˜დ დიდი, გარნა ძველის თლილის ქვისა, შიგან სხუათა მხატვრობათა შორის კედლებზედ არიან გამოსახულნი მრთლად ფეხზედან მდგომნი ძველებურად ჩაცმულნი დადიანი ლევან ამისი შვილი მანუჩარ და დედოფალი. ერთს მხატვრობასა სწერია: ,,ამა საყდრის აღმშენებელი, ერისთავთ ერისთავი და მანდატურთ უხუცესი დადიანი გიორგი შეუნდოს ღმერთმან. რაჲცა აქ წარწერა არის ვერცხლით მოჭედილთა ხატებთა ზედა და სხუაგან იმ მღვდელმან მიანბო სრულებით გადმოსწერა უფალმან ბროსემო. აქავე ვნახე ტრაპეზზედ სდგა პატარა ყუთი ვერცხლით შეჭედილი, რომელშიაც ძევს კვართი ღვ ის მშობლისა და ნაწილები სხუა და სხუა, ზედა სწერია მხედრულის ასოებით ესრედ:

,,ქ. რომელ მამისაგან სამღთოითა ძალითა ძლად გამოარჩიე და ძისაგან მხოლოდ შობილისა დედა შეყვარებულად გამოსჩნდი ფარვითა ყოვლად წმინდისა სულისათა შენ უქორწინებელად ხმობილი და ქალწულებით დაცული მშობელი მეუფისა და მხსნელისა უსძლო დედოფალო მარიამ, რომელი ყოველთა ცოდვილთა მეოხი ხარ და მარადის შემწე შენ ჭეშმარიტად შემძლებელო ლხინებისაო საჩინო სახელო დიდო უხრწნელო მეოხ მხსნელი განმასვენებელო ცეცხლისა და სატანჯველისაგან განმარინებელო ექმენ დედოფალსა ნესტან დარეჯანის ასულსა ჭილაძისასა რომლისა საუკუნოსა სახსენებლად და ცოდვათა მისატევებლად შევამკევ და მოვაჭედინე კვართისა კუბო ესე ვერცხლითა ოქრო დაფერვითა თვალითა მარგალიტითა მე ხელმწიფემან დადიანმან პატრონმან [108-V] ლევან მისთჳს საოხად შეგიმკეთ ყოვლად წმიდაო ქერობიმთა უმაღლესო და სერაბინთა უაღმატებულესო ქალწულთ ქალწულო ყოვლად საგალობელო ლხინებით ყოველთა ქრისტიანეთაო შეისმინე ვედრება ჩვენი დაიხსენ და აცხოვნე განუსვენე და აკურთხე სული დედოფლისა ნესტან დარეჯანისა დაამკვიდრე სასუფეველსა ამინ მოიჭედა ყოვლად წმინდისა პერანგისა კუბო[25] ესე ქ˜კს სამას ოცდა რვასა.

ეკკლესიაში შიგნით და გარეთ კარიპჭის კედელში მარჯვნივ არის მარმარილოს ოთხი ფიცარი დიდი და ბრტყელი, რვა მრგვალი სვეტი მარმარილოსი კარნიზებითა, კარების აქავ ერთს მარმარილოს ქვაზედ სწერია ხუცურად:

,,ქ. სახელითა ღვთისათა ერისთავთ ერისთავმან მანდატურთ უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა ...ჰ]ᲥᲩ]ᲜᲮ ვითარ ეთვისა დადიანის გიორგის შედგადა და მიუხდა ჯიქეთს ...ურწმუნოებისა და ორგულებისათვის რათამცა მემსაყდრესა და სძაგდა ...]ᲭᲫᲮᲮᲔᲝᲮ უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი გაგარი და უღალნი ყოველნივე ძალითა მოირჭვნა მათი მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მოვლო მოარბინა რაოდენ მოეწყო მათი მძლეველნი წამოსხნა და სხუანი აოტნა და მაშინ მოიღო სვეტნი [109] და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი და მამა დედათა ლარნაკი (ᲬᲮᲫᲩᲮᲬ]) და მისი დამარხვილი გარეთა სვარმარსი ...განსვენება მათი“[26].

6 ივნისს აქედამ ყაზახის ცხენებით მიველ ზუგდიდს სამეგრელოს მთავარს დავით დადიანთან[27], აქა დადიანის ბიბლიოთეკა გავშინჯე სადაცა იყო ქართული წიგნები ბევრი, მათ შორის: ძველი და ვრცელი ლექსიკონი, საპოლეტიკო თეატრი ანუ საყოფაქცეო

სახილხიველობა თარგმნილი ქართულსა ენასა ზედა ჯვარის მამის ვენედიქტეს მიერ ქალაქსა თფილისს 1817 წელსა. წიგნი მრავალფერი ყვავილობანი პეტრე ლარაძისა ლექსად თქმული, ალექსანდრეს მაკედონელის მოთხრობა ლექსად, ძველი ქართლის ცხოვრება. წიგნი საქართველოს მეფეთა ძველთა და ახალთა ცხორებაᲘ გალექსით, გრემიდამე იმერეთს დახიზვნა მეფის თეიმურაზისა. იოსიპოს ფლავიოსის იუდებრივისა სიტყვა დასაბამობისა გაიოზის თარგმნილი – ველიზარობა და სხუა და სხუა რუსული და აშ თარგმნილი და საეკლესიო (ეს სიტყვა ფანქრითაა ჩამატებული – ი. ა.) წიგნები. აქედამ 10 ივნის ვაპირებდი თავისუფალ სვანეთში მოგზაურობას გარნა ყველანი დიდათ მიშლიდნენ იქ შესვლას რადგანცა სვანნი არიან თავისუფალნი პირუტყვის მსგავსნი უსიკვდილოთ მათ ვერ მორჩებიო ანუ ტყვედ გაგცემენო. ამასვე დღეს შტაბს კაპიტანი თავადი აბაშიძე, რომელიც არის განწესებული ახლს სვანეთის მხარს მეტყოდა თუ გსურს ჩემთან წამოსვლა მე გაჩვენებ და დაგატარებ რაც ჩემს უწყების ქვეშ იპოება ძველი შენობა, რომელნიცა სხვათაც უნახავთო და პირ იქით სვანეთში კი არც მე გირჩევ წასვლასაო **[109-V].**

11 ივნისს ზუგდიდამ წამოველ ყაზახის ცხენებით და გამოვიარე ცუდი ჭაობიანი და ტყიანი გზა დახლათული, საღამოზედ მიველ ანაკლიას შავი ზღვის პირზედ. აქ არის ციხე და კოშკი დაქცეული რომელსა ჩამოუდის მდინარე ენგური. აქედამ მეორე დღეს 12 რიცხვს ყაზახის ცხენებითვე ვიარე ზღვის პირად, ერთს ალაგას გაველ ზღვაში შემომდინარ მთიდამ მონადენს წყალში რომელშიცა დავსველდით წელამდე და კინაღამ დავიღუპენით. ზღვა ღელავდა და ტალღა მისი გრგვინვითა ზედი ზედ მომავალი ისროდა ნაპერწკლებს, მეოთხე სათზე მიველ ყულევს ანუ რედუთკალეს[28], სადაცა ვნახე ქალაქის მდებარეობა ყოველგან ხავსმოკიდებული და მაცხოვრებელნი მისნი სდგანან ბაყაყივით წყალში. იმ დღესა და მეორე დღე ზღვაში იყო ფურთვნა. 15 შეველ და ვნახე პარახოდი Боець, შემდგომ ვიწყე სიარული ცხენებით ფოშტის გზაზედ. 17-ს მიველ ხონსა, აქედამ მარტვილს ჭყონდიდელ დადიანთან, ვნახე მარტვილი. მარტივად მაღლობსა ალაგსა ზედა, საიდამცა სჩანს ოთხკუთხივ დიდი და მშვენიერი მდებარეობა ოდიშისა და საჩინოსი მთები და მინდორი და წყლები, მარტვილის ეკკლესია არის გუმბათიანი ფ˜დ ძველი და გარედამ გაახლებული თლილის ქვით შინაგან მხატვრობა ძუელი ბერძნული, ერთს მხარეს დახატულია კონსტანტინე და ელენე დაგვირგვინებულნი, რომელთაც უპყრიათ ერთი დიდი ჯვარი. იტყვიან ვითომცა ეკკლესია ესე იყოს მათი აღშენებული **[110]**. აქა მდგარა, როგორც მიანბო მე მისმან უსამღვდელოესობამ პირველად მუხა დიდი, რომელსაცა ჰქვია მეგრულად ჭყონ დიდი და სადაც კერპნი ძველად შეჰსწირავდნენ შესაწირავსა თჳსთა ღმერთთა, შემდგომ ოდეს მოიქცნენ იგინი ჭეშმარიტსა ქრისტიანობითს სარწმუნოებასა ზედა მაშინვე მოჰკვეთეს ხე იგი დიდი და ნაალაგევსა მისსა დასდგეს მცირე ეკკლესია ხისა მეგრელთა, რომლისა გამო ეწოდება აქაურს ეპისკოპოზს ჭყონდიდელი. რაᲘცა წარწერილობა ვნახე აქ ხატებზედ და სხვაგან, მე მითხრეს უფალმან ბროსეტმან გადმოწერაო. აქედან გამატანა ჭყონდიდელმა კაცი თავისი და ჩუᲦნ წავედით ნოქალაქევს ალექსანდრე დადიანთან[29], ამან დამატარა ეს ძველი ქალაქი, რომელსაც იტყვიან კოლხიდათ, ესე არს მდინარისა ტეხურას პირს

გატყევებული, მას ჰქონია გალავანი, რომლის კედელი სდგა დღესაც რამდენიმე საჟენიანი სიგრძით და სიმაღლით ზედ მწვანე სურო გაფოთლილი, მრავალსა ადგილს ჰყრია ნანგრევი შენობათა, გალავანში სჩანს საძირკვლები სახლებისა თუ დუქნების ტეხურის პირად, ერთს მხარეს არის ჩასული ტეხურაზედ წყლის საზიდი გვირაბი ცადაქნილი თლილის ქვის მრთელი, მეორეს მხარეს დაქცეული შენობა, ქვეშ მარანი ქვევრებით, აქავ არის ფ˜დ ძველი ეკკლესია გუნბეთიანი, რომელშიცა წირვა და ლოცვა არის ყოველთვის, აქაურთა მღვდელთა და თავადთა დადიანებთა მაჩვენეს დახატული ეკლესიაში კონსტანტინე და ელენე ჯვარითა, იგინივე მეტყოდნენ: „ჩვენ ასე გაგვიგონია ჩუჱნის მამა-პაპისაგან ეს ეკკლესია ამ კონსტანტინეს და ელენეს აღუშენებიაო სახელზედა ორმეოცთა წამებულთა სილიანის ტბაში, სხვა ფ˜დ ძველი ხატი ანუ წარწერილობა რაიმე არ მინახავს რა, მხოლოდ დასავლეთის მხარეს კარიპჭეში მარჯვნივ ვნახე განსაკვირვებლად მიწაში საფლავის [110-V] მსგავსად აგურის პირები ოთხკუთხივ და შიგ მწკრივად სხედს ოთხპირად ორმოცი კოჭოპი თავებ გადაკირული. მე დიდათ მსურდა დამეშინჯა ეს კოჭობები და ვითხოვდი შემწეობასა მაზედ, გარნა იგინი განცვიფრებით უარს ჰყოფდნენ და იტყოდნენ, რომელ ჩუჱნ გაგვიგონია, ვითომცა ამათში იყოს იმა ორმეოცთა წამებულთა ნაწილებიც, რაც ეს ეკკლესია აღშენებულა მას აქეთ მტერსაც ბევრჯელ უნახამს და ვერავის ხელი ვერ შეუხია, ვერც ჩუჱნ შეგვიძლიან გავხსნათ და ვნახოთ. აქედამ ამიყვანეს მათ კლეებზედ, სადაც ვნახეთ კოშკი და რაღაც დაქცეული შენობა, შემდგომ შევსხედით ცხენებზედ და შემოუარეთ გატყევებულ მაღლობსა ძველს ქალაქს, რომელიცა დასცქერის ოდიშის მდებარეობას და დაფანტვით მდინარესა ტეხურას. აქავე ვნახე ციხე-გალავანი დიდი კლდეზედ, თავსა და ბოლოს სიმაგრეები დაქცეული და თჳთ გალავანიცა ეგრეთვე დაქცეული. ციხეს უკან გადავიარე კლდეები, ჩაველ ტეხურის პირ აბანოს[30], იმისი წყალი ამოდის კლდეში და სანაპირო ტეხურისა გადადის ზედ. აქა ვნახე გურიის თავადი პოდპოლკოვნიკი ერისთავი[31], რომელიც მენახა 1845 წელსა დარღოში, ამან მიანბო მრავალნი სნეულნი იკურნებიან ამაში ბანებითა და მეცა სამკურნალოთ ვარ აქა ცოლშვილით ეს ორი კვირა არისო, ჩუნ განვატარეთ სადილი სიამოვნებითა და შემდგომ ვიწყე სიარული ჩვეულებისამებრ, შემოუარე მთას გარე, გამოველ მდინარესა აბაშ მეორეთ და მოველ მარტვილსა საღამოს ჟამსა [111].

ჭყონდიდელ ეპისკოპოზმან მაჩვენა თავისი წიგნები, რომელთა შორის ვნახე გადმოწერილი ესე: „⌈ტლნო ღთისანო საყდარნო საშინელნო ცეცხლნო სულად სიტყვათა მსწრაფლად კაცთა მეოხად შექმნილნი ბრძანებითა საღმრთოთა წამისყოფითა მორტყმელნო მიქაილ, ძალითა მთავარნო, გაბრიელ ქალწულსა ხარებითა კაცთა და ღვთისა, თქუჱნ რომელნი წამის ყოფითა ღთისა ბრძანებასა უხილავად ძლიერებითა უმჯობესისა განაგებთ რომელი სცავს ცასა და ქვეყანასა ფრთითა თქვენითა; ხოლო აწ მეცა მაჩრდილეთ მეოხება თქუჱნი მე, დადიანსა ლევანს; მთავარანგელოზნო მიხაილ და გაბრიელ სახელითა და მღვთისათა და ძალითა შენითა. ჩუჱნ ⌈ელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან გავილაშქრეთ მეფესა ალექსანდრესა და მის ძმასა მამუკაზედ და მივედით ქუთათის ციხის საბრძოლველად თჳთ მეფე სრულნი იმერნი და სხვანნი („ლენტეხელნი“ – ეს სიტყვა მარი ბროსეს მიერაა ფანქრით ჩამატებული – ი. ა.) და

საფარ ფაშის მეთოფეები ბევრი ახლდა და სოხესა და ჯებირებიდან იდგნენ: ჩუᲦნ მივედით და სოფია წმიდის საყდარი მეთოფეებით აევსო და გაემაგრებინა, უყავით ღამით იერიში და საყდარაი წავართვით რაცა მეომარი მეთოფეები იდგა ყველა გამოვასხით და ჯებირის გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველთაგან ნაშენები და ის მეთოფითა და მეომრის კაცით აევსო და გაემაგრებინა; სოფია წმინდის საყდართანა დიდი ზარბაზანი მივიტანეთ და იქით დაღმა დაუწყეთ სროლა და ცემა და იმ ქვის სახლებსა და დავამტვრიეთ ზარბაზნებითა და მრავალი კაცი იმაშიგ მდგომი დავხოცენით. მერმე იერიში უყავით და იქეთ [111-V] მეფემან გამოაშველა ლაშქარი, დაუშინეთ ერთმანეთსა თოფებითა სროლა და საკვირველი ომი შეიქმნა, მრავალნი კაცნი დაიხოცა იქეთაც და აქეთაც, იქით მოკვდა თავადი და აზნაურ შვილი გიორგი ლორთქიფანიძე. ელიზბარ (ბროსეს მიერ ფანქრით ჩამატებულია „ლოლაძე?“) ღოღობერიძე (ბროსეს მიერ ფანქრით ჩამატებულია: „ორი ძმა ახვლედიან ...და ოვრივე სხვა ზოგი...“). სხუა ზოგი დაიხოცა და ზოგი დაიკოდა და წავართვით ის ქვის პალატები ...იქ ზედან სასახლეს ზარბაზნები ვერ მიუტანეთ მისატანი ალაგი არ ჰქონდა ჩამოვედით დაბლა რიონის პირს და დავსდექით. სასახლის ქვის სახლებს დაუწყეთ ზარბაზნებით სროლა და ცემა და დავამტვრიეთ ის ახალი ქვის პალატი თჳთ ალექსანდრე მეფისაგან აღშენებული, გაუსიეთ ლაშქარი გაღმა ქუთათის ქალაქს, დავწვით (ბროსეს მიერ ჩამატებულია: „და მოვაოხრეთ“) ავაოხრეთ მრავალი იშოვეს და წამოვედით გამარჯვებული. მოვედით ოდიშს ძიგურს და ერთი კვირე არ გასულა ისევე ვქენით ილღარი ცხენის წყალს შემოვიღამეთ ის ღამე ვიარეთ და გათენების დროს დავესხით ქუთათისს სასახლესა და ქალაქსა უწინდლისაგან ოთხი და ხუთი ზომა საშოვარი ალაფი და ტყვეები ვიშოვეთ რომ ლაშქარი ძლივ დაერივა და წამოვედით გამარჯვებული და შევასვენეთ ლაშქარი და ცხენი და კიდევ გავილაშქრენით იმერეთზედ თვესა ფებერვალსა და მივედით (ბროსეს მიერ ჩამატებულია ფანქრით: „ჟრიას“) აჯამეთს, დავსწვით, ავაოხრეთ და მოვედით ჩხარის ქალაქს და იქ დავსდექით და სოფელნი დასწვეს (ბროსეს მიერ ჩამატებულია: „სოფლები ნამ...რული დასწვეს“) და ააოხრეს [112].

„რა ქნამ სასახლე არ დავსწვით (ბროსეს მიერ ფანქრით ჩამატებულია: „სქანდა მ...სასა დავსწვით“) ვარდის გორა და ჩიხორის ქალაქი დავსწვით, ავაოხრეთ, არგვეთ ლორთქიფანიძის სასახლეს დავსდექით (ბროსეს მიერ თავზე მიწერილია: „ესვა ...დეთ არგვეთს რუთ...სძის ახლოს დავსდექით და...“) და იქიდაღმა ჩვენმა და მან ლაშქარმან სრული არგვეთი და ჭალა ტყეს აქეთაც სასახლე და სოფლები იყო დაუწვავი და აუოხრებელი და არა დააგდეს რა და იქი დაღმა ავიყარენით და თეთრი ჟოლას და გოფანთო, მხეიძის სასახლეს დავსდექით და იქიდაღმა სადაც ლაშქარი მიუწვევდა დაუწვავი და აუოხრებელი არა დააგდეს რა, წამოვედით გამარჯვებული და ნაშოვრით სავსე, რომ ლაშქარი ვერ დაერივნეს, ბალახოვანზე რიონს გამოვედით და ქუთათის ციხის დაღმა მეფე და სრულნი იმერელნი ლაშქარნი შეყრილი თვალით გვიმზერდნენ მისის თემისა და ქვეყნის ამოწყვეტას ჰხედავდა იმოდენა ნაშოვრის ტყვეების აქ ჟღავილი ყურით ესმოდათ, მაგრამ ციხის დაღმა თავი არ გამოჰყვეს და ვერცარა დაგვაკლეს ასე შევარცხვინეთ და წამოვედით ოდიშს გამარჯვებული, გამოვგზავნეთ დავასვენეთ ტაძარსა

შენსა ხვტრელსა (ბროსეს მიერ თავზე მინაწერი აქვს ფანქრით: „ვხტრელსა“) და ალაგსა და თემსა ეცერსა, ხატი ესე მთავარანგელოზისა, ქორონკონსა სამას ოცდა ათოთხმეტსა[32].

ეს ხატი რომელზედაცა სწერია ესე, ჭყონდიდელმა მიბრძანა სვანეთში ასვენიაო, სადაცა სვანნი არავის



ფოტო № 4

უშვებენო. მეორე დღეს გამოვეთხოვე მის უმაღლესობასა და ვიწყე სიარული ცხენით, მოვედი ხონს. აქედან საღამოზე ქალაქსა ქუთაისს [112-V].



ფოტო № 5

26 ივნის ქუთაისიდამ ვიწყე სიარული თხუთმეტ ვერსამდე თხელ ტყიან გზაზედ რიონ გამოღმა და მიველ ვარციხის ძირ, აქ გაველ ნავით ყვირილაში, შემდგომ მიველ ვარციხეს ორს ვერსზედ მოშორებით, სადაცა სცხოვრობს ფრანცუზის გამბას ქალი და მუშაობენ სხუა და სხუა საქმეს, ხერხავენ წყლით ხესაც, ამთ მიანბეს ვითომცა ფრანცუზს გამბას აღეწეროს დაწვლილებით ბუნებითს ენასა დედა აქაური მხარე და

საჩინო[33]. მე ვნახე მაღლობზედ ვარდიცხე გალავანშემორტყმული ვრცელი ალაგი გატყევებული გალავანში სდგა პატარა ეკკლესია შერყეული და სხუა შენობა სრულიად დაქცეულია აქა არ ვითარიმე ღირსი შესანიშნავი ანუ წარწერილობა არა იყორა. აქედამ წავიყვანე კაცი და გავიარეთ ათ ვერსამდე გზა, რომლის ორივე მხარეს იყო ველები და ტყე, ჩუცნ მივედით ამაღლებას. აქა ვნახე ეკკლესია ამაღლებისა აგურით სადათ ნაშენი სიონი სივრცით საშუალ გარემო ტყიანს ალაგას შიგან ასვენია ხატი მოჭედილი, სიგრძით ორი არშინი და სამი ვერშოკი, სიგანით ერთი არშინი და სამი ვერშოკი[34], ვერცხლზედ არის გამოყვანილი ცხოვლად თორმეტი საუფლო, ძირ უწერია გადაცვეთილის ასოებით ესრედ (იხ: ფოტო № 4) **[113]**:

აქა მიმიღო თავადმა ერისთავის შვილმან და მეორე დღეს 27 ივნის გავიარე თოთხმეტი ვერსი მეტი თუ ნაკლებ თხელ ტყიანი ტყიანი გზა და მინდორი, შემდგომ მიველ საჩინოს უჩასტკის ნაჩალნიკთან თავად ივანე როსტომის ძე მიქელაძესთან[35], ამან გამაყოლა თავისი კაცი და ვნახე სოფელსა ეკკლესია დიდი თლილი ქვისა საწინამძღვრო, რომელიც **[113-V]** ყოფილა მთლად ნახატი ბერძნულის მხატვრობით და აწ გათეთრებული უბრალოთ, მარცხნივ მიდგმულ სამწირველოში დღესაც ცხოვლად ჰსჩანს ჩივჟავაძეთა სახე, აქაურნი მღვდელნი და წინამძღვარნი მეტყოდნენ: ეს ეკკლესია აღეშენებინოთ ამათ ჩივჟავაძეებთა მთავარ ანგელოზის სახელზედ და სოფელიცა ესე ვანი ეკუთვნით ჩივჟავაძეთ. ამ ეკკლესიაზედ არა ვითარომე წარწერილობა არა მინახამს რა. განმგებელმან მაჩვენა ძველი სახარება ეტრატზედ დაწერილი, მშვენიერის მხატვრობით, რომელიც ზის ვერცხლის ბუდეში და თჳთ ოქროს ვარაყით შემკობილია – სიგრძით შვიდი ვერშოკი და სიგანით ხუთი ვერშოკი[36], ამ სახარების ბოლოს პირველ ფურცლად სწერია მხედრულის ასოებით ესრედ[37]:

> ,,ქ. ჩუენ აფხაზეთის კათოლიკოზმან და მეფის ძემან იოსებ[38] დავიხსენით წმინდა ესე სახარება და გამოვკითხეთ და საჩინოს ვანს მთავარ ანგელოზის ეკკლესიის შეწირულ ყოფილიყო პირველ და ეხლა ისევ ეს ჩემი ნაყიდი სახარება საჩინოს ვანს მთავარ ანგელოზის ეკკლესიისათჳს შემიწირავს ორი ვერცხლის კუბოთი და მისის ვერცხლის ძეწკვით შემკობილი ხორცთა ჩემთა სასიმრთელოთ და სულისა ჩემის საოხად ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტის მაქსიმეს მოწმობით და ვინც ესე **[114]** ჩემი ნაყიდი იმ ეკკლესიას გამოსწიროს შეჩვენებულ იყოს ამინ. დაიწერა ქორონიკონსა ქ̅ეს აქეთ ათას შვიდას სამოცდა თერთმეტსა და თვესა მაისს იბ. მე არხი დიაკონს ეფთვიმეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. **მეფის ძე იოსებ.** ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე განვამტკიცებ ვინცა გამოსწიროს შეჩვენებულ იყოს ამინ **ადგ. ბეჭდ.**

უკანასკნელს ფურცელზედ სწერია დაჯღაბნილის და ძნელს წასაკითხის ასოებით:

ქ. შემოსწირა წმინდა ესე ოთხთავი პატრონმან ...ამან ჩვენ სა...როსა და მრთელთა პირველ ხატისა მაცხოვარისასა და წმინდისა გ̅ი დღესა ნიკოლოზს სააღაპედ მისისა მეუღლისა ბექასა შალვა არტანუჯელისა შვილისათჳს და მისთჳს და ჩვენ გაუჩინეთ აღაპი ქრისტეს შობისა წინა კვირიაკეს დღესა გარნა ხვდებოდეს ტრაპეზით კარგი და საპატიო სრული და დაუკლებელი აღაპი და რაოდენიცა მღვდელნი იყვნენ ჟამსა



ფოტო № 6

უწირვიდნენ პატრონსა ბექას და მის მეუღლე ყოფილსა ნათანიბოს და ნუ დააკლებენ წირვასა ზედა მღვდელნი და მწირნი და ილოცვიდნენ შენდობითა მოიხსენიებდნენ და ვინცა დააკლოს და უგულებელს ყოს იყვნენ კრულ წყეული და შეჩვენებული და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და დაამტკიცეს ამინ **[114-V].**

ქ. ესე სახარება მე იოანე უღირსმან სიყრმიდგან და მლოცველმან წმინდის დედოფლის თამარისამან ვიყოფილე წერით ქალაქსა კონსტანტინოპოლს ოდეს ვიყავით ყოველნი.

ვერცხლის ბუდეზედ სწერია მხედრულის ასოებით:

ქ. გეხვეწებით ჩუენ ცოდვილი ესე ჩიჯავაძე ვახუშტი და თანა მეცხედრე ჩუენი



ფოტო № 7

ღოღობერიძის ქალი მარეხა თქუენ შემიბრალეთ და შემწყნარებელთა მათე, მარკოზ, ლუკა და იოანეს ძველადვე თვენთა სახლთაგანვე მოჭედილი ბრძანებულხართ ჟამთა გამოსვლისაგან დარყეულ ხართ სხმეფ გასაკეთებლად ხელი არ შეგემართოდათ და სხვა ვერა გავბედეთ აწ მადლსა თქუენისათჳს მას გრძელსა საუკუნოს ცოდვილსა სულსა ჩვენსა შეეწიე.

ეკკლესიაში ასვენია სამი ვერცხლით მოჭედილი ხატი, პირველია სიგრძით 15 ვერშოკი და სიგანით $9^1/_2$ ვერშოკი[39], რომელზედაც სწერია მხედრულის ასოებით:

„მოვაჭედინე ხატი ესე ზეშთა ნათელი თვალი შეუდგარის ღ˜თ მთვარისა წინაშე მდგომარის ძალითა და ბრძანებათა ღთისა წამის ყოფითა აღმასრულებლის დიდისა უხორცოთა ძალთა მთავრის მიქაილისა **[115]** მე ფ˜დ ცოდვილმან ჩიჯავაძემან ვახუშტი[40] სულისა ჩემისა და ახალ მიცვალებულის მეუღლის ჩემის ღოღაბერიძისა ასულის მარეხის სალხინებლად და ძეთა და ასულთა ჩემთა სადღეგრძელოდ.

მეორე ხატზე სწერია მხედრულის ასოებით რომელიც არის ოქროთი დაფერილი მთავარ ანგელოზისა სიგრძით 12 ვერშოკი და განით $9^1/_2$ ვერშოკი[41].

ქ. ჩვენ საქართველოს ჯანიშინმა ბატონისშვილმა ვახტანგ მოვაჭედინეთ ხატი ესე მას ჟამსა ოდეს სულკურთხეული სიძე ჩვენი ჩიძავაძე საზვერელ[42] მიიცვალა ეს ხატი მათი სასაკლაოს მათი სულისა საოხად და სახსრად მიგვიჭედინებია ქკს აქეთ ჩღᲾ თვესა იანვარსა კგ[43].

დიდ ხატზე, რომელიც არის ფდ ძველი სიგრძით ერთი არშინი და ცამეტნახევარი ვერშოკი, სიგანით არშინი და ერთნახევარი ვერშოკი[44] თორმეტი საუფლოს ზედა სწერია გაცვეთილის ასოებით (ფოტო № 6):

დასავლეთის მხარეს ამ ეკკლესიის კარიბჭეში მარცხნივ კედელში არის ჩასმული მარმარილო გამოკვეთილი ცხოვლად მდგომიარე წ˜და გიორგი, რომელზედაცა ძირს სწერია (იხ: ფოტო №7):



ფოტო № 8

ამ ეკკლესიას უკეთებენ თლილის ქვის სამრეკლოს დასავლეთის მხარეს. თჳთ ეკკლესია არის უგუნბათო ძველი და დაქცეული გალავან შემორტყმული დაბლობში. აქედამ მიველ კვალადვე მიქელაძისას, იმ ღამეს თ˜ მიქელაძემ მაჩვენა ეს მე ამოვწერეო, სამართლის წიგნი, რომელშიაც უწერია ჟამ გულოვანიდამ ამოწერილი ესე:

„ქუთაისის ძველი ეკკლესია აღშენებულ არს მეფის ბაგრატ კურატ პალატისაგან, რომელიც იყო პაპა დავით აღმაშენებლისა ქრისტეს აქეთ ჩმივ წელსა[45] და და დარღვეულ არს ოსმალთაგან ჩქჟბ წელსა შ˜ა მეფობასა შანაოზ ქართველთ მეფის ძის არჩილის მეფობისასა, რომელსაცა აქვს ამ საყდარს სიგრძე 20 ოცი საჟენი და განი თექვსმეტი[46]. გარდა კარიჰჭეთა და სხვათა შენობათა ამ ეკკლესიას შიგნით ჰქონია სვეტები თეთრისა, წითლისა და სხუათა ფერთა ჭრელს მარმარილოსი, რომელიცა წაუღიათ საათაბაგოში [116] ოსმალთა, ხოლო გულბანდი ჰქონია აია სოფიას კენჭებით მოხატული, რომელიცა იქნებოდა უძვირფასესი[47].

28 ივნისს მეორე დღეს აქედამ წავიყვანე კაცი და გავიარეთ სოფელს ვანის ქვემო დაღმა ურიათ უბანი, პატარა მდინარე და მივედით საბევას[48] თავად ნიკოლოზ ჩივჯავაძესთან[49]. აქ ვნახე პატარა კარის ეკკლესია თლილის ქვისა, შიგ ფ˜დ ძველი ხატი ღ˜თის მშობლისა, სიგრძით ცხრა ვერშოკი და სიგანით შვიდნახევარი ვერშოკი[50] ვერცხლით შეჭედილი, ოთხის დიდრონის წითელი ქვებით და ოქროთი დაფერილი. ზედა სწერია (ფოტო № 8):

ამ სოფლად გავიარეთ მინდორი, სადაც ყვირილა მიმდინარეობდა შემდგომ მაღლა ტყიანი და ერთს მაღლობზედ, საიდამაც სჩანს მარტვილი და სხუა ალაგები. ვნახე ქედს

ანუ შუამთას ეკკლესია თლილის ქვისა უგუმბათო[51], შიგ ასვენია წ˜ს გიორგის ძველი ხატი ვერცხლით შეჭედილი სიგრძით $10^1/_2$ ვერშოკი და სიგანით $7^1/_2$ ვერშოკი[52]. ზედა სწერია (ფოტო № 9): **[116-V]**



ფოტო № 9

აქედამ ვიწყეთ სიარული ქვევით მხარეს. შემდგომ გამოვიარეთ ხევები და ზოგან მცირე მდინარე ტყიანი მთები, სადაცა ვნახე საჩინოს ალაგები მშვენიერი თვალი საჩინო ყოვლით შემკობილი, ორს ალაგას იყო გოგირდის წყლები, რომელსაც უწოდებდენ აბანოს, გარნა ძველი შენობა არა იყო რა, მე გამოველ მდინარეს ყვირილას ნავით და მოველ ქუთაისს 30 ივნისს.

1 ივლისს ვიწყე სიარული ქუთაისიდამ ფოშტის გზით და მოველ შორაპანს მაღალსა გორასა ზედა, სადაცა სდგა მხოლოდ შორაპნის უეზდის ნაჩალნიკი თავის ჩინოვნიკებით. 2 ივლისს აქედამ ჩავიარე მაღლობი ჩრდილოს მხრით, გაველ მდინარესა ძირულას, რომელსა ერთვის ყვირილა და ვნახე დანგრეული შორაპნის ციხე კლდეზედ დადგმული და გვირაბი ყვირილაში ჩატანილი; ხოლო სხუა შენობა სრულად არღა რაი სჩანს. კვალად გამოველ მდინარესა ძირულას, გავიარე სერები, რომელთაც უწოდებდნენ ვაჟებად და ვნახე სოფელს ილევს[53] მაღლობზედ ეკკლესია შემოქმედისა ფ˜დ ძველი თლილის ქვისა, რომელშიც არიან დახატულნი სახენი თავით ფეხადმდე. აქაურნი მცხოვრებნი **[117]** აზნაურნი მაჭავარიანი მეტყოდნენ ვითომცა ესენი დახატულნი იყვნენ ამ ეკლესიის აღმშენებელნი წინაპარნი მათნი. დასავლეთის მხრით კარების თავზედ სწერია ამოჭრილის ასოებით კლდის ქვაზედ გადაცვეთილი (ფოტო № 10):



ფოტო № 10

ორსავ მხარეს აღმოსავლეთით და დასავლეთით სწერია ქვაზედ „გალატოზს შეუნდეს ღმერთმან“, სხუა არა რაი სანახავ და ნაწერი არა მინახამს რა, არცა თუ ძველი ხატი წარწერილობით, თჳთ ეკკლესია პატარაა და მრთელი შეურყეველი. აქედამ დაუხვდიეთ ამისვე სერებს, ჩუცნ ვიარეთ ცუდი გზები ოთხი ხუთი ვერსი და გავედით ძირულას, შემდგომ ავიარეთ კლდიანი ვიწრო გზა და მივედით სოფელს წევას[54], სადაცა არის მცირე დუქან ბაზარი. აქ სდგა ეკკლესია ძველი სივრცით საშუალ წევის წ˜ა გიორგისა, შიგან ასვენია ხატები ვერცხლით შეჭედილები, პირველზედ სწერია ესრედ:

ქ. ეჰა შენ შვიდ წილ უძლეველო ახოვანო მხედარო ქრისტეს მეუფებისაო დიდო მოწამეო გიორგი ჩუჱნ მოსავმან და მინდობილმან ძალისა შენისამან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ მოგიძღვენი მცირე ესე სამკაული დღეთა და ჟამთა ჩუჱნთა განსამრავლებლად და სულთა [117-V] ჩუჱნთა საოხად და განსაძლიერებლად მეფედ მეფისა სოლომონისათჳს პირმშოსა და სასო გრძელისა ძისა ჩუჱნისა ალექსანდრესა და ასულთა ჩუჱნთა საცხოვნებლად დასაბამითგან ԿԵՂԱՇ, ქრისტეს აქეთ ჩღოდ[55].



ფოტო № 11

მეორე ხატზედ, რომელიც არის ფ˜დ ძველი, სიგრძით 7 ვერშოკი და სიგანით 6 ვერშოკი[56] ადლისა (იხ: ფოტო № 11):

ეკკლესია არის სიონი უგუნბათო სამხრეთით აწერია კლდის ქვაზედ: „ქ. ესე არს ბჭე უფლისა და მრავალნი შევლენ მას შინა“. [118]

მესამე ვერცხლით შეჭედილ ხატზედ რომელიც ნაწილებით სავსეა, სიგრძით $7^1/_2$ ვერშოკი და სიგანით ხუთი[57], მხედრულის ასოებით სწერია:

„ეჰა შვიდ წილ უძლეველო ახოვანო მხედარო ქრისტეს მეუფისაო ღვაწლით შემოსილო ჩემის სამკვიდროს წევის ეკკლესიის შინა მპყრობელო წ˜ო დიდო მოწამეო გიორგი მონამან და მონდობილმან ძალისა შენისამან მე მაჭავარიანმა ელიზბარმა მოგიძღვენ კნინი ესე მცირე სამკაული მოჭედა ჩემთჳს სასიცოცხლოდ და სადღეგრძელოდ და სულის საოხად და მეუღლისა ჩემისა აბაშიძის ასულისა ანასათჳს ძეთა და ასულთა განსაძლიერებლად წელსა ჩყიდს[58]. ოცდა ათი მარჩილი ხელფასად ხატის თეთრი გავიდა[59].

ამავე ეკკლესიაში არიან დახატულნი მარცხნივ მაჭავარიანი, აქავ არის ბაირაღი და ბუკი, რომელთაც ხმარობენ დღესასწაულში 15 ივლისს, ბუკით მოუწოდებენ მიმსვლელთა ერთა და მღვდელ შემოსილი დაამწყალობნებს მათ სადაცა ბაირაღი იდგება. შემდგომ ჩამოვიარე კლდეები, გამოველი ძირულას და მოველ ძველს ფოშტის გზით კვალადვე შორაპანს, აქედამ გავიარე სამხრეთისკენ რამდენიმე ვერსი და მიველ ტაბაკონს. მეორე დღეს ამ სოფლის მოშორებით ვნახე ეკკლესია დიდი და ძველი ტაბაკონისა. ესე სდგა მთათა შუა მაღლობზედ გალავანმ დანგრეული აღმოსავლეთით ჩამოუდევს ღრმა გენაბის ხევში აჯამურა და მთიანი ტყით მოსილნი არიან, ეკკლესია შიგნით დახატულია ძველის მხატვრობით სამხრეთით კედელზედ არის სახე [118-V] შემოსილი მღვდელმთავრისა

დიდათ დახატული, მარჯვენა ხელით სწერს ჯვარს და მარცხენით უჭირავს ეკკლესია, მარჯვნივ უწერია კედელზედ ხუცურის ასოებით, რომელიც სიძველისა გამო ძლივსღა სჩანს და წაიკითხების ესრედ:

აქა წმინდის გიორგის მონამან....

ყოვლად წმინდისა ღ˜თის მშობლისა დაკნინებული და აოხრებული აღვაშენე მე ჩხეიძემ ქუთათელმა გერასიმემ ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმან ამინ მისთა დედმამა და მისთა მიცვალებულთა შეუნდოს ღმერთმან.



ფოტო № 12

ეს ეკკლესია არის დღეს ერთი მღვდლის ამარა და შიგ ასვენია ძველი ხატი ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი. $8^1/_2$ ვერშოკი სიგრძით და სიგანით 7 ვერშოკი[60]. სხუა და სხუა მრგვლის თვლებით შემკობილი წ˜ს ამაღლებისა, ზურგზედ სწერია მხედრულის ასოები ესრედ:

ქ. ბრძანებისა ღთისათა ძალითა და შეწევნითა ხატისა ამაღლებისათა მე ჩხეიძემ ბოქაულთ უხუცესმა ბატონმა თეიმურაზ ჟამთა გამოცვლილებითა ძველთაგან ჩვენის სახლის დანაკარგი შორაპნის ციხე და ქალაქი მეფის ბაგრატის ბრძანებით ძალით ჩემის ხრმლით დავიჭირე, რადგან ჩემმა მოწყალემ ამოდენა ხელი [119] მომიმართა ვიგულე და ვიგულისმოდგინეთ ჩვენ და ფ˜დ ცოდვილმა და ყოველთა უცოდვილესმა მე თეიმურაზ და თანა მეცხედრემა ჩემმა ჩხეიძის ასულმა ბატონმა თამარ ძველთაგან თათართა მიერ დალეწილი ხატი ესე ამაღლებისა შევამკევით მურასით

თვალითა და მარგალიტით ჩვენად სადღეგრძელოდ ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად და ცოდვათა ჩუენთა საოხად დღესა მას საშინელსა განკითხვისასა ჩემსა ამინ

ქ~კს ტოდ (ბროსეს მიერ ფანქრითაა მიწერილი 374=1686)

თუთ ეკკლესია არის ამ სახისა (იხ. ფოტო № 12) სადათ აშენებული ორს ვერსზედ მაჩვენეს პატარა თლილისა ქვის საყდარი და მითხრეს მათ, რომელ ეს ტაბაკონის ეკკლესია აღუშენებია იქა დაყუდებულს ბერს ვინმე ნიკოლოზს, რომელიც შემდგომად წასულა იერუსალიმს. დღეს ამ პატარა ეკკლესიაში სცხოვრობს მოხუცი და უძლური ბერი მაკარი და მის მომვლელად არიან განწესებულნი ქუთაისის მიტროპოლიტისაგან აქა ორნი დიაკონნი. აქედამ ჩამოვიარე აღმართი ტყიანი გამოველ ხევს აჯამურას გადავიარე აღმოსავლეთის მხრით სოფელი კინოთი და სერები ვენახოვანნი მოველ სოფელსა ვარძიას[61], სადაცა სდგა ეკკლესია გუმბათიანი მაღალსა ალაგსა, საიდამაცა სჩანს მრავალი ალაგები მთა და მინდორი. შორაპნის უეზდისა ეკკლესიას არტყია დაქცეული ციხე გალავანი, თუთ არის ამ გვარად ნაშენი (ფოტო № 12) და გარედამ გათეთრებული, სამხრეთით ფანჯარასთან კლდის ქვაზე ამოჭრილია: (ფოტო № 12) **[119-V]**

შინგან ეკკლესია სდგა ორს სუეტზე ძველის მხატვრობით მოხატული, მარჯვნივ ასვენია ხატი ღ~ს მშობლისა ფ~დ ძველი ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი, სიგრძით 15 ვერშოკი და სიგანით $11^1/_2$ ვერშოკი[62]. ორსავე მხარეს აქვს დასახურავი კარებები, რომელზედაცა არიან ვერცხლში გამოყვანილნი მიქელ და გაბრიელ. გარს სწერია ესრედ: (ფოტო № 13, ზემო წარწერა)



ფოტო № 13

მეორე ღ~ს მშობლის ხატზედ, რომელიც არის თვალმარგალიტებით შემკობილი, სიგრძით 9 ვერშოკი და სიგანით $4^1/_2$ ვერშოკი[63] სწერია ესრედ: (ფოტო № 13, ქვემო წარწერა)

აქავ ასვენია ფდ ძველი ჯვარი ცეცხლში შეჭედილი და თვალმარგალიტით შემკობილი სიგრძით ორი არშინი[64], გარნა ნაწერი არა არის ზედ. აქ გამგებლობს საბერძნეთიდამ არხიმანდრიტი იოა ნიკიოზ და მღვდელნი იქაურნი, ამათ მიჩვენეს

ყოველივე ეკკლესია და დროსი შესანიშნავი არა იყორა, სამრეკლო უდგა გალავნის გარეთ [120] თლილის ქვისა სამხრეთისაკენ, რომელზედაცა სწერია კარების თავს კლდის ქვაზედ ამოჭრილის ასოებით:

ქ. ვინაჲთგან ყოვლისა კეთილისა მიზეზი ქრისტე არს ამის მგონემან და მინდობილმან ღთისამან და ყოველთა კაცთა უცოდვილესმან საქართველოს ნათლის მცემლის უდაბნოს მამყოფელმან და მერმე ამ ვარძიის მონასტრის წინამძღვარმა ლიხთ და იმერთ მეფის ძის ბატონის შვილის კარის არხიმანდრიტმა ყიფიანმა ნიკოლოზ, ოდესაც ვიხილე სამრეკლო ესე დარღვეული და სრულიად შემუსვრად მიწევნილი მსწრაფლ დიდის გულს მოდგინებით ვიყავ ქართლსა და იმერეთს კალატოზისა შოვნად, მაგრამ ისე მსწრაფლ ვერსად ვიშოვე ამ სამრეკლოს მეორედ გაკეთების შემძლებელი გალატოზები, მერე ძალითა მღთისათა და შეწევნითა ყ~დ წმინდისა ღთ~ს მშობლისა მარიამისათა თჳთ ვიწყე მე არხიმანდრიტმა მეზობლითა ცემითა შენებად ამის სამრეკლოსი და მუდამ გარსამარჯუებლად ბედნიერის ხელმწიფის სოლომონისა და ძისა მისისა ალექსანდრესთჳს და მერმედ აღმომკი თხველისა ამისაგან შენდობის საბრძანებლად სულთა ჩვენთათჳს და ვინცა წყალობა ჰყოთ და ჩემთჳს შენდობა ბძანოთ თქუჱნ შეგინდოსთ ქრისტეს საყვარელნო ძმანო. დასაბამიდან ქრისტეს აქეთ ჩ.ღ.უ.ზ. სეკტენბრის ბ, ქკს უჲე[65]. [120-V]

4 ივლისს ვარძიიდამ ჩამოვიარეთ სერები, გადავცდით ფოშტის გზას და ვიწყეთ სიარული ჩრდილოს მხრით ნუნისისაკენ, ჩემთან მყოფნი იმერლები მეტყოდნენ „ნუნისი რაღაცაა კი ვიცით ბატონო“. ექანას არის, ექანას გავალთ ჩხერიმელას და დავადგებით კაი გზას, მზიურ ქვე მივალთ აქანას, ჩქერიმელა მისთვის „ქვე“ ჰქვიან რომე ზოგან ჩქარად მოდის და ზოგან ნელა, სწორედ „ჩქარი ნელაა“ ამისი სახელი[66]. ჩუჱნ გავიარეთ საქარის ქედი, სოფელი იგორეთი, შემდგომ გავედით ლაშის ხეობაში ჩქერიმელას და ვიწყეთ სიარული მიხრილ-მოხრილი მაღალ უმეტეს დაბლა ცუდ გზებზე (ფანქრით ჩამატებულია: „სოლივერსკის მთა ხორინთის ეწერიდან“) საღამოს გავედით ძირულას და ნაცვლად ნუნისისა მიმიყვანეს უბისს[67], იმ ღამეს იქაურ მღვდელთან ვიყავი და სხუათა შორის ვკითხე სად არის ნუნისი, მღვდელმან მიპასუხა, ნუნისი კი არ გამიგონია და უბისი კი ეს არისო. ამ ეკკლესიაში რაც ნაწერები ნახა უფალმა ბროსემ გადმოსწერა ამ სამი წლის წინათ. მეორე დღეს ჩუჱნ გავშინჯეთ ეკკლესია უბისა, ვნახე ხატები ვერცხლში შეჭედილები. ძველი,

პატარა სახარება და დიდი ჯვარი თვალმარგალიტით შეჭედილი, რომელსა ერტყა ხანჯალი და პატარა ჩერქეზული ქუდი ეხურა, რაჲცა ჩემთვის საჭიროდ იყო ნაწერი გადმოვწერე და ვთხოვე იქაურს მოხელესა და მღვდელს გამაყოლონ ისეთი გზების მცოდნე კაცი, რომელსაც შეეძლოს მაჩვენოს ნუნისი და ეგრეთვე დამატაროს ყვირილასა და საქართველოს სამძღვართა მთათა შუა ალაგები თუ იყოს სადმე შენობა დიდი ანუ ეკკლესიები. მე დავპირდი თავის გასამრჯელოს [121] ერთი ორად ვაჩუქებ, ამათ გამომირჩიეს კაცი, რომელმაც მითხრა ნუნისი სადაცა ხეფინისხევისაკენ ციხისთვის კაი ეკკლესიას ქვე გაჩვენებდა სხუა საცა მეტყვი – იქანას მიგიყვან. ჩუჱნ ვიწყეთ სიარული ჩრდილოს მხრით, ამოვიარეთ შიშველი მთა, გადავედით სოფელსა სვერს, აქ გადაუხვიეთ

სოფლის გზას და ვიწყეთ სიარული აღმოსავლეთისაკენ ერთს ბილიკზედ, შევედით ტყეში და ვიარეთ მიხვეულ-მოხვეული. გზები და მთები ტყიანი, დავკარგეთ გზა და აღარ ვიცოდით სად უნდა გავსულიყავით, აქა შევწუხდი ძრიელ, რომელ იყო საღამო და ჩუჩნ უნდა დავრჩენილიყავი უადგილო ალაგას. მაშინ ვიწყეთ ყვირილი მაღლის ხმით: „არავინა ხართ, ეეი, და დავბრუნდით კვალად იმავე გზით, გამოვიარეთ ასე ყვირილით სამი ვერსი და შევეყარენით ერთ მუშა იმერელს, რომელიც მოდიოდა სამკალიდამ მეორეს გზით, ამას ვაძლიე ფული და ვეხვეწებოდი ან შენს სოფელში წაგვიყვანე ანუ სოფლის გზა მაჩვენე – სწორეთ თუ ახლოს არის სადმე, დღეს მთელი დღეა ასე დამათრევს ეს ჩემი წინამძღომი, დილას მითხრა აქაური გზები სულ ვიციო, მაგრამ აწი დიდი ხანია აქეთ აღარ მივლიაო. იმ კაცმა ფული არ მიიღო, ჩემი სოფელი დიდი ხანია გამოგივლიათო და ამ გზას დაადექით აქანას ახლოს სოფელია ჭორვილა საჩხერის პირს იქ ადრე ჩახვალთო. ჩავედით ღამე ჭორვილას, მეორე დღეს აქედამ გაველ ყვირილას ცხენებით და მიველ საჩხერეს. აქ გავიცან თავადნი წერეთლები ალექსანდრე პოლკოვნიკი ღვარდიის შტაბროტმისტრი, ნესტორ ძმისწული მისი, სვიმონ წერეთელი[68], ამათი ბიძა გიგო და სხუანი, რომელთაც მიმიღეს სასიამოვნო სტუმრათ, მე ყველას ვთხოვდი მაჩვენონ ძველი საოჯახო მათი [121-V] დოკუმენტები მეფეებისა ანუ სხუა რაჲმე ღირსი სანახავი ძველი ნივთიც და ურჩევდი პირების გადმოწერას და დაბეჭდვას თქუჩნის გვარისა და სახლისათვის სასარგებლოდ. ჩუჩნი საოჯახო წერილები სულ მიტროპოლიტმს დავით წერეთელსა[69] აქვსო და საკითხავი წიგნები დავით დადიანმა წაიღო, სხუაგანაც, სადაცა ვიყავ ყველა თავად აზნაურნი მეტყოდნენ ეგრეთვე და ვისაც ჰქონდა უკანასკნელი მეფის სოლომონის ღრამატა ვარაყით დაწერილი სიამოვნებით მაჩვენებდნენ. მე ვგონებ მთელს იმერეთში არცა ერთის თავადისა და აზნაურის სახლში ძველი ასისა და ორასის წლის უწინ მეფეების წერილები ანუ ნივთი რაჲმე არავის ჰქონდეს მოთხრობასაცა ყველანი მიანბობდნენ მეფის სოლომონისა უკანასკნელ დროს, ჩვეულება იმერთა ვნახე ყოველგან არეული ძველი და ახალი, სხვას საჭირო არა ვრაცხ აქა ვსთქვა.

სახლთუხუცეს წერეთლის ასულმა კნეინა სალომე ანდრონიკოვისამ მაჩვენა ჯვარი, რომელიცა ჰქონია პირველზედ დავით აღმაშენებელს ვერცხლისა, ოქროდ დაფერილი ნახევარ არშინი ესრეთის სახითა პრტყელი (იხ: ფოტო № 14). მისსა სწერია სიძველისა გამო ძლივსღა წაიკითხების[70]: [122]



ფოტო № 14

13 ივლისს საჩხერიდამ წამიყვანა ბლაღოჩინმა ოქროპირ მღვდელმა და მაჩვენა ჯრუჭის მონასტერი, აქავ ძველ ეტრატზედ დაწერილი საეკლესიო სხვა და სხვა

წიგნები, მათ შორის ვნახე სახარება მრგვლოვანის ასოებით ქარაგმით ნაწერი ეტრატზედ, ბოლოს ფურცელზედ სწერია ქორონიკონს ᲯᲩᲗ[71].

კიდევ ვნახე ჯრუჭის მონასტრის განძეულობა, გარნა ფ~დ ძველი არა იყო რა. იქაურმა გამგებელმან მაჩვენა ძვალი, რომელი რაღაც ცხოველისა გაქვავებული ქვაშივე მჯდომი და მითხრა ეს რიღაცის ძვალია კაცისა თუ ნადირისა დიდი ხანია ამ ეკკლესიაშიო არის შენახული ასე. აქედამ ავიარეთ მთები ტყით დაბურული და კლდოვანი დახლართული გზა, ჩუᲪნ გადავედით ვაკეს, შემდგომ გავედით მდინარესა ხარისთვალას, მივედით ჩქმერს[72] მღვდელთან, მეორეს დღეს ვიწყეთ სიარული თავქვე და ჩავედით რაჭაში, ვითარცა ჭაში ონს, რომელსა არტყია ირგვლივ მთები ტყიანი და მდინარე რიონი ჩამოუდის, აქაურმა უეზდის ნაჩალნიკმა მითხრა შარშან წინ უფალმა ბროსეტმა სულ დაიარა აქაური ეკკლესიები და თუ გსურსო, თქუᲪნც მოგცემთ კაცს ნახეთო.

14 ივლისს ონს ვნახე სასუნებლები ორმოები[73] და ეკკლესია პატარა, შიგ ასვენია ხატი წ~ს გიორგისა ფ~დ ძველი, რომლისათს იტყვიან: პირველად ხატი ესე იყო საქართველოდამ[74] მოსვენებული შემდგომ სვანეთში დახიზნული და ახლა აქა არს, ვისგან და როდის უტარებიათ ესე არავინ უწყის, ზედა სწერია ხუცურის ასოებით: „წმინდანო მთავარ ანგელოზო მიხეილ და გაბრიელ მეოხ ეყვენით სამთა ძმათა გარაყანიძეთა მიხეილს, ფორთის და იოანეს და ზეთა მათთა ორსავე ცხორებათა შინა წინაშე ქრისტესა. [122-V]

აზნაურნი გარაყანიძენი დღეს სცხოვრობენ ტფილისის გუბერნიაში საგურამოს, რომელთა ეკუთვნის ნაწილი ზემო ავჭალისა, მე ვიცნობ მათ და ვიცნობდი გარდაცვალებულსა მამასა მათსა გიორგი გარაყანიძესა, რომელიც იყო ბუნებითი მეხანიკი კარგი. იგი იტყოდა ხოლმე: ოდეს იმერეთში გელათს ხატამდა თავადი აფხაზოვი, მაშინ მე თექვსმეტ ჩვიდმეტის წლისა შეგირდი ვშველოდი მას გელათის შიგნიდან დახატვასა. გიორგი გარდაიცვალა რუსეთს ოთხმოცი წლისა მეტი თუ ნაკლებ სამ-ოთხი წლის წინათ[75].

ამავე ონის ეკკლესიაში ვნახე მეორე ხატი ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი ნაწერით:

ქ. წმიდაო მთავარ ანგელოზო მეოხ ეყვენით ორთა ძმათა სოსიასა გიორგის ძე, აჯოლედიანსა და ვარდანს წინაშე ქრისტესა.

აქავ ვნახე სახარება ეტრატზედ დაწერილი, რომელზედაც სწერია:

ქ. დიდება ღმერთსა ყოვლის მპყრობელსა და სრულ მყოფელსა ყოვილისა კეთილისასა აღიწერა წმინდა ესე ოთხთავი სენთა მკურნალი და სულთა განმანათლებელი მეფობასა გიორგისასა დასასრულს მეცამეტე ქორონიკონსა[76].

15 ივლისს მე და ოქროპირ ბლაღოჩინი გავედით რიონს და ვიწყეთ სიარული მაღალ კლდეებზედ ტყიან მთაში ცუდ გზაზე [123] ავედით მთის წვერზედ, სადაცა ვნახეთ სრულიად დაქცეული პატარა ნათალი ქვის ეკკლესია, აქა ჩუᲪნ ბევრი ვძებნეთ და ვერა ვნახეთ ის ზეთი, ვერცა ნაალაგევი ან ჭურჭელი მისი, რომელსაც სწერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში და აქაურნიცა დაჭეშმარიტებით იტყვიან, ვითომცა უწინ

რამდენიც უნდა მიცვალებული შეემუსრათ იმ ზეთით, ჭიქა ზეთისა კიდევ და კიდევ ივსებოდაო[77]. იქიდამ ჩამოვიარეთ იმავე გზით, ჩავედით ძირს და ავყევით მდინარესა რიონს, შემდგომ მივედით მჟავე წყალზედ, აქა დიდსა და ფდ ძველს ეკკლესიაში, რომელიც არის ნაგები სადათ და ვახუშტიცა თავის გეოგრაფიაში მოიხსენიებს აქა კიდებულს ნაწნავს, გარნა არა იყორა და არცა თუ მნახავი მისი არის ვინმე[78]. კვალად დავბრუნდით და მივედით საღამოს ონსავე.

16 ივლისს ონიდამ სამს ვერსზედ მაღლა მთაზე სოფელსა სხიერს[79] ვნახე ეკკლესია ქვისა, სადათ ნაგები და შიგან ძველი ხატები ვერცხლში შეჭედილები, სხვა ღირსი შესანიშნავი არა რაიმე არა მინახამს აქა.

17 ივლის ონიდამ ვიარე ცუდი აღმართები. პირველს ძველ გზაზედ, რომლითაც მიველ ონს, შემდგომ გარდაუხვიე და მიველ მრავალძალსა, სადაცა სოფლის ივს (?) სდგა ეკკლესია თლილის ქვისა[80]. აქ მიანბეს, რომ ხმალი შახ-აბაზისაგან იყო ამ ეკკლესიაში დაკიდებული, გაიყიდა[81] და იმ ფულით ამ ეკკლესიას იატაკი დაუფინეთო, სხუა ხმლები მაჩვენეს შეწირულები ძველად, ერთი სპარსული, ოქროს თავიანი თვლებ ამოტვიფრული, მეორე ჩერქეზული, შუბები, ბაირაღები, მუზარადი, ჩაჩქანი და ყანწები ანუ ჯიხვები, ყომრალი ვერცხლი გადაბმული ფ˜დ ძველები. [123-V] ეგრეთვე ძველი ხატები ვერცხლისფერში შეჭედილები, რომელთა ზედაწარწერები მე გადმოვწერე და ვიწყე სიარული მთამთა სამხრეთისაკენ. შემდგომ გადმოველ ჩქმერს მღვდელთან, მეორე დღეს ძველისავე გზით ღრუბლიანსა დღეს ჩამოველ კვალადვე საჩხერეს, სადაცა დავრჩი წვიმების გამო რამდენსამე დღეს და ვეძიებდი კარგს მოგზაურს კაცს დღეში მანეთათ თავის ცხენით, რომელთანაც მსურდა დამევლო დანაშთენი ალაგები იმერეთისა, რათამცა მოგზაურობა ჩემი ესე ყოფილიყო სრული, გარნა სურვილი ჩემი ამაო იყო, სახელდობ ვისაც ვეტყოდი ამა და ამ ალაგებში მინდა წასვლა და ნახვა ამა ძველთა შენობათა, რომელთაც სწერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში, იგინი ზოგნი დაიზარებდნენ და ზოგნი ვერ ბედავდნენ შორს სიარულს, დიდ ხანს მოუნდებით ჩუᲑნს საქმეს კი მოვცდებითო, ამის გამო იძულებულ ვიყავ გამეთავებინა იმერეთს მოგზაურობა.

20 ივლისს საჩხერიდამ გამოველ ყვირილას და შვიდ რვა ვერსზედ მარცხნივ ყვირილას სათავისკენ ვნახე მაღლობზე სოფელსა სავანეს ეკკლესია. დიდის თლილის ქვისა, რომლისა კანკელი არა სრულიად შაბაქა ამოკვეთილი მრთელის ქვისა. დასავლეთის მხარეს სწერია კლდის ქვაზედ ამოჭრილს ასოებით კარების თავზე ხუცურად ქარაგმითა გადაცვეთილ სიძველისა გამო

ქ. სახელითა მღვთისათა, მეოხებითა წმინდისა ღვთის მშობლისათა წმინდისა გიორგისითა დამაყენა მე სულითა საწყალობელი [124] ლუარსაბ აღსაშენებლად წმინდისა ამის საყდრისა ადიდენ ღმერთო გიორგი და იოანე სალოცველად სულისა მათთჳს და მშობელთა მათთჳს[82].

ჩრდილოეთით კარიბჭეში კარების თავზედ სწერია ეგრეთისავე ასოებით ქვაზე:

ქ. სახელითა მღვთისაითა მე გიორგი იოანე აღვაშენე წმინდა ესე ეკკლესია სავანისა სალოცველად სულისა ᲩᲝᲗᲮᲡᲩᲰᲐᲗᲡᲩ და ძმისა ჩვენისა ᲔᲗ და მშობელთა ჩუᲑნთათჳს Ტ˜ᲮᲮᲝᲡᲩᲡ ᲝᲩ მარიამისათჳს და შვილისა ჩუᲑნისათჳს გაბრიელისათვის

და დედისა მისისათვის წ˜დაო გიორგი მეოხ ეყავ წინაშე ღვთისა ამინ. იყვნენ ქორონიკონით ს.Ⴢ Դ ⵂⵗⵖⵂⵂ მეფობასა კურაპალატისსა[83].



ფოტო № 15

კარიპჭეში კლდის ქვაზედ სწერია ხუცურად – ქარაგმითა ძნელად წასაკითხი:

ქ. სახელითა მღვთისათა და შეწევნითა სავანისა ⵂⵓ ⵗⵂⵗⵚⵂ (თავზე ფანქრით მიწერილია „მწმისა“ – ი. ა.) ⵖⵗ ⵜⵂⵓⵚ ⵃⵄⵓⵗ ⵜⵗⵓⵂⵄⵗⵗⵗⵓⵚⵂ ⵍⵟⵁⵍⵚⵂⵜⵗⵚ და მისის მეუღლისა თამარისა შეუნდოს ღ˜ნ[84] (იხ: ფოტო №15)



ფოტო № 16

აქვე კარიბჭეში პატარა სამწირველოს კარების თავზედ კლდის ქვაზედა სწერია ეგრეთის ასოებით: „წმინდაო ღმერთო და ყოვლად წმინდაო ღვთის მშობელო შეიწყალე ქავთარაძე დავით ძეთა და ასულთა მისთა განუსვენე ქრისტე ამინ“. [124-V]

გარედამ აღმოსავლეთის მხრით ფანჯრის გვერდზე სწერია კლდის ქვაზეზდ ამოჭრილის ასოებითა[85]: (ფოტო № 16)

შიგან ეკკლესიაში კანკელი წინ მარჯვნივ არის საფლავის მსგავსი იატაკზედ ერთ არშინ მაღლა, რომელსა აფარია ფიქალი ქვა. აქაურნი იტყვიან ვითომცა იყოს ამაში ძველად შენახული ავის დროის გამო ამ ეკკლესიის ხატები, ახლა თუმცა სურთ ახდა გარნა ვერა ბედვენ და არცა მე მომცეს შემწეობა მათ, რომელ მართლად შემეტყო მათი მოთხრობა. სხუა აქა ღირსი შესანიშნავი არა მინახამსრა. ეკკლესია სადათ არის ნაგები, უგუნბათო, გალავანგადაქცეული. აქედამ ვიწყე სიარული აღ~სავლეთისა მხრით, გარდმოვიარე კორტოხის მთა ტყიანი და ხევებიანი წვიმა ტალახში ზოგან ცხენით და ზოგან ქვევითათ გაჭირვებით ჩამოველ სურამს 21 ივლისს.



ფოტო № 17

სურამიდამ მსურდა გამგზავრება აჭარისაკენ მაგრამ უკეთუ [125] მოგზაურობა ჩემი განგრძელდებოდა უცხო ქვეყანას ერთს ორს თვეს, მაშინ საკმაო ფული აღარ მექმნებოდა თანა და დავბრუნდი 22 ივლისს კვალად ტფილისს.

შენიშვნები

1. მოლითი – სოფ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, რაიონული ცენტრიდან 15 კმ-ზე, მდ. ჩხერიმელას მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 680 მეტრზე.
2. საჟენი - ძვ. რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 1835 წლის ბრძანებით, 1 საჟენი განისაზღვრა 213, 36 სმ-ით.
3. არშინი - ძვ. რუსული სიგრძის საზომი. უდრის 16 ვერშოკს (71,12 სმ.). იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.
4. მიტროპოლიტი იმერეთისა დავით – წერეთელი (1781-1853 წწ.). იგი იმერეთის სახლთუხუცესის – ზურაბ წერეთელის შვილი იყო. ჯერ კიდევ სოლომონ II-ის დროს მიიღო მიტროპოლიტის ხარისხი. მოღვაწეობდა ჯრუჭის მონასტერში. ფლობდა სხვადასხვა ხარისხებს: სამეგრელოს ეპისკოპოს-ჭყონდიდელი, იმერეთის ეპისკოპოსი. ძალზე დიდი ღვაწლი მიუძღვის დასავლეთ საქართველოში ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და სიძველეების გადარჩენის მიზნით. გარდაიცვალა 1853 წლის 14 თებერვალს. ანდერძის თანახმად, დაკრძალულია ჯრუჭის მონასტრის ეზოში (იხ: გ. ჩიღვინაძე. დავით მიტროპოლიტი. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნ. „ხომლი“, თბ., 2013, № 3, გვ. 28-32).
5. იგულისხმება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი კონსტანტინე იაკოვლევის ძე ბელიავსკი, რომელსაც დიმიტრი დღიურებში შემდგომაც ახსენებს. ცნობილია მისი წერილი (06.03.1848 წ.) გენერალ საფონოვთან ქუთაისის გუბერნიაში გლეხებსა და მემამულეებს (მიწის მფლობელებს) შორის წარმოშობილი უთანხმოებების დარეგულირების მიზნით ქუთაისში განსაკუთრებული კომიტეტის შექმნის საჭიროების შესახებ (იხ: *Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею*, т. X. Тифл. 1885, გვ. 253-254, დოკ. № 260) .
6. ლევან ნიკოლაიჩ ქარქიევი – ქუთაისის საგუბერნიო პროკურორი 1848-1851 წლებში (იხ: „Кавказский календарь”, 1849, отд, IV, გვ. 22).
7. ხსენებული ინფორმაცია, სავარაუდოდ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას ეყრდნობა, თუმცა, ვახუშტი გარკვევით ამბობს, რომ თურქებმა ააშენეს არა ციხე-დარბაზი, არამედ მეჩეთის მსგავსი ნაგებობა. თანაც, ვახუშტი ბატონიშვილი 51-ე გიორგის ნაცვლად, მოიხსენიებს 57-ე გიორგის (იგულისხმება გიორგი II, 1072-1089 წწ.): „რიონს დასავლით არს გეგუთი, სადგური ზამთარს მეფეთა, აქა არს მსგავსი შენებული მეჩიტისა, მრავალ პალატოვანნი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა, უწოდებენ ციხე-დარბაზს, იტყჳან აღშენებასა ნ~ზ (=57 – ი. ა.) მეფისა გიორგის ჟამსა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 761). თუმცა, „მატიანე ქართლისას“ მიხედვით,

გიორგი მეორე არის „მეორმეოცდათოთხმეტე მეფე ქართლისა და აფხაზეთისა გიორგი ძე ბაგრატისი ბაგრატოანით" („მატიანე ქართლისა", გვ. 315). დღეისათვის ისტორიოგრაფიაში გაზიარებული შეხედულებით, გეგუთის ციხე-დარბაზის მშენებლობა განხორციელდა, არა გიორგი II-ის, არამედ გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) მიერ (**ირ. ციციშვილი**. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1994, გვ. 105-107; **ვ. ბერიძე**. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 165).

8. იმერეთის მმართველი გენერალი ხათუნცოვი – იგულისხმება ნიკოლოზ მიხეილის ძე ხათუნცოვი. იმერეთის მმართველად ჩანს 1815-1819 წლებში, გენერალ-მაიორ მერლინსა და ივან კურნატოვსკის შორის. (იხ: **ნიკო დადიანი**. ქართველთ ცხოვრება, გვ. 206; Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею т. VII, Тифл., 1878, გვ. 394, დოკ. 321).
9. მიხეილ თუმანოვი, ქუთაისის გუბერნიის მოსამართლე (სუდია). შესაძლოა, ეს იყოს ჟურნ. „ცისკარში" „მოლაყბის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსების ავტორი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი (1818-1875 წწ.), მამა ანასტასია (ჟურნ. „ჯეჯილის" რედაქტორი) და გიორგი (ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე) თუმანიშვილებისა (იხ: **იაკობ მანსვეტაშვილი**. მოგონებანი, ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ტფ., 1936, გვ. 271, შენიშვნა № 108).
10. ხსენებულ ადგილს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი წერს ქარაგმის გარეშე. იგულისხმება „შა[ა]ნშე და შა[რვ]ანშე".
11. 1462 წელს იმერეთში მეფობდა არა ალექსანდრე, არამედ ბაგრატ VI (1466-1478 წწ.). აღნიშნული საბუთი ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია და სათანადო გამოკვლევებიც მიუძღვნეს თ. ჟორდანიამ, ს. კაკაბაძემ, ე. თაყაიშვილმა და სხვებმა. თედო ჟორდანიასა და ივ. ჯავახიშვილს სიგელი ნაყალბევად მიაჩნდათ (იხ: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი II (1213 წლიდამ – 1700 წლამდე). გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო **თ. ჟორდანიამ**, ტფ., 1897, გვ. 264-265; **ივ. ჯავახიშვილი**. თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1996, გვ. 512-514). სარგის კაკაბაძის აზრით, თარიღში შეცდომა გვიანდელი გადამწერიდან მოდიოდა (**სარგის. კაკაბაძე**, საისტორიო მოამბე, № 1, ტფ., 1924, გვ. 63-64; **ს კაკაბაძე**. გენიალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ტფ., 1912, გვ. 4). აღნიშნული საბუთი საგანგებოდ შეისწავლა ნიკოლოზ ჟღენტმაც, თუმცა იგი მიმოხილვაში ალექსანდრეს არ ახსენებს და ბაგრატისა და კონსტანტინეს ირგვლივ საუბრობს (**ნიკოლოზ ჟღენტი**. მეფე დავით IV-ის „აღმაშენებლად" მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცენდენტები, „ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელი", კრებულში: „ქართული წყაროთმცოდნეობა 2011/2012, ტ. XIII-XIV, გვ. 52-55).

   საქმე ისაა, რომ მარი ბროსესა და თედო ჟორდანიას საბუთის დედანი არ უნახავთ. ე. თაყაიშვილი, რომელსაც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მსგავსად ტყავზე ნაწერი საბუთის დედანი ჰქონდა ხელთ, მიიჩნევს, რომ საბუთი ნამდვილია, მაგრამ შეცდომა საბუთის ქრონიკონშია და 1452 წლის ნაცვლად უნდა იყოს 1475 წელი (**იხ: ე. თაყაიშვილი**. საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909, გვ. 41-42).
12. მოცემული დროისათვის საქართველოს ეგზარქოსი იყო ისიდორე (იაკობ ნიკოლსკი 1799-1892 წწ.). ეგზარქოსობდა 1844-1858 წლებში.
13. ქობულეთის თათრები – 1850 წლისათვის ქობულეთი ჯერ კიდევ ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაც ჭრელი იყო.
14. დიმიტრის მიერ გადმოცემული წმინდანთა მდგომარეობა („ზეზედ აწყვია") მოწამეთაში მით უფრო საინტერესოა, რამდენადაც, 1923 წლის 18 თებერვალს ქუთაისში ბოლშევიკებმა გახსნეს მოწამეთას მონასტერში დაცული წმინდა დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები. გამოიტანეს ეკლესიიდან, დაასვენეს ურმებზე და მოსახლეობის თვალწინ ორი კვირა ქალაქში დაატარებდნენ შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით, რათა ყველას დაენახა, რომ ისინი ჩვეულებრივი ძვლები იყო და არა „უხრწნელი გვამები". ამ მოვლენას გაზეთმა „კომუნისტმა" სპეციალური წერილებიც მიუძღვნა 23 და 27 თებერვალს.

მოგვიანებით წმინდანთა გადარჩენილი ნაწილები (თავის ქალები) ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაიტანეს და მხოლოდ მიტროპოლიტ გაბრიელ ჩაჩანიძის დიდი ძალისხმევის შედეგად დაბრუნდა მოწამეთას მონასტერში.

15. საუბარია ბაგრატის ტაძარზე.
16. სამწუხაროდ, ეს ძვირფასი რელიკვია დღეისათვის დაკარგულია. იგი გაიტაცეს ყაჩაღებმა 1904 წლის 17 ივლისს, გელათის მონასტრის გაძარცვისას და მისი კვალი დღემდე უცნობია. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „ბევრი განსაცდელი შეხვედრია გელათს საქართველოს მრავალ ტანჯულის ისტორიის განმავლობაში, მაგრამ რაც ამ მშვიდობიანობის დროს დაემართა, თვით გამძვინვარებულ სპარსთა და ოსმალთა დროსაც არ ყოფილაო” (იხ: გაზ. „ცნობის ფურცელი”, 29. 07. 1904 წ. № 2568, გვ. 3).
17. სუჯუნა – სოფ. აბაშის მუნიციპალიტეტში, რაიონული ცენტრიდან 6 კმ. მდ. აბაშისწყლის ნაპირას, ზღვის დონიდან 15 მეტრზე. სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს XVIII ს. ბოლოს აგებული ჯვარგუმბათოვანი ტაძარი. სუჯუნაში იყო ჭყონდიდელების საზამთრო რეზიდენცია (იხ: იგორ კეკელია. აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი 2011, გვ. 67-74).
18. ოდიშის ეპისკოპოსი ჭყონდიდელ-დადიანი – საუბარია ანტონ გიორგის ძე დადიანზე (1796-1852 წწ.), რომელიც ბიძად ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს. ჭყონდიდელის ხარისხში აიყვანეს 1843 წელს მთავრის მოთხოვნით. მის დროს გაფართოვდა ჭყონდიდელის უფლებამოსილება და სამღვდელოების გარეშე არ ფორმდებოდა სამთავრო კარის არც ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. (იხ: ანტონ II ჭყონდიდელი, ჭყონდიდელი მღვდელმთავრები, 14. 12. 2010 წ. http://demetros.wordpress.com/2010/12/14/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1 %83%9D%E1%83%9C-ii-%E1%83%AD%E1%83%A7%E1%83%9D %E1%83%9C%E1%83 %93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/).
19. ვერშოკი – რუს: Вершок, სიგრძის ძვ. რუსული საზომი (არშინის 1/16 ნაწილი), უდრის 4,4 სმ. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.
20. ადლი – სიგრძის საზომი ერთეული ძვ. საქართველოში. რუსეთთან შეერთების შემდეგ თანდათანობით რუსულმა არშინმა შეცვალა. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე. უდრიდა დაახლ. 101,15 სმ-ს.
21. ზემოხსენებული ხატი ლევან დადიანის წარწერით აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილსაც (იხ: **ე. თაყაიშვილი.** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული „ძველი საქართველო”, ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 22-31), თუმცა, ხუცურ წარწერას ხატზე ექვთიმე თაყაიშვილი არ ასახელებს და ხატის ზომებსაც უმნიშვნელო ცვლილებებით (48X34 სმ.) გადმოგვცემს.
22. მელიტონ ჩხეიძე (1819-1870 წწ.), სიმონ ჩხეიძის ვაჟი. ჰყავს შვილები ნინო და ბარბარე. მეუღლე - პუპი, თავად ვამეყ დადიანის ასული (1833-?) (იხ: იური ჩიქოვანი, იოსებ ბიჭიკაშვილი, შოთა ჩხეიძე. ქართული წარჩინებული გვარები, ჩხეიძეთა საგვარეულო (ისტორიულ გენეალოგიური გამოკვლევა), წ. II, თბ., 2004, გვ. 70-72.
23. გურიის ეპისკოპოსი ექვთიმე - გურიის საეპისკოპოსო აღსდგა 1844 წლის 1 აპრილს და მის ეპისკოპოსად დაინიშნა ექვთიმე წულუკიძე. მან ძალზე ბევრი რამ გააკეთა გურიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცების მიზნით, რის გამოც, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

მიტროპოლიტ დავით წერეთლის გარდაცვალების (†11. 04. 1853 წ.) შემდეგ, ეპისკოპოსი ექვთიმე წულუკიძე ეგზარქოს ისიდორეს მიერ გადმოყვანილ იქნა იმერეთის ეპისკოპოსად.

იმერეთის ეპარქიაში სამი წლის მოღვაწეობის შემდეგ, 1856 წლის 4 აპრილს იგი გარდაიცვალა და დაკრძალეს დიდი პატივით ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში (იხ: **ბეჟან ხურციძე**. იმერეთის ეპარქია 1821-1917 წლებში. *გივი ტყეშელაშვილის რედ.,* ქუთაისი 2008, გვ. 55-57).

24. იგულისხმება გენერალ-მაიორი სპირიდონ სიმონის ძე მაჭავარიანი, ქუთაისის მაზრის უფროსი 1848-1850 წლებში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი (იხ: Кавказский календарь 1850 г. отд. IV, გვ. 16).
25. საუბარია ამჟამად ზუგდიდში, დადიანების ისტორიულ მუზეუმში დაცულ ღვთისმშობლის კვართზე.
26. იგულისხმება ვამეყ I დადიანი (1384-1396 წწ.), რომელმაც მართლაც მოაწყო ხსენებული ლაშქრობა, დაიმორჩილა ჯიქეთი, მძევლები წამოიყვანა და კვლავ შემოუერთა საქართველოს (იხ: **ბეჟან ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.) თბ., 1996, გვ. 43-44).
27. სამეგრელოს მთავარი დადიანი – იგულისხმება სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი (1813-1853 წწ.), მთავრობდა 1846-1853 წლებში. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში. მთავრის გარდაცვალების შემდეგ, 1859 წლამდე სამთავროს მართავდა მისი ქვრივი ეკატერინე ჭავჭავაძე. XIX ს-ის 30-იან წლებში გადაიღო სამეგრელოსა და აფხაზეთის 14 ეკლესიათა და მონასტრების ხატებზე მოთავსებული 41 ქართული ჭედური წარწერის პირი. ამათგან გადაღებული მეორადი პირები გადაუციათ თეიმურაზ ბატონიშვილისათვის, ხოლო ეს მასალა იქიდან მოხვედრილა აკად. მარი ბროსესთან. ამჟამად ის ინახება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში (იხ: ქართული წარწერების კორპუსი, II, ლაპიდარული წარწერები, დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ. I (IX-XIII სს.) *შეადგინა და გამოსცა* ***ვალერი სილოგავამ***, თბ., 1980, გვ. 14, სქოლიო).
28. რედუტკალე – ნავსადგური მდ. ხობისწყლის შესართავში, ამჟამინდელ ყულევის ადგილას. დააარსეს 1804 წელს რუსებმა, რომელთაც ამ ადგილას სამხედრო ნაწილი ეყენათ და ზღვით ერთ-ერთ მთავარ სასურსათო ბაზას წარმოადგენდა. ფოთის ნავსადგურის ზრდასთან ერთად, ყულევის მნიშვნელობა თანდათან დაეცა.
29. ალექსანდრე დადიანი – შესაძლოა ეს იყოს ალექსანდრე მანუჩარის ძე დადიანი, რომელიც 1856 წელს გარდაიცვალა. ჰყავს შვილები: ტარიელი, ნიკოლოზი, პლატონი, პელაგია, მართა, გიორგი, პეტრე. იხ: www.nplg.gov.ge/dadiani/images/tabula-3-17jpg.
30. საუბარია მდ. ტეხურის პირას ნოქალაქევის (ნოსირის) ცნობილ სახალხო აბანოებზე.
31. თავადი პოლკოვნიკი ერისთავი – იგულისხმება გორის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი, რომელიც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილთან ერთად მონაწილეობას იღებდა 1845 წელს დარგოს ექსპედიციაში (იხ: ჩვენი სტატია: „დარგოს ექსპედიცია შამილის წინააღმდეგ 1845 წელს და წყაროთა ინტერპრეტაცია“, ჟურნ. „ანალები“, № 9, 2013, გვ. 66).
32. =1646 წ.
33. ჟაკ ფრანსუა გამბა 1820 წლიდან მართლაც იმყოფებოდა საქართველოში და აქვე გარდაიცვალა ქუთაისში 1833 წელს. 1824 წელს მან პარიზში გამოსცა ორ ტომიანი ნაშრომი, სადაც მნიშვნელოვანი ცნობებია ქართველების ადათ-წესების, რელიგიის, ეთნოგრაფიის, ფლორისა და ფაუნის შესახებ. მისი ქალიშვილი შარლოტა გამბა საქართველოშივე დარჩა, რომელსაც გრაფმა ვორონცოვმა აჯამეთის ტყეების უმეტესი ნაწილი უწყალობა, რათა ადგილობრივებისათვის ფრანგულად მიწის დამუშავების მაგალითი მიეცა. ფრანგ მადმუაზელს საფრანგეთიდან მებაღეების, მებოსტნეების და სხვა ხელობის ოსტატების ჩამოყვანის განზრახვა მართლაც

ჰქონია, მაგრამ დაავადებულა და მალევე გარდაცვლილა (იხ: **ჟაკ ფრანსუა გამბა**. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები და ურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I, თბ., 1987, გვ. 9-15)

34. =154 სმ. X 83, 6 სმ.
35. ივანე როსტომის ძე მიქელაძე – 1850 წლისათვის მიქელაძეთა გენეალოგიაში პოდპორუჩიკი ივანე როსტომის ძე მიქელაძე (1787-1859 წწ.) ჩანს თავად გიორგი მიქელაძის მესამე თაობად. მამა - როსტომ მიქელაძე (1787-1859). ივანეს მეუღლეა ელენე, თავად გიორგი ერისთავის ასული. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იგი მეორედ დაქორწინდა თავად გიორგი ფაღავაზე (იხ: იური ჩიქოვანი, იოსებ ბიჭიკაშვილი. ქართული წარჩინებული გვარები, მიქელაძეთა საგვარეულო, წიგნი III, თბ., 2005, გვ. 59).
36. =30.8 X 22 სმ.
37. 113-ე გვერდის კიდეზე მეღვინეთხუცესიშვილს სიგრძეზე ფანქრით მიწერილი აქვს: „ვარძია დასცქერის დიდს ალაგს წინ მთასა და მინდორს ქუთაისისა და ორთა მდინარეთა ყვირილასა და რიონს, რომელნიცა შეერთდებიან იქავ ძირს“.
38. აფხაზეთის კათალიკოსი მეფის ძე იოსებ – დასავლეთ საქართველოს კათალიკოს პატრიარქი 1779-1776 წლებში, იმავდროულად გელათის მიტროპოლიტი 1745-1776 წლებში. იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ძე და სოლომონ I-ის ძმა. დაკრძალულია გელათში.
39. =66 სმ. X 41,8 სმ.
40. ვახუშტი ჩიჯავაძე – ეს უნდა იყოს ვახუშტი I ჩიჯავაძე, რომელიც 1696-1714 წლების ფიცის წიგნში გვხვდება, რადგან ვახუშტი II-ს, რომელიც შედარებით გვიან (XVIII ს. II ნახ. – XIX ს. დასაწყისში) მოღვაწეობდა, არც ღოღობერიძის ქალი (I მეუღლე) და არც ანა ჭილაძე (II მეუღლე, იხ. წარწერა, ფოტო № 6) თანამეცხედრედ არ ჰყოლია (დაწვრ. იხ: **ოლღა სოსელია**. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბ., 1973, გვ. 271-285.)
41. =52,8 X 41,8 სმ.
42. საზვერელ ჩიჯავაძე – ვახტანგ VI-ის სიძე (†1708 წ.), მეუღლე ხვარამზე ლევანის ას. ბატონიშვილისა.
43. =1708 წლის 23 იანვარი.
44. =129,8 X 77 სმ.
45. =1056 წელი.
46. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცნობა, ბაგრატის ტაძრის ზომების შესახებ, (43 X 35 მ.) ზუსტად ემთხვევა ოფიციალურ მონაცემებს. (იხ: **ვ. ბერიძე**. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 133).
47. ჟამგულანის წარწერის მიხედვით, ოსმალთაგან ბაგრატის ტაძრის დაქცევა 1692 წლითა დათარიღებული („ჩჟგბ“=1692 წ.). ვახუშტი ბატონიშვილი ამ ამბავს ერთგან 1691 წლით ათარიღებს (იხ: ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 854) მეორეგან 1692 (იქვე, გვ. 761). თუმცა, სადაც ტაძრის მარმარილოს სვეტების სამცხეში წაღებაზეა საუბარი, ვახუშტი 1692 წელს მიუთითებს.
48. ურიათუბანი, საბევა – იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება. სოფ. ურიათუბანი მოხსენიებულია 1842 წლის კამერალურ აღწერებში, მაგრამ თელავის მაზრაში (იხ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 55). პროფ. ნ. სულავას მოსაზრებით, შესაძლოა, ეს იყოს ბანძა, რომლის კომპაქტურად დასახლებულ ებრაელთა უბანს ურიაკარს უწოდებდნენ.
49. ნიკოლოზ ჩიჯავაძე (1828-1886 წწ.), ელენე ყაფლანის ას. ორბელიანის მეუღლე.
50. =36,9 X 33 სმ.

51. შუამთა – სოფ. ვანის მუნიციპალიტეტში, ადმინ. ცენტრიდან 6 კილომეტრზე, მდ. ყუმურის ნაპირას. სოფელში დგას 1615 წელს აგებული წმ. გიორგის ეკლესია.
52. =46,2 X 33 სმ.
53. ილევი – იგულისხმება სოფ. ილემი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, რაიონული ცენტრიდან 10 კმ. მდ. ძირულას ხეობაში, ზღვის დონიდან 300 მეტრზე. სოფლის ტერიტორიაზეა XII ს-ის „შემოქმედის“ ბაზილიკური ეკლესია.
54. წევა – სოფ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მდ. ძირულას ხეობაში, რაიონული ცენტრიდან 16 კმ-ზე. ზღვის დონიდან 580 მ. სოფელში XI საუკუნის წმ. გიორგის ბაზილიკური ეკლესიაა.
55. საბუთის ქრონოლოგია ერთმანეთს არ ედრება. „დასაბამით“ ვიღებთ 1773 წელს (7281-5508=1773 წ.), ხოლო „ქრისტესით“ 1774 წელს. ეს შეუსაბამობა ბროსესაც შეუმჩნევია და ფურცლის კიდეზე ფანქრით მიუწერია.
56. =30,8 X 26,4 სმ.
57. =33 X 22 სმ.
58. =1819 წ.
59. ვახტანგ VI-ს „დასტურლამალის“ მიხედვით, XVIII ს-ში მარჩილი 3 აბაზს (12 შაურს) უდრიდა. წარწერიდან გამომდინარე, ელიზბარ მაჭავარიანს ხატის მოსაჭედად ხელფასის სახით 90 აბაზის, ანუ 18 მანეთის ხარჯი გასვლია.
60. =37,4 X 30,8 სმ.
61. ვარძია – სოფ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. რაიონული ცენტრიდან 18 კილომეტრში, მდ. ბორიმელას მარცხენა ნაპირას. სოფელშია XII ს-ის ღვთისმშობლის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, თამარ მეფეს აუშენებია.
62. =66 X 50,6 სმ.
63. =39,6 X 19,8 სმ.
64. =142,24 სმ.
65. ბროსეს მიერ ფურცლის კიდეზე ფანქრით მიწერილია 1787-465 და იქვე დაუსვამს კითხვის ნიშანი. ქორონიკონი „უიე“ მართლაც 465, მაგრამ დაანგარიშებისას ვიღებთ არა 1787, არამედ 1777 წელს.
66. ვახუშტი ბატონიშვილი „ჩხერიმელას“ ეტიმოლოგიას ჩხერის ციხეს უკავშირებს და განმარტავს: „ამ ციხისაგან ისახელა მდინარე ესე ჩხერიმელად, ანუ წყლის ჩქერისაგან კლდესა დინებითა“ (**ვახუშტი ბატონიშვილი**, გვ. 758). სულხან-საბას მიხედვით, დაჩხერილი – იგივე დალეწილი, დამსხვრეული, დამუსვრილია (იხ: **სულხან-საბა ორბელიანი**. ლექსიკონი ქართული, ტ. I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991, გვ. 208). ჩხერიმელას ფუძე მეგრულიდან უნდა მოდიოდეს. „ჩხერი“ – მეგრულად ჩხურუ/ჩხერი (ცივი, სიცივე), „მალუ-მელა“ – მავალს, ანუ ცივი მდინარე.
67. უბისა – სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. ცნობილია წმ. გიორგის სამონასტრო კომპლექსით, რომლის მშენებლობა IX საუკუნეში დაიწყო გრიგოლ ხანძთელის მიერ და XII ს-ის ორნავიანი ბაზილიკით დასრულდა. მთავარი ტაძარი აგებულია IX-X საუკუნეებში. განსაკუთრებით გამორჩეულია უბისის მოხატულობა, რომელიც შესრულებულია XIV ს-ში, გიორგი ბრწყინვალის მეფობისას, დამიანესა და მისი მოსწავლის – გერასიმეს მიერ.
68. ალექსანდრე გრიგოლის ძე წერეთელი. გენერალი, გრიგოლ წერეთლის უფროსი ვაჟი, ცოლად ჰყავდა ეკატერინე ივანეს ას. ერისთავი. გარდაიცვალა 1872 წელს, დაკრძალულია იკორთაში, ცოლის მამულში. დიმიტრი – ალექსანდრეს ვაჟი, ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი, ქუთაისის

თავად-აზნაურობის წინამძღოლი, გენერალ-მაიორი (1829-1883 წწ.) ქართველთა შორის წერა-კითხვის დამაარსებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ალექსანდრეს ჰქონია მამისაგან დანატოვარი ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკა, მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, მაგრამ მისგან ამ ბიბლიოთეკით ვერავინ სარგებლობდა. ამასთან დაკავშირებით, აკაკი წერეთელს 1871 წლის 17 ივლისს „დროებაში“ (№ 28) წერილიც კი გამოუქვეყნებია. მოგვიანებით, ალექსანდრეს მემკვიდრეს ნესტორ წერეთელს „დროებისათვის“ თხოვნით მიუმართავს მის ხელში გადასული ბიბლიოთეკისათვის კატალოგის შედგენის მოთხოვნით, რის შემდეგ 1884 წელს ამ ბიბლიოთეკის ნაწილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელში გადასულა (იხ: **მაქსიმე ბერძნიშვილი**. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II თბ., 1983, გვ. 241-242).

69. მიტროპოლიტი დავით წერეთელი – იხ: შენიშვნა № 4.

70. დღეისათვის დავით აღმაშენებლის ჯვარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული და წარწერის წაკითხვა შესაძლებელია. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს წარწერა, ძირითადად, სწორად გადმოუწერია (ფოტო № 14), მაგრამ მეორე სტრიქონის ბოლოს, მსგავსების გამო, ქართული ასომთავრულის „Ⴓ“-ს ნაცვლად „Ⴒ“ გადმოუწერია და მეორედან მესამე სტრიქონში გადატანილი სიტყვა „ⴒⴓⴔⴝ“ დაუწერია. ამას მარი ბროსე შეცდომაში შეუყვანია და „ჰერთას“ ნაცვლად „ლეკთა“ დაუწერია. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერის ქვემოთ, ბროსეს მიერ ფანქრით მიწერილი აქვს თანამედროვე ქართულით: „ღმერთო ყოვლისა დამბადებელო ადიდე შენ მიერ გვირგვინოსანი დავით აფხაზთა და ქართველთა და ლეკთა და კახთა მეფე მზე ქრისტეანობისა ამინ“.

71. ფურცლის კიდეზე ბროსეს მიერ ფანქრით აქვს მინაწერი: „186-926“. საუბარია 936-940 წლებში კალიგრაფ გაბრიელის მიერ გადაწერილ ჯრუჭის ოთხთავზე. ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, H-1660.

72. ჩქმერი – იგულისხმება სოფ. შქმერი, ონიდან 21 კილომეტრში, ზღვის დონიდან 240 მეტრზე. შქმერზე გადიოდა ისტორიული საქარავნო გზა. ვახუშტი შქმერის შესახებ აღნიშნავს: „დაბა დიდი უვენახო, უხილო, მსგავსი სხუა მთის ადგილთა და შუენიერ ზაფხულის ფრიად“ (იხ: **ვახუშტი ბატონიშვილი**, გვ. 766).

73. ონის სასუნებელი ორმოები – სავარაუდოდ, საუბარია ონის მახლობლად, მდ. ჯეჯორას ხეობაში, სოფ. სორგითთან არსებულ „სასუნთქელაზე“, რომელსაც თავისებური სუნის (გაზის) გამო, სამკურნალო თვისებები აქვს თავისტკივილის, თავბრუსხვევის, გრიპით, ასთმით დაავალდებულთათვის.

74. იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო.

75. მეღვინეთხუცესიშვილი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აფხაზიშვილის (აფხაზოვის) მიერ ტაძრის მოხატვის თარიღთან დაკავშირებით. როგორც ვიცით, დიმიტრის იმერეთში მოგზაურობა 1850 წლის ზაფხულში განხორციელდა. გიორგი გარაყანიძე გარდაცვლილა „სამ-ოთხი“ წლის წინ, ანუ დაახლ. 1846-47 წლებში ოთხმოცი წლის ასაკში. თუ იგი აფხაზოვთან ტაძრის მოხატვისას 16-17 წლის ასაკში მუშაობდა, ტაძარი დაახლ. 1783 წლისთვის უნდა მოეხატათ (1846-80+17=1783 წ.). თუმცა, სხვა ცნობებით ეს ფაქტი არ დასტურდება.

76. მეცამეტე მოქცევა დასრულდა 1312 წელს. ამ დროისათვის საქართველოს მეფედ ორი გიორგი ჩანს. გიორგი VI „მცირე“ და გიორგი V „ბრწყინვალე“, რომელიც, მართალია 1318 წელს გამეფდა, მაგრამ ოფიციალურად ჯერ კიდევ 1299 წლიდან ითვლებოდა მეფედ (იხ: **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 385-398).

77. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი მიანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე, რომელიც ძეგლევის ეკლესიის აღწერისას გადმოგვცემს: „აქა ეკლესიასა შინა არს ზეთი ჭიქითა და მდუღარებს მარადის და რაოდენ იღებენ, არ აკლს ჭიქასა მას" (იხ: **ვახუშტი ბატონიშვილი**, გვ. 767-768).
78. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „რიონს ჩრდილოთ, არს ეკლესია სიონი, დიდი. ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი და იტყჳან თამარ მეფისასა. აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად" (იხ: **ვახუშტი ბატონიშვილი**, გვ. 768).
79. სხიერი – სოფელი ონიდან 7 კმ-ზე, რაჭის ქედის ჩრდილო კალთაზე, ზღვის დონიდან 1100 მეტრზე. სოფელში მდებარეობს XVIII ს. წმ. გიორგის ეკლესია.
80. მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიის აღწერისას დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ტაძრის არქიტექტურას არ აკონკრეტებს და მხოლოდ მიუთითებს, რომ იგი იყო „თლილის ქვით" ნაგები. საქმე ისაა, რომ მეღვინეთხუცესიშვილი მოგზაურობისას ნახავდა დარბაზულ ეკლესიას. იგი მნიშვნელოვნად გადააკეთეს გაფართოების საბაბით 1894 წელს. დასავლეთის მხრიდან მიუშენეს სამრეკლო და დაადგეს გუმბათი, რითაც მნიშვნელოვნად დაირღვა ძველი არქიტექტურა და ადგილობრივთა წინააღმდეგობაც მოჰყვა, რადგან „რესტავრაციისას" ძველი ეკლესიის ქვები დაკარგულა. (იხ: გაზ. „ივერია", 29.08.1895 წ. № 192, „უცნაური შემთხვევა", ბლაღოჩინი მღვდელი მიხეილ სხირტლაძე).
81. ამ ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს. მისი ცნობით, სასწაულთმოქმედი ძალის გამო, მრავალძალის ეკლესიისათვის შაჰ-აბას I-ს ოქროთი მოოჭვილი ხმალი პირადად შეუწირავს მნახველებზე გავლენის მოხდენის მიზნით: „არათუ სარწმუნოებით, არამედ სცნან, რამეთუ ჴრმალი მისი კიდავს მუნ" (**ვახუშტი ბატონიშვილი**, გვ. 765).
82. როგორც დ. მეღვინეთხუცესიშვილი აღნიშნავს, წარწერა „გარდაცვეთილი სიძველისაგან" და დაქარაგმებული ყოფილა, ამიტომ მცირეოდენ ხარვეზებით (მაგ. „ჰარაბას" ნაცვლად კითხულობს „ლუარსაბს", ბოლონაკლულია და სხვ.) ამოუწერია. ვალერი სილოგავა ხსენებულ წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „ქ. ს[ა]ხ[ე]ლ[ი]თა ღ[მრ]თ[ი]ს[ა] თა, მ[ეო]ხ[ე]ბ[ი]თა წ[მიდ]ისა ღ[მრ]თ[ი]სმშობელ[ი]ს[ა]ჲთა, წ[მიდ]ისა გ[იორგ]ისითა, დამაყენა მე, ს[უ]ლ[ი]თა ს[ა]წყ[ა]ლ[ო]ბ[ე]ლი ჰ[ა]რ[ა]ბ[ა]ი, აღსაშენებლად წ[მიდ]ისა ამის ს[ა]ყდრისა, - ად[იდ]ნ ღ[მერთმა]ნ გ[იორგ]ი ე[რისთავთ]-ე[რისთავმან], ს[ა]ლ[ო]ცვ[ე]ლ[ა]დ ს[უ]ლ[ი]სა მ[ა]თ[ი]ს[ა]თ[ჳ]ს და მშობ[ე]ლთა მ[ა]თთათ[ჳ]ს და გ[ოლია]თ[ი]სათ[ჳ]ს და დედისა მ[ა]თ[ი]სათ[ჳ]ს" (იხ: ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 59-60; №39). საგულისხმოა, რომ წარწერაში, მითითებულ ადგილას მ. ბროსე და გ. წერეთელიც „ლუარსაბს" კითხულობენ (იხ: **M. Brosset.** Notice detaille sur les eglis de Sawane et de Manglis (Avec deux Planches lithographiees), Mélanges Asiatiques tirés du Bulletin de l'Académie impériale des sciences de St.-Pétersbourg, t. III (1857-59), გვ. 40-41; **Церетели Г**., Саванская базилика, Материали по археологии Кавказа, вып. VII, под. ред. графинии Уваровой, Москва 1898, გვ. 103).
83. როგორც მე-15 ფოტოზე ჩანს, დ. მეღვინეთხუცესიშვილს წარწერის თარიღი ზუსტად ვერ გაურკვევია და ქორონიკონის „Ს"-ს (=200) და „Ⲥ"-ს (=1) შორის წერტილი დაუსვამს, ხოლო „Ⲏ" ცალკე დაუწერია. ამავე ფოტოს მარცხენა გვერდზე მარი ბროსეს ფანქრით მინაწერიდან გამომდინარე, ფრანგ ქართველოლოგს ქორონიკონი „ᲡⲤ" (=201) წაუკითხავს და წარწერაც ამის მიხედვით დაუთარიღებია (780+201=981), ხოლო „ბაგრატ კურაპალატში" ბაგრატ IV-ის ნაცვლად ბაგრატ III მიუჩნევია (**M. Brosset.** Notice detaille sur les eglis de Sawane et de Manglis, გვ. 44-45). ბროსეზე დაყრდნობით, მოგვიანებით ეს შეცდომა დიმიტრი ბაქრაძემაც გაიმეორა (იხ: **ვ. ბერიძე**. სავანე (XI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი) ქართული ხელოვნება, I, თბ., 1942, გვ. 78). დღეისათვის გავრცელებული მოსაზრებით, წარწერა 1046 წლით („ქორონიკონით ᲡᲝⲤ„) თარიღდება (ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 59; №38, **ვ. ბერიძე**. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 146).

დ. მეღვინეთხუცესიშვილს მთლიანი წარწერა მხედრულით ამოუწერია, ხოლო ის ადგილები, რომლებიც მისთვის ბუნდოვანი ყოფილა, ასომთავრულით, ქარაგმების გაუხსნელად მოაქვს. ბუნებრივია, მას არც ხურსი და გიორგი ერისთავების ქარაგმების გახსნა უცდია. ეს მხოლოდ მოგვიანებით, სხვა წარწერებთან შედარების საფუძველზე გახდა შესაძლებელი. მაგ., გ. წერეთელი 1898 წელს „ხურსის“ ნაცვლად კითხულობდა „ხახუს“ (იხ: **Церетели Г**.,Саванская базилика, გვ. 102). ვალერი სილოგავა ხსენებულ წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „ქ. ს[ა]ხ[ე]ლითა ღ[მრ]თ[ი]ს[ა]ჲთა მე, გ[იორგ]ი ე[რისთავთ]-ე[რისთავმან] ავაშენე ესე წ[მიდა]ჲ ეკლესიაი სავანის[ა]ჲ; ს[ა]ლ[ო]ცვ[ე]ლ[ა]დ ს[უ]ლისა ც[ო]დვ[ი]ლ[ი]სა ჩ[ე]მისა, და ძმისა ჩ[ე]მისა ხ[ურსი] ე[რისთავისა] და მშ[ო]ბ[ე]ლთა ჩ[ე]მთათ[ჳ]ს - გ[უ]ლზ[ვია]დ[ი]სთ[ჳ]ს და მ[ა]რ[იამ]სთ[ჳ]ს, და შვილისა ჩ[უ]ნისა გ[ო]ლ[ია]თისთ[ჳ]ს, და დედისა მისისათ[ჳ]ს.

წ[მიდა]ო გ[იორგ]ი, მეოხ ეყ[ა]ვ წ[ინაშ]ე ღ[მრ]თისა, ა[მე]ნ იყ[ა]ვნ.

ქრონიკონი იყო სჲვ. აეშენა მ[ე]ფ[ო]ბ[ა]სა ბ[ა]გრ[ა]ტ კ[უ]რ[ა]ჰ[ალა]ტ[ი]ს[ა]სა (ქართული წარწერების კორპუსი, II, 58-59; №38).

მარიამ დედოფალი და მისი შვილები: გიორგი და ხურსი, ქარაგმის გარეშე მოხსენიებულნი არიან ქორეთის ღვთაების ეკლესიის (საჩხერის რაიონი, ყვირილას ხეობაში) 1000 წელს შესრულებულ ქტიტორულ წარწერაში. გ. გაფრინდაშვილი არ გამორიცხავს, რომ ქორეთისა (1000 წ.) და სავანის (1046 წ.) წარწერებში მოხსენიებულნი ერთი და იგივე პირები არიან (**გ. გაფრინდაშვილი**, 1000 წლის სამშენებლო წარწერა ქორეთის ეკლესიაზე, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1970, № 21, გვ.. 59-60). რა თქმა უნდა, ამაში ლოგიკა არის, თუმცა, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი და სუმბატ დავითის ძე მიუთითებენ, რომ ხურსი ერისთავი, რატი ლიპარიტის ძესთან ერთად შირიმნის ბრძოლაში (1021 წ.) „მოიკლნენ“ (ქართლის ცხოვრება, *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით* ***ს. ყაუხჩიშვილის*** *მიერ*, ტ. I, თბ., 1955. გვ. 284; 383).

84. ბროსეს მიერ ფურცლის კიდეზე ფანქრით მიწერილია: „990-210“. (780+210=990 წ. – ი. ა.). ამ შემთხვევაშიც დ. მეღვინეთხუცესიშვილი ტრადიციას არ ღალატობს და წარწერის ნაწილი მხედრულით აქვს გადმოწერილი (იხ: ფოტო 16, გვ. 149), ხოლო მის შუა ნაწილს (როგორც თვითონ წერს: „ქარაგმით ძნელად წასაკითხს“) ასომთავრულით გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, წარწერის შინაარსი, ძირითადად, გასაგები ხდება და მასში მოხსენიებულნი არიან მიქაელ ქავთარაძე და მისი მეუღლე თამარი. გ. წერეთელი წარწერას მთლიანობაში შემდეგნაირად კითხულობს: „სახელითა ღვთისათა და შეწევნთა სავანისა მთავარმოწამისა კარნი ესენი შევქმენით ქავთარაძეთა ღვთაებაო ღვთისაო შეუნდე მიქელს; გაკეთდა საფასითა მისის მეუღლისა თამარისა“ (**Церетели Г**., Саванская базилика, გვ. 102).

აღსანიშნავია, რომ ვალერი სილოგავას ხსენებული წარწერა მოტანილი არა აქვს, როგორც ბატონი ვალერი წერს, იმ მიზეზით, რომ ისინი ამჟამად განადგურებულია (ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 18).

85. „ერისთავთ-ერისთავის“ სამშენებლო წარწერა დ. მეღვინეთხუცესიშვილს გადმოწერილი აქვს ასომთავრულით, ქარაგმების გაუხსნელად (იხ: იხ: ფოტო 17, გვ. 150) და ბოლონაკლულია. პირველი სტრიქონის ბოლო ორ კიდურ ასოს მასთან ჩვენ ვკითხულობთ, როგორც „ზ~ი“. მარი ბროსე იმავე ადგილს კითხულობს „ᒪᒪᖹ” (სავარაუდოდ, გ[რი]გ[ო]ლ) (**M. Brosset.** Notice detaille sur les eglis de Sawane et de Manglis, გვ. 43). ვალერი სილოგავას წარწერა მთლიანობაში შემდეგნაირად აქვს წაკითხული: „ქ. სახელითა ღ[მრ]თის[ა]ჲთა მე, ე[რისთავთ]-ე[რისთავმან] გ[იორგ]ი, დაუწერე და მივეც ამის ეკლესი[ი]სა ნ[ა]ხ[ე]ვ[ა]რი ს[ა]ვ[ა]ნ[ი]სა ს[ო]ფ[ე]ლსა. თ[ა]ნადამიდგეს, ოდეს შ[ე]ნ[ე]ბ[ა]ი დავ[ი]წყ[ე]თ, მ[უ]შ[ა]ობ[ი]თა ფასითა და ყ[ოვ]ლითა ფ[ე]რ[ი]თა.

ღ[მერთმა]ნ უბ[ე]დნ[ი]ერ[ე]ნ უკ[უნისამდ]ე.

ვინ უქციოს, ჰრ[ი]სხ[ავ]ს-მცა ღ[მერთ]ი და წ[მიდა] გ[იორგ]ი“ (ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 62-63; №41).


პერიბოლი ნაშენები
– ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტერიტორია
– ციხე-კოშკები
– ეკლესია- მონასტრები
დ. მელვინეთხუცესიშვილის მოგზაურობის მარშრუტი
ბიჭვინთა
ანაკოფია
სოხუმი
დრანდა
ბზიფი
კოდორი
ფსხუ
ფსოუ
ბზიბი
ფსანდარა
ოფეა
ოფეა
ოფე

ისტორიკოსი, არქეოლოგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე

როგორ ითქვა, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობა XIX ს-ის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება.

1850 წლისათვის მარი ბროსეს ინიციატივით, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ტაო-კლარჯეთში მოგზაურობა იყო დაგეგმილი.



მეღვინეთხუცესიშვილის მიერ უფლისციხეში მიკ-ვლეული და გადმოღებული წარწერის ფოტო-ფირი.

კვლევა-ძიების პარალელურად, მეღვინეთუხუცესიშვილს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაც უხდებოდა, ამას ემატებოდა ის ფაქტი, რომ დაფინანსებას ხშირად დროულად ვერ იღებდა და მოგზაურობა საკუთარი ხარჯით უხდებოდა: „მე ვერ მოვიცალე რო აქამდე მომერთმია ესენი“, სწერდა იგი ბროსეს 1849 წლის 27 დეკემბერს: „რადგან გუბერნატორს ველოდით რევიზიისათვის, დრო არა მქონდა, სუდიის საქმეებს ვამზადებდი. ახლა ამ დღესასწაულში ძლივს შევასრულე ...ნამესტნიკმა ინება და მისწერა ხაზინის პალატას მომეცეს მე ოცი თუმანი პროგონის ფული და ჩემის ჩინის მიხედვით დღეში 45 კოპ. თეთრი ფული ჯამაგირის გარდა ...ეს ფული ჯერ არ მიმიღია. აქამდინაც ჩემის მარტო მცირე ჯამაგირით დავდიოდიო“[326].

1850 წლის ივლისში დიმიტრი ახალციხეში გამგზავრებულა, მაგრამ გზაში გაცივებულა და იძულებული გამხდარა გორში დაბრუნებულიყო.

გარდა ბუნებრივი ხელისშემშლელი პირობებისა, მეღვინეთხუცესიშვილისათვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყო შესაბამისი ტექნიკის არარსებობაც (ფრესკების, წარწერების გადმოღების თვალსაზრისით). „თუ შეიძლებოდეს ერთი დაგეროტიპ[327] ანუ სხვა მსუბუქი მაშინა მიბოძეთ, რომ სადაც კარგი ალაგები და შენობა ვნახო, ცხადად გადმოვიღო მხატვრობით და მოგართო, რომლითაც

[326] **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 14-15, წერ. № 7.

[327] დაგეროტიპი ფოტოაპარატის წინამორბედია და 1824 წლიდან იყო მოქმედებაში. სახელი მიიღო ფოტოგრაფიის „მამის“ ლუი დაგერის საპატივსაცემოდ. იგი უნეგატივო ფოტო იყო, რომელსაც პირდაპირ იღებდნენ კასეტით, რომელიც თავსდებოდა კამერის მექანიზმის კამერაში.

დაარწმუნოთ ზოგიერთი, რომ მართლა საქართველო ტყუილად არ შეგყვარებიათო“, სწერდა იგი ბროსეს[328].

1851 წლის ბოლომდე იგი თბილისშია და ქართული თეატრის საკითხითა და „ცისკრის“ გამოცემითაა დაკავებული გიორგი ერისთავთან ერთად, მაგრამ 1852 წლის ივლისში ისევ გორში გადაჰყავთ სამუშაოდ.

1852 წლის 23 ივლისს დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს მოუნახულებია უფლისციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიები: დუქანი, ბაზარი, მოედნები, ქუჩები, სულ 60-მდე დამხმარე ნაგებობა. თვით ძეგლი დიმიტრის ძალზე მძიმე მდგომარეობაში დახვედრია, როგორც თვითონ წერს: „ერთიმეორეს ზედა სახლები ზოგნი სავსეა საქონლის დრემლით და მწყემსთაგან გაშავებულნი ცეცხლის კვამლითა“[329].



დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის მიერ შესრულებული უფლისციხის ჩანახატი

1852 წლის აგვისტოში იგი უფლისციხეში ისევ მიემგზავრება კავკასიის იმდროინდელ მეფისნაცვალ – მიხეილ ვორონცოვთან, გრაფ სოლოგუბთან, დოქტორ ანდრეევსკისთან და სხვა მაღალი დონის ჩინოვნიკებთან ერთად. უფლისციხის სიძველეებს მეფისნაცვალზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და დიმიტრისათვის მათი აღწერა და მისთვის წარდგენა დაუვალებია.

დაფინანსების მიღებისთანავე იგი აგვისტო-ოქტომბერში უფლისციხის არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს.

მელვინეთხუცესიშვილი აღნიშნავს, რომ უფლისციხე ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია და მეტი ყურადღება სჭირდება. იგი აქამომდე მხოლოდ დიუბუამ აღწერა და მისი ჩანაწერებიც არასრულყოფილიაო[330], ამიტომ მთელი სერიოზულობით შესდგომია ძეგლზე მუშაობას. უამრავი გამოქვაბულიდან დიმიტრი უფლისციხეში მნიშვნელოვნად 12-ს მიიჩნევს. მას შესასწავლი ნაგებობების გეგმა გაუკეთებია, საფუძვლიანად დაუთვალიერებია ქალაქის კარიბჭე („Ворота“), კედელი, არხები, ქუჩები, დუქნები, კიბეები, მაგრამ ეს ყველაფერი ყოფილა დამტვრეული და უწესრიგოდ მიმოფანტული, მიუგნია ძველი სასაფლაოსათვის, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია: „როდესაც დგახარ სასაფლაოსთან, გრძნობ, რომ

---

328 **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 10, წერ. № 2.
329 ხეგ, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი № 31, გვ. 1-6.
330 გაზ. „Кавказ”, 1852 г. №43, გვ. 1-2; №66, გვ. 1.

შენიანებში ხარ, გესმის რამდენი ნაღველი, უბედურება და მღელვარება გაუვლია აქაურობასო“[331]. საკუთარი ხარჯით ადგილობრივები დაუქირავებია და მათი დახმარებით თავდაპირველად გაუთხრია დიდი დარბაზი დაახლოებით ოთხი მეტრის სიგრძეზე, სადაც აღმოჩენილა სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. დარბაზის გვერდზე უნახავს დიდი ქვევრები და გაუთხრია რამდენიმე სამარხი. იგი მიიჩნევს, რომ დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარჩინებული პირის სასახლეს წარმოადგენდა და ადგილობრივების გადმოცემით, თვით უფლოსს ეკუთვნოდა. დიმიტრი აღნიშნავს, რომ ამ ოთახიდან მართლაც ხელისგულივით ჩანს მტკვრის ხეობა, გამოყოფილია სხვა ნაგებობებიდან, მოიცავს 8 ოთახს და აქვს საკუთარი შესასვლელიო.

3 ოქტომბერს იგი თოკით ჩაშვებულა გვირაბში. ადგილობრივების გადმოცემით, მასში ავი სულები ბუდობდნენ, იქ ძვირფას განძს ინახავდნენ და მასში ქრისტიანებს შესვლა ეკრძალებოდათ. მეღვინეთხუცესიშვილს მართლაც დიდი ძალისხმევა დასჭირვებია, როგორმე დაერწმუნებინა ერთ-ერთი ადგილობრივი, დახმარებოდა გვირაბის ნახვაში. იგი თავით-ფეხებამდე შეიარაღებულა და ხანჯლით ხელში მისულა, თუმცა, არავითარი განძი და ავი სულები მათ იქ „არ დახვედრია“[332].

ფაქტია, რომ დიმიტრი კვლავაც აგრძელებდა უფლისციხის შესახებ წერილების გამოქვეყნებას, მაგრამ სამწუხაროდ, სხვა მასალები დაკარგულია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს წერილის ბოლოში სტატიის ავტორის კომენტარი: „მეღვინეთხუცესიშვილი შეგვპირდა, რომ უფლისციხის შესახებ კიდევ მოგვაწვდის მასალებსო“[333], ამიტომ, აღნიშნულ საკითხზე გარკვეულ წარმოდგენას მხოლოდ გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი ზემოხსენებული მოკლე ანგარიშები გვიქმნის.

მეღვინეთხუცესიშვილის „ნამუშაკევით“ ვორონცოვი ფრიად კმაყოფილი დარჩენილა. მეფისნაცვლისავე დავალებით, უფლისციხეში დიმიტრის სწვევიან ცნობილი მწერალი პლატონ იოსელიანი და გამოჩენილი მხატვარი - გაგარინი, რომელსაც იქვე გაუკეთებია უფლისციხის ჩანახატი. ისინი გორიდან თბილისისკენ ტივით წამოსულან, გზადაგზა ჩერდებოდნენ და გაგარინი მტკვრის ხეობის პეიზაჟებს ხატავდა[334].

---

[331] „Кавказ”, 1852 г. №43.

[332] „Кавказ”, 1852 г. №70.

[333] „Кавказ”, 1852 г. №70.

[334] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 25. ხსენებული მოგზაურობა აღწერილი აქვს პლატონ იოსელიანსაც. მისი ნაშრომიდან ვიგებთ ზემოხსენებული მოგზაურობის თარიღსაც. „მოგზაურები“ უფლისციხიდან ტივით 1851 წლის 7 სექტემბერს წამოსულან და თბილისში მეორე დღეს 8 სექტემბერს მისულან (იხ: **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას რედ, თბ., 1978, გვ. 83-84).

ხსენებული მოგზაურობის მონაწილე ყოფილა ცნობილი ქართველი დრამატურგი ზურაბ ანტონოვიც, რომელსაც თბილისში ჩასვლიდან სამ დღეში დაუწერია კომედია „ტივით მოგზაურობა“. პიესაში გამოყვანილ ერთ პირს ანტონოვისათვის ვორონცოვთან უჩივლია[335], მაგრამ მეფისნაცვალს პიესა ისე მოსწონებია, რომ მწერალი დაუჯილდოვებია და „მიიღო თვისდა ყოველივე დასაბეჭდავად წარსაგებელი“[336].

ვორონცოვს მეღვინეთხუცესიშვილისთვისაც უთხოვია უფლისციხის გათხრების გაგრძელება[337], მაგრამ მალე გრაფი პეტერბურგს გაიწვიეს და გათხრებიც შეჩერებულა.

1859 წელს დიმიტრი დაკავებული ყოფილა გორის მაზრის ხიდისთავის უბანზე საბატონო გლეხების (ყმების) აღწერით. სოფელ კავთისხევში მისთვის უჩვენებიათ მიცვალებულის აკლდამა ძვირფასი სამარხეული ინვენტარით. აკლდამის აღწერილობას იგი მარი ბროსეს უგზავნის, მაგრამ, უსახსრობის გამო, სამარხეული ინვენტარის შეძენას ვერ ახერხებს.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს სიძველეთა აღმოჩენა-გადარჩენის საქმეში. მისი დამსახურებაა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროს „ძეგლი ერისთავთას“ ტყავზე დაწერილი დედანის აღმოჩენა. დიმიტრის მისი ერთი პირი გადაუწერია და დედანთან ერთად[338] მარი ბროსესათვის გაუგზავნია პეტერბურგში. მოგვიანებით იგი ბროსემ ფრანგულადაც თარგმნა[339].

ასევე დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა მოიძია ერეკლე II-ის მემატიანის – ომან ხერხეულიძის ნაშრომის „მეფობა ირაკლი მეორისა“ ხელნაწერის ქართული ტექსტი, რომელიც თავრიზში უცნობ პირს გადაუწერია. ეს ხელნაწერი დიმიტრის გორის მაზრაში მოგზაურობისას, ნახუცრიშვილების ოჯახში აღმოუჩენია. ტექსტის მიხედვით, იგი პირველად 1851 წელს გამოიცა გაზ. „კავკაზში“ სათაურით: „Летопись о царе Ираклие II и о том, каким образом он получил царство“[340].

მეღვინეთხუცესიშვილს, როგორც არქეოლოგს, მუშაობაში ხელს უწყობდა ისიც, რომ ხატვა-ხაზვა კარგად ეხერხებოდა და მარი ბროსეს, ნანახ-აღწერილის გარდა,

---

335 **ამბერკი გაჩეჩილაძე**. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 254.

336 **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას რედ, თბ., 1978, გვ. 84.

337 **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 25, წერ. № 14.

338 ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე) *ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო* ***შოთა მესხიამ***, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 308.

339 **ივ. ჯავახიშვილი**, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 263.

340 **ომან ხერხეულიძე**. მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 26.

გრაფიკულ ჩანახატებსაც უგზავნიდა. დიმიტრის ამ თვისებას ბროსე ხაზგასმით აღნიშნავდა („თქვენ მხაზველობისა მცოდნე ბრძანდებოთო“, სწერს ერთ წერილში ქართველ მეგობარს[341]). როგორც წინა თავებშიც ვნახეთ, მის პირად არქივში არაერთი ასეთი ჩანახატია, მათ შორის, ეკლესიებისა და წარწერების გარდა, ქართული, ბიზანტიური, არაბული, დავით აღმაშენებლისეული ზედწერილობის მქონე მონეტების და სხვ[342].

1874 წლიდან დიმიტრის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად შეერყა და აღარც ნერვიული სისტემა აქვს მწყობრში. როგორც ჩანს, მისი შემოქმედებითი, ცნობისმოყვარე, ენერგიული ბუნება და ხასიათი კანცელარიის მონოტონურ, სკრუპულოზურსა და ერთფეროვან საქმიანობას ვერ შეეგუა, ამიტომ საჯარო სამსახურზე უარი თქვა.

მისი სულიერი განწყობილება მართლაც ჩანს დიმიტრი ბაქრაძისადმი მიწერილ ერთ წერილში, სადაც, ერთ-ერთი ნაშრომის გამოცემასთან დაკავშირებით, სიძის უყურადღებობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს და ერთგულ პიროვნებად მხოლოდ დის შვილსღა მიიჩნევს: „ქრისტეფორე მოგიტანდა ჩემს წიგნსა და საქმესა, თუ ის თხოვნა წინააღმდეგ მიგიღია რომ არასა მწერ, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მართლა ღმერთს აუღია ჩემზედ ხელი და კაცსაცა, რადგან ნინოს მეტს არავის ვახსომვარო“, წერს დათრგუნული მეღვინეთხუცესიშვილი ბაქრაძეს[343].

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ დიმიტრი ბაქრაძეს ამ დროისათვის (1875-1878 წწ.) საცენზურო კომიტეტში მხოლოდ უმცროსი ცენზორის თანამდებობა ეკავა[344] და გადაწყვეტილებებში გარკვეულწილად შეზღუდული იქნებოდა.

ამის შემდეგ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია და 1878 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო წუთებში მას გვერდიდან არ მოსცილებია დიმიტრი ბაქრაძე, რომლის წარმატებულ კარიერაში მეღვინეთხუცესიშვილს დიდი როლი მიუძღოდა.

ბაქრაძე 16 დეკემბერს აუწყებდა მეღვინეთხუცესიშვილის გარდაცვალებას მარი ბროსეს: „მე იძულებული ვიყავი, ბოლო ორი კვირა მეუღლესთან ერთად გამეტარებინა თქვენი ძველი მეგობრის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის გვერდით, რომელიც 62 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა და 9 დეკემბერს დავკრძალეთო[345].

---

[341] ხეგ, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 16.
[342] ხეგ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 42.
[343] ხეგ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 113.
[344] **მამია დუმბაძე**, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, გვ. 45.
[345] **Гастон Буачидзе**, Мари Броссе, стр. 259.

ბაქრაძის პირად წერილებში ნათლად იგრძნობა მოწიწება და პატივისცემა მეღვინეთხუცესიშვილის მიმართ. ერთ უთარიღო წერილში[346] ბაქრაძე უფროს მეგობარს სწერს: „ძვირფასო დიმიტრი კონსტანტინოვიჩ! გუშინ ანეტასთან ვიყავ, როდესაც იოსებ ქრისტეფორიჩმა[347] შენი წიგნი მიიღო და შეგიძლიან წარმოიდგინო რა სიამოვნებითაც მე შენი წიგნი წავიკითხე. შენ კარგად გახსოვს ჩემი შენთან მეგობრობა და იოსების სახლის პატივისცემა. ადამიანის ცხოვრება სწორედ ბედზედ ყოფილა დაფუძნებული, შემდეგ მოსვლისა რუსეთიდამ მე პირველად თქვენი სახლი გავიცანი, ვერ მოვიფიქრებდი კი თუ ეს გაცნობა ასე უეცრად საუკუნოდ დაკავშირდებოდა. არ ვიცი რა სათნოება მიმიძღვის ღვთისა და ადამიანის წინაშე, მაგრამ ამას კი ვხედავ, რომ ბედნიერი კაცი ვარ, არა თუ ბედნიერი, ჩემზედ უბედნიერესი არცა ვინ მგონია. ამ ბედნიერების დასამტკიცებლად მე ორი საგანი მაქვს. ერთი ეს, რომ რამდენი წიგნიც წავიკითხე იოსებთან და ნინოსთან მიწერილი მილოცვისა, ან რაც ისე უამბნიათ იმათთჳს, ყველანი ჩემზედ კეთილის აზრისა ყოფილან და ყველას ვყვარებივარ. ღმერთმა კი ინებოს, რომ ეს სიყვარული არ მომაკლდეს და მეც ყველა ჩემის მცნობებისა და ნათესავების მსიამოვნებელი დავრჩე სიკვდილამდე.

მეორე და უაღმატებულესი ბედნიერება ჩემი არის თქვენთან დაკავშირება. თუ ოდესმე ვფიქრობდი ცოლის შერთვასა, რა აზრიც მქონდა ამ საგანზედ, აღმისრულდა. საზოგადოთ იოსების სახლობაზე ნათესაობაზე არას ვიტყვი: საქართველოში თითქმის ყველას ვიცნობ. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, ასე ანბობენ და ჭეშმარიტებაც არის. ყველანი თქვენ სახლს სამაგალითო სახლად იცნობენ. ანეტაზე რაღა გითხრა! იმისი მშვიდობიანი ხასიათი, ნაზი და სიყვარულით სავსე ბუნება ვის არ გააბედნიერებდა.

ჯერ მე ამისი სიყვარული არ მაკლია, შემდეგისთვისაც ამას ვთხოვ ჩემის ბედისაგან რომ სამუდამოდ ღირსი გამხადოს ამ სიყვარულისა.

ამ ცოტა ხანში გნახავთ, მეხუთე მეჟევის კომმისიიდამ პირველ კომმისიაში დამნიშნეს, რომელიც საციციანოში უნდა იყოს, ივლისის გასვლამდე მანდ ვიქნებით, და შემდეგ მგონია სამსახური გამოვიცვალო. კონსტანტინე ქრისტეფორიჩის[348] სახლობას და ზაქარიასას პატივისცემით და სიყვარულით მოვიკითხავ, ნახვამდე.

შენი დიმიტრი ბაქრაძე“[349].

---

346 წერილის დაწერის მიახლოებითი ქრონოლოგიის დადგენა შესაძლებელია. შინაარსიდან გამომდინარე, ბაქრაძის ბედნიერების მიზეზი ანნას (ანეტას) ცოლად შერთვაა, რაც ახალ ამბავს ჰგავს და 1865 წელს ჰქონდა ადგილი, წერილიც ამავე წლის ივლისის დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი.

347 იგულისხმება დიმიტრი ბაქრაძის სიმამრი და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის დისქმარი იოსებ ქრისტეფირეს ძე მამაცაშვილი.

348 იგულისხმება ცნობილი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე მამაცაშვილი.

349 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 54.

ბაქრაძე ასევე ინტერესითა და ყურადღებით ადევნებდა თვალს დიმიტრის სხვადასხვა მოგზაურობის ჩანაწერებს, რასაც მეღვინეთხუცესიშვილის მასალებზე მის მიერ გაკეთებული კომენტარებიც ადასტურებს[350].

სიკვდილის წინ დიმიტრის მთელი თავისი ქონება უანდერძია მისი დისშვილისათვის. ანა ბაქრაძეს ეს მემკვიდრეობა 1879 წლის 12 იანვარს მიუღია თბილისის „ოკრუჟნი სუდის № 3189 გადაწყვეტილებით“[351]. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ცნობილი პედაგოგისა და დიმიტრის შთამომავლის - ქეთევან ჯავახიშვილის[352] მოგონებები, რომელშიც იგი წერს: „პაპა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი მოკვდა უცოლშვილო და თავისი მამული სოფ. ხიდისთავში უანდერძა თავის სიძეს - დიმიტრი ბაქრაძეს, ისტორიკოს-არქეოლოგს. ძია დიმიტრისთან ბევრი არქეოლოგები მოდიოდნენ და მოგზაურობდნენ ქართლში ისტორიული ძეგლების შესასწავლადო“[353]. იგი იქვე აკონკრეტებს, თუ ვინ იყვნენ ეს არქეოლოგები: ზეიდლიცი, კარგანოვი, გრაფინია უვაროვა, გრაფი სელივანოვი და სხვები. როგორ გეგმავდნენ ისინი ხიდისთავში ორი დიმიტრის (მეღვინეთხუცესიშვილისა და ბაქრაძის) ბინაზე და აწყობდნენ ექსკურსიებს ატენის სიონში, ურბნისში, რკონის მონასტერში და სხვაგან[354].

მისივე ცნობით, მეღვინეთხუცესიშვილმა 11 უცხო ენა იცოდა[355]. შესაძლოა ეს რიცხვი გაზვიადებული იყოს, მაგრამ მარი ბროსესადმი 1849 წელს გაგზავნილი ზემოთ მოტანილი წერილიდან გამომდინარე, დიმიტრის „ფრანციცულისა” და „თათრული” ენების დაუფლების სურვილი რომ ჰქონია, ფაქტია.

---

350 **ხ**ეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 10.

351 **ხ**ეც, დიმიტრი ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, № 153.

352 ქეთევან ჯავახიშვილი იყო დიმიტრის დის - ნინო მეღვინეთხუცესიშვილის (იოსებ მამაცაშვილის მეუღლის) შვილიშვილი. იოსებ მამაცაშვილისა და ნინო მეღვინეთხუცესიშვილის ქალიშვილი მარიამი გათხოვილი იყო სოფ. ხოვლეში გიორგი ჯავახიშვილზე. სწორედ მათი ქალიშვილი იყო ქეთევანი. იოსებ მამაცაშვილის ინიციატივით, გიორგი ჯავახიშვილის ოჯახში ხოვლეში გაიხსნა ოთხწლიანი დაწყებითი სკოლა, რომელიც გახდა ერთ-ერთი წინამორბედი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა (იხ: იაკობ გოგებაშვილი. „როგორც დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება”, თხზულებანი 10 ტომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 392).

353 გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. 5944; საბ. 7555, რვეული 1, 2, 3, 4.

354 გიემ, 7555, რვეული 1, გვ. 19-22.

355 **თამილა კოშორიძე**, მარი ბროსე და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, II, თბ., 2002, გვ. 65

დიმიტრი ასევე კარგად იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან, პლატონ იოსელიანთან, დიმიტრი ყიფიანთან, აკაკი წერეთელთან



და სხვა ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან. 1866[356] წლის „დროების“ № 43-ში აკაკის გამოუქვეყნებია სტატია: „სადილი იმერთა და მეგრელთა შეერთებისადმი და სხვანი“.

სტატიის წაკითხვისთანავე დიმიტრის წერილი გაუგზავნია დიდ მგოსანთან, სადაც წერდა: „გამოუთქმელის სიამოვნებით დავასრულე კითხვა თქვენ მიერ აღწერილის ქუთაისის ღუბერნიის კეთილშობილთა წინამძღვრის სადილის, რომელმან დაატკბო გონება ჩემი უტკბეს უზადო შაქრისა“. წერილთან ერთად, დიმიტრი აკაკის უგზავნის სამეგრელოში მოგზაურობის დროს მის მიერ მიკვლეულ ზემოთნახსენებ მთავარანგელოზის ხატზე ლევან II დადიანის 1647[357] წლის წარწერას (იხ: ფოტო, გვ. 167), სადაც დაწვრილებითაა აღწერილი იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა და მის ძმა - მამუკაზე ლაშქრობები და აუარება ტყვევნა-რბევა, რომელსაც სამეგრელოს ხსენებული მთავარი ახორციელებდა იმერეთში. დიმიტრი აკაკისთან მიწერილ წერილში აღფრთოვანებას ვერ მალავს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მეფე-მთავართა სეპარატისტული მისწრაფებანი, მეზობელი სამეფო-სამთავროების ხარჯზე მოეწყოთ საკუთარი კეთილდღეობა, წარსულს ჩაბარდა[358]. გარდა მნიშვნელოვანი აღმოჩენებისა, მეღვინეთხუცესიშვილს საკუთარი ორიგინალური თხზულებებიც ჰქონია. როგორც ითქვა, ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია „ღირსახსოვარი ლაშქრობა კავკასიასა შინა 1845 წელს“, რომლის ერთი პირი ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მეღვინეთხუცესიშვილის პირად არქივში დაცული ხელნაწერი რვეულის 55 ფურცელს წარმოადგენს. დანომრილია მხოლოდ ფურცლები და არა გვერდები. ნაშრომის დასაწყისი ლამაზი, ხვეული ხელითაა ნაწერი, ბოლო ნაწილში გაკრული ხელი სჭარბობს.

მართალია, მეღვინეთხუცესიშვილს ნაშრომის ძირითადი ნაწილი 1871 წელს დაუწერია, მაგრამ წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ იგი ლაშქრობის უშუალო მონაწილეა

---

[356] დედანში წერილი დათარიღებულია 1864 წლის 01 ნოემბრით, რაც, ჩვენი აზრით, ტექნიკური შეცდომაა. ცნობილია, რომ „დროება” გამოდიოდა 1866 წლის 4 მარტიდან. ჩვენც, პირობითად, წერილს 1866 წლით ვათარიღებთ.

[357] წარწერაზე დიმიტრი მეღვინეთხუცესის მიერ ფანქრით მიწერილია 1644 წელი, მაგრამ თვით ხატის წარწერაზე მითითებული ქრონიკონი „სამას ოცდათხუთმეტი” - 1647 წელია (1312+335=1647 წ.). გარდა ამისა, ცნობილია, რომ ალექსანდრე III-სა და მის ძმაზე ქუთაისში ლევან დადიანმა თავდასხმები 1645-1647 წლებში განახორციელა, ხოლო 1647 წელს მამუკა ბატონიშვილი ტყვედაც ჩაიგდო (იხ: ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 124-126). აქედან გამომდინარე, დადიანი 1644 წელს მთავარანგელოზის ხატზე ხსენებულ წარწერას ვერ გააკეთებდა.

[358] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 15, გვ. 3; აღნიშნული წერილი მეღვინეთხუცესიშვილს გამოქვეყნებული აქვს ასევე გაზ: „დროებაში“, 24. 11. 1867 წ. № 47, გვ. 1-2.

და საკუთარი თვალით ნანახ-განცდილს გადმოგვცემს. მას ომში გამგზავრებიდან სახლში დაბრუნებამდე განუყრელად თან დააქვს ფანქარი და რვეული. მისი „ოტრიადი“ გორიდან 12 მაისს გასულა და ნაწრეტის მინდორის გავლით ყარაღაჯს მისულა, მეცხრე საათს - ანანურს, მეცხრე დღეს - ფასანაურს და გუდამაყარზე გადავლით მეორე დღეს ბინდზე ჩაუღწევიათ ვლადიკავკაზს[359].

1845 წლის 26 ივლისს გელზელაურიდან მოწერილ წერილში ვკითხულობთ: „უძვირფასესნო მეგობარნო ჩემნო! აი თითქმის ერთი საათია, ვზივარ მრისხანესა კავკასიის ძირს თვალ გადაუწვდომელსა მინდორსა ზედა, სადაც წყალი აქსაი გრგვინვით საშუალ მთათა მისთა გამომდინარე შეერთვის შორს სახელოვანსა თერგსა და დავცქერივარ წინაშე ჩემსა მდებარეს თეთრის ქაღალდის ფურცელსა, რომელსა ზედა მსურს დავწერო თვითეულად რაიცა მებრძოლთა მემამულეთა თანა ჩემთა თვალთა მიხილავს და შემთხვევია მე“[360].

ახალგაზრდა დიმიტრის და მისი თანამემამულე ქართველების უმრავლესობის ლაშქრობაში წასვლის სურვილი მეფისნაცვალ ვორონცოვისადმი ერთგულების დამტკიცება ყოფილა, რასაც აღნიშნავს კიდეც: „რათა დაგვემტკიცებინა უერთგულესი სამსახური ჩვენი, ამის გამო მოხალისენი ზოგგან ოთხნი, სამნი და ორნი ძმანი, ჩვენ აღვიჭურვენით ყოველთა სამხედროის საშვალებითა და შეწევნითა მღვთისათა ვიწყეთ სიარული მხიარულად, ვითარცა ლაშქართ წესია“[361].

სამაგიეროდ, დიმიტრი და მისი მეგობრები დაუნიშნავთ ვორონცოვის „გვერდ მხლებლებად პაჩოტნი ყარაულად“[362].

მაგრამ, ქართველი ახალგაზრდების აღტაცება და ლაშქრობაში მონაწილეობის მთავარი მიზანი იმით იყო განპირობებული, რომ ქართველებს კარგად ახსოვდათ ლეკების მიერ ქართლ-კახეთის საუკუნოვანი ძარცვა-რბევა, ამიტომ „აღტაცებულნი მხიარულებით ულოცვიდით ჩვენ ურთიერთთა, ვითარცა წინსვლასა და დაცემას იმათ მტერთა ზედა, რომელთაგან მოოხრებაი ჯერეთცა არ გვაქვს დავიწყებულიო“[363].

ამ საბრძოლო ოპერაციაში ქართველების საკმაოდ დიდი რაოდენობა მონაწილეობდა. მხედრობას მეთაურობდა საქართველო-იმერეთის გუბერნიის მარშალი გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი თამაზის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი ხუთასი კაცით, გორის მაზრიდან ასევე ხუთასი კაცი გამგზავრებულა, თბილისიდან - ქვეითები და ხუთასი ცხენოსანი ქიზიყელი. მილიციას შეადგენდნენ ყაზახ-ბორჩალოელი თათრები. ქართლის, კახეთისა და თბილისის „„უეზდებიდან“ - ასი თავადაზნაური. გორის

---

[359] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 11.
[360] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 18; გვ. 2.
[361] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 18, გვ. 4.
[362] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 17.
[363] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 18.

„უეზდის“ კეთილშობილთა წინამძღოლი ყოფილა ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი. მისი თანაშემწე ყოფილა თავადი ნიკო ერისთავი, თბილისის „უეზდიდან“ ხელმძღვანელობდა ხუთასისთავი ლევან ივანეს ძე მელიქოვი, ცხენოსანთა ხუთასკაციან მხედრობას - თავადი ილია დიმიტრის ძე ორბელიანი. იქვე ყოფილან ივანე და დიმიტრი ციციშვილები, დათიკო და დიმიტრი აბაშიძეები, აზნაურები: ზურაბ ციმაკურიძე, კონსტანტინე ზუბალოვი, ნიკოლა ქარსიძე[364]. თვითონ დიმიტრი საბრძოლველად ორ მსახურთან ერთად წასულა და სხვ.

იგი დაწვრილებით აღწერს მთელ ლაშქრობის მარშრუტს და საბრძოლო პერიპეტიებს. საქებარ სიტყვებს არ იშურებს გენერლების: გურკოს, ბენკენდორფის, ბეზობრაზოვის, ვორონცოვის მისამართით. ნაწარმოების ავტორის მიზანია საზოგადოებას ამცნოს, რომ რუსების დახმარებით „ლეკიანობა“ საქართველოში წარსულს ჩაბარდა: „წავიდა ის დრო, როდესაც ტყიდამ გამოდიოდნენ ლეკები და ახდენდნენ საქართველოს“. თუმცა, დიმიტრი არ ერიდება იმის აღნიშვნას, რომ ომი მისი საქმე არ არის. ერთგან წერს, თუ როგორ დაურიგა თავისი წილი ტყვიები ამხანაგებს, რადგან მისთვის უსარგებლო ბარგი იყო[365], თოფიც მისმა მსახურმა ბიჭმა დაუკარგა და „ისიც მორჩა უქმად ტარებას“[366]. დაღესტნის „დალაშქვრას“ მამა-პაპისეული დამბაჩით აგრძელებდა, მაგრამ ისიც „ვლადიკავკავში დატენილი ისევ ტყვიაგაუსროლელად გატენილი დაჰქონდა მხოლოდ მოსართავად“[367]. სხვაგან ამბობს, თუ როგორ დასცინიან მეგობრები: „რისთვის წამოგვყევი, თოფი შენ არ გიხმარია და ხმალიო“[368], მაგრამ იმაშიც გულწრფელია, რომ ამ ომში სიცოცხლის გარანტია ნებისმიერისათვის ძალზე პირობითია: „ამასაც ვიტყვი და ნუ გამკიცხამთ, ზოგჯერ მივაწყდებოდი ჩემის გამოუცდელობით ისეთს ალაგს, სადაც ტყვიები წუწუნით გადამდიოდა თავზეო“[369]. ასეთ პირობებში დიმიტრის ბრძოლის ველიდან არაერთი დაჭრილი გამოუყვანია, მათ შორის თავისი ნათესავი – ანდრია გარსევანიშვილი. სწორედ ამ დამსახურებისათვის მეღვინეთუხუცესიშვილი სტანისლავსკის მესამე ხარისხის ორდენით დაუჯილდოვებიათ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გარდა ლაშქრობისა და საბრძოლო პერიპეტიებისა, დიმიტრის აღწერილი აქვს კავკასიონის ბუნება, იმდროინდელი გროზნო, ვლადიკავკაზი და სხვ. სინანულით აღნიშნავს, რომ „დიდათ მსურდა იმათის

---

364 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 17.
365 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 18; გვ. 24-ბ.
366 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 18; გვ. 24.
367 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 18; გვ. 24.
368 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 18 გვ. 29-ბ.
369 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, გვ. 32.

(ჩეჩნების - ი. ა.) შინაური ცხოვრება და მუშაობა შემეტყო დაწვრილებით, მაგრამ იმდენი დრო არა გვქონდა, რომ სოფლებში დავმდგარნიყავითო“[370].

ნაშრომი დიმიტრის ჯერ კიდევ 1845 წელს ჰქონია მზად, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ გამოუცია, ამიტომ მოგვიანებით შეუდგენია „ღირსახსოვარის“ შემოკლებული ვარიანტი: „წარსულს უკვე 1845 წელსა, მქონდა მე ფრიად სასიამოვნო შემთხვევა კავკასიასა შინა, სადაც მემამულენი ჩვენნი იბრძოდნენ სასტიკად. ის შემთხვევა, ანუ ღირსახსოვარი ლაშქრობა მათი თუმცა აღვწერე მაშინ და მსურდა გამომეცა პატარა წიგნად მცირედის ისტორიული მოთხრობით, გარნა სურვილი ესე ჩემი მე ვეღარ ავისრულე რომელსამე შესაწყნარებელის მიზეზისა გამო, ამისათვის გიამბობთ იმ ღირსახსოვარს უპატივცემულესნო მკითხველნო შემოკლებით ესრედო“[371].

ხსენებული ნაშრომის შემოკლებული ვარიანტი დიმიტრის დაუბეჭდავს გაზეთ „დროებაში“ 1869 წელს[372].

სხვა ნაშრომთაგან ყურადღებას იქცევს „მოკლე ცნობები თავადაზნაურთა გვარების შესახებ“, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი მუხრან-ბატონების, ქსნისა და არაგვის ერისთავების, ამილახორების, აბაშიძეების, ფალავანდიშვილების, ფავლენიშვილების და სხვების, სულ ქართლის 38, კახეთის – 3 თავადისა და 12 აზნაურის გვართა წარმოშობა და მათი ისტორია[373], თუმცა, თვალშისაცემია იოანე ბაგრატიონის ანალოგიურ ნაშრომთან[374] მსგავსება. ამის მიუხედავად, დიმიტრის ამ შრომას მარი ბროსეს დიდი დაინტერესება მოჰყოლია და მის პეტერბურგში ხელმეორედ გაგზავნას სთხოვს: „რაცა გაქვს საქართველოს დიდებულთა ჩამომავლობანი შეკრებილნი, იმის მაგალითისამებრ, როგორ ადრე გაგიგზავნია ჩემთვის, ამილახვრიანი, მუხრანიანთი ...და სხვათა, ასე და ამრიგად ყოველთვის მოგროვილნი თქვენგან ამბავი მიბოძეთო“[375].

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მის პირად არქივში დაცულია ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესახებ ერთ-ერთი უცნობი კრებულის (რუსულ ენაზე) ვრცელი ანალიზი[376].

ჩანაწერებიდან ჩანს, რომ დიმიტრი კარგად იცნობს პლინიუსის, სტრაბონის, მოვსეს ხორენაცის თხზულებებს. საფუძვლიანად აკრიტიკებს გიორგი ბარათოვის

---

370 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 17.
371 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 17.
372 იხ: გაზ. „დროება”, 03 (15). 04. 1869 წ. № 14, გვ. 1-2.
373 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 18, № 40.
374 იხ: იოანე ბაგრატიონი, აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა. თბ., 1997.
375 ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 12.
376 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 38.

რომელიღაც ნაშრომს, სადაც იგი წერდა, თითქოს ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლის დროს ქართველები სომხურად საუბრობდნენო.

მელვინეთხუცესი ფართოდ მიმოიხილავს სომხების საქართველოში ჩამოსახლების მიზეზებს და აღნიშნავს, რომ ბუნებრივი და საუკუნეობრივი სიახლოვის გამო, ჩვენს ქვეყანაში გადმოსახლებული სომხები ქართველებისაგან დიდად აღარ განსხვავდებოდნენ ქცევითა და მოქმედებით, მათი დიდი ნაწილი გამართულად საუბრობდა ქართული ენით.

როგორც ჩანს, კრებულში განხილული იყო ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხი და თეორია, ასურეთის მეფე სალმანასარ III-ის მიერ ჩვ. წ. აღრიცხვამდე VIII საუკუნეში პალესტინიდან და სირიიდან (დამასკოდან) კავკასიაში ხალხთა გადმოსახლების შესახებ. თითქოს ტერმინი - იბერი გულისხმობდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას (იბერი - იმერი).

დიმიტრი მკაცრად აკრიტიკებს ამ მოსაზრებას: „იმა იბერთაგან ჩვენს დროში შემორჩენილია მხოლოდ წოდება მხარისა და არა თვით ერისგან ...იმერნი მტკიცე ჩვენი ქართველთა გაყრილნი ძმანნი არიან მეორეს მხარისა სახით, ენითა და ხასიათითო“, აღნიშნავს იგი[377].

სხვა სტატიაში („ნარკვევი საქართველოს ისტორიის შესახებ“), სათანადო წყაროებზე დაყრდნობით (წმ. ნინოს ცხოვრება, ვახუშტის ნაშრომი), აბათილებს სენკოვსკის თეორიას, რომელიც წერდა, რომ იბერნი და ივერნი არასოდეს ყოფილან, ქართველების ისტორია XII საუკუნეში იწყება და ისინი კავკასიის მთებიდან არიან გამოსულნიო.

დიმიტრი იცნობს ქართველთა მონათესავე ტომებს თუბალებს, მუშქებს, ტიბარენებს და გვთავაზობს თავისებურ ეტიმოლოგიურ პარალელებს. მისი აზრით, თუბალების ძირი - მთიბავნი ერნია, ან მთა, ბარი და ერნი[378], რომ თუბალებისა და ტიბარენების შთამომავლები არიან მთიულები.

სიტყვა „მესხი“ ნიშნავს გარს შემოსხმას და მისი ფუძეა „სხმა“. მცხეთის ფუძეა „ცხე“ (აქედანაა - მირონ<u>ცხე</u>ბული), კავ ნიშნავს დამცავს, შემ<u>კავ</u>ებელს, აქედანაა წარმომდგარი კავკავი, კავკაზი[379] და სხვ.

1858 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა სომეხი ავტორის მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“, რომელშიც გატარებული იყო აზრი მესროფ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ, თითქოს მესროფი ბაქარის მეფობის დროს მოსულიყო საქართველოში ვინმე ჯალასთან ერთად და უკაცრიელ ადგილას დასახლებულიყო. აქ მას ეპისკოპოს მოსესათვის დაეტოვებინა თავისი

---

377 ხეც, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 38.
378 ხეც, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 21, გვ. 15-16.
379 ხეც, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 21, გვ. 17.

მოსწავლეები ტერა და მოშე, რომელთაც მასწავლებლის ანბანზე დაყრდნობით შეექმნათ ქართული ანბანი. დიმიტრი არგუმენტირებულად აკრიტიკებს ამ თეორიას და წერს: „მესროფის წინათაც და შემდგომ უკეთუ ქართლს იყო სომეხთაგანი და ერითა თვისითა დაეშენა ამა ქვეყანასა უდაბნოსა უკაცურსა, ვინღა შეუცვლიდათ ენას, და თუ მხოლოდ მოვიდა იგი განმგედ ერითა, მაშინ იგულისხმების, რომელ ქართველნი ყოფილან საკუთარის ენითა და ჰქონიათ წერილიცა“[380].

1848 წელს ქსნის საერისთავოში მარი ბროსესთან ერთად მოგზაურობისას, დიმიტრის ლარგვისის მონასტერში უპოვია ტყავზე დაწერილი ძველი ეტრატი, რომელზეც ქრონიკული ცნობებია 1386 წლიდან (თემურ ლენგის პირველი შემოსევიდან) - ერეკლე II-ის მეფობის ჩათვლით. დიმიტრის მთლიანად გადაუწერია ეტრატი და თან დაურთავს კომენტარებიც. ეს იქიდან ჩანს, რომ ტექსტში ცარიელი ადგილებია დატოვებული მოგვიანებით ჩასაწერად, მაგ. „რუისის ფერიცვალების დიდ გუმბათიან ეკლესიის კარიბჭის შესავალ კარს მაღლა ქვაზედ სწერია მრგვლოვანის ხუცურის ასოებით ესე ...“, ან „გორის სობოროს ეკლესიის ხატზე[381] სივრცით ..., სიგანით ..., ვერცხლში ჩასმული ოქროს წყლით დაფერილს თვლებით შემკულს ზურგზედ სწერია ეგრეთისავე ასოებით ...“[382].

დიმიტრის სხვა ისტორიული ჩანაწერებიდან ყურადღებას იქცევს წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის, მურვან ყრუს შემოსევა და დავითისა და კონსტანტინეს წამება, დავით აღმაშენებლის, თამარის ისტორიები, „მოგონება, ანუ სამნი დრონი საქართველოსი“[383] და სხვა. თუმცა, დიმიტრის ამ ნაშრომებში ჩანს ისტორიული და ქრონოლოგიური ხარვეზებიც, მაგ. რუისის ტაძრის აშენებას იგი ალექსანდრე I-ს (1453 წ.) მიაწერს[384], ცნობილია, რომ ალექსანდრე დიდმა რუისის ტაძარი კი არ ააშენა, არამედ აღადგინა და ისიც არაუგვიანეს 1442 წლისა. მურვან ყრუს მიერ საქართველოს მოოხრების თარიღად 663 წელს მიიჩნევს[385], ჩინგის ყაენის მიერ უფლისციხის აკლებას – 1202 წლით ათარიღებს,[386] ხოლო მის პირველ დამაარსებლად თვლის სომხითის (სამშვილდის) მეფე სუმბატ ბაგრატიონს ქრისტეს აქეთ 887 წელს[387] და სხვ. იგივე შეიძლება ითქვას რიგი ტოპონიმისა და ეთნონიმის

---

380 ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 7, გვ. 4.

381 სავარაუდოდ, საუბარია გორში არსებულ ოქონის სამკარედიან ფერწერულ და მოვერცხლილ ხატზე, დაწვრ. იხ: ჩვენი ნაშრომი, „ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან, თბ., 2012, გვ. 27-28.

382 ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 7, გვ. 9.

383 ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 48.

384 ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 32, გვ. 2.

385 ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 31.

386 ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 31, გვ. 4.

387 ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 31.

მისეულ ახსნაზე, მაგ. ქართველს ხსნის, როგორც ქარ - ველი. თითქოს საქართველოსათვის ოთხკუთხივ დამახასიათებელ ძლიერ ქარებს ამოეგლიჯოთ დიდრონი ფიჭვები და გაევაკებინოთ ველი[388]. უფლისციხეს შიფრავს, როგორც ოფლის-ციხეს და იგი შედეგი იყო იმ მძიმე შრომისა, რომელიც მშენებლებს კლდეში ნაკვეთი ქალაქის ასაშენებლად გაუღიათ[389] და სხვ.

1860 წელს მეღვინეთხუცესს შეუდგენია „კალენდარი სამარადისო წელთა, ანუ ძველ ჩვეულებათა“[390]. რუსულ ენაზე უთარგმნია „ანდიისა და დარღოს პახოდი 1845 წლისა“. პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა არქივის მარი ბროსეს ფონდში დღესაც დაცულია დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის შრომები: „გორში მოგზაურობა“, „მოგზაურობა და მიმოხილვა იმერეთისა“, „მოგზაურობანი ტფილისის ღუბერნიასა შინა“, „მეფობა და ცხოვრება ირაკლი მეორისა“, „ინდიქტიონი ღირსსახსოვარ შემთხვეულებათა“, „მოგონება ანუ ლაშქრობა პირისპირ იმამი შამილისა 1845 წელსა“, რომლებიც ფრანგ მეცნიერს, დიმიტრი ბაქრაძისა და დავით ციციშვილის ნაშრომებთან ერთად შეუკრებია.

დიმიტრი არა მარტო საქართველოს ისტორიაზე წერდა. მის ჩანაწერებში ყურადღებას იქცევს მცირე ფორმატის (4 ფურცელი) ნაშრომი, სადაც აღწერილია ივანე მრისხანეს შემდეგდროინდელი რუსეთი. ივანე IV-ს გარდაცვალება, თეოდორე ივანეს ძისა და ბორის გოდუნოვის მმართველობა, მისი მოწამვლა და „ცრუ დიმიტრის“ (გრიგოლ ოტრეპიევის) შემოსვლა რუსეთში, მინინისა და პოჟარსკის სახალხო აჯანყება მის წინააღმდეგ და სხვა. აღნიშნული სტატიის მომზადებისას მას უსარგებლია ცნობილი რუსი ისტორიკოსის ნიკოლოზ კარამზინის ნაშრომით[391].

უნდა აღინიშნოს დიმიტრის დაინტერესება საქართველოში მცხოვრები ებრაელების მიმართ. ამ თემაზე მას სპეციალური ნაშრომი შეუქმნია, რომელიც რვა თავისაგან შედგება და გადმოცემულია ებრაელთა ისტორია, ეგვიპტიდან გამომგზავრებიდან იერუსალიმში მისვლამდე, საქართველოში მათი ჩამოსახლების, რელიგიური და ეთნიკური ტრადიციების, მაცხოვრის ჯვარცმის შესახებ და სხვ. ნაწარმოების შექმნის იდეა დიმიტრის სურამში 1850 წელს მომხდარი საშინელი შემთხვევის[392] შემდეგ გასჩენია, რაზედაც ვორონცოვის ბრძანებით „სასტიკი გამოძიება“ დაწყებულა, ნაშრომი 1877 წელს დასრულებულა და ცენზურას მის გამოცემაზე ნებართვაც გაუცია, მაგრამ წინააღმდეგი წასულა ეგზარქოსი ევსევი,

---

388 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, №22.

389 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 22.

390 შ. ხანთაძე, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 32, წერ. № 17.

391 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 41.

392 ამ საკითხზე დაწვრ. იხ.: ე. მამისთვალიშვილი. ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 221-227.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი „უგუნურთ აღაშფოთებდა და გონიერსა მოიყვანდა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე“[393].

ცენზურა დიმიტრის მხოლოდ ერთ ნაწარმოებს არ შეხებია. პრობლემებს შეგნებულად უქმნიდნენ ეგზარქოსი და მისი მოხელეებიც. მეღვინეთხუცესიშვილის კეთილშობილური სურვილი საკუთარი ქვეყნის სიძველეების და სიწმინდეების შესწავლა-გამოკვლევისა და გამოქვეყნების მიზნით, ბუნებრივია საქართველოს ეგზარქატისათვის მისაღები ვერ იქნებოდა, ამიტომ იძულებული ხდება კვლავ ბროსეს სთხოვოს დახმარება: „ვიკადნიერებ და კიდევაც გავბედავ გთხოვოთ, მოსწეროთ აქაურს არქიერს წიგნი, რო მისმან მაღალ ყოვლად უსამღვდელოესებამ ინებოს და მისწეროს ყოველთა ბლაღოჩინთა რათამცა მათ მიჩვენონ დაუბრკოლებრივ მხოლოდ ეკლესიები, ხატები და ძველი საეკკლესიო საუნჯე, სხვა არა მინდა რა იმათგან, მერე მე ვიციო“[394].

ეს ფაქტი კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება დიმიტრის მარი ბროსესადმი პეტერბურგში გაგზავნილი სხვა წერილებიდანაც, საიდანაც ირკვევა, რომ ისინი ხელისუფლების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. ბროსესადმი დიმიტრის მიერ მიწერილ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „მოწყალეო ჰელმწიფევ, მარიი ივანოვიჩ! თქუჱნმან წიგნმან 20 თებერვალს დაწერილმან, რომელიც მე მივიღე ამ თვის 14-ს (იგულისხმება 1849 წლის 14 მარტი - ი. ა.), მე რაოდენ მასიამოვნა, ეგოდენვე განმაცვიფრა, როს წავიკითხე. ვერ მიმხვდარვარ რათ უნდა სხუა კაცს ჩავარდნილიყო ის ჩემი რაპორტი, რადგან ზემოდან ეწერა თქვენი ადრესიო“[395].

ცხადია, „სხვა კაცებს“ დიმიტრის წერილები ხელთ შემთხვევით არ უვარდებოდათ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი რუსული ხელისუფლების მიმართ არ გამოხატავდა ნეგატიურ პოზიციას. იგი არ იყო რევოლუციური ბუნების და ქართველ თავად-აზნაურთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელთათვისაც რუსეთი „ხსნა“ იყო ქვეყანაში მშვიდობისა და წესრიგის დამყარების მიზნით.

დიმიტრის სწორად მიაჩნია ერეკლეს ნაბიჯი, რომელმაც ქვეყნის შემდგომი ბედი რუსეთის იმპერიას დაუკავშირა და „შემდგომად სიკვდილისა თვისასა გვიანდერძებდა ჩვენს ერთგულებასა, მისის იმპერატორობით დიდებულებისასა, რომლისა ბრწყინვალე სკიპტრასა ქვეშე და ძალითა უძლეველის მხედრობითა მისსა აწ ვგიებთ განსვენებით და მოვიმკით დღეთა ჩვენთა მარად სწავლითა და ურთი-ერთ სათნოებითაო“[396].

---

[393] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 27.
[394] **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 10, წერ. № 3.
[395] **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 11, წერ. № 4.
[396] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 17.

თუმცა, მეღვინეთხუცესიშვილი ამ პოზიციიდანაც ახერხებდა ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთებას. იგი კმაყოფილებით ხვდება გენერალ-ადიუტანტ სიპიაგინის განცხადებას თბილისსა და სამაზრო ქალაქებში კადეტთა კორპუსისა და გიმნაზიების გახსნის შესახებ და კმაყოფილებით აღნიშნავს: „ნეტავ ეს ჰაზრი შესრულებულიყო ამ ორმოცის წლის წინათ და სოფლებშიც ყოფილიყო სასწავლებლები, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მიეღოთ სწავლა ეხლანდელს მოხელეებს და სამდურავი აღარ ეთქვათო“.

იგი კარგად ხვდება მოსახლეობის ჩამორჩენილობის მიზეზს: „ყველა უცოდინარობით მოგვდის, შკოლაში ჩვენ არ ვყოფილვართ, წიგნი არ გვისწავლია და წერაო“, ჩივიან მასთან მისული თანასოფლელი გლეხები[397].

რამდენადაც მეღვინეთხუცესიშვილი საქართველოში ბევრს მოგზაურობდა და მოსახლეობასთანაც ცოცხალი კავშირი ჰქონდა, მის ჩანაწერებში ხალხში გავრცელებული არაერთი ტრადიციაა აღწერილი. როგორც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, იგი მსუბუქი იუმორითა და სარკაზმით აღწერს ისეთ ტრადიციებს, როგორებიცაა „ჭიაკოკონობა“[398], მკითხაობა, ქადაგად დაცემა და აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი მოსახლეობის ნაკლები განათლების შედეგია. იგი ამ ტრადიციების გავრცელების წყაროებსაც მიუთითებს. მაგ. სამეგრელოში ანდრია პირველწოდებულის მიერ ჭყონდიდის დიდი მუხის კერპის მსხვრევა, დიმიტრისათვის ჭყონდიდელ ეპისკოპოს ანტონ დადიანს უამბია[399].

მოთხრობაში „ჭეშმარიტი შემთხვევა ქართლში“ აღწერილია ლიახვის მონაპირე მეზობელ სოფლებში 1843 წელს მომხდარი ერთი საქორწილო კურიოზი. მეღვინეთხუცესიშვილი სარგებლობს ამ შემთხვევით და ქართლელი გლეხის მოჭარბებული მისწრაფება დროსტარება-ქეიფისადმი ქაღალდზე გადააქვს. მეზობელი სოფლის გოგოზე ჯვარდაწერილი სასიძო, მასპინძლის თხოვნის მიუხედავად, მისმა მაყრებმა დედოფლის ოჯახში არ დატოვეს და ზამთრის საშინელ ამინდსა და ღამეში ქალთან ერთად საკუთარ სახლში წამოიყვანეს, რადგან სასიძოს ოჯახში ნოყიერი სუფრის მოლოდინი ჰქონდათ, მაგრამ ლიახვის პირზე ქარბუქსა და კორიანტელში სადედოფლო დაკარგეს და სიძის ოჯახში ქალის გარეშე დაბრუნდნენ. სასიძოს ოჯახში ლხინის სუფრა ტირილმა შეცვალა.

თუმცა, სასიძო ღმერთმა არ გაწირა. ცხენი, რომელზეც სადედოფლო იჯდა, რამდენიმე საათის ხეტიალის შემდეგ, ნაცნობი მღვდლის ოჯახს მიადგა. მღვდელს

---

[397] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 22.

[398] რატომღაც, ამ ნაწარმოებს მეღვინეთხუცესიშვილი ცნობილ ისტორიკოსს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს - პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანს უძღვნის. იხ. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 19.

[399] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 19; 33.

ნაბადწამოსხმული სადედოფლო თავდაპირველად ავ სულად მოეჩვენა, მაგრამ როდესაც ყველაფერი გაირკვა, მანაც „შანსი არ დაკარგა“, მეორე დღეს სოფლის მამასახლისი, დიაკვანი და ოთხი მაყარი იახლა და მდიდრული პურ-ღვინის მოლოდინში სასიძოს სოფლისაკენ გაეშურა.

დიმიტრი შემთხვევას ხელიდან არ უშვებს და აღწერს ქართლელი გლეხის იმ დროინდელ ტრადიციულ საქორწილო პირობებს: თუ სასიძოს ოჯახი ძლიერი იყო, „ნეფე“ ურმით ერთ ტომარა ფქვილს, ოც ტიკ ღვინოს, მოზრდილ ჭედილას იახლებდა, „ექვს თუმან ფულ საქორწილოსაც“ ზედ დაუმატებდა და ცხენებზე ამხედრებული მაყრიონით საპატარძლოს ოჯახს მიადგებოდა. დედოფლის მზითევი ერთი წითელი სკივრის (ზანდუკის), ერთი ხელი ლოგინისა და ქვეშაგებისგან შედგებოდა.

თუ სასიძო ღარიბი იყო, ორ-სამ თუმანს ვალად აიღებდა, უღელ ხარსა და ურემს მეზობლისაგან ითხოვდა, ამდენივე მეზობელს, ან ნათესავს იახლებდა და ნათხოვარი ნაბდით წამოიყვანდა საპატარძლოს[400].

მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაუსაძლისმა ყოფამ ხელისუფლებისათვის საშიში ტენდენციები წარმოშვა და იგი იძულებული გახადა იმპერიაში საგლეხო რეფორმა გაეტარებინა.

რეფორმის მოსამზადებელ სამუშაოებს საქართველოში ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე - დიმიტრი ყიფიანი ხელმძღვანელობდა. დაიწყო გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით კომლთა რაოდენობისა და ქონების აღწერა. დიმიტრის, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფ კაცს, 1858 წელს დაევალა გორის მაზრის ხიდისთავის უბნის შემოვლა და აღწერა - რომელ მემამულეს რამდენი კომლი გლეხი ჰყავდა.

იგი მაზრის შემოვლისასაც დროს უქმად არ ჰკარგავდა და თავად-აზნაურთა და გლეხთა განწყობილება რეფორმის მიმართ პროზის სახით გადაჰქონდა ფურცლებზე. თუ გლეხკაცობა ამ საკითხს ინტერესითა და სიხარულით ხვდებოდა, საპირისპირო რეაქცია იყო თავადაზნაურობის დიდ ნაწილში. მათ ვერ წარმოედგინათ, როგორ უნდა ეცხოვრათ საუკუნეობით დადგენილი და დაკანონებული ყმა-გლეხების გარეშე. ისინი პროგრესულად მოაზროვნე თავად-აზნაურობის მცირე ნაწილსაც პირად მტრებად მიიჩნევდნენ. ცნობილია, მათი რეაქცია ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე მამაცაშვილის და სხვათა მიმართ, რომლებიც გლეხთა მიწიანად გათავისუფლებას უჭერდნენ მხარს. მათ რიცხვში იყო დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილიც. მისი დამოკიდებულება საგლეხო რეფორმის მიმართ ჩანს ალექსანდრე ჯავახიშვილის მეუღლის - ნატალისთან საუბარში. როდესაც კნეინას ყმა-გლეხის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია,

[400] გაზ. „დროება”, 23. 01. 1869 წ. № 4, გვ. 1-2.

დიმიტრი ამშვიდებს: „მერწმუნეთ კნეინავ, იმედი მაქვს ღთით უკეთესი ცხოვრება გექნებათ, უკეთუ ჩუᲪნის სურვილით გათავისუფლდებიან გლეხებიო“[401]. სამაგიეროდ, ჯავახიშვილთან სტუმრად მყოფი სხვა თავადები გაღიზიანებას ვერ მალავენ დიმიტრის მისამართით მისი ამ პოზიციის გამო: „აი ეს არის გლეხების ბედის მწერალი, აქამდინ ეკლესიებსა სწერდა აკადემიკი ბროსესათვის, იმას დასდევდა, ახლა ჩვენს კაცებსა სწერს, გაუწყრეს ის ეკლესიები, თუ მართალი არ დაწეროსო“[402].

დიმიტრიმ ბატონყმობის საკითხს სპეციალური ნაშრომიც მიუძღვნა. იგი ზოგადად ამ მოვლენას ხოტბას ასხამს და მიიჩნევს, რომ თავად-აზნაურობა საუკუნეების განმავლობაში იყო „ბჭე, ანუ სიმტკიცე ქრისტიანობისა“. თუმცა, ბატონყმობის გაუქმებას მაინც პროგრესულ მოვლენად თვლის, რადგან „ანგლიაში, ფრანციაში და სხვა და სხვა განათლებულს სამეფოებში გლეხების განთავისუფლებამ განამრავლა სხვადასხვა საჭირონი სწავლა და ხელოვნება“[403].

მეღვინეთხუცესიშვილს იქვე მოჰყავს ციტატა გაზეთ „კიევის ტელეგრაფიდან“, რომლის მიხედვით, კიეველი მაღალი და საშუალო წოდება შემოწირულობას იღებდა, რათა დაეფინანსებინა გლეხთა შვილების განათლება. იგი იმედს გამოთქვამს, „საქართველოშიაც მებატონენი შეძლებისამებრ უეჭველია მიბაძავენ რუსეთის მებატონეთა კეთილმოქმედებას“[404].

დიმიტრი სხვაგანაც მიუთითებს, რომ დაბალი ფენის სოციალური ჩაგვრის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სწავლა-განათლების არქონაა: „ქვეყნის ბედნიერებისათვის დიდათ საჭირონი არიან ხალხის განათლება, საფუძვლიანი შკოლები უნდა იყოს სოფლებშიაცა, სადაც უცოდინარნი წერა-კითხვისა, გლეხთაგან ამორჩეულნი სოფლის მოხელენი ძალით სჩაგრავენ ღარიბებს, ქვრივთაცა და ობოლთა ხარჯის მოკრეფის დროს“[405].

სამაგიეროდ, იგი აღტაცებას ვერ მალავს დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებისადმი, რომელთაც კარგად ესმოდათ განათლების მნიშვნელობა. 1868 წელს დიმიტრის მოუნახულებია ხოვლესა და ხიდისთავის ახლად დაარსებული სკოლები. იგი საქებარ სიტყვებს არ იშურებს ხიდისთაველი ივანე ამბრიაშვილისადმი, რომელიც საკუთარი ხარჯით უმცროს ძმას თბილისის სემინარიაში ასწავლიდა და ამასაც არ სჯერდებოდა: „ჩემს საცხოვრებელს სულ ზედ გადავაგებ და ჩემს ძმას ღვთითა და ხელმწიფის წყალობით, უმეტეს მაღალ სასწავლებელში გავზრდი, რომ კაცი გამოვიდეს და თავისი გვარი დაამშვენოსო“.

---

401 ᲮᲔᲪ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი № 34.
402 ᲮᲔᲪ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი № 34.
403 ᲮᲔᲪ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 35.
404 ᲮᲔᲪ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 35.
405 ᲮᲔᲪ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 25.

მართალია, ცოდნის მიღების მსურველები გლეხობაში ჯერ კიდევ მცირერიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ დიმიტრი იმედს არ კარგავს, რომ ამბრიაშვილის განწყობილება სხვებსაც გადაედება და მკითხველს შეახსენებს: ,,აი მართლა გლეხნი როგორ განსხვავდნენ, გაჭკვიანდნენ, როგორ ზრუნავენ და რას ფიქრობენ მომავალ კეთილ ცხოვრებისათვის. თქვენ კი ამას ნუ ბძანებთ ერთის ყვავილით გაზაფხული არ მოვაო, სადაც ერთი გაიშლება, იქ ერთთან ერთად ხუთი და ათიც გარდაიშლებაო"[406].

დიმიტრის მეღვინეთხუცესიშვილს ასევე კარგად ესმის, რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ პრესას მოსახლეობაში ჯერ კიდევ სუსტი ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში. იგი ადამიანის უპირველეს დანიშნულებად ქვეყნის სამსახურს მიიჩნევს და მიუთითებს: ,,ქვეყანაში კაცი თუ იყოს, უნდა გამოადგეს რითამე საზოგადოებას და თუ ისე მოკვდა რომ არაფერი კეთილი ნაყოფი არ დატოვა, მისი სიცოცხლე ამაოა ქვეყანაზეო".

იგი არც ქართველი კაცის მანკიერ თვისებებსა და ხასიათზე ხუჭავს თვალს, აღნიშნავს, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთების აუცილებლობა მოსახლეობის უმეტესობას ჯერ კიდევ გაცნობიერებული არა აქვს და მოუწოდებს გამოფხიზლებისაკენ: ,,ქართველი როცა ლაპარაკობს მართლა გულით ამბობს, მაგრამ, რადგანაც ამ საქმის სარგებლობა არა აქვს მტკიცედ გაბეჯითებული და გამარტებული თავის გონებაში, იმისთვისაც მოხდება, რომ ერთი საათის უკან არც კი ახსოვს, რა ილაპარაკა.

...არ შევალ ჩვენს შინაგან ცხოვრებაში და არ გავბედავ გაკიცხვას, მაგრამ გარეშე კაცს არ იქნება, არ ეწყინოს, როცა ნახავს, რომ ხუთს და ათ თუმანს უბრალო ლხინში გადავყრით და სხვა რამე უსარგებლო საქმეზე დავხარჯავთ, მაშინ, როდესაც შვიდი მანეთი გვეძნელება გაზეთის გამოსაწერადა.

მე არ გავბედავ ვილაპარაკო, თუ რა სასარგებლო და კეთილ-წინამძღომელი არის კარგი მიმართულების ლიტერატურა ხალხისათვის. ეს აზრი ყოველს განათლებულს ქვეყნებში ისე ჭეშმარიტია, რომ არც ერთი საქვეყნო საქმე არ დაიწყება, თუ უწინ ლიტერატურაში არ გაისინჯა. განათლებულ ქვეყნებში ხომ ლიტერატურას ვერაფერი ძალა ვერ შეედრება, ეს რასაკვირველია ეცოდინება ქართველ მკითხველს. ლიტერატურა არის საზოგადო აზრის წარმომთქმელი და ენა მმართველი კეთილისა და ბოროტისა. ერთი სიტყვით, ლიტერატურა ხალხის სანათი არის და ულიტერატურო ხალხიც მკვდარია. რადგან კი ლიტერატურას ამისთანა მნიშვნელობა აქვს, გვაწევს ჩვენ ვალათ, რომ შევეწიოთ, არ ვიტყვი გაზეთს, არა, ჩვენი თავის სარგებლობას და განათლებასო", პროპაგანდირებდა დიმიტრი[407].

---

[406] ,,დროება", 16 თებერვალი, 1868 წ. №7, გვ. 1-2.
[407] ,,დროება" 12. 01. 1868, № 2; გვ. 1.

როგორც აღინიშნა, იგი მიესალმებოდა დაბალი სოციალური წრიდან განათლების მიღების ყოველგვარ სურვილს და ენერგიას არ იშურებდა მათთვის ამ მისწრაფებათა რეალიზაციის თვალსაზრისით.

ალბათ, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ მეღვინეთხუცესიშვილს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა და მკვლევრად ჩამოყალიბდა იმ დროს, როდესაც კავკასიას „ნამცხვრის მეთოდის" დიდოსტატი, მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი მართავდა.

მეფის რუსეთმა XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან გაითვალისწინა ის ხარვეზები, რაც საუკუნის დასაწყისში რუსული საკანონმდებლო-ადმინისტრაციული მმართველობის დამყარებას მოჰყვა. კარგად იქნა შესწავლილი კავკასიელი ხალხის ბუნება-ფსიქოლოგიაც, როდესაც ხელისუფლების ხისტსა და სწორხაზოვან პოლიტიკას ადგილობრივთაგან მძაფრი წინააღმდეგობა შეხვდა და არაერთ აჯანყებაში (1802; 1804; 1812; 1819-20 წწ; 1832 წლის შეთქმულება) გადაიზარდა.

ვორონცოვმა, ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით, „ამ ცფიერმა დიპლომატმა", იოლად აუღო ალღო ქართული თავადაზნაურობის ფსიქოლოგიასა და მისწრაფებებს. თბილისში დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, იტალიური ოპერა და ქართული თეატრი, ჟურნალი „ცისკარი", იმატა ხაზინის ხარჯზე რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდობის რიცხვმა. 30 ათას ქართველ მემამულეს ერთბაშად დაუმტკიცა ადრე საეჭვოდ მიჩნეული თავადაზნაურული წოდება, რითაც მათი კეთილგანწყობა მოიპოვა და ცარიზმის ერთგულ მსახურად აქცია. „ვინც რუსეთის ინტერესებზე იქცეოდა, მასთან ხელგაშლილი, ჩინებსა და სხვა ჯილდოს იძლეოდა, თან ბევრი შეძლება და განცხრომა ჰქონდა ხოლმე ...ამიტომ ვორონცოვის სახელს ადიდებდნენ, ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო", კარგად ხვდება ქართველი თავადაზნაურობის განწყობილების მიზეზს ალ. ორბელიანი[408]. თვით აკაკი წერეთლის აზრით, ვორონცოვის დროს „ქართველობა თავისუფლად სუნთქავდა. ის იყო მათი სულის ჩამდგმელი! თითქმის აღმერთებდნენ ვორონცოვს ქართველები და მის გამოისობით მთელი რუსეთიც უყვარდათ"[409].

აკაკის შეხედულება ვორონცოვისადმი იმდროინდელი ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის აბსოლუტურად მისაღები იყო და მათ შორის იყო დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილიც, მით უფრო, რომ იგი ვორონცოვს უშუალოდ იცნობდა და ახლო ურთიერთობაც ჰქონდა მასთან. დიმიტრის მეფისნაცვლისადმი

---

408 **ალ. ორბელიანი**, რუსების დასი ქართუელები ჩემზედ, წიგნში: ალ ორბელიანი, სიტყვა მამულის ტრაპეზზედ, შემდგენელი ნ. ვახანია, თბ., 1999, გვ. 54-57.

409 **აკაკი წერეთელი**, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, გ. აბზიანიძის რედ., თბ., 1961, გვ. 456.

ერთგულების დამატებითი არგუმენტი ისიცაა, რომ სწორედ ვორონცოვმა მოიწვია მარი ბროსე საქართველოში.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართველი ინტელიგენციის ნაწილი იძულებული ხდებოდა სამსახური ხელისუფლებაში მოეძებნა და ოჯახი ისე ერჩინა, რადგან მხოლოდ საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობით ეკონომიკურ პრობლემებს ვერ გადაწყვეტდა, ანუ, საზოგადო მოღვაწეობა ძალაუნებურად მოხელეობასთან უნდა შეეთავსებინა, რაც ნაფიქრ-ნააზრევის თავისუფლად გამოსახატავად მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყო.

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს სწორედ ზემოხსენებულ პირობებში მოუწია მოღვაწეობა, რამაც მის ცხოვრება-შემოქმედებას თავისებური დაღი დაასვა.

დრამატურგიული და პოეტური მემკვიდრეობა

ცალკე უნდა აღინიშნოს დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის, როგორც დრამატურგის შესახებ.

იგი აქტიურად იყო ჩართული ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეში. მარი ბროსესადმი 1851 წლის 20 მარტს მიწერილ ზემოხსენებულ წერილში აღნიშნულია: „ნამესტნიკის სურვილია დაიბეჭდოს რაც ქართული ძველი წიგნებია და დოკუმენტების პირი, ღირსი ცნობისა. ამისათჳს დამიბარეს მე სიმონოვის კანცელარიაში და აღმითქვეს ამაში მეც მქონდეს მონაწილეობა და თუ საჭიროება მოითხოვს გამაგზავნიან მე სახელმწიფო ხარჯით სხვაგან და სხვაგან. კიდევ დაიბეჭდება ქართული გაზეთები და ამაშიც უნდა ვიყო მეო“[410]. მან, გიორგი ერისთავთან ერთად ძალზე დიდი როლი ითამაშა „ცისკრის“ დაარსების საქმეში.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის პიესა: „გამოუცდელობა, ანუ დროებით განშორება საყვარელთან“, ჯერ კიდევ 1845 წლის მაისსა და აგვისტოში გორში რამდენჯერმე წარმოუდგენიათ[411].

პიესა აგებულია რეალურ სიუჟეტზე და გადმოცემულია გორის მაზრის მაშინდელი მარშლის – ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავის ოჯახის ერთი ეპიზოდი, კერძოდ, თუ როგორ კრებს ერისთავი ჯარებს ვორონცოვის განკარგულებით შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად. ალექსანდრესთან ერთად ჩრდილო კავკასიაში საბრძოლველად წასვლა სურს მის ახლად შერთულ მეუღლესაც, მაგრამ ქმარი ამას არ თანხმდება. სახლში დარჩენილი ცოლი ძალზე წუხს მეუღლის განშორებას, მით უფრო, რომ ჩრდილო კავკასიიდან შამილის წარმატებების ამბები მოდის. ამასობაში ალექსანდრე ერისთავის მეუღლეს შეეძინება ასული. მართალია, სახლში დაბრუნებული მარშალი ვაჟს ელოდა, მაგრამ ოჯახი გახარებულია მისი სამხედრო წარმატებებითა და უვნებლად დაბრუნებით[412].

აღსანიშნავია, რომ 1845 წელს დიმიტრი თვითონ იყო ჩრდილო კავკასიაში შამილის წინააღმდეგ ექსპედიციის მონაწილე და არაერთი ნაწარმოები და ლექსი მიუძღვნა ამ თემას.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ქართული თეატრის ფუძემდებელს - გიორგი ერისთავს ჯერ კიდევ 1844 წლიდან ახლოს იცნობდა. აღნიშნულ წელს გიორგი

---

410 **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 19, წერ. № 10.

411 **ამბერკი გაჩეჩილაძე**. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 32.

412 **სოლომონ ხუციშვილი**. „გამოუცდელობა, ანუ დროებით განშორება საყვარელთან“, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 21, 1950 წ.

ერისთავმა ცოლად შეირთო ხიდისთაველი იაგორ ალიხანოვის ქალი - ელისაბედი და ცოლის მამულში დამკვიდრდა[413].

გიორგი ერისთავმა 1851 წლის მარტში მეღვინეთხუცესიშვილი მეფისნაცვალ - მიხეილ ვორონცოვს შეახვედრა. ამ შეხვედრის შემდეგ დიმიტრი დროებით გადადის თბილისში სამუშაოდ, იმ დავალებით, რომ გიორგი ერისთავისათვის „ქართული თეატრის გამართვა“ უნდა ეშველა. მეღვინეთხუცესიშვილი მარი ბროსეს ამ ამბავს შემდეგი სიტყვებით აუწყებს: „სამშაფათს დღეს დირეკტორის თანამდებობის აღმსრულებელმან უ[ფალ]მან სჩერბინინმა და თავადმა გიორგი ერისთავმან წარმადგინეს მე კნიაზ ნამესტნიკთან (მ. ვორონცოვთან – ი. ა.) კარგის რეკომენდაციით და მოახსენეს მის ბრწყინვალებას, რო შემდგომ მოგზაურობისა მე ვშველი და ვცდილობ ქართულის ტეატრის გაწყობას. კნიაზ ნამესტნიკმა მიმიღო ალერსით და მიბრძანა: „...ახლა შენ უ[ნდ]ა დარჩე ტფილისში დროებით და უშველო გიორგის ერისთავს ქართული ტეატრის გამართვა. მე მალე გადმოგიყვან ჩემთან, ჩემს კანცელარიაში“, და ამაზე მაშინვე უბრძანა მისმა ბრწყინვალებამ სჩერბინინს მოახდინოს განკარგულება, დამნიშნონ მე მის კანცელარიაში. ...ახლა მე ვწერ ქართულს პიესებს და ვასწავლი წარმოდგენას ჩუცნს ახალ აკტორებს და აკტრისებს ...ჩემს დაწერილ პიესებს სწავლობენ და წარმოადგენენ ქართულს ენაზედ მომავალ დღესასწაულებშიო“[414].

მარი ბროსე დიმიტრის ამ წამოწყებას მალევე გამოეხმაურა. 1851 წლის 2 ივნისს პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში ბროსე ამ ამბავს გამორჩეულად აღნიშნავს: „მომილოცავს თქვენი მიღება და განწესება ღრაჟდანსკის კანცელარიაში და შემწეობა თავადი გიორგი ერისთავისშჳლის თეათრის გარიგებაშიო“[415].

თუმცა, მარი ბროსესადმი გაგზავნილი შემდეგი წერილებიდან ჩანს, რომ დიმიტრი მალევე დაბრუნებულა გორში და ფრანგი ქართველოლოგის რეკომენდაციით აურჩევიათ „გეოგრაფიის საზოგადოებრივი განყოფილების“ წევრ თანამშრომლად.

1846 წელს დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს დაუწერია პიესა „ჩაჩნების ჩვეულება“, რომელიც „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1859 წელს. 1869 წელს იმავე „ცისკარში“ (№ 10) იბეჭდება დიმიტრის კიდევ ერთი პიესა „ვიჭაკი“. მეღვინეთუხუცესიშვილს სხვა პიესებიც ჰქონდა დაწერილი, მაგ. „არშიყნი“ და „ანჩხლი ცოლი“, მაგრამ ცენზურას მათ დაბეჭდვაზე უარი უთქვამს.

---

413 **მაქსიმე ბერძნიშვილი**, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980, გვ. 226.

414 **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 18-19, წერილი 10.

415 ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 15.

მეღვინეთუხუცესიშვილის სხვა პიესებიდან აღსანიშნავია - „ექიმბაში“, რომელიც 1876 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა[416]. 1869 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა „კატა აწონა“[417], ხოლო 1870 წელს - „უბედური მოარშიყე“[418].

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი სამწერლობო ასპარეზზე იმ დროს გამოჩნდა, როდესაც ქართული დრამატურგია ის-ის იყო ფეხს იდგამდა და ახლად დაარსებულ ქართულ თეატრშიც თითო-ოროლა ავტორის (გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, ივანე კერესელიძე) გარდა, ძირითადად, უცხოურიდან ნათარგმნი პიესებით გადიოდნენ ფონს. ამიტომ, მაყურებელიც შინაარსობლივი და იდეური ნაკლოვანებების მიუხედავად, იმას უფრო იღებდა, რაც მისთვის ნაცნობი და გასაგები იყო.

სწორედ ამ ფაქტზე მიანიშნებდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და „დროების“ რედაქტორი სერგი მესხი: „...უცხო ენებიდამ ნათარგმნი პიესები ჩვენს სცენაზე საზოგადოდ ვერ ხეირობენ ...ამის გამო, ჩვენის აზრით უკეთესი იქნება, რომ ჯერ-ჯერობით მაინც, ჩვენმა ტრუპპის მოთავეებმა უპირველესი ყურადღება ორიგინალურ, ადგილობრივ ცხოვრებიდამ ამოღებულსა და ჩვენი ხალხის ხასიათების გამომხატველ პიესებს მიაქციონ და ამ გვარი პიესები წარმოადგინონ ჩვენ ჯერ ნორჩს და ახალგაზრდა სცენაზე.

სხვა მაგალითები რომ არ მოვიყვანოთ, თვით გუშინდელი[419] წარმოდგენაც ცხადათ გვიმტკიცებს ამ სიტყვების ჭეშმარიტებას: „ჟორჟ დანდენის“ შემდეგ ითამაშეს უფ. მეღვინეთხუცესის ვოდევილი „კატა აწონა“. რაღა თქმა უნდა, რომ „ჟორჟ დანდენი“ ერთი-ათად უფრო ხელოვნურიც, უფრო სასცენოც, უფრო ნიჭიერადაც დაწერილი თხზულება არის, ვინემ „კატა აწონა“ ...მაგრამ საკმაო იყო მხოლოდ ის, რომ ეს ვოდევილი ჩვენი ცხოვრებიდამ არის, რომ სცენაზე გამოდიან ჩვენი ნაცნობი სომხები; გლეხები, ქალები, რომ აქ გამოხატულია ჩვენებური ხალხისათვის გასაგები მოქმედება, ტირილი და სხვა, რომ საზოგადოებას აღტაცებითა და ტაშისკვრით მიეღო ეს უაზრო ვოდევილი. რას იზამ! კაცს იმის დანახვა და გაგონება უფრო ესიამოვნება და ეადვილება, რაც იცის, რასაც იცნობს“[420].

ბუნებრივია, მსახიობიც იმას თამაშობდა უკეთესად, რაც მისთვის მახლობელი იყო და არა გადმოთარგმნილი. ამიტომ, ზემოაღნიშნულ წარმოდგენებში მსახიობების შეფასებისას, სერგი მესხი თუ „ჟორჟ დანდენში“ მოთამაშე ცნობილ მსახიობებს: მაშო ყიფიანსა და ნატო გაბუნიას როლების შესრულებას უწუნებს, სრულიად

---

416 იხ: **დიმიტრი მეღვინეთხუცესოვი**. ექიმბაში, თფილისი 1876.

417 იხ: გაზ. „დროება”, 25. 09. 1869 წ. № 39; გვ. 1-4.

418 „დროება”, 05. 03. 1870 წ. №9; გვ. 1-4.

419 იგულისხმება 1879 წლის 19 სექტემბერი, ამ დროისათვის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო.

420 **სერგეი მესხი**, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1964, გვ. 227-228.

განსხვავებულია „კატა აწონას“ „აკტიორთა“ შეფასებაში: „ყველამ ისახელა თავი, ყველამ ჩინებულად შეასრულეს თავის როლები, უფ. მაჩაბლიდამ დაწყებული უფ. ცაგარელამდინ, რომელნიც ჯერ გლეხის როლებს თამაშობდნენ და ვაჭრებისას. მაგრამ კარგზე უკეთესად ითამაში ნ. გაბუნიას ქალმა (ლალუა, ყაზარას ცოლი), რომელმანც სწორედ ნამდვილ ხელოვნურად წარმოგვიდგინა სომხის ქალის ხასიათი; განსაკუთრებით იმის ტირილის დანახვა ერთ რამედ ღირდაო“[421].

დიმიტრის საყოფაცხოვრებო ხასიათის კომედიებში ასახულია იმდროინდელი „სომხური“ ბურჟუაზიის თვისებები საქართველოში. თუმცა, „სომხობა“ ამ შემთხვევაში არ გულისხმობდა აუცილებლად ეთნიკურად სომეხს. „სომხობა“ ეს იყო გრიგორიანული აღმსარებლობის ვაჭარ-ხელოსანთა ფენა ეროვნების მიუხედავად. ქართველთა „გასომხებამ“ მასიური ხასიათი მიიღო XIX ს-ის 30-იანი წლებიდან და მრავალი მიზეზით იყო განპირობებული: 1) ქართველი გლეხი, ან ხელოსანი გრიგორიანულ აღმსარებლობაზე გადასვლით თავისუფლდებოდა ბატონყმური ვალდებულებებისაგან, სოციალურ კატეგორიას იცვლიდა და ვაჭარი ხდებოდა; 2) გრიგორიანობის მიღებით, როგორც ვაჭარი იგი თავისუფლდებოდა სამხედრო ბეგარისაგან; 3) გრიგორიანობაზე გადასვლა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს წარმოშობდა; 4) გრიგორიანობაზე გადასვლით მას შედარებით ნაკლები საეკლესიო ვალდებულებები ეკისრებოდა[422] და სხვ. მისი საერთო დამახასიათებელი თვისებები იყო: სიძუნწე, მლიქვნელობა, სიცრუე, მომხვეჭელობა, ფულისადმი თაყვანისცემა, უკიდურესი ხელმომჭირნეობით ცხოვრება, მეშჩანობა, საკუთარი ქალიშვილების ბედით (სასიძოს ასაკის მიუხედავად) მაღალ საზოგადოებაში დამკვიდრების მცდელობა, ქართული წეს-ჩვეულებებისადმი ცინიკური დამოკიდებულება და სხვ.

ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური ცვლილებები (სავაჭრო კაპიტალის დაგროვება, თავადაზნაურობის, როგორც სოციალური ფენის ეკონომიკური დეგრადაცია, სომხური ბურჟუაზიის დაწინაურება და სხვ.) ნოყიერ ნიადაგსა და სამუშაო მასალას აძლევდა ქართულ დრამატურგიას. ერთი მხრივ, პოლიტიკურ პრივილეგიას კვლავ ფლობს თავადაზნაურობა, მაგრამ ეკონომიკურ ძალაუფლებას იგი თითქმის მთლიანად უთმობს ახლად წარმოშობილ ბურჟუაზიას. როგორც ითქვა, მათი ძირითადი ნაწილი ეთნიკურად სომეხი, ან გასომხებული იყო. მათ მიმდინარე ცვლილებებს იოლად აუღეს ალღო, თუმცა, მხოლოდ ფულის დაგროვება საკმარისი არ აღმოჩნდა. პირიქით, დიდი რაოდენობით დაგროვებამ მათში ფულისადმი მონური თაყვანისცემა, მორჩილება და არნახული სიძუნწე გამოიწვია. „ახალი „გმირი“

[421] **სერგეი მესხი**, თხზულებანი, ტ. III, გვ. 228.
[422] **მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე**. ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება, თბ., 1999, გვ. 34.

ოჯახის წევრებს საშინელ სიღატაკეში აცხოვრებს, აიძულებს დღედაღამ მძიმე შრომას, აშიმშილებს. უფრო მეტიც, იგი საკუთარი თავის მიმართ ისეთივე ძუნწია, როგორიც სხვების მიმართ. ე. წ. ახალი „ბურჟუა“, როგორც დამგროვებელი მოქნილი და ნიჭიერია, მაგრამ სრულიად უცოდინარია როგორც მომხმარებელი“[423].

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილმა თამამად აუწყო ფეხი იმ ავტორებს (გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, ლავრენტი არდაზიანი და სხვ.), რომელთაც საზოგადოების რღვევის ზემოხსენებული პროცესი აქტიურად ასახეს თავიანთ ნაწარმოებებში. ამ მხრივ მელვინეთხუცესიშვილმა გააგრძელა ის ტრადიცია, რასაც ქართულ დრამატურგიაში საფუძველი გიორგი ერისთავმა ჩაუყარა ვოდევილების სახით. მისი პერსონაჟები გამოირჩევიან იმავე თვისებებითა და ქმედებებით, რაც გიორგი ერისთავის „გმირებისათვისაა“ დამახასიათებელი. ასევე საერთოა მათ პიესებში ქართულ-რუსული და ქართულ-რუსულ-სომხური დიალოგები და სხვ. თუმცა, სომხური ამ შემთხვევაშიც ნიშნავს, არა წმინდა სომხურ ენას, არამედ თბილისელი სომეხი ვაჭრის ადგილობრივ დიალექტს. მაგ. ერთ-ერთი სომეხი მწერალი იძულებული გამხდარა სომხურად ეთარგმნა ცნობილი სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანცის პიესა „პეპო“, რადგან პიესაში მოხსენიებული სომხური სიტყვები და დიალოგები სომხების უმრავლესობისათვის გაუგებარიაო[424].

მელვინეთხუცესიშვილის გამორჩეული ნაშრომია „კატა აწონა“. შესავალ ნაწილში ავტორი განმარტავს, რომ კომედიის სიუჟეტი „ხალხის ცხოვრებიდამ არის შედგენილი, ნამდვილი და არა მოგონილი“[425].

როგორც ჩანს, ნაწარმოების მთავარი გმირი ყაზარ „ბაღდასარიჩ“ წუწკოვი მართლაც რეალური პიროვნებაა. ნაწარმოების დასაწყისში მოტანილია თამასუქის შინაარსი, რომელიც ყაზარას ჩამოურთმევია გლეხ ბერიკაშვილისთვის ფულის სესხების სანაცვლოდ: „ათას რვაას ორმოცდახუთსა წელსა ქრისტეშობის ოცდა რვასა დღესა, მე ქვემორე ამისა ხელისმომწერელმა, უკუღმა სოფელში მცხოვრებმა სახელმწიფო გლეხმა ანდრია ბერიას ძემ ბერიკაშვილმა ავიღე ვალათ თქვენ მოქალაქის ყაზარა წუწკოვისაგან ათი მანეთი რუსის სირმა ვერცხლი; თუმანზე სარგებელი ორი კოდი წმინდა პური კალოზე გაძლიო თქვენი ჩანახით“[426].

ნაწარმოების სათაური მომდინარეობს წუწკოვის ცხოვრების ერთი სიუჟეტიდან. იგი ბაზრიდან სახლში აგზავნის ნაჩუქარ ორაგულს, რომელიც მის მეუღლეს

---

[423] **დ. გამეზარდაშვილი**, ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1974, გვ. 204.

[424] **ამბერკი გაჩეჩილაძე.** ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, გვ. 223.

[425] ხეც, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 23.

[426] ხეც, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 23.

ლალუას მოეწონება და მთლიანად შეჭამს, მაგრამ ქმართან თავს იმართლებს ,,კატამ შეჭამაო". ძუნწი ყაზარა, მეუღლეს არ უჯერებს და კატას წონის, ,,თუ ერთი ჩარექა გამოვა, ლალუა მართალია, კატას უჭამია, თუ ნაკლები მოვა, ლალუა ტყუის, ის ჭამდა".

ყაზარ ,,ბაღდასარიჩს" საკუთარ ოჯახში ცოცხის ყიდვაც კი ენანება, რადგან ამ ნივთს ზედმეტად მიიჩნევს, ჩექმისათვის ფული ვერ გაუმეტებია და ,,კალოშებით" დადის, მაგრამ ამის აღიარებას ერიდება და ფეხების ტკივილის აბრალებს. ამის პარალელურად, ვალად დაუყოვნებლივ აძლევს მეზობელ გლეხს - ანდრიას ათ თუმან ფულს ორი კოდის პურის სარგებლით.

ყაზარას, თუმცა სწავლა-განათლება მიღებული არა აქვს წერა-კითხვის მეტი, ფულის მოგება ძალიან ეხერხება და ,,მეტის-მეტი ანგარიშის კაცია", ამიტომ მეზობელი გლეხებისაგან მოითხოვს, რომ ,,ყაზარ ბაღდასარიჩის" სახელით მიმართონ. ამის მიუხედავად, ისე კვდება, რომ მისი ოჯახი ალიზის სახლს ვერ ეღირსა, ექიმსაც კი არ დაუძახა, რადგან ,,ფული უნდა მივსცე მუქთად, არ მიწამლებს, თუგინდ კარგი მეგობარი იყოსო". სიკვდილამდე 10 დღის განმავლობაში შიმშილობს, რომ ფულით სავსე ზანდუკი არ გახსნას და უმემკვიდრეოდ მიდის ამ ქვეყნიდან. სამაგიეროდ, მისი ქონება 18 ათას თუმან თეთრ ფულს შეადგენს, ორი ორმო წმინდა პური ,,სამას კოდამდინ", ორასი კოკა ღვინო, სამი ათასი თუმნის მამულები, ვექსილები, თამასუქები მისი ქონების არასრული ჩამონათვალია.

მისი გარდაცვალებისთანავე ყაზარას ქვრივსა და დებს შორის ქონების გამო დავა იწყება, მაგრამ სოფლის ეშმაკი მოხელეები და ტერტერა ყაზარას ქონებას მოხერხებულად ხელში იგდებენ და რძალ-მულს მშრალზე ტოვებენ.

ამბერკი გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს ,,კატა აწონა" იმავე 1845 წელს უნდა დაედგა. მკვლევარს არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ 1880 წლისათვის, როდესაც ეს პიესა ცალკე წიგნად გამოიცა, ავტორს უხერხულობა უგრძვნია, თარიღი ,,ათას რვაას ორმოცდა ხუთსა წელსა" ამოუღია და მის ადგილას წერტილები დაუსვამს, იმ მოსაზრებით, რომ 1880 წლისათვის ბატონყმობა უკვე გაუქმებული იყო და ძველი თარიღის დასმა მიზანშეწონილად აღარ მიუჩნევია[427].

მსგავს სიუჟეტზეა აგებული კომედია ,,ვიჭაკი"[428]. პიესის მონაწილეები ქართველები, რუსები და სომხები არიან. მოქმედება თბილისში მიმდინარეობს. ქართული საზოგადოების საყვარელ ადგილად ავლაბრის ბაღები ქცეულა, სადაც

---

[427] **ა. გაჩეჩილაძე**. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, გვ. 321.

[428] ვიჭაკი - მკითხავი ძველ თბილისში, რომელიც ამაღლების წინა დღეს მიდიოდა ავლაბარში სამკითხაოდ და განსაკუთრებულ რიტუალს ასრულებდა.

ლხინითა და დროსტარებით იქცევენ თავს. ამის ფონზე ახალგაზრდა ქართველ ქალებს (კეკელა, სოფიო, კატინა (ეკატერინე) არ მოსწონთ, რომ მათი უფლებები შეზღუდულია და მათ ბედზე გადაწყვეტილებას მოხუცი მშობლები იღებენ (თუმცა, უსიტყვოდ ემორჩილებიან) და შენატრიან კაცებს, რომლებიც მათ თვალწინ თავისუფლად ატარებენ დროს და გამკითხავი არავინ ჰყავთ.

აქვე ჩანან მთვრალი რუსი ოფიცრები, რომელთაც არ ესმით ქართველი ქალების თავდაჭერილობის მიზეზი და ამას მათი ჩამორჩენილობით ხსნიან.

პიესაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია სომეხი ეროვნების რომან იაკულიჩ შაჰყულოვს, რომელიც მუდმივად დასცინის ქართველებს დროსტარების შედეგად დროის ფუჭად კარგვის გამო და ვერც იმას ეგუება, რომ მის ერთადერთ ქალიშვილს „ტანცებისათვის“ მანეთები ეხარჯება.

შაჰყულოვი ხშირად არღვევს ამქარში დადგენილ წესებს და კონკურენციის არათანაბარ პირობებში აყენებს ამქრის სხვა ვაჭრებს, მაგრამ ამას არ ჯავრობს, რადგან მისი ცხოვრების მთავარი პრინციპია: „ფული არის, სულიც სამოთხეში არის“. დიალოგებში ასევე კარგად ჩანს მისი ფსიქიკა და საზრისი „მუშტრისა“ და ამქრის სხვა წევრების მიმართ: „მუშტარმა ტო ყმაწვილმა არის, ერთმა კარგმა სიტყვამ რომ უთხრა დაჩუმდება, ადგება და წავა, თუ გითხრამს ტყუვილათ ამბობო, მაშინ რა უნდა უთხრა: ის თვალი დაბრმავდეს, რაც თვალმა გატყუებდეს თქო. ისიც დაიჯერებს, ეგონება შენი თვალები ამბობ, ის კი არ იცის, რომ იმის თვალები ატყუებენ და იმის თვალები დაბრმავდებიან. ამქარმა ჩვენსავით ვაჭარმა არის, ისიც ჩვენსავით მელამ არის. ისინი ჩვენ გვიჩივლებენ, ჩვენ იმათ ვუჩივლებთ“.

თუმცა, შაჰყულოვი მთლად დამშვიდებული მაინც ვერ არის, მუდმივად ეჩვენება, რომ ვიღაც ცდილობს მისი დუქნისა და ქარვასლის დაწვას, ტყავს აძრობს მოხელეს, რომელსაც დუქანი დაუკეტია, იმის გამო, რომ ავლაბარში სეირის სანახავად წასულიყო და სხვ.

რომან იაკულიჩი ოცნებობს თავისი ერთადერთი პელუა „აპელატიან“ რუსის მოხელეს მისცეს, რადგან ქართველები ბედოვლათები არიან. თავის მხრივ, შაჰყულოვის მეზობელ პეტრუსას სურვილი აქვს რომან იაკულიჩს ეშვილოს ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ასაკით მასზე უფროსია, მაგრამ როდესაც ეს არ გამოსდის, შაჰყულოვის ქალიშვილზე დაქორწინებას ცდილობს[429].

პიესაში მრავლად არის ჟარგონული სომხური და რუსული დიალოგები, რაც დამახასიათებელი იყო XIX ს-ის მეორე ნახევრის თბილისისათვის.

მართებულია ქალბატონ ეთერ ქავთარაძის შენიშვნა, რომ პიესა დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტის განვითარებითაც და გარეგნული ფორმითაც.

[429] ჟურნ. „ცისკარი“, 1869 წ. ოქტომბერი, № 10, გვ. 11-73.

უკანასკნელი რემარკა ოთახში სხვა მოქმედი პირების შემოსვლას გვაუწყებს და მოქმედებაც წყდება. შესაძლოა, ავტორს მისი გაგრძელების განზრახვა ჰქონდა, მაგრამ ველარ განახორციელა[430].

სხვა კომედიაში „ანჩხლი ცოლი", ხაზგასმულია, ერთი მხრივ ყარამანის, ხოლო მეორე მხრივ - მისი დედისა და დის უბედურება, რომლებიც ძმასა და შვილს ყოველგვარი სიყვარულის გარეშე რთავენ ცოლს და მთელი ცხოვრება სანანებელი უხდებათ, რადგან რძალი კაპასი ადამიანი გამოდგება.

გამოსავალს პოულობს ყარამანის ნათლიმამა - თომა, რომელიც სოფელში ჩამოსულ იმერელს - გოგია კვანჭიხაძეს, ცოლად ყარამანის გონჯი დის - თეკლას შერთვას უპირებს, მაგრამ საქმე ისე მთავრდება, რომ იმერელს, გონჯი თეკლას ნაცვლად, საპატარძლო კაბაში გამოწყობილი ყარამანის ცოლი შერჩება[431].

თვით ნაწარმოებთა მთავარი მოქმედი პირების სახელები „ყაზარ ბაღდასარიჩ წუწკოვი", „ყარამან უბედურას ძე", „ომან საწყალიშვილი", „თომა მხიარულაძე" და სხვები, ნათლად გამოხატავენ გმირების ხასიათსა და განწყობილებას.

მოქნილი სიუჟეტის, მოქმედებების, სიტუაციის კომიკურობის, მოხდენილი დიალოგების და ტენდენციურობას მოკლებული ბუნებრივი თხრობის გამო, „ანჩხლი ცოლი" სამართლიანადაა მიჩნეული დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საუკეთესო პიესად[432].

ასევე დროის გამოძახილია პიესა „ექიმბაში" და ავტორის თქმით: „ეს კომედიაც წარმოადგენს ძველსა და ახალს დროებას". იგი ღრმად იდეური ნაწარმოები არ არის და მოცემული პერიოდის პრობლემატიკით ხასიათდება: მოსახლეობაში განათლების დაბალი დონე, ჩაცმისა და ქცევების გამო თაობათა შორის წინააღმდეგობა, ჟარგონული მეტყველება და სხვ. მიუხედავად ამისა, ავტორი ახერხებს ეპოქის სათქმელ-სატკივარი მკითხველამდე ნათლად მოიტანოს: სამედიცინო ტრადიციებითა და ლიტერატურით ცნობილ ქვეყანაში, მიმბაძველობით, მოსახლეობის მკურნალობა ვიგინდარებსა და ავანტიურისტ ექიმბაშებს აუღიათ საკუთარ თავზე, რის გამოც, პიესის ერთ-ერთ მონაწილეს – თინათინს ათქმევინებს: „კიდეც ეგ არის, რომ სულ ამგვარი წამლობით ვიტანჯებით, რა უჭირდა ჩვენს ძველ კარაბადინს, რას არ იპოვით იმაში, მაგრამ ახლა სხვა დროა და სხვა ხალხი, „ციცინათელაც სინათლეს

---

430 **ეთერ ქავთარაძე**, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დრამატული მოღვაწეობიდან, „მაცნე" საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, № 4 (49) თბ., 1969, გვ. 151.

431 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 43.

432 **ეთერ ქავთარაძე**, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დრამატული მოღვაწეობიდან, გვ. 151.

მისდევსო“, ვითომც ჩვენ ბნელში ვიყავით და ეხლა ყველა სწავლასა და განათლებასა ვცდილობთო“[433].

პრობლემის მიზეზი მოსახლეობის დაბალი განათლებაა, რაც პიესის დასკვნით ნაწილშია გადმოცემული ერთ-ერთი მონაწილის მიერ და ავტორის მთავარ სათქმელსაც წარმოადგენს: „აბა თქვენი ჭირიმეთ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამისთანა ცრუ და უსინდისო და გაუნათლებელს ხალხში; ვის მიენდობით და ვისგან ინუგეშებთ შეწუხებული, სულ მოტყუება და ოინბაზობა არის, რაც უნდა მდიდარი იყოთ, ვერცხლითა და ოქროთი მაინც ვერ მოიპოვებთ ამ სოფელში მყუდრო პატიოსან ცხოვრებას“[434].

პიესა პერსონაჟებით მდიდარი არ არის და სულ რვა მონაწილე ჰყავს: მდიდარი მებატონე დურმიშხან დიდგვარიძე და ტრადიციების მიმდევარი მისი მეუღლე ქეთევანი, რომელთაც ერთადერთი მემკვიდრე ჰყავთ, 22 წლის სულელი და გონებაჩლუნგი მიხაკო. მიუხედავად ამისა, მშობლებს სურთ, შვილი დააქორწინონ და სარძლოს მიმართ საკმაოდ პრეტენზიულები არიან.

პიესის მეორე მხარეა გადამდგარი პოლკოვნიკი, დამბლადაცემული და ენაბლუ მილენტი ფილიპიჩ ბარანოვი, მისი ქართველი მეუღლე თინათინი და ქალიშვილი სოფიკო, რომლის მოდასაყოლილობა და ევროპული ჩაცმულობა არ მოსწონს ძალუას –ქეთევანს (სოფიკო დურმიშხან დიდგვარიძის დის შვილია).

ქეთევანსა და სოფიკოს შორის კამათის კიდევ ერთი თემა ლიტერატურა და ტრადიციებია. ქეთევანი „ვეფხისტყაოსანის“, „ვისრამიანის“, „ქართლის ცხოვრების“, „დავით გურამიანის“ (sic:), „სიბრძნე სიცრუის“ მოტრფიალეა, ხოლო ახალგაზრდა სოფიკოს „საქალვაჟო“ ლექსები, „ევროპულად“ და „ახალმოდურად“ ჩაცმა უფრო მოსწონს.

პიესის „მთავარი“ მოქმედი პირი ექიმბაში მოლა ბაირამოღლია, რომელმაც ქართული ძალზე ცუდად იცის, მაგრამ „პაციენტები“ მრავლად ჰყავს და ერთნაირი მეთოდებით მკურნალობს ცოლის მოყვანის სურვილით ვნებაატანილ სულელ მიხაკოს, სოფიკოს, რომელსაც „ძილი და მოსვენება“ არა აქვს და „გულის ფრიალი“ დასწყებია და ლოგინად ჩავარდნილ გადამდგარ პოლკოვნიკს – მილენტი ბარანოვს.

ექიმბაშის მკურნალობის ფორმა შელოცვაა, ხოლო „მედიკამენტი“ - ყინვარ-შაქარის წვენი და სახამებლით შეზავებული წყალი. იგი ტიპური თვითმარქვია და ავანტიურისტია, თავს ისპაჰანელ მკურნალად აცხადებს, სინამდვილეში თავრიზიდან გამოპარული ლოთია, მაგრამ თავისი „მაგიის“ წყალობით შემოსავალი რიგიანი აქვს.

---

[433] **დიმიტრი მელვინეთხუცესოვი**. ექიმბაში, თფილისი 1876, გვ. 27.
[434] **დიმიტრი მელვინეთხუცესოვი**. ექიმბაში, გვ. 30.

პიესის დასკვნით ნაწილში ექიმბაშის ვინაობას და საქმიანობას ფარდა ეხდება და მისი გაძევებით სრულდება, მაგრამ ავტორი სათქმელს აქ არ ამთავრებს, პრობლემა რჩება, რადგან საზოგადოების მთავარი საზრუნავი მხოლოდ სიმდიდრის მოხვეჭა არ უნდა იყოს და მისი საშველი განათლებაშია. ავტორის „გულისტკივილსაც“ პიესის ერთ-ერთი მონაწილე დურმიშხანი ამბობს ეპილოგში: „ეჰ, მართლად უთქვამს გონიერს:

„ამა სოფლისა ცხოვრება,
ვერცხლით არ მოიპოება,
მდიდარნიც ბერნი ყოფილან
ოხრად რჩენიათ ქონება“[435].

დიმიტრი ხშირად სარგებლობდა სამსახურებრივი მდგომარეობით და ფურცელზე გადაჰქონდა პრაქტიკაში მომხდარი შემთხვევები. მაგ. მოთხრობაში „ოხერს ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო“, საუბარია დავაზე, რომელიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქვრივსა და მაზლს შორის მიმდინარეობს ქონების გაყოფასთან დაკავშირებით[436].

გარდა პიესებისა, ცნობილია დიმიტრის რამდენიმე ლექსიც („ნამდვილი შემთხვევა“[437], „ტურფა, იგივე ყოვლით მშვენიერი“[438], „მახარობელი გაზაფხულისა“[439] და სხვ.), რომელთაც „ცისკარში“, „დროებასა“ და სხვა გაზეთებში აქვეყნებდა. ამ ლექსებში ადამიანური გრძნობების გარდა, ეროვნული სიძველეების მიმართ მისი დამოკიდებულებაც კარგად ჩანს. მაგ. ლექსი „მოგონება, ანუ სამნი დრონი საქართველოსი“, დიმიტრის დაუწერია 1848 წელს, ბროსესათნ ერთად კიმოთესუბნის მშვენიერი ეკლესიის ხილვისას, რომელიც მიტოვებული და მძიმე მდგომარეობაში დახვედრიათ:

„შორს რასმე ალაგს, სად მთანი დიდნი
აყუდებულან ტყით დაბურვილნი,
მცირესა ველზე
ორს მტკიცე სვეტზე
სდგას მშვენიერი აქ ეკკლესია
რომელს არ უჩანს ვის ულესია,
ვისი არს შრომა, ოდეს არს ქმნული
ვისგან შეჰქმნია კარნი დახშულნი...“

---

[435] **დიმიტრი მეღვინეთხუცესოვი**. ექიმბაში, გვ. 31.
[436] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 14.
[437] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 47.
[438] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 46.
[439] ხ ე ც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 6.

დიმიტრის სევდიან ფიქრებს აღუძრავს ეკლესიის მახლობლად შავი ფრინველის ჭიკჭიკი, იგი საკუთარი ქვეყნის ბრწყინვალე წარსულს და შემდეგდროინდელ თავს დამტყდარ უბედურებებს ახსენებს.

იგი საქებარ სიტყვებს არ იშურებს თამარის დროინდელი საქართველოს შესახებ, აღტაცებით იხსენებს ერმრავალსა და სვებედნიერ ქვეყანას, ბედნიერებას ანიჭებს „ამაყად ზრდილნი ყრმანი“ და „კეკუც ქალთა სინაზე“:

„...შავო ფრინველო, შოშიას მსგავსო
შენმა ჭიკჭიკმა გული აღავსო.
ნეტარ რას იტყვი ეგრეთ მყეფარე
რა იქნებოდა ეს არემარე?
ნუ თუ ოდესმე დროსა წარსულსა
მეფა თამარის, სახელ განთქმულსა
როს ერნი მრავლად, აქ ჰყოფდნენ შვებას,
ახლა მომითხრობ შენ მათსა ქებას?
მათსა სიამეს, ჩვეულებასა
მათ ერთგულებით მეფის ხლებასა,
მათთა სიმხნესა, ძლიერებასა
მათ მხიარულთა, ჭირთ მოკლებასა,
აქ ორნივ ბევრნი,
ჭაბუკნი, ბერნი,
იყვნენ სტკბებოდნენ, სვებედნიერად.
ყველა იგინი,
ვაჟკაცნი, გმირნი
ამოდ სცხოვრობდნენ, სრულ კადნიერად
სად არს ის ერნი,
ტკბილად მომღერნი,
სულით შექმნილნი,
აწ უკვე მტერნი
როს მტერს საკვდავად მიესეოდნენ
სძლევდნენ და სჩეხდნენ, ხმლითა მხნეობდნენ
ურთიერთშიგან აღირეოდნენ
გრგვინვით ძახილით თჳთ ხმიანობდნენ
გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს ა
ღ ვ თ ი ს ვ ე დ რ ე ბ ა ს ა.
და ბრძოლის შემდგომ შინ მშვენიერად
ჩამორიგებით ისხდნენ სამღერად“.

მაგრამ ქვეყნის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ავტორი სწუხს, რომ ძველი დიდება წარსულს ჩაბარდა, რომ ერთ მუშტად შეკრული ქვეყნის სხვადასხვა

კუთხეები ერთმანეთის მტრად ქცეულან, ამიტომ შავი ფრინველიც მის ქვეყანას მოშორებია და „მწარედ იგლოვს“:

თუმც მოგონებით გახელებული
მოსთქვამ უწყალოდ დაწყლულებული,
მაგრამ ვინ არის შენი მსმენელი
ვინ არს ნუგეშის, აწ მომცემელი“.

სტრიქონების ავტორს შვებად ისღა დარჩენია, რომ ყური მიუგდოს მგალობელ ფრინველს და საამური მოგონებებით დატკბეს:

მაშ გააგრძელე ეგ შენი სტვენა
და მით დამიტკბე მე ყურთა სმენა“[440].

დიმიტრის პოეზიაში ზამთარი უიმედობის, სევდის აღმძვრელია, ხოლო გაზაფხული და ზაფხული გამოღვიძების, სიხარულის, იმედის. იგი ხშირად მიმართავს სიმბოლოებს, ალეგორიებს. ყვავილებში ყველაზე მეტად შროშანს გამოარჩევს, ხოლო ფრინველებში - ბულბულსა და გუგულს:

„მე გლახ ბედ კრული,
ზამთრით დაგული,
ვზივარ ცრემლითა,
ღაწვ სისველითა,
...მაგრამ რადგანცა აწ დაგინახე
ახლა სურვილი სრულ მიმეფარა
მომიხარობლე ზაფხულის სახე,
კარგი ანბავი წვრილად და წყნარი“
(„შროშანი“)[441].

„ის ყვავილი გულისა,
მსგავსი ჩემის მწველისა,
ოდეს აღმოცენდება?
ა, გული მას ეღირსა.
ოდეს ველნი და მთანი,
მწვანით შეიმოსება?
წალკოტნი საამონი
მათვე თანა მოჰყვება
სად არს ახლა ბულბული,
და ან ტურფა გუგული?

---

[440] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 48, დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში”, 06. 03. 1869 წ. № 10, გვ. 4. იგივე ლექსის სახეშეცვლილი ვარიანტი დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარში” (1860 წ. №7, გვ. 217). ბოლოში მინაწერის მიხედვით, დიმიტრის ეს ლექსი დაუწერია 1859 წლის 05 ივნისს.

[441] „ცისკარი”, 1859 წ, № 4, გვ. 223.

მათი სწრაფი ნახვისთჳს,
მარადის სუნთქავს სული“
(„მიანბე“)[442].

ლექსს „სევდისა გუნდი შამომხვევიან“ შოთა რუსთაველის სიტყვები აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული გრძელი ამბის ლაკონიურად გადმოცემის ოსტატობის შესახებ („გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის...“). როგორც ჩანს, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს ამ მხრივ მართლაც ბევრი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ მის აღიარებასა და მკითხველის წინაშე გამოტანას ერიდება. იგი საწუთროს ამაოებასა და პოეტის მძიმე ხვედრს გადმოგვცემს, რომელიც ბედისწერის სასტიკ ხვედრს ვერ გაქცევია და მწუხარება მისი ცხოვრების თანამგზავრი შექმნილა. საზოგადოებამ იგი გარიყა და სევდიან ფიქრებთან მარტო დარჩენილა[443], მაგრამ იგი უიმედოდ არ არის და ფიქრობს, რომ ოდესმე ტანჯვა ლხინად გადაექცევა:

„სევდისა გუნდნი შამომხვევიან,
ველარ გავექეც სასტიკსა ხვედრსა;
ორბებსავითა გულთ ჩამფრენიან
და მიშფოთებენ ჩემს სიცოცხლესა.
საითაც წაველ, ეს მწუხარებს
მიბნელებს გულსა და არ მშორდება!...
მაგრამ ვნუგეშობ, იქნება ოდეს
ეს ჩემი ტანჯვა ლხინად შემექცეს.
მაშინ კი სხვაფერ ვილაპარაკებთ
სიმღერას ვიტყვით პირუთვნეველსა;
ბევრს რამეებსა შეგატყობინებთ
სანატრელ დრომდის დაფარულებსა...
იქნება მკითხოთ, თქვენ ჩემო ძმებო!
„რასა სტირიო, რას მწუხარებო?“
ვსტირი იმასა, რომ ვერ გამიგეთ
და ჩემს ფიქრებთან მარტოკა მიშვებთ“
(„სევდისა გუნდნი შემომხვევიან“)[444].

დიმიტრიმ კარგად იცის, რომ ქვეყნის სიმტკიცის საფუძველი გონიერი მეფის ხელისუფლება და მოხელეთა კეთილსინდისიერებაა. ისტორიულ მოთხრობაში „ღირსახსოვარი“, ამ ფაქტს ხაზგასმით აღნიშნავს:

„სამეფოს მტერი ვერ დასძლევს

---

[442] „ცისკარი”, 1859 წ, № 4, გვ. 222.

[443] შესაძლოა ამითაცაა განპირობებული, რომ დიმიტრის საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია. როგორც ქვემოთ ვნახავთ, 30 წლის განმავლობაში სასამართლოში უწევდა დავა ნათესავებთან ქონებისა და მამულების გამო და სხვ.

[444] „დროება”, 1868 წ. 12. 01, № 2, გვ. 2.

თუ მეფის სახლი მშვიდია,
სალაროს მისსა რა დალევს
თუ არ ვეზირი ფლიდია“[445].

გორიჯვრისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში ამბობს:

„...გარს მიერტყმიან მლოცველნი და ისმის მათგან ხარობა,
მამწონს ძველთაგან დანაშთი ესრეთი ჩვენი გვარობა“[446].

როგორც ზემოთ მოტანილი სტრიქონებიდანაც ჩანს, დიმიტრი წარსულის იდეალიზაციას ახდენს. ერთ-ერთი ლექსის ხელნაწერიდან („ნამდვილი შემთხვევა“) ჩანს, რომ იგი იყენებდა ფსევდონიმს „გვარგრძელი“[447].

როგორც ითქვა, დიმიტრი დაახლოებული იყო ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის - ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან (ზემოთაც აღინიშნა, რომ დიმიტრის უფროსი და - ნინა ალ. ჭავჭავაძემ მონათლა). ნინო ჭავჭავაძის სილამაზეს (გრიბოედოვის ქვრივს) მან სპეციალური ლექსიც („ოდესმე ნინა გრიბოედოვისას“) კი უძღვნა:

„ნახეთ! ნინას რის სპეტაკ გულს, ვით დაეცა თოვლი ქულად?
მას ეგონა სითეთრითა, ჰყოფდა ტურფას დაჩაგრულად;
მაგრამ რა ნახა მალიად, ეს თვისი შეცთომილება;
დადნა მეტისა სიმორცხვით და ცრემლად იწყო დინება“[448].

დიმიტრის შემოქმედებაში ცალკე უნდა გამოვყოთ სატრფიალო პოეზია, რომელსაც ავტორმა არა ერთი ლექსი უძღვნა. ლექსი - „წიგნი მისაწერი“, სატრფოსაგან შორს მყოფი უიმედო მიჯნურის მძიმე სულიერ მდგომარეობას ასახავს:

„გულით და სრულის გონებით, შორიდამ მოვახლოვდები,
თავს დაგტრიალებ შვენებავ, შენს წინა გამოვცხადდები,
დაგხარი, გეტრფი და გულით ალებრად მოვემზადები
შენს სურვილს ტკბილად ვიგემებ, ჭირამცა მომეხადები
თუ ჩემს ანბავსა იუწყებ არა რა მოგელხინება
უშენოდ მყოფსა მტირალსა, ცრემლები მომედინება
ზოგჯერ დამდგარნი გუბენი, ღაწვზედან დამეყინება
ჟამი შემქმნია საბრალოდ სიცოცხლე მომეწყინება“[449].

სამწუხაროდ, ლექსში დაკონკრეტებული არ არის, ვის ეძღვნება, მაგრამ იგი რომ დიმიტრის შეყვარებულობის ჟამსაა დაწერილი, ფაქტია.

სხვაგან („ტურფა, იგივე ყოვლგნით მშვენიერი“) ნათქვამია:

„...იგი სჭვრეტდეს ვით მზე მანათობელნი

---

445 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 17.
446 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 7, გვ. 2.
447 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 47.
448 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 44.
449 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 44, გვ. 8.

ვისი თვალნი ზღვის ლოცვას ეგონება
ესაუბროს სირინოზებრ მხმობილნი
მას შეჰხარის ჩემი გრძნობა-გონება“[450].

გარდა პროზაული ნაწარმოებისა, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილმა ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობის თემას მიუძღვნა პოემა „მხედარი და ზინეიდა“, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1859 წელს[451], რუსების მიერ შამილის დატყვევების შემდეგ. როგორც აღინიშნა, დიმიტრი აღწერილი მოვლენის თვითმხილველია, ნაწარმოებს წამძღვარებული აქვს მინაწერი: „ჭეშმარიტი შემთხვეულება კავკასიასა შინა ტინჟაზე 1845 წელს“.

პოემაში აღწერილია, რუსის ჯარში მებრძოლ და დაღლილ-დაქანცულ ქართველ მხედარს თუ როგორ იწვევს საკუთარ სახლში და მასპინძლობს ჩეჩენი ქალი და შამილის წინააღმდეგ მებრძოლ მის მეუღლეს - ხაზიმ დუნდუკოს ქართველთან ყონაღობას[452] სთავაზობს. სუფრაზე მიწვეული ქართველი ადგილობრივებისაგან იგებს, შამილის მხარდაჭერის გამო თუ როგორ გაანადგურეს რუსებმა მათი 500 კომლიანი სოფელი და მასპინძელს ძმები დაუხოცეს, მაგრამ საუბარში ისიც ხაზგასმული და დაგმობილია, როგორ აიძულებდა შამილი ჩეჩნურ სოფლებს ჯარისკაცების გამოყვანისა და ბეგარის გადახდის მიზნით. ყონაღობის წესისამებრ, სტუმარ ქართველს ჩეჩენი მასპინძლები სოფლის განაპირამდე აცილებენ.

დიმიტრიმ იცის, რომ ქართველებსა და ჩეჩნებს შორის მხოლოდ კეთილგანწყობილებას არა აქვს ადგილი, მით უფრო კავკასიის ომის დროს, მაგრამ იგი კარგად წარმოაჩენს კავკასიელი ხალხების წმინდათაწმინდა ტრადიციებისადმი პატივისცემას და სტუმარ-მასპინძლების რეალურ განწყობილებას, რომლებიც კარგად ხვდებიან, რომ სხვის ომში არიან ჩართულნი. ეს დამოკიდებულება იგრძნობა ნაწარმოების ეპილოგშიც:

„ეს ვნახე ამას გიანბობთ, საამურისა ენითა,
ვარდი მოვკრიფე, თუცაღა, ეკალნი ჰგლეჯდნენ კბენითა“[453].

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პროზაული ნაწარმოებები და ლექსები არ გამოირჩევიან ღრმა იდეურობით, მახვილგონივრული რითმით, წყობით და ფართო აღიარებაც არ მოჰყოლია. თუმცა, ისინი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ეპოქის მაჯისცემის, განწყობისა და იმდროინდელი საზოგადოებრივი აზროვნების შესახებ.

---

450 ხ ეც, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 46.
451 ჟურნ. „ცისკარი”, 1859 წ. № 8, გვ. 253-261.
452 ყონაღობა - კავკასიის მთიანეთში გავრცელებული წმინდა ტრადიცია ძმადნაფიცობის შესახებ. ძმადნაფიცები ხშირად ხდებოდნენ სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლები, მაგ. ქართველი და ჩერქეზი, ჩეჩენი, ინგუში და სხვ.
453 „ცისკარი”, 1859 წ. № 8, გვ. 261.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი და ხიდისთავი

დიმიტრი არა მარტო ბევრს აკეთებდა მშობლიური სოფელ ხიდისთავში სკოლის, ბანკის დაარსების, აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა და ქველმოქმედების მიზნით, არამედ აქტიურადაც წერდა სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე „ივერიაში“, „დროებაში“, „სასოფლო გაზეთში“, „Кавказ“-ში.

„ჰავა აქვს მრთელი, წყაროები ცივი, გემოიანი, მდინარე წყლები მტკვარი და ტანა კალმახიანი ...პური და ღვინო ნაქებიო“, წერდა იგი მშობლიური სოფლის ღირსებებზე 1868 წელს[454].

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისა და მისი სიძის – იოსებ მამაცაშვილის ინიციატივით, მთელს შიდა ქართლში ერთ-ერთი პირველი სკოლა ხიდისთავში გახსნილა 1867 წლს 8 ნოემბერს. მამაცაშვილი ამ დროს გუბერნიის გლეხთა საქმის სასამართლოს წევრი და „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ ყოფილა და თანამდებობრივადაც ერგებოდა სოფლის საჭიროებაზე ზრუნვა, მით უფრო, მეუღლის მშობლიურ სოფელში. მას, მართლაც, მოსწავლეთათვის დაურიგებია სასწავლო სახელმძღვანელოები და მოსახლეობისათვის აუხსნია „სწავლა რა სარგებლობას მოუტანს და არწმუნებდა, რომ მმართველობას შეეწიონ ხალხის სწავლისა და სიმდიდრის საქმეში“[455]. სკოლისათვის შენობა ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ ჰქონია შერჩეული. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს, დაუნახავს რა, მოსახლეობა „ფრიად მოსურნე ყოფილა შკოლის გახსნისა“, საკუთარი სახლი დაუთმია მათთვის უსასყიდლოდ, სანამ მთავრობა შესაფერის შენობას გამონახავდა[456].

როგორც ცნობილია, 1867 წელს დაიწყო ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, რომელსაც ხიდისთავის საერთო ჭალაში, კალოებსა და საბძლებში გაუვლია და „ორი დესეტინა და ათას ოთხას ორმოცდაცხრა საჟენი შეუწირავს“. ამის გამო, ხელისუფლებას ხიდისთაველებისათვის „თვრამეტი თუმანი, ცხრა მანეთი, სამი აბაზი და ერთი შაური“ მიუცია.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ინიციატივით, სოფლის მოხელეებს გადაუწყვეტიათ საერთო ფული სოფლის „საზოგადოების ცხოვრების განკეთილებისათვის“ მოეხმარათ და სკოლა, პურის საზოგადო მაღაზია და ღვინის მარანი გაემართათ, რათა სოფლის გაჭირვებულ მოსახლეობას ჭირისა და ლხინის სუფრების გასასტუმრებლად „უზომო სარგებელით“ ვალი არ აეღო. ასევე, „ობოლი

---

[454] ჟურნ. „სასოფლო გაზეთი“, 23. 07. 1868 წ. № 21; გვ. 2.
[455] გაზ. „დროება, 15 (27) დეკემბერი 1867 წ. № 50, გვ. 4.
[456] გაზ. „დროება, 17. 12. 1876 წ. № 137, გვ. 2-3.

გამოვზარდოთ, ღარიბი შევინახოთ და მკვდარი დავმარხოთ, უძლურის მოხუცებულისათვის ვიზრუნოთო", ნათქვამი იყო განცხადებაში[457].

ამ შემთხვევაში სოფლის მოხელეები მკვდრის, ან ქორწილის პატრონს საზოგადო ქონებიდან ფულს, პურსა და ღვინოს აძლევდნენ საჭიროების მიხედვით, იმ პირობით, რომ დანიშნულ დროზე სრულად ჩააბარებდა და დამატებით სამი დღე იმუშავებდა სოფლის სასარგებლო საქმეზე.

რადგან მთავრობისაგან გადმოცემული თანხა საკმარისი არ იყო, მოხელეები მოსახლეობას მოუწოდებდნენ თავიანთი ინიციატივითაც შეეტანათ საზოგადოების ანგარიშზე, სამაგიეროდ ჰპირდებოდნენ: „ჩვენი საზოგადოება თავს იდებს, რომ ვისაც ფული შემოუტანია და შემოიტანს ამ კეთილსა და ჩვენის საზოგადო სასარგებლო საქმისათვის, იმას წელიწადში თუმანზედ ოთხი მუშა კაცი თავის მამულის შესამუშავებლად ყოველთვის ვაძლიოთ უფასოდ ჩვენის საზოგადოებიდამ ათ წლამდე". ათი წლის შემდეგ ფულის პატრონს შეეძლო საკუთარი „სათავნო" ფული უკლებლივ მიეღო.

საზოგადოებას ასევე დაუდგენია: „სოფ. ხიდისთავში მცხოვრებელმა ვენახის პატრონმა გლეხმა უნდა შემოიტანოს ამ სოფლის სასამართლოში საზოგადო სასარგებლოდ ვენახზედ სამი თუმანი თავნად ამ თავით ნაღდად ანუ თამასუქი, რომ სოფლის საზოგადო სასარგებლო ფულიდამ ისესხა სამი თუმანი ათი წლის ვადით იმ პირობით, რომ წელიწადში თუმანზედ სარგებელი კოკა ტკბილი ჩვენ, სოფლის მოხელეებს ჩაგვაბაროს და როდესაც ღვინის მოსავალი სრულებით არ მოვიდეს, იმ წელიწადს თუმანზედ სამი მანეთი ფულად შემოიტანოს მოუცილებლად და ვენახის პატრონს ჩვენც მოხელეებმა უნდა ვაძლიოთ ჩვენის საზოგადოებიდამ წელიწადში თუმანზედ ოთხი კაცი მუშა, ესე იგი სამ თუმანზე თორმეტი მუშა უფასოდ თავის მამულის შემუშავებისათვის ათ წლამდე". ათი წლის შემდეგ ვენახის პატრონს შეეძლო საკუთარი ფული (სამი თუმანი) უკლებლად მიეღო. თითო კომლ ვენახის პატრონს წელიწადში სამი თუმნის სარგებელი სამი კოკა ტკბილი, ანუ ცხრა მანეთი ხვდებოდა, ხოლო უმამულო კაცს თორმეტი მუშა ანუ, „სამი მანეთი და სამი აბაზი".

სოფლის საჭიროებებისათვის ასევე გათვალისწინებული იყო მოემზადებინათ ოთხი გლეხის შვილი და ორისათვის - დურგლობა, ხოლო ორისათვის - მჭედლობა ესწავლებინათ.

იმის გამო, რომ ადგილობრივ გლეხობას მოწეული მოსავლის რეალიზება არ გასჭირვებოდა, ვაჭრობისათვის შემდეგი წესი დაუდგენიათ: სოფელში სავაჭროდ მოსული კაცი პირველად უნდა გამოცხადებულიყო სასოფლო სასამართლოში, სადაც

[457] ჟურნ. „სასოფლო გაზეთი", 1868 წ. № 17, გვ. 6-7.

სოფლის მოხელეები მოიწვევდნენ სოფლის ხალხს და გაარკვევდნენ ვის რა ჰქონდა გასაყიდი, ასევე იდებოდა შეთანხმება ფასსა და საწყაოზე.

ნათქვამი რომ ქაღალდზე არ დარჩენილიყო, საზოგადოების ანგარიშზე პირველი თანხა - „ხუთი თუმანი“ დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილს შეუტანია[458].

დიმიტრის მშობლიური სოფლის პრობლემების მოგვარებაში მხარში უდგნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ ახლობლები და ასევე ცნობილი ადამიანები: გენერალ-მაიორი იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი და ისტორიკოსი – დიმიტრი ბაქრაძე. შემთხვევითი არ იყო, რომ მთელი თავის ქონება ხიდისთავში მემკვიდრეობით მეღვინეთხუცესიშვილმა სწორედ ბაქრაძეს დაუტოვა[459]. როგორც წინა თავში აღინიშნა, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს ეკუთვნის ხიდისთავის მთავარი დღესასწაულის „ახალჯვრობის“, სოფელში ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესიის, თვით ჯვრისა და სხვა სიძველეების აღწერა და ა. შ.

[458] ჟურნ. „სასოფლო გაზეთი“, 1868 წ. № 17, გვ. 6-7.

[459] იხ: **იოსებ ალიმბარაშვილი**. ორი დიმიტრი და ხიდისთავი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნ. „ჩვენი უნივერსიტეტი“, №2(28), თბ., 2015, გვ. 38-41.

ქველმოქმედება

დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი ბევრს ზრუნავდა ეკონომიკურად გაჭირვებულების დახმარების მიზნით, როგორც პირადად, ასევე ცნობილ პირებთან რეკომენდაციების გზით, მიუხედავად იმისა, რომ მის შემოსავალს მხოლოდ ხიდისთავში არსებული ყმა-მამული და გორის სამსახურში არსებული მცირე ხელფასი წარმოადგენდა. 1852 წლის 12 ივლისს იგი მარი ბროსეს სთხოვდა დახმარება გაეწია ჯანმრთელობაშერყეულ პეტრე ქებაძისათვის, რომლის ერთადერთი სარჩო წიგნების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი იყო: „გთხოვთ უმორჩილესად უშუამავლოთ და შეეწინნეთ აკადემიაში ესოდენ შრომის მიღებისათჳს მიეცეს მას რაᲲმე ჯილდო, რადგანაც საკუთრივ თჳნიერ სხვა საქმისა, მხოლოდ ამ წიგნების გასასყიდლად აკადემიის ბრძანებით სცხოვრობს ტფილისში თავის ხარჯზე ქირით დაჭერილ სახლშიო“[460].

როგორც ითქვა, დიმიტრიმ გაუწია რეკომენდაცია მარი ბროსესთან 1856 წელს შემდეგში ცნობილ ქართველ ისტორიკოს – დიმიტრი ბაქრაძეს. აღნიშნულ წელს ბაქრაძემ დაასრულა მოსკოვის სასულიერო აკადემია და გორში დაიწყო მოღვაწეობა სამაზრო სასწავლებლის „სმოტრიტელად“ (მეთვალყურედ). აქვე დამეგობრებულა ორი დიმიტრი. „დიაღ დიდი შრომისმოყვარეა და ცდილობს საქართველოს სიძველეთა განცხადებას“, სწერდა აკადემიკოს ბროსეს ახალგაზრდა მეგობრის შესახებ მელვინეთუხუცესიშვილი[461].

ბროსესადმი მიწერილ სხვა წერილში იგი ონისიმე იოსელიანის შეწევნას ითხოვს: „იმედი მაქვს ძალიან შეეწევით, რადგან ქართველნი გიყვარან. ეგეც ქართველი კაცია გადმოვარდნილიო“[462].

1856 წელს, თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, პეტერბურგში სასწავლებლად წასულა დიმიტრის დისშვილი – ზაქარია მამაცაშვილი. დიმიტრი ფრანგ აკადემიკოსს სთხოვს მფარველობა და მამობრივი მზრუნველობა გაუწიოს მის დისწულს და დაეხმაროს უცხო ენების („ფრანციცულის“ და ლათინურის) შესწავლაში. მარი ბროსეს მართლაც კარგად მიუღია ახალგაზრდა, საკუთარ შვილადაც შეურაცხავს[463]. გარდა ამისა, „ჩემი შვილიც წლეულს განმწესდება უნივერსიტეტში და მსურდა ორივე ყმაწვილთა ერთმანეთის ცნობა და მეგობრობაო“,

---

460 **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 24, წერილი 13.
461 **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 30, წერილი 16.
462 იქვე, გვ. 9, წერილი 2.
463 ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 18.

ატყობინებს ბროსე დიმიტრის[464], მაგრამ ახალგაზრდას პეტერბურგის ნესტიანი ჰავა ვერ აუტანია და მალევე უკან გამობრუნებულა იმპერიის დედაქალაქიდან.

როგორც ითქვა, მეღვინეთხუცესიშვილი იყო ქველმოქმედი, ინიციატორი და სულისჩამდგმელი ყველა იმ სასარგებლო წამოწყებისა, რაც მის მშობლიურ სოფელ ხიდისთავში განხორციელდა XIX ს-ის 60-70-იან წლებში.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი იმ იშვიათ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლისთვისაც ცხოვრების მთავარი მიზანი საკუთარი ქვეყნის ისტორიის ჯერ კიდევ „გადაუშლელი ფურცლების“ აღმოჩენის, შესწავლისა და პოპულარიზაციის კეთილშობილური სურვილი ამოძრავებდა და სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანი იყო. „სხვა არა მინდა რა, არც ჩინი, არც ჯვარი, არც მადლობა, ცარიელი ფულით შემწეობის მეტი, რომლითაც მქონდეს ღონისძიება შევკრიბო რაᲝცა საქართველოს ღირსი სახსოვარია მიფარებულიო“, ნათქვამია ბროსესადმი 1849 წლის 27 დეკემბერს გორიდან გაგზავნილ წერილში[465].

[464] ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი № 18.

[465] **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 15, წერ. № 7.

დავა მამულებისათვის

მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრის მამა-პაპისაგან დიდი რაოდენობით მიწა დარჩა და ცხოვრება არ უნდა გასჭირვებოდა, ეს მიწები მთელი ცხოვრება სადავო გაუხდა და მისგან დიდი ენერგია წაიღო.

ამ დავაში დიმიტრი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩაერთო. 1836 წლის 17 სექტემბერს დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთხუცესიშვილი და მისი და - ნინა მამაცაშვილისა ხიდისთავში მაცხოვრებელ გლეხებს ნასყიდა და თევდორე მაწონაძეებსა და მათ შვილებს: ივანეს, გაბრიელს, დავითს და იოსებს, წარსული დამსახურებისა და ერთგულების სანაცვლოდ აძლევენ მიწასა და ხელწერილს: „რადგანცა წინაპართაცა ჩემთათვის გქონიათ თქვენ დაუშრომელი ერთგულებითი სამსახური, და აწცა ჩემზედანა ყოფთ უმეტესსა სამსახურსა; და რადგანცა (ამისათვის) ჩემს მამა პაპათა არ აუღიათ თვისსა დროებასა შინა არარამე კუთვნილთა თქვენდამი ორთა ვენახთა ზედა კულუხნი და მეცა არა ძალმიძს თქვენის ერთგულების გამო არა აღმოგიკვეთოთ იგი აღმოკვეთილი კულუხნი და მომავალთაცა ჩემთაგან არა გეთხოვებოდეთ თქვენ ზემო აღნიშნულთა ვენახებთა ზედან კულუხნი.“ პირობის წიგნს ხელს აწერს დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთხუცესოვი, თანხმობას აცხადებს ნინა კონსტანტინეს ას. მამაცოვისა (დიმიტრის და - ი. ა), საბუთის დამწერია გრიგოლ კარიჭაშვილი“[466]. თუმცა, აღნიშნული შეღავათები მაწონაძე-მეღვინეთხუცესიშვილებს შორისაც მოგვიანებით სადავო გამხდარა და მაწონაძეებს 1867 წელს სასამართლოში სარჩელი შეუტანიათ. სასამართლოს მეღვინეთხუცესიშვილი გაუმართლებია, იმ მოტივით, რომ „საბუთი ნასყიდობის შესახებ, რომელიც გაცემული იყო დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ხელმოწერით, შედგენილი იყო მემამულის მცირეწლოვანობისას“[467].

დიმიტრის მიწა სადავო გაუხდა ნათესავებთან: ვასილ, ლუარსაბ (ლუკა) და გიორგი მეღვინეთხუცესებთანაც. მიუხედავად იმისა, რომ მეღვინეთხუცესები 1814 წელს გაყრილან და სასამართლოს მიწაც ორივე მხარისათვის განაჩენით მიუსაკუთრებია, კონფლიქტი საბოლოოდ ვერ ამოწურულა. ჯერ კიდევ 1836 წლის 17 დეკემბერს დიმიტრისა და ლუარსაბ სვიმონის ძე მეღვინეთხუცესიშვილებს შეთანხმების პირობა დაუდვიათ, საიდანაც ჩანს, თუ რა იყო სადავო ობიექტი:

ა) დავა ჰქონიათ ხიდისთავში არსებულ ქვიტკირის სახლის „ალაგზე“, დარბაზზე თავისი ნაგებობებით (სათონე, მარანი ქვევრებით და ბოსელი), რომელიც იმ დროისათვის ეკუთვნოდა დიმიტრის ყმა მაწონაძეს. შენობის გარდა ტერიტორიები

---

[466] **ი. უთურაშვილი**, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX ს-ის II ნახევარში (გორის მაზრის მასალების მიხედვით). თბ., 1957, გვ. 41.

[467] **ი. უთურაშვილი**, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია..., გვ. 41-42.

საზღვრებით: ჩრდილოეთით – ლუარსაბის მამის მიერ აშენებული მარნის ჩრდილო კედლის გასწვრივ, აღმოსავლეთით დიმიტრისა და მაწონაძის საერთო ვენახების გზამდე, დასავლეთით ლუარსაბის ვენახის ბოლომდე, ხოლო ჩრდილოეთით ლუარსაბისა და დიმიტრის სახლებს შუა მდებარე გზამდე დიმიტრის მიუცია ლუარსაბისათვის „საუკუნის სამფლობელოთ"[468].

დიმიტრის დარჩენია ასევე „საუკუნოს სამფლობელოთ" ლუარსაბისა და მისი მამის – სვიმონისაგან აშენებული მარანი ზედ მიდგმული ოთახით, სათონით, ბოსლითა და საბძლით, ფიცრული ოთახით, მაწონაძის კალო-საბძლით და ტერიტორიები, რომელიც ხსენებული მარნის ჩრდილოეთ მხარეს გაიტანდა სწორი ხაზით. აღმოსავლეთით - ბატატაშვილის ვენახისა და ლუარსაბის სახლს შუა მდებარე გზამდე, დასავლეთით – ლუარსაბის ვენახის, ხოლო სამხრეთით - მაწონაძისა და დიმიტრის ვენახებამდე. დიმიტრისა და მაწონაძის ვენახებში სასიარულო საერთო გზა უნდა დარჩენილიყო ძველებურად. ასევე საერთო სარგებლობისა იყო ლუარსაბის სახლსა და დიმიტრის სახლისა და ბაღს შუა გამავალი გზა.

ბ) რადგან ზემოთ აღწერილი ლუარსაბის მამის აშენებულ მარანში ჩაყრილი ქვევრები დიმიტრის რჩებოდა, დიმიტრის ლუარსაბისათვის იგივე ტევადობის და იმდენივე ქვევრი უნდა მიეცა.

გ) მდინარე ტანის პირას მდებარე მამა-პაპისეულ ხოდაბუნს იყოფდნენ შუაზე;

დ) ხიდისთავის რუს პირზე მდებარე ერთი დღის სავენახე, რომლის გვერდი ქიტესა კატაპარიაშვილს ეჭირა, რჩებოდა დიმიტრის.



[468] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 1, გვ. 9.

დოკუმენტს ბოლოში მინაწერი აქვს: „1853 წლის 25 დღის აქტი (რუსულად) ტანის პირზედ ხოდაბუნი, გამოვაცხადე დავა, ნახევარი ჩემია ლუკას გაყიდული ათრევის პირზე $1^1/_2$; ერთი დღის მიწა ხეჩიკაშვილისეული იქვე.

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე, დიმიტრისა და ლუარსაბს შორის სადავო ტერიტორიების საერთო ნახაზი შემდეგნაირად წარმოგვიდგება (იხ: სქემა).

დიმიტრი ხვდებოდა, რომ 1814 წლის სასამართლო განაჩენი ბიძაშვილებთან ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას სტოვებდა, ამიტომ ახალი სასამართლო პროცესისათვის სერიოზულად მომზადებულა. მას ძველი განაჩენის თითოეული მუხლი სათითაოდ გაუანალიზებია და სათანადო პასუხებიც მიუწერია. იქვეა მინიშნებული, თუ რა დოკუმენტი უნდა წარმოედგინა მოსამართლის, ან ოპონენტის კითხვის დასმის შემთხვევაში.

გარდა იმისა, რომ ისინი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ხიდისთავში, ატენსა და წედისში იმ პერიოდში მაცხოვრებელ მოსახლეობასა და მიწის ხარისხებზე, საბუთებში ფიგურირებენ საქართველოში გავლენიანი ვაჭრები და მოქალაქეები: თუმანოვები (თუმანიშვილები), ზუბალოვები (ზუბალაშვილები) და სხვ. დოკუმენტების დედნებში სიტყვებისა და წინადადებების ნაწილი გადახაზულია, რასაც სათანადო ადგილას მივანიშნებთ. ასევე ვიცავთ ენობრივ სტილს:

„პირველი პუნქტის პასუხი მაწონაძის ორ ვენახზე: გლეხი მაწონაძე სერგო 1814 წელს სუდის განაჩენით თავისი თავის მამულითა, ესე იგი ორის ვენახითა ოცდარვა დღის სახნავი მიწებით, სახლკარბინადრობით ხიდისთავში და ძველის მამაპაპისეულის წედისში ნასახლარებით, იმ მამულებითა, რაც 1814 წლის შემდგომ სჭერია მაწონაძეს. დასამტკიცებლად ამისა, წარმოვადგენ სუდის განაჩენის კოპიოს და და უსტავნი გრამოტას რომლის შესადგენლად ზემლემერმა მოიყვანა ადგილობრივ ცნობაში ზმონით ჩემგან გასულის კაცების მამულები რაც ეჭირათ საკუთრად განთავისუფლებამდე.

ამ მაწონაძის ფარდათ გიორგის მამას სვიმონს ერგო <u>იმავე განაჩენით</u> (მონიშნული ადგილი გადახაზულია - ი. ა.) პეტრე ლუკაშვილი თანასწორის რიცხვით, როგორც სულებითა, ეგრეთვე იმდენივე მამულითა რაც მაწონაძეს ჰქონია <u>ესე იგი ოცდარვა დღის სახნავის მიწითა</u> (გადახაზულია - ი. ა.) ბარის ვენახით, ამათგან ერთი დღესაც უჭირამს ლუკაშვილს, მეორე ამავე გლეხმა მიჰყიდა 1834 წელს ორი დღის სახნავის მიწით გორელს გიორგი ნებალაძეს. იხილეთ განაჩენი. შეფარდებული ესევე ლუკაშვილი განათავისუფლა გიორგის ძმამ ლუკამ 1848 წელსა ანდერძის წერილით თავის ზემო თქმულის მამულებითა <u>და გაუყიდა კიდევ საერთო ჩვენი ექვსი დღისა სახნავი მიწა რომელთა შორის</u> (გადახაზულია - ი. ა.). სახნავი მიწების სიას ამასთანავე წარმომადგენელს ვთხოვ რაც მომეტებული მიუცია, ლუკას

ამის სამაგიერო უნდა მომეცეს მე გიორგისაგან, რომელიც ედავება ლუკაშვილს ამ მიწას“[469].

ზემოთ მოტანილი აბზაცის მარცხენა გვერდზე, სიტყვების: „იმდენივე მამულითა, რაც მაწონაძეს ჰქონია“ გასწვრივ მიწერილია: „თავის სახლკარ ბინადრობით და ნასახლარებით წედისში, როგორც სულები, ეგრეთვე ვენახები მიწები და ნასახლარები, რომელთაც დღეს უწოდებენ წედისში მაწონაძის ნასახლარებს, ლუკაშვილის ნასახლარებს“.

„მეორე პუნქტის პასუხი: ჩემი კაკლების ხილის ბაღი, სადაც სახლებია მამიჩემისაგან აშენებული, მერგო 1814 წლის სუდიის განაჩენით და რაღა სალაპარაკოა ესე. იხილეთ განაჩენი (ფანქრით მიწერილია „ამისი სამაგიერო უჭირამს გიორგის“).

„მესამე პუნქტზე: ამოწყვეტილის ნინუა ჩიტუაშვილის ვენახი, რომელიც გაყრის წინათ ამოწყვეტილის, როგორც სწერს თვით გიორგი და მისივე მიწები სარწყავით. ამ ვენახებით და მიწებით გიორგი ჩიტუაშვილი, რომელიც რგებია 1814 წელს სვიმონს, უმამულოთ მიუყიდნია სვიმონსავე შემდგომ გაყრისა მამული შიოშ თუმანიშვილისათვის და დღესაც ისევ თუმანიშვილს უჭირავს ხსენებულის მამულებითა. ამ მამულების ნახევარი უნდა მომეცეს გიორგისაგან, რადგან ამოწყვეტილის ბეითალმანი მამულები თომასაგან შეძინებული არის და დარჩენილი განაჩენის გარეთ გასაყოფად“.

„მეოთხე პუნქტზე. სოფლის ქვევით რუსთან მდებარე ჩემი კაცის ტეტუაშვილისა ერთი დღის სავენახე მიჰყიდა დიმიტრიმ კატაპარიაშვილს.

ეს მიწა ბეითალმანის რიცხვშია. მართლა მე მივყიდე კატაპარიაშვილს 1841 წელსა დამტკიცებული კუპჩით როგორც ჩემი საკუთრება, რადგან 1814 წლიდამ იყო მამიჩემისა და ჩემს საკუთარ მფლობელობაში. ამისივე მეორე ნახევარი ერთის დღისა მიუყიდნია იმავე კატაპარიაშვილისათვის გიორგის მამას სვიმონს როგორც თავისი მხვედრი წილი ბეითალმანი. ამგვარ მიწებს გიორგი ტყუილად არქმევს თავის საკუთრებად ჩიჩიძე (?) ტეტუაშვილისა არისო, მათუა მჭედლიძისა არისო და სხვ. ტეტუაშვილი არის ნარგები რვა დღის სახნავი მიწებით, ერთის ვენახით, რომელიც იმ დღიდამ აქამდე რაც დღეს უჭირამს. მათუაშვილი ცხადად სჩანს 1814 წლის განაჩენში უმამულოთ ლუკაშვილზედ დადებული სულების შესასწორებლად. გარდა ამისა, იმის უმამულობა თვით სვიმონიც აცხადებს გაყრის დროს და ანბობს მჭედლიძე მათუა ბოგანოა და დაფიცებულნი ხალხიც ასე ანბობენ.

სხვა მიწები დღეს რაც მიჭირამს, რომელთაცა მოიხსენიებს გიორგი ასევე სიაში იყო ჩემი მხვედრი გლეხებისა 1814 წლის წინათაც და შემდგომაც, თუმცა ამ მიწებზე

---

[469] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი № 1, გვ. 1.

გლეხებმა წარადგინეს თავთავიანთი საბუთები მირვის პოსრედნიკს, მაგრამ გუბერსკის პირი სუდიამ გადაწყვიტა ჩემზედ და მომეცა ამის ნახევარი სამეოთხედოთ ამას იხილავთ უსტავნის გრამოტაში. ამდენივე რიცხვი მამული ერგო გიორგის მამას სვიმონს თავისი მხვედრი გლეხები. იმათგან გლახა ჩიტუაშვილი, გიორგი ჩიტუაშვილი განაჩენ შემდგომ მიჰყიდა სვიმონმა თავად შიოშ თუმანოვს პირველი თავის მამულით, მეორე უმამულო ბეითალმანის მიწებით ერთის ვენახით და 6 დღის მიწით. (ფანქრით მიწერილია - „კიდევ გაყრის შემდეგ“ - ი. ა.) კიდევ გიორგის ძმამ ლუკამ განათავისუფლა 1848 წლის ანდერძის წერილით გლეხი ლუკაშვილი ოცდათხუთმეტის დღის სახნავის მიწებით, რომელთა სიას წარმოვადგენ და დაუწერია შენის მოძრავითა და უძრავის მამულებითა. დანარჩენი გიორგის გლეხებს უჭირავთ 14 დღისა. ესენი ხომ სულ ცნობაში მოვიყვანოთ

გაყიდული ჩიტუაშვილებისა ათი დღისა - 12;

ლუკაშვილისა ოცდათხუთმეტი დღისა - 35

დღეს რაც სუტსკი გრამოტით გიორგის კაცებს უჭირამთ ამის კაცებს 14, სულ - 59.

ჩემიც და ჩემის კაცებისაც არის, რაც შეადგენს $57^3/_4$ ზემლემერისაგან გაზომილი.

ამას გარდა, გასაყოფია რაც უჭირავს გიორგის თავისი და ლუკასი მოხსენიებული ჩემ სიაში. ისინი არიან თომასაგან შეძინებული ბეითალმანი განაჩენ გარეთ დარჩენილი, რადგან ზოგი სადაო იყო, ზოგი მიწები დაჩემებით გვეჭირა და მე შემდგომ ლუკამ აღარ დამანება. ამა მიწებში ლუკამ მიჰყიდა თავისი ნახევარი 6 დღის ხოდაბუნი მღვდელს დავიდოვს შინაურის წერილით, ჩემი ნახევარი უჭირავს გიორგის, ეს უნდა მამეცეს სრული.

ლუკამ მიჰყიდა კიდევ გლეხს ვანიშვილს გორასთან მიწა ერთის დღისა, ამის სამაგიეროდ უნდა მომცეს გიორგიმ ამბრიაშვილისეული ვენახი და მიწა ეხლა ბაღათ შეღობილისა უნდა მომეცეს ნახევარი ურწყავებისა ყველგან საწისქვილო, რადგან გიორგი ანბობს, ზუბალოვმა ჩადგა წისქვილიო, მაშ გასაყოფი აღარა გვქონია. თუმცა, ჩვენ მამებს შეუტანიათ ერთი საწისქვილო ატენის მამულიდამ.

მაწონაძის მოცვლილ სახლკარში მაკლია გიორგის საბძელი, ეს უნდა მომეცეს და გასწორდეს”[470].

მთელ დოკუმენტზე (მინდორზე) მარცხენა მხარეს მიწერილია ფანქრით: „№55. სარწყავ მიწებზედ და ვენახზე ამაოდ მოიგონებს სხვა მიზეზებს და ითხოვს სხვა მიზეზების საქმის გაგრძელებისათვის და ითხოვს ეკითხოს იმას, ვისაც ჩამოვართვით, უკეთუ ამათგანი რომელიმე მიწა გამოურთმევია ვისთვისმე ძალით თუ სამართლით.

470 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი № 1, გვ. 1-5.

საბუთი უეჭველია იქმნებოდა ჩვენი მამაპაპეული თომას შემონახული, მაშასადამე რაღა საჭიროა ეკითხოს ვისმე. უმჯობესი არ იქნება თითონ წარმოადგინოს რომლის საბუთებით ჩამოართო და ვენახის გაკეთებაზედ რა ხარჯი მოსვლია, ამ ზომის სარგებელი გიორგიმ”[471].

ვერც ხსენებულმა სასამართლომ მოაწესრიგა დიმიტრისა და მისი ბიძაშვილების მიწაზე სადავო საკითხები. ამჯერად ლუარსაბის ძმა - გიორგი ედავება მამა-პაპისაგან დანატოვარ მამულებს.

1870 წელს შედგენილ სიაში დიმიტრის თითოეული მამულის გასწვრივ ნაჩვენები აქვს მიწის რაოდენობა და ხარისხი, დავის შედეგი და სხვა. ზოგიერთ მამულს გვერდით აქვს მინაწერი, რომლითაც დაკონკრეტებულია მისი იმჟამინდელი მდგომარეობა და მიწის გადაცემის თარიღი. ნომერაცია მისდევს რუსული ანბანის მიხედვით.

„დღეს მე რაც მამა-პაპეული თომა მეღვინეთხუცესიშვილისაგან შეძინებული მამულები მაქვს გასაყოფი ჩემს ბიძაშვილს გიორგი სიმონიჩთან ამის ქვეით აღიწერება:

სარწყავი მიწები წედისის ბეითალმანი

1. А) ერთი დღისა კაკლის მიწის ახლო კარიჭაშვილის ბეითალმანი;
2. Б) ერთი დღისა კაკლის მიწა;
3. В) სამი დღისა ჯებირის სამზღვარზე;
2. Г) ორი დღისა აღმა მიწა;
1/2 Д) ნახევარ დღისა მეორე კაკლის მიწა;
2. Е) ორი დღისა სარკეების მიწა;
1. Ё) ერთი დღისა ქვაშავში.

ხიდისთავის ბეითალმანი

$1^1/_2$ Ж) ნახევარი დღის მიწა ფშატის ხოდაბუნები ქვევით;
$3^1/_2$ З) სამ-დღე ნახევარი კოლოტაური;
3 И) სამი დღის ვერხვის მიწა;
2 Й) ორი დღის ათრევის პირზე
12 К) თორმეტი დღის ხოდაბუნი წედისის ბოლოს;
11 Л) თერთმეტი დღის ფშატის ხოდაბუნი წედისში;
М) რვა დღის მიწა კინკიბაურა;
Н) ოთხი დღისა ლომიურის მიწა;

---

471 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი № 1, გვ. 1-5.

O) ერთი ვენახი ამბრიაშვილისეული და იმასთან იყო ტალევერი ჩარექი შემოღობილი მიწა წემოხსენებულის ნაფუზვრის ნაჭერი სულ სამი დღისა სამზღვრებით ერთი საწისქვილო, რომელი უჩვენებია სვიმონს 1814 წელს.

„ Л“ ნომერს გვერდით აქვს მინაწერი: „ესენი ორმოცდაათის დღის ხიდისთავის ბეითალმანის რიცხვში გვაქვს ჩაბარებული და დღეს გიორგის უჭირავს“. ასევე, „O“-ს გასწვრივ მიწერილია: „ამ ვენახზე დაწყებული დავა თომასაგან 1802 წელში ჩაგვბარდა ვენახათ 1809 წელსა ორის დღისა, მესამე გიორგიმ გააკეთა 3/4 დღისა“.

<u>ურწყავი მიწები</u>

ღვიურა, ერეთა, ხვედელა და ციხეთ უბანი თავისი ტყითა და საძოვრით, მაგალითად ხუთას დღიურზე მეტი და ქვის საჭრელი მადანი, სულ ეს ზემოხსენებული ღირს ხუთას თუმან მეტათ;

გარდა ამისა, საერთო მამულებიდამ გიორგის ძმას აწ გარდაცვალებულს ლუკას და იმის მამას სვიმონს გაუყიდნია ექვსი დღის ტანის პირას ხოდაბუნი აწ გარდაცვალებულს მღვდელს დიმიტრი დავიდოვზედ. ერთი დღისა სარწყავი გორს შინა მაწონაძის მიწასთან ჩიტეულაში ატენელ ბერი ივანიშვილზე, ორი დღისა ლომოურში ქახვრელელ მინდიაშვილზე,

<u>ოთხი დღისა კინკიბაურა ხიდისთავის ბეითალმანები</u>

1814 წლის განაჩენით ნარგები უმამულოთ გიორგი ჩიტუაშვილს გააყოლა ხუთის დღის სარწყავი მიწები და ერთი დღის ვენახი ხიდისთავში, ეს სვიმონ მეღვინეთხუცესმა მიჰყიდა განაჩენ შემდგომ შიოშ თუმანიშვილს.

მინაწერი ბოლოში:

„ამას დაუმატებ რაც მე და მამაჩემს თავის სიცოცხლის დროს გვეჭირა დაჩემებით საკუთრად

4. კინკიბაურაში ოთხის დღისა;
2. ლომიურში ორის დღისა ჩემი გიორგი (ჩამატებულია) ჭობორლისა განაჩენი 1814 წ. ნარგები;
6. ნახევარი ტანის პირის ხოდაბუნისა;
$5^1/_2$ ნახევარი ფშატის ხოდაბუნისა;
$3^1/_2$ სამდღენახევრისა კოლოტა, ამას ზოგჯერ სამ დღეს მოხნამდნენ ხოლმე;

2. ორის დღისა ათრევის პირზე/ ამდენივე სვიმონს ეჭირა საკუთრად. სხვა მიწებს რიგრიგად ხნამდნენ სვიმონ და მამაჩემი კონსტანტინე.

ვენახი და ნაფუძვარი საერთო მფლობელობაში იყო.

18 ივლისი 1870 წელი“[472].

---

[472] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი № 1, გვ. 9-13.

როგორც ვხედავთ, დავა მეღვინეთუხუცესიშვილებს შორის მიწის თაობაზე 50 წელზე მეტ ხანს მიმდინარეობს. დიმიტრის, როგორც წინდახედულ კაცს, საბუთში თითოეული მიწის გვერდითვე მიუწერია ვისზე, რამდენად და რა პირობებში გაყიდეს სვიმონ, ლუკა და გიორგი მეღვინეთხუცესიშვილებმა მამა-პაპისეული მიწები.

წერილები ასევე საინტერესოა ხიდისთავში იმ დროისათვის გავრცელებული ტოპონიმების თვალსაზრისით. დიმიტრი ისეთ ტოპონიმებსაც ასახელებს, რომლებიც სხვა დოკუმენტებში არ ფიქსირდება, მაგ: „აღმა მიწა", „სარკეების მიწა", „კინკიბაურა მიწა", „ვერხვის მიწა", „ლომიაურის მიწა" „ღვიურა", „ერეთა", „ხვედელა", „კოლოტაური" და სხვა.

ხსენებული დავა გაგრძელდა დიმიტრისა და გიორგის ვაჟს – ვასილ მეღვინეთხუცესიშვილს შორისაც, ამიტომ 1875 წელს, დიმიტრის სიძის – დიმიტრი ბაქრაძის თანადასწრებით და მამიდის – ელისაბედის (ელენეს) თანხმობით კიდევ ერთხელ დებენ „მორიგების წიგნს", სადაც აღნიშნულია, რომ 1814 წლის „სუდიის" განაჩენის გარდა, მათ გაუყოფელი ჰქონდათ ერთი საკომლო ორმოცდაათი დღის სარწყავი მიწები, ამბრიაშვილის მიმდებარე ვენახი, ურწყავი მიწები, ტყე და 6 მინდორი, რომლის გაყოფაზე მიმდინარეობდა საქმე ტფილისის „ოკრუჟნის სუდიაში".

დიმიტრის თავისი ნახევარი წილი სარწყავი მიწები და ვენახი თავის ბიძაშვილისათვის (ვასილ მეღვინეთხუცესიშვილისათვის) მიუყიდია ას თუმან ვერცხლის ფულად, იმ პირობით, რომ აღნიშნულ მიწებზე დავა უნდა შეწყვეტილიყო და დაწყებული საქმეები „დავიწყებას უნდა მისცემოდა".

ლომიაურის ურწყავი მიწები უნდა დარჩენილიყო ისევე, როგორც „შინაურის ბარათებით" იყო გიორგისა და ლუარსაბ მეღვინეთხუცესიშვილებისაგან გაყოფილი დიმიტრისთან, ხოლო ერეთას ურწყავები, ციხეთ უბანი, ხვედელა, ტყე და მინდორი, როგორც „ზემლემერი" გაყოფდა გარეშე მონაწილეებთან ერთად, შუაზე უნდა გაეყოთ. წედისში მეღვინეთხუცესიშვილების გლეხების – მაწონაძეებისა და ლუკაშვილისეული თავ-თავიანთი ურწყავი მიწებით უნდა დარჩენილიყო 1814 წლის მდგომარეობით. სხვა მამულები და სახლ-კარი „სუდიის" განაჩენით გაყოფილი რჩებოდა უცვლელად. მხარეები პირობას დებდნენ, რომ „დღეის შემდეგ ჩვენ ერთმანეთში აქ მოხსენიებულს მამულებზე დავა აღარ გვექნებაო"[473].

1877 წლის 23 იანვარს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს ბნავისში მცხოვრებ „სახელმწიფო კაცის" – ალექსი ივანეს ძე რუსიტაშვილისათვის დაუგირავებია „სამი ჩარექა სარწყავი მიწა თავის კაკლითა და ძველი საწნახლით ნასოფლარ წედისში - საზღვრებით: აღმოსავლეთით სოსანა ტეტუაშვილის ნადელი, სამხრეთით – შარა გზა, ჩრდილოეთით – თავად ალექსანდრე ერისთავის ვენახი ოთხ თუმან ვერცხლის

[473] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 5.

ფულად სარგებლის გარეშე. როდესაც ოთხ თუმანს რუსიტაშვილი გადაიხდიდა, მიწა იმავე მდგომარეობაში უნდა დაებრუნებინა მეღვინეთხუცესიშვილისათვის „ყოვლის ულაპარაკოთ“.

გირავნობის აქტს დასწრებიან დიმიტრი ჯომარდიძე, აბრამა ჩიტუაშვილი, ნიკო დოღუსაშვილი.

როგორც ჩანს, გირავნობის პირობა რუსიტაშვილისათვის იმდენად მომგებიანი იყო, რომ სასწრაფოდ საჭირო თანხის შოვნა გადაუწყვეტია. საქმეში დევს ალექსი რუსიტაშვილის წერილი მისი ძმის – დავითისადმი, სადაც იწერება: „ცამეტი (ალბათ - სამი – ი. ა.) თუმანი ვაძლივე და ერთი ძროხა, მეტი მე არ შემიძლია“, და ძმას სთხოვს სასწრაფოდ ოთხი თუმანი გამოერთმია ვინმე მექანაროვისათვის.

დიმიტრის გირავნობის თანხა ვეღარ გადაუხდია და ვალი მოგვიანებით მის დისშვილს, დიმიტრი ბაქრაძის მეუღლეს - ანა ბაქრაძეს გაუსტუმრებია. ზემოხსენებულ დოკუმენტს ახლავს მინაწერი: „1886 წელსა 31-სა კათათვესა მე სოფელს ხიდისთავში მცხოვრებელმან დავით მზარეულოვმან მივიღე ოთხი თუმანი ვერცხლის ფული ალექსი რუსიტაშვილის გარდასაცემლად იმისავე მინდობილობით თქვენ მებატონე ანნა იოსიფოვნა ბაქრაძისაგან“[474].

დიმიტრი, როგორც სასამართლოს საქმეებში ჩახედული კაცი, „ადვოკატის“ ფუნქციებსაც კისრულობდა. როგორც წინა წერილებიდანაც ჩანს, ხიდისთავის ნაყოფიერი მიწები, გლეხებთან ერთად, ჯერ კიდევ 1814 წელს დიმიტრის ბიძამ - სვიმონ მეღვინეთხუცესიშვილმა მიჰყიდა ცნობილ კომერსანტსა და გავლენიან პირს შიოშ თუმანიშვილს. შიოშის შთამომავლები შემდგომ თბილისში გადასახლდნენ, მაგრამ მიწა ხიდისთავში შეინარჩუნეს და ადგილობრივებზე იჯარით გასცემდნენ. ხიდისთაველებს თუმანოვების სოფელში არყოფნით უსარგებლიათ და მიწა ჩუმად მოუხნავთ, მაგრამ ერთგულ პირებს თუმანოვებისათვის ეს ამბავი უცნობებიათ. ისააკ თუმანოვის წერილის მიხედვით, სწორედ მისი ადვოკატის ფუნქციას ასრულებს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი. ისააკ თუმანოვი დიმიტრის სწერს: „...ურიგო მოქმედებაზედ ალექსიშვილისა, დღეს არზა გამოვაგზავნე მიროვოის სუდში, რომელიც მაქვს იმედი, მოახდენს კანონიერს განკარგულებას. იმ თხოვნის პირს ამასთანავე გიგზავნი. წაიკითხე და რაც საჭირო იყოს თუ შენ მხარეს, თუ არენდატორებისა - ჩემის მამულებისა მანდ იმოქმედეთ. არ ვიცი როგორ კეთილად დაინახამ შენ, რომ უკანონო მოხნული ალექსიშვილისაგან ჩემი მიწა ჩვენვე დავთესოთ - ამ საგანზედ მანდაურს სუდში საიდუმლო მოკითხულობა მოახდინე და როგორადაც გირჩიონ, ან სუდიამ ან ტერ-სტეფანოვმა - მისმა თანაშემწემ, ისე მოახდინე. ალექსა დოღუზაშვილმა სხვათა შორის გამომიცხადა, რომ მიწის გადახვნა დაფარვით

474 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 59.

ალექსიშვილისაგან მანდაურის სუდიებისათვის უცნობებიათ - შენ ამ საგანზედ არას მწერ, ეს საჭირო იქნება, თუ რა მოუხდენიათ ჩემ მყოფთ ყმათ - ესეც კი არის, უნდა გამოუცხადოს მანდაურ მოხელეთ: რომელ თვეში ანუ რიცხვში ალექსიშვილმა გადახნა ჩემზედ მონიჭებული მიწა (Присужденную мне землью).

...მაქვს იმედი, რომ ალიხანოვის კარების გამო, ჩემს მიწაზედ ასე მოიქცევი და შეასრულებ როგორც მწერ წიგნით წარსულს 22 დეკემბრისდამ.

ჩემს კაცებს გამოუცხადე და შენც ყურადღებით იყავ, რომ ვენახები როგორც რიგად შეიმუშავონ და მიწებზედ მუყაითად იყვნენ. ნიკო დოღუზაშვილი გყვანდეს ზედა მხედველად იმაზედ საიდუმლოთ, რომელსაც უბრძანებ ყოველი შენ მოგახსენოს და შენ მიიღებ ღონისძიებას საჭიროს“[475].

წერილის ტონიდან გამომდინარე, მეღვინეთხუცესიშვილს თუმანოვის „ადვოკატობა“ მაინცდამაინც დიდ სიხარულს არ ჰგვრიდა და ეს ნაბიჯი იძულებითი (ალბათ ფინანსური ინტერესი) იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თუმანოვი დიმიტრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ბოლომდე არ ენდობა, და სხვა ინფორმატორები ჰყავს.

უფრო მეტიც, დიმიტრის ცხოვრებისა და საქმიანობის სტილი აბსოლუტურად შეუთავსებელი იყო მემამულე ფეოდალის ტიპთან, ამიტომ საკუთარი მამულების მართვაც სხვებისადმი ჰქონდა მინდობილი. მის საარქივო ფონდში ინახება „ვინმე გოგიასადმი“ მიწერილი წერილი, სადაც სთხოვს მეღვინეთხუცესიშვილის მეურნეობას მიხედოს, მიწებიც ოჯარით გასცეს სანახევროდ, რათა „მამული მოუხნავი და უსარგებლო არ გახდეს“[476].

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ისე გარდაიცვალა, რომ მიწის დავებს ვერ მორჩა. კაცი, რომლის მოწოდება ქვეყნის სიძველეების აღწერა და საზოგადო სამსახური იყო, იძულებული ხდებოდა თითოეული მამა-პაპისეული მამულის გამო, სასამართლოში თავისი სიმართლე წლობით ემტკიცებინა. ამ ყველაფერს იგი ძალზე დაუღლია და მოუთმენლად ელოდა საბოლოო განაჩენს. რასაც სასამართლოს კანცელარიის ბიუროკრატიულ კაბინეტებში თვეები სჭირდებოდა, საზოგადოებრივი და ხალხის მიერ არჩეული მსაჯულები ერთ დღეში აგვარებდნენ. ხიდისთავში 1867 წლის 18 აპრილს გამართულ ერთ-ერთ სასამართლო პროცესს, რომლის განაჩენი სოფლის მიერ არჩეულ მოსამართლეებს გამოუტანიათ და დიმიტრიც დასწრებია, იგი აღტაცებაში მოუყვანია და ამბობს: „ძალიან მომეწონა ესრეთი ერთობა და მოქმედება მთელის საზოგადოებისა, მაშინ ვინატრე და ვთქვი: „ნეტავი ჩემი საქმეც, რომელსაც

---

475 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 52.

476 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 51

დიდი ხანია ვდაობ, ასე სწრაფად და სიმართლით დასრულდებოდესო“[477]. სხვა წერილში („პატრონი გამოუჩნდების“) 43 წლის განმავლობაში მიმდინარე სასამართლო დავებით გაბეზრებული და ცხოვრებაზე გულგატეხილი 1873 წლის 12 თებერვალს აღნიშნავს: „მე კი ამას ვიტყვი, გულდაჩაგრული, ღმერთო! შენ დამსწრე 1830 წელს დაწყებულ სასამართლოებში ჩემი საქმის მოსპობასო“[478].

ასეთია დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ საინტერესო ცხოვრება, რომლის დიდი ნაწილი ქვეყნის სამსახურს და მისი სიძველეების კველვა-ძიებას მოახმარა. დიმიტრის უშუალო მემკვიდრე არ დარჩენია, მაგრამ დატოვა დიდი მემკვიდრეობა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ, დღეს ხიდისთავში მეღვინეთხუცესიშვილების კვალი გამქრალია (თუ არ ჩავთვლით ღვინიაანთ საყდრის ნანგრევებსა და ნაწისქვილარს).

როგორც ითქვა, იმ მემკვიდრეობის ნაწილი, რომელიც დიმიტრიმ დისშვილს დაუტოვა, ანა ბაქრაძემ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში გაყიდა, ან დააგირავა. ამას ისიც დაერთო, რომ მეუღლის - დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების (+1890 წ.) შემდეგ, მას სათავადაზნაურო ბანკის ვალებიც დაედო, სადაც თავდებში მეღვინეთხუცესიშვილისაგან ნაანდერძევი მიწები ჰქონდა ჩადებული[479].

მეღვინეთხუცესიშვილების ნასახლარზე ამჟამად სხვა პირები ცხოვრობენ, ხოლო მიწები საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში გაანაწილა მისთვის ერთგულ პირებზე.

ჩვენ დოკუმენტებზე დაყრდნობით შევეცადეთ დაგვედგინა დიმიტრისა და მისი ბიძაშვილის საცხოვრებლისა და მიწების ადგილმდებარეობა, რასაც რუკის სახით ვთავაზობთ მკითხველს.

---

477 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 29, გვ. 3
478 ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი, № 21, გვ. 18
479 ხეც, დიმიტრი ბაქრაძის საარქივო ფონდი № 17; 113; 142; 153


ᲙᲕᲔᲠᲜᲐᲭᲘᲡ
ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ
ᲓᲕᲘᲜᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲥᲓᲐᲠᲗᲝ
ᲓᲐ ᲜᲐᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲐᲠᲘ
ᲒᲝᲠᲘᲡ ᲨᲞᲐᲚᲡᲐᲥᲓᲔᲜᲘᲗᲘ
ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ
ᲙᲝᲨᲙᲘ
3
2
1
4
ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲣᲠ
ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ
ᲐᲮᲐᲚᲐᲯᲕᲠᲘᲡ
ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ
ᲣᲤᲚᲘᲡᲪᲮᲘᲡᲙᲔᲜ
ᲮᲝᲓᲝᲡᲗᲐᲕᲝ
ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲘ
ᲓᲓ. ᲛᲐᲜᲐ
ᲓᲓ. ᲛᲐᲮᲝᲜᲔᲠᲔᲚᲘ
ᲬᲔᲚᲘᲡᲙᲔᲜ
5
ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲮᲐᲝ
ᲓᲓ. ᲛᲔᲓᲕᲘᲜᲔᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ
ᲬᲐᲓᲘᲡ
ᲥᲔᲜᲘ
ᲯᲔᲑᲘᲠᲘ
ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ
- ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘ;
- ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲐᲜᲘ;
- ᲡᲐᲫᲝᲕᲠᲔᲑᲘ;
- ᲭᲐᲝᲑᲔᲑᲘ;
- ᲛᲔᲓᲕᲘᲜᲔᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘ
- ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘ XIX ᲡᲐᲣᲚᲨᲘ
- ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘ
ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲔᲓᲕᲘᲜᲔᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲣᲚᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ
- ᲑᲝᲠᲝ-ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲔᲚᲘ
ᲮᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲣᲚᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ
- ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝ
- ᲓᲓ. ᲛᲔᲓᲕᲘᲜᲔᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ
ᲡᲐᲪᲮ. ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲘᲡ
1 - ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲜᲘ
2 - ᲫᲕᲐᲨᲐᲕᲘ
3 - ᲭᲐᲚᲐ
4 - ᲐᲮᲜᲔᲗᲘ
5 - ᲝᲮᲔᲠᲐ

გარდაცვალება და საზოგადოების შეფასება

როგორც ითქვა, 1874 წლიდან დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა სამსახურს თავი დაანება და მუდმივად ხიდისთავში დასახლდა. შესაძლოა ეს ფაქტი ჯანმრთელობის გაუარესებასთან იყო დაკავშირებული, რადგან 1874 წელს დიმიტრი ბაქრაძე წერს მარი ბროსეს პეტერბურგში, რომ დიმიტრი თბილისში ნაშრომების საჩვენებლად იშვიათად ჩამოდის, ამ ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობს და ძალზე ნერვიულიც გახდაო.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის გარდაცვალების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. 1893 წლის „საქართველოს კალენდარის“ მიხედვით, იგი გარდაცვლილა 1860 წელს[480]. მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობით 1880 წელს[481]. ამავე თარიღს უთითებს სოლომონ ყუბანეიშვილი[482], თუმცა, ჩამოთვლილთაგან არც ერთი თარიღი ზუსტი არ არის.

იგი გარდაიცვალა 1878 წლის 6 დეკემბერს და დასაფლავებულია ხიდისთავში, ზედაველას სასაფლაოზე.

ა, ბ) ამგვარად გამოიყურებოდა დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის საფლავი ხიდისთავში, ზედაველას სასაფ-ლაოზე 2015 წლამდე; გ) საფლავის თანამედროვე მდგომარეობა

საფლავს ორივე მხრიდან ეპიტაფია ახლავს. სამხრეთის წარწერა კარგად იკითხება: „აქა განისვენებს გვამი აზნაურის კოლეჟსკი ასესორის დიმიტრი კონსტანტინეს ძის მეღვინეთხუცესის შჳლისა, იშვა 1815, მიიცვალა 6 დეკემბერს 1878 წ.“

რეაბილიტაციამდე, დაზიანებული და ხავსისაგან ამოვსებული იყო ჩრდილოეთის წარწერა. საფლავის ქვას ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაპირი ჩამოტეხილი ჰქონდა და პირველი სიტყვის გარდა, რომელიც

---

480 საქართველოს კალენდარი, 1893 წ. გვ. 428.

481 **მაქსიმე ბერძნიშვილი**, მასალები... II, გვ. 103.

482 **სოლომონ ყუბანეიშვილი**, აკად. მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწე დიმიტრი მეღვინეთუხ-უცესიშვილისადმი, გსიემ 5944, გვ. 2.

ძნელად იკითხებოდა, შემდეგი შინაარსისაა: „...დ... (დასდევ) ღვაწლი მამულს არხეოლოგიურის შრომით, რომელიც გამოიცა სანკტ-პეტერბურღის სამეცნიერო აკადემიის მიერ“[483].

მიუხედავად იმისა, რომ მეღვინეთხუცესიშვილები დიმიტრის გარდაცვალებისას მინიმუმ ერთსაუკუნოვანი ხიდისთაველები იყვნენ და მაღალ სოციალურ ფენასაც ეკუთვნოდნენ, როგორც ჩანს, მათ საგვარეულო სასაფლაო არ ჰქონდათ. ხიდისთავის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც „ღვინიაანთ საყდარია“, საფლავები არ ჩანს. როგორც ითქვა, დიმიტრი დასაფლავებულია ზედაველას ძველ სასაფლაოზე, იმ ადგილას, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ტანასა და მტკვრის ხეობები, გორის ციხე და გორიჯვარი, დანახვისი და უფლისციხე...

დიმიტრის საფლავი ძველი სასაფლაოდან განმარტოებითაა (იხ. გვ. 214, „ბ“ ფოტოზე ცენტრში). მხოლოდ ორი საფლავია მის სიახლოვეს. სამხრეთით შედარებით მომცრო საფლავია (ფოტოზე მარცხნივ), რომლის ეპიტაფია გვაუწყებს, რომ აქ დასაფლავებულია ზაქარია სააკაძე. იგი სკოლის „შეგირდი“ ყოფილა და გარდაცვლილა ადრეულ 15 წლის ასაკში. სამწუხაროდ, საფლავის ჩრდილო და სამხრეთის წარწერები ძალზე დაზიანებული და დახავსებულია, ამიტომ გარდაცვალების წელი ვერ დგინდება, მით უფრო, რომ სააკაძეები უკვე XVIII საუკუნის ბოლოდან აქტიურად ჩანან ხიდისთავში[484] და ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესიაც მათი ინიციატივით შენდება[485].

---

[483] როგორც შესავალში აღინიშნა, ამჟამად საფლავის ქვა რესტავრირებულია და წარწერა ორივე მხრიდან თავისუფლად იკითხება (იხ: ფოტოები 214 გვერდზე).

[484] მაგ. 1804 წლის კამერალურ აღწერებში ხიდისთავში მოხსენიებულნი არიან მემამულეები: ზურაბ და ივანე სააკაძეები (**გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. 7486**), 1771 წლის ერთი საბუთით ქაიხოსრო სააკაძე ერეკლე II-ს სთხოვს საკუთარი ყმების ხიდისთავში დასახლებას, რაზედაც მეფის თანხმობას იღებს (**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. № 13151**), ზურაბ სააკაძე მოწმეთა შორის ჩანს ხიდისთაველი ნინია ქვაკრეფიაშვილის მიერ გიორგი ანტონაშვილისადმი 1815 წლის 13 ივლისის პირობის წიგნში (**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. QD, საბ. № 986**) და სხვ.

[485] აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწვრ. იხ: ჩვენი სტატია „ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 6, თბ., 2014, გვ. 8-24.

დიმიტრის საფლავის აღმოსავლეთით კიდევ ერთი საფლავია (იხ. ფოტოზე წინა პლანზე). ზომის მიხედვით, ისიც მცირეწლოვანი ბავშვის საფლავს ჰგავს. ქვა მიწაში ღრმადაა ჩამჯდარი და მხოლოდ ზედა წარწერა იკითხება: „მოიხსენიე უფალო ამა საფლავსა მდებარე გაიანთ მაიას ...აღმომკითხველნო შენდობა გვიბძანეთ ჩყლ“[486], ე. ი. იგი 1830 წელს გარდაცვლილა.

2015 წლის 16 ნოემბერი. გორი-ატენის ეპარქიის მიტროპოლიტი ანდრია, დეკანოზი დავით კასრაძე, გორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და საზოგადოების წარმომადგენლები დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის რესტავრირებული საფლავის კურთხევისას

როგორც ვხედავთ, ორივე ახალგაზრდა შედარებით ადრეა გარდაცვლილი, ვიდრე მეღვინეთხუცესიშვილი. საინტერესოა, რატომ დაკრძალეს დიმიტრი ადრე გარდაცვლილ მცირეწლოვან ბავშვებთან ასე ახლოს, როდესაც ირგვლივ საკმაოდ დიდი თავისუფალი სივრცეა და კიდევ უფრო მეტი იქნებოდა 1878 წლისათვის. შესაძლოა, მათთან მეღვინეთხუცესიშვილებს რაიმე ნათესაური კავშირი ჰქონდათ.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოღვაწეობას დადებითად ახასიათებდნენ როგორც მისი თანამედროვე, ასევე გვიანდელი დროის მეცნიერები და ცნობილი საზოგადო მოღვაწენი. მარი ბროსე აღტაცებით წერდა „ამ ახალგაზრდა მგზნებარე პატრიოტ ქართველზე, რომელიც დაჯილდოებული იყო შესანიშნავი პოეტური ნიჭით და თავი საკუთარი ქვეყნის სიძველეების კვლევას მიუძღვნა“[487]. როგორც შესავალში ითქვა, სწორედ დიმიტრის მიერ გაგზავნილ მასალებზე დაყრდნობით ჰქმნიდა ბროსე

[486] წარწერების ამოკითხვაში გაწეული დახმარებისათვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების დოქტორანტს - ზვიად შერაზადიშვილსა და საქართველოს ისტორიის მიმართულების მაგისტრანტს - ნინო ხარშილაძეს.

[487] **შოთა ხანთაძე**, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 16, წერილი 8, გვ. 3.

თავის ცნობილი „რაპორტებს“. ამ ფაქტს ფრანგი ქართველოლოგი არ უარყოფდა. პირიქით, „სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მას მივაკუთვნო ჩემი მონაპოვრის საუკეთესო ნაწილიო“, აღნიშნავდა იგი თავის ჩანაწერებში[488].

ვალერიან გუნია დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილს „საქართველოს ისტორიის დიდ მცოდნედ და ამაღორძინებლად“ მიიჩნევდა[489]. პროფ. შოთა ხანთაძე მელვინეთუხუცესიშვილის ღვაწლის შესახებ აღნიშნავდა: „უნდა ვაღიაროთ, რომ იგი (დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი – ი. ა.) ერთ-ერთი პირველთაგანია მე-19 საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა შორის, რომელმაც ახალი ეროვნული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებასა და განვითარებას საქართველოში გარკვეულად შეუწყო ხელი“[490].

ოთარ კასრაძის შეფასებით: „დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს გულწრფელად ახარებდა ქართული მეცნიერული აზრის განვითარება, ამ მხრივ მოპოვებული წარმატებები. იგი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ახალ თაობათა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით და ყოველმხრივ ცდილობდა ნიჭიერ ერისკაცთა წარმოჩენას“[491].

ილია ბერძნიშვილი გაზეთ „სტალინელში“ წერდა: „არიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი შრომით გარკვეული წვლილი შეიტანეს მშობლიური მხარის შესწავლის საქმეში, მაგრამ დროთა ვითარების გამო, მათი ღვაწლი და ამაგი დავიწყებას მიეცა. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის დიმიტრი კონსტანტინეს ძე მელვინეთხუცესიშვილიო“[492].

მართლაც, დიმიტრი მელვინეთხუცისშვილის ღვაწლი დღეისათვის სათანადოდ დაფასებული არ არის, წინამდებარე ნაშრომიც ამ ხარვეზის გამოსწორების მოკრძალებული მცდელობაა.

---

488 იხ: **M. Brosset**, Rapports sur un vouage archeologicue dans la Georgie et dans I’ Armenie, exsecute en 1847-1848. SPB 1851, III, გვ. 52.

489 „საქართველოს კალენდარი“, 1895 წ. გვ. 492.

490 **შ. ხანთაძე**, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 4.

491 **ოთარ კასრაძე**, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი - მეცნიერი და თეატრალი, ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, №1. (იანვარ-თებერვალი), 1986 წ. გვ. 72.

492 **ი. ბერძნიშვილი**, დიმიტრი მელვინეთხუციშვილი, გაზ. „სტალინელი“, 27. 04. 1957 წ. № 84 გვ. 3.

P. S.

როგორც შესავალში ითქვა, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ფოტო დღეისათვის არ შემოგვრჩა. ალბათ, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის. ჩვენთვის ცნობილია დიმიტრის მხოლოდ ერთი პორტრეტი, რომელიც ტილოზეა ზეთით შესრულებული უცნობი ავტორის მიერ[493].

სურათზე გამოსახულია დაახლოებით 35-40 წლის სიმპათიური ინტელიგენტი მამაკაცი მჯდომარე, ნახევრად პროფილურ მდგომარეობაში, მკერდზე წმ. სტანისლავის ორდენით, ულვაშებით და მარცხნივ გადავარცხნილი თმებით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი 1815 წელს დაიბადა, სურათი დახატული უნდა იყოს დაახლოებით XIX საუკუნის 60-იან წლებში.

თუმცა, ქართულ ინტერნეტსივრცეში განთავსებულია დაგეროტიპით გადაღებული უცნობი მამაკაცის პორტრეტი (იხ: ქვემო ფოტო), რომელიც ძალიან ჰგავს დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს. მის აღწერილობით ნაწილში მითითებულია: „უცნობი მამაკაცის პორტრეტი. უცნობი ფოტოგრაფის ნამუშევარი. დაახლოებით 1850 წ. ზომა 5X6,5. გ. გერსამიას კოლექციიდან“[494].

მასზე გამოსახულია ახალგაზრდა, დაახლ 25-30 წლის მამაკაცი, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი, მაგრამ ყელზე გაკეთებული „პეპელა“ ხაზს უსვამს მის ინტელიგენტობას.

---

[493] ჟურნ. „ომეგა”, №4 (30), აპრილი, 2002, გვ. 39.

[494] იხ: http://tbiliso.ge/index.php?/topic/11063-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/ ბოლო ნახვა 06.03.2016.

დაგეროტიპი საქართველოში XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან გამოჩნდა და ამ ტექნიკით გადაღებული ფოტოები დღეისათვის დიდი იშვიათობაა, თანაც ბევრს დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილისაგან განსხვავებით მასზე ხელი არ მიუწვდებოდა. როგორც ზემოთაც ვნახეთ, 1850 წელს მარი ბროსესთან გაგზავნილ ერთ წერილში დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი ფოტოგრაფიის ამ სიახლის მისთვის გამოგზავნას ითხოვდა: ,,თუ შეიძლებოდეს ერთი დაგეროტიპ ანუ სხვა მსუბუქი მაშინა მიბოძეთ, რომ სადაც კარგი ალაგები და შენობა ვნახო, ცხადად გადმოვიღო მხატვრობით და მოგართოო". ცნობილი არ არის ფრანგმა მეცნიერმა დიმიტრის შეუსრულა თუ არა თხოვნა, მაგრამ წინამდებარე ფოტო სწორედ ამ პერიოდშია გადაღებული, ხოლო 1850 წლისათვის დიმიტრი 35 წლის იქნებოდა, როგორც ფოტოზე გამოიყურება ახალგაზრდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დიდი ალბათობაა, რომ ზემოთ მოტანილ დაგეროტიპით გადაღებულ ფოტოზე სწორედ დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი იყოს გამოსახული.

Димитри Мегвинетхуцесишвили

Известный грузинский историк, археолог, писатель и общественный деятель Димитри Мегвинетухуцесишвили родился в 1815 году в Горийском уезде, в деревне Хидистави, в семье дворянина Константина Мегвинетхуцесишвили и Анны Цинамдзгвришвили.

Должность «Мегвинетхуцеси» (Управитель Царского виноградника) в древних грузинских источниках видно ещё с периода правления Царицы - Тамары. В его обязанности входило: сбор налогов на вино, наблюдение за потреблением Царских виноградников и др. По сведениям известного грузинского историка - Иоанна Багратиони, фамилия - Мегвинетхуцесишвили упоминается в исторических источниках ещё со времён Царя Вахтанга V (Шах-Наваза) и они были Дворянинами при Каталикосе в Сацициано. Дед Димитрия - Тома Мегвинетхуцесишвили был приближен ко двору Царя Ираклия II и назначен на должность – «Мемандарбаши» (Управитель Царского двора).

За верность Ираклий II наградил его землёй в селе Хидистави до 50 дневного пахания (Блог земли).

Родители Димитря мечтали о карьере священника, но он получил военное образование и был участником военной операции против Шамиля на Северном Кавказе. За отличие в этой операции Димитрий был награждён орденом Станиславского третьей степени .

Позже, Димитри получил юридическое образование и начал работать в Горийской судебной канцелярии.

Его активная общественная деятельность начинается в 40-ые годы XIX века. Это значительно было обусловлено сближением с известным грузиноведом, члена-корреспондента наук Санкт-Петербургской академии - Мари Фелисте Броссе.

30 марта 1848 года по инициативе Иосифа Мамацашвили, Георгия Эристави и Димитрия Мегвинетхуцесишвили, Мари Броссе был приглашён в г. Гори на встречу с благородным обществом Горийского уезда.

Мегвинетхуцесишвили сопровождал Мари Броссе во времия осмотра исторических памятников Горийского уезда, а после отбытия французского учёного в Санкт- Петербург, самостоятельно продолжал работу.

По рекомендации Мари Броссе Академия Наук России подала ходатайство наместникоу - Михаилу воронцову, чтобы Мегвинетхуцесишвили получил разрешение на продолжение археологического путешествия. После некоторого

сопротивления, в сентябре, согласие от наместника было принято и Броссе составил маршрут для будущего путешествия.

Поездка началась 16-го сентября и Дмитри объездил весь Сацициано - Кинцвиси, Цроми, церковь Сарке св. Георгия, Цвимоетис Натлисмцемели (Креститель), крепость Мдзоврети, Кимотесубани, церкови Даба и Садгери, Итрия, Атени, Атоци, Окона, Тигва, Еркнети, Дирби, Арадети, Брети и др.

Первая же поездка оказалась плодотворной. В руках Димитрия оказалос два значительных сочинения - «Краткое обозрение благородных родов князей Грузии» и «книга написанная Ираклим II из Индии, о том как Надиршах воевал здесь». Оба сочинения храниятся в Академии наук Института востоковедения в Санкт-Петербурга, в отделе рукописей.

Поездка проходила в трудных метеорологическых условиях. Из-за проливного дождя приходилось остановливать работу, но желание и страсть были настолько велики, что трудности Димитрию не мешали докончить начатое. Как только погода улучшалась, он продолжал свое путешествие. Он осмотрел монастырь - Брети и крепость - Усанети. В селе Квемо Чала Бардзим Амилахвари показал Димитрьию родовые иконы Амилахвари и большой крест Самтависи.

У Мегвинетхуцесишвили было желание осмотреть пустынию Тате Мамебели, но по причине ухудшения погодних условий, не смог. В пустыне Ашуриани ему показали келью инока и монастырь. Из-за опасания нападения Лезгинов, после село Хурвалети он дорогу не продолжил.

К сожалению, 200 руб. выделенные Димитрию на исследование населённых пунктов, скоро кончились и он был вынужден вернуться в Гори. Оставшись без наличия денег и без действия, он переживал.

После путешествия в Шида Картли, Димитри начал писать произведения «жизнь и деятельность Царья Ираклия II», и «История Ксанскых Эриставов», написанний на этрате (коже). Оба сочинения отправил Марю Броссе в Петербург.

Первая же работа Димитрия, привела Броссе в восторг. Он писал молодому грузинскому исследователю: ,,Вы умний парень, любите науку и отчизну, за это будете прославленым».

По сведению Мегвинетхуцисшвили, Мари Броссе прочитал доклад на сьезде в академии наук Санкт-Петербурга на секции - историков, где труд Димитрия вызвал большой интерес и его наградили почетной грамотой.

Воодушевленный успехом молодой учёный просит Броссе принять участие в посредничестве соответствующими лицами о принятии разрешения на новое путешествие, чтоб работа не была прервана.

Из писем выясняется, что Броссе просил Мегвинетхуцисшвили заново осмотреть храм Самтависи и прочитать там две надписи, в Ашуриани посетить лавру - Илариона Самтавнели. Броссе хотел, чтобы Димитри объездил Ахалцихский пашалик, Арменью, а также отправится на Афонскую Гору.

В том же 1849 году Димитри просит французского учённого (Броссе), ходатайствовать перед представителем дипломатического корпуса - Лелья (фамиля - И. А.), чтобы Мегвинетхуцисшвили перевели в гражданскую судебную канцеларию на должность младшего писаря: «Здес у меня будет время выучить французский и турецкий языки, которые для меня необходимы»,- писал старшему другу Димитри.

1849 году Мегвинетхуцисшвили изучал и расшифровал надписи храма Цвимоети, Кимотесубани, Тигви и Верийской Богородицы.

Паралельно исследовательной работой Димитри вынужден был выполнять служебные обязанности, что значительно препятствовали научной работе. Часто финанси поступали с опозданием, и он путешествовал на свои сбережения..

В 1850 году Димитри отправился в Имерети и осмотрел Сачино, Одиши, Сададиано, Шорапанский и Рачинский уезды. В июле того же года хотел посетить Ахалцихе, но по дороге простудился и был вынужден вернуться в Гори. В конце 1850 года он приезжает в Тбилиси и вместе с известным писательем и драматургом - Георги Эристави, и занимается основанием грузинского театра и изданием журнала – «Цискари» («Зарья»).

В августе 1852 года он вместе наместником Михайлом Воронцовым и другими высокопоставленными чиновниками отправляется в Уплисцихе и, получив наличные финансы, начинает там археологические раскопки. В тоже время отправляет детальный отчет в Ст. Петербург Мари Броссе. Но скоро Воронцова вызвали в столицу империи и раскопки прекратились.

К сожалению, материалы об вышеуказанных раскопках потерялись, о их частичном представлении указывают то неполные отчёты, опубликованные Мегвинетхуцисшвили в газете „Кавказ» (1852 г. №43; 66; 70). Из этих отчетах видно, что Димитри измирял и сделал план изученного сооружения, сначала раскопал большой зал, длиной примерно четыре метра, где оказалось фрагменты колоны и обломки керамичесской посуды. Возле большого зала он обноружил большие винные кувшины и несколько захоронении. Димитрий предполагал, что большой зал и его окрестности являлись собственностью знатного человека или хозяина сооружения.

Мегвинетхуцисшвили зря времени не терял и во время государственной службы. В 1859 году он был занят описью казённых крестьян Горийского узда. В селе Кавтисхеви ему показали гробницу покойниника с вещами из

драгоценных металлов. Описание гробници он послал Броссе, но из-за отсутствия средств не мог приобрести материалы.

В 1874 году Димитри просит французского учёного, помочь опубликовать исследования и зарисовки Уплисцихе.

В том же году он покинул государственную службу и переселился в Хидистави, где и провёл оставшуюся жизнь.

В 1874 году известний историк и общественный деятель - Димитри Бакрадзе (племянник Мегвинетхуцесишвили) писал Броссе в Петербург, что Мегвинетхуцисшвили навсегда поселился в Хидистави и редко приезжает в Тбилиси, чтобы показать свои исследования. Он часто болеет и стал нервниым. Бакрадзе просил Броссе, послать Мегвинетхуцисшвили письмо - это обрадует больного пожило деятелья.

Броссе исполнил просьбу Бакрадзе и отправил Мегвинетхуцисшвили своё фото. Димитри до конца жизни хранил этот драгоценный подарок с фотографией Шота Руставели.

Димитри Мегвинетхуцисшвили умер в 6 декабря 1878 года. В последных минутах жизни рядом с ним был Димитри Бакрадзе, чью успешную карьеру Мегвинетхуцисшвили внёс большой вклад.

Всё своё имущество и родовое наследство ещё до смерти Мегвинетхуцисшвил завещал Димитрю Бакрадзе.

Заслуга Димитря Мегвинетхуцисшвили открытия и изучения многих памятников, древностей и рукописей Грузии. Он нашёл один из важнейших источников Грузинских рукописей «Дзегли Эриставта», написанной на коже, который переписал и отправил Броссе в Петербург. Позже французский учёный перевёл этот материал на свой родной язык и издал в Париже.

Активное участие Мегвинетхуцисшвили принимал в издании грузинских журналов и газет, занимался распостранением грузинских произведении, изданных в Петербурге (Словарь Д. Чубинишвили, «Летопись Картли», Грузино-французский словарь, География Вахушти Батонишвили и др.).

Он также много сделал для родного села – Хидистави. Способствовал открытию школы, основанию банка, благотворительных и необходимых меропрятии и др. Активно писал в газетах: «Иверия», «Дроеба» и др. о актуальных вопросах родного села.

Отдельно надо отметить деятельность Мегвинетхуцисшвили как драматурга. Известно, что датой основания грузинского театра является 2(14) января 1850 года, когда в Тбилиси Георгий Эристави поставил пьесу «Гакра» («Развод»), однако, ещё 1-го и 8-го мая, 11 июля и 7 августа 1845 года в г. Гори,

местные любители сцены сыграли пьесу Димитря Мегвинетхуцисшвили «Дроебити ганшореба сакварелтан» («Временное расставание с любовникам»).

В марте 1851 года, по приказу наместника Михаила Воронцова, для совершенствования грузинского театра Димитрия перевели в Тбилиси, чтобы он оказал помощь Георгию Эристави.

Из других произведении Мегвинетхуцисшвили известно «Екимбаши» («Знахарь»), которое вышло отдельной книгой в 1876 году. В 1869 году в «Дроэба» напечатана «Ката ацона» («Кота взвесил»), в 1870 году в этом же журнале печатается «Убедури моаршике» («Несчастный волокита»).

В 1846 году Димитри пишет пьесу «Чачнебис чвеулеба» («Обычай чеченцев»), которую опубликовал в журнале «Цискари» («Зарья») 1859 году. В 1869 году в том же журнале (№ 10) печатается ещё одна его пьеса «Вичаки» («Гадалка»). Известно, что у Мегвинетхуцисшвили были и другие произведения, напр. «Аршикни» («Волокиты»), «Анчхли цоли» («Вспыльчивая жена»), но цензура запретила их печатать.

Кроме произведений, известны несколько стихотворений Мегвинетхуцисшвили, которые он опубликовал в «Дроеба». Один из стихотворении он посветил Гориджвари (церковь вблизи г. Гори). описания и надписи которой, позже публиковал Броссе в своих «Rapport»-ах, вместе с описаниями древности Самтависи, Руиси, Урбниси, Атени и других церквей, которие отправил Мегвинетхуцисшвили в Петербург.

Димитри много заботился о нуждающихся, как лично, так и известными лицами, рекомендуемых им, несмотря на его скромные доходы.

12 июлья 1852 года он пишет Мари Броссе, чтобы он помог заболевшему Петре Кебадзе, чей доход составляла сумма, накапившаяся от продажи книг.

1856 году Димитрий порекомендавал Броссе известного историка и деятеля - Димитрия Бакрадзе. В том году Бакрадзе окончил Московскую духовную академию и начал службу в Горийском уездном училище смотрителем, где и подружился с Мегвинетхуцисшвили.

В 1856 году, после окончания Тбилиской гимназии, в Петербург уехал родственник Димитря - Закария Мамацашвили. Мегвинетхуцесшвили просит французского академика, позаботится о нём и помочь выучить французский и немецкий языки.

О дате кончины Димитря Мегвинетхуцисшвили нет совпадающих мнений. По сведению «Кавказский календарь» от 1893 года - он умер 1860 года. По мнению Максима Бердзнишвили - в 1880 году, но ни одна из этих версий не правдоподобна. Как выше было сказано, он умер 6 декабря 1878 года и был похоронен в Хидистави на кладбище Зедавела.

На сегоднишний день вклад и заслуга Димитря Мегвинетхуцисшвили не оценена а его могила покитнута. Большая часть общества не знает её местоположения. На могиле с обейх сторон эпитафия. С южной стороны читаем: «Здесь покоится прах колежского ассесора Димитрия Константиновича Мегвинетхуцисшвили. Родился в 1815 году, скончался 6 декабря в 1878 г.»

Повреждена и засколена северная надпись. С востока надгробный камень сломан и трудно читается: «..... (внёс вклад?) отчизне археологическим трудом, который издан академией наук Санкт-Петербурга».

Деятельность Димитря Мегвинетхуцисшвили высоко оценили как его современники (Мари Броссе, Дим. Бакрадзе, Валериан Гуния), так учённые и общественные деятели последующих времен (Шота Хантадзе, Сол. Кубанейшвили, Отар Касрадзе).

Dimitri Megvinetkhutsesishvili

The famous Georgian historian, archeologist, dramatist and a public figure Dimitri Megvinetkhutsesishvili was born in a noble family of aznauri (a lower class status within the Georgian feudal aristocracy) in the village of Khidistavi, the Gori uyezd in 1815. His father was Konstantine Megvinetukhutsesishvili and his mother – Ana Tsinamdzgvrishvili.

The royal office of "megvinetkhutsesi" must have been originated yet from the age of Queen Tamar. According to "Regulations of the Royal Court" (the medieval Georgian code of laws) it appears as one of the important posts at the royal court covering the following responsibilities, such as to raise wine taxes, to supervise the cultivation of vineyards, etc.. According to Ioane Bagrationi, from the age of Vakhtang V megvinetkhutsesi has been mentioned as a family name ranked as aznauri in the princedom of Satsitsiano. Dimitri's grandfather was a person in close relation with Erekle II and used to hold the royal post of a "memandarbashe" at the court. According to the written document dated back to 1793, he was also a "sakhltukhutsesi" (the domestic affairs manager) in Satsitsiano. In 1787 Erekle II granted lands to him as a devoted and faithful official.

Dimitri's second grandfather from his mother's side was an arch priest who initiated to set up a school in the village of Tsinamdzgvriaantkari. The parents dreamt about their son's ecclesiastical career but he got military education and successfully participated in the attacks against Shamil for what he got awarded with Stanislavsky order of merit by the imperial government.

Dimitri Megvinetukhutsesishvili got juridical education; after graduation he was employed at Gori Court Office. In the 40th of the 19th century he began his active public career that partially was conditioned by the close relation with Marie Brosset – the French orientalist and the member of the Imperial Academy of Science. Supposedly, they got acquainted grace to Ioseb Mamatsashvili who had already known Brosset well enough. On January 30, 1848 on the initiative of Ioseb Mamatsashvili and Dimitri Megvinetukhutsesishvili, Marie Brosset was invited to meet the noble society of Gori Uyezd. After the official part of the meeting, the Georgian traditional dinner was held to pay special respect to the French scientist. The dinner was attended sixty-six nobles and Russian officials. Giorgi Eristavi took the honorable duty of "tamada" (a toast master). Later Dimitri Megvinetukhutsesishvili published a special article in "Tsiskari" fully dedicated to the meeting.

With respect to Brosset's recommendation, the Russian Academy of Science submitted the petition for permitting Dimitry Megvinetukhutsesishvili to continue the archeological expedition. The petition was addressed to namestnik Mikhail Vorontsov who, in a little while, gave the permit allowing Dimitri to carry on his research trip for which Brosset drafted the special route. The expedition was launched on September 16 and covered the entire Satsitsiano (a large feudal and hierarchy-political territorial unit managed by the

Tsitsishvili noble family) including Kintsvisi, Tsromi, St. George's church in Sarke, John the Baptist's church in Tsvimoeti, Mdzovreti fortress, Timotesubani, Daba and Sadgeri churches, Itria, Atotsi, Okona, Tigva, Ergneti, Dirbi, Aradeti, Breti, etc. the tour started with unexpectedly good progress though it had to be carried out in rather severe conditions; Dimitri had to often face various kinds of obstacles conditioned mainly from bad weather and poor equipment. But his strong desire to bring the research till the end encouraged him so much. Regardless the mentioned difficulties, he still deeply believed that such an efficient commencement would be terminated successfully with desirable outcomes. All his attitudes are evidently appeared in a set of the letters addressed to Brosset. Dimitri intercepted two significant works: the linage of the Georgian feudal and Nadir Shah's invasion of India by Erekle II. Today both works, as valuable historical expositions, are kept in the manuscript department at Oriental Institute of Petersburg Academy of Science.

Within the frames of the tour, the young scientist visited and studied Breti monastery and Usaneti fortress. In the village of Chala, Bardzim Amilakhvari showed him the Amilakhvari family patrimonial icons and the cross from Samtavisi cathedral. He also had a possibility to visit the monks dwelling and a church in Ashuriani desert; unfortunately, though Dimitri was accompanied by Davit Magalovi and six well armed men, they were not able to continue the way to the village of Khurvaleti because of the real danger of Ossetians' attacks; besides the 200 roubles, specially allocated for the expedition, soon expired and subsequently, Dimitri had to return back to Gori. Despite his eagerness to study and describe every inch of old temples, monasteries, crosses, icons and inscriptions even on his own expenses, extremely poor finances gave no possibility of it. He began to write the life of king Erekle II; he sent to Brosset a number of descriptions of studied objects, mainly churches and cathedrals, the linage of the Georgian feudals and the Eristavi family name history. Even the very first works of the young scientist admired Brosset and made him say that deep love of science and homeland would bring fame to Dimitri. Based on the useful materials provided by Dimitri, Brosset prepared a report which provoked much interest on the scientific session; right this fact got the reason of awarding Dimitri with special testimonial of St. Petersburg Academy of Science in 1849.

The success winged the young researcher. He permanently asked Brosset to petition to the respective officials for the research allowance. One of his letters, dated back to December 28, 1848, apparently proves his eagerness to progress and bring the work to the end. As the other letters clear it up, Brosset requested Dimitri to restudy the two inscriptions and Hilarius' lavra at Samtavisi Cathedral. Brosset desired him to travel in the Eyalet of Childir (Akhaltsikhe), Armenia and the holly Mount Athos. In 1849 Dimitri asked Brosset to apply to the diplomatic corps to employ him at the government office where he would have more time for studying foreign languages; here he meant the French and the Persian-Turkish languages. The same year, Megvinetukhutsesishvili deciphered and studied the inscriptions at Tsvimeoti, Timotesubani, Tigvi and Veri Cathedrals.

Beside the research Dimitri had to hold the job responsibilities which significantly hampered the research which often had to be carried on with his own expenses because of not funding timely. In 1850 he launched an expedition in Imereti where he covered most of the uyezds, such as Sachino, Sadadiano, Shorapani and Racha. Later the same year, he traveled to Akhaltsikhe where he caught a cold, so that he had to return back to Gori and in collaboration with Giorgi Eristavi he got engaged in editorial activity at "Tsiskari" and Georgian Theatre.

In 1852 Dimitri left for Uflistsikhe together with namestnik Mikhail Vorontsov, duke Sologup, doctor Andreyevsky and other high rank officials. Here he launched archeological excavations and permanently prepared detailed reports for Brosset. Soon the fact, that Vorontsov was called up to Petersburg, inhibited the on-going excavations. Unfortunately, all the research materials and results are lost by today except some published articles containing scant information ("Kavkaz" 1852, №43 №66 №70). According to the mentioned little bit of published materials, Dimitri drafted the scadule for the targeted buildings to study. The grand hall was the first place with which he started the excavation works at Uflistsikhe cave town; here he discovered the fragmented columns and small pieces of ceramics; beside the hall, large "qvevris" (large earthenware clay vessels used for the fermentation and storage of wine) and some graves were discovered. The hall and its nearby constructions are supposed to be the part of the palace owned by a nobleman. Later, in the village of Kavtiskhevi he was shown a burial vault (tomb) with penetrated burial treasure and prepared detailed description to send it later to Brosset. In 1874 he asked Brosset for help to publish the accomplished research results. In his letter to Brosset, he apparently regards the mentioned scientific work to be rather important and valuable for him in which he has put a lot of efforts. Moreover, in case of expiration of the allocated money (200 roubles), he often had to run into debts, so that even on his own expenses, he still continued the started work to content the requests of Academy in Petersburg. Regardless some material difficulties, he afforded himself to resign from the public office to make his life more free fully dedicated to the scientific career. Thus he retired to the village of Khidistavi (nearby Gori) and actively engaged in farming. He died on December 6, 1878. Dimitri Megvinetukhutsesishvili has made a valuable contribution towards discovering and rescuing the Georgian relics among which "Dzegli Eristavta" is apparently worth to be remarked. Having discovered its original version on leather, Dimitri immediately made a copy and with the original one he sent it to Brosset in Petersburg who translated it in French.

Dimitri always used to be actively engaged in the Georgian press; together with Giorgi Eristavi he played a principle role in establishing "Tsiskari". Dimitri has also done a lot in regards with popularization and distribution of the Georgian books edited in Petersburg. He used to actively issue the articles in "Iveria" and "Droeba" through which emphasized on the need of a school, a bank and other similar public institutions in his native village of Khidistavi. The purpose of his articles was mostly getting charity and support. In this kind job he always enjoyed the support of his friends as well as other famous public figures around him, such as major-general Konstantine Mamatsashvili and

historian Dimitri Bakradze. As far as it is known, in 1832 Ivane Mamatsashvili was blamed in plotting a coup against the Imperial Russian rule and exiled in Viatka from where he returned only in 1836. Before the exile he had married to Nina, sister of Megvinetukhutsesishvili; they had one daughter who got married later to Dimitri Bakradze; thus both persons got close relatives to Dimitri Megvinetukhutsesishvili.

The playwright (dramatist) career in Dimitri megvinetukhutsesishvili's life is worth to remark separately. As far as it is known in general, the Georgian theatre was founded on January 2, 1850 when Giorgi Eristavi staged the first play "Famili Settlement" ("გაყრა"), but the drama by Dimitri Megvinetukhutsesishvili had been performed mach earlier (1845) on the scene of Gori Theatre. In 1851 Dimitri moved to Tbilisi where he continued his playwright career in company with Giorgi Eristavi to better involve in the joint public work that served the improvement and development of Georgian Theatre. One of his letters addressed to Brosset on March 20, 1851 turns out that all their activities were well supported and tolerated by namestnik Vorontsov who offered Dimitri a job at his office. In Tbilisi he actively continued to write new stage plays and prepared actors for theatrical performances an festive occasions. His plays were frequently published in "Tsiskari" (Down) and "Droeba" (Times) though some of them were not able to pass by the censor.

Beside his playwright career, he appears as an author of several poetries that used to be permanently published in "Droeba" (Times); one of them is particularly dedicated to the 18th century St. George's church of Gorejvari, a popular place of pilgrimage that took later a significant place in Marie Brosset's reports based on the detailed descriptions of Samtavisi, Urbnisi, Ruisi and Ateni Sioni churches all provided by Dmitri Megvinetuk-hutsesishvili.

The later years of Dmitri Megvinetukhutsesishvili were largely devoted to charitable work. Though farming and poor salary at Gori government office were the only sources of his miserable monthly income, he used to be always helpful to those in need suffering from various kinds of problems including health, education, scientific career, etc. and constantly strived to make friends, public figures and other officials around him involved in this kind job.

The issue of the death date of Megvinetukhutsesishvili has become a question of discussion many times and various careful considerations have been given to it, but as the most precise date of his decease can be regarded December 6, 1878. This fact is definitely asserted by the epitaphs on the both sides of his grave though its surface is severely damaged and overgrown with moss. It is really pity that only a few people actually know about the existence of his grave on Zedavela cemetery in his native village of Khidistavi, founded not very long ago; thus the outstanding public service of Dimitri Megvinetukhutsesishvili is not valued at its true worth by society. As far as it is already known in general, Dimitri has never got a family (wife and children) though we have a different argument about it that can be asserted by the grave of a woman beside the one of Dimitri and much apart from others on the cemetery. Though the inscription on the

gravestone is deadly damaged it still gives a possibility to identify and read a female name “Kesaria Saakadze”. The woman is supposed to be the wife of Dimitri and the daughter of a Khidisatvian landowner. Presumably, they had a son entrusted later to the care of the two clerics (priest Aleksi Meskhishvili and monk Tarasi) to educate him in a manner worthy that is apparently revealed in his letter addressed to Brosset on February 22, 1850.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო მასალა

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი

1. ფ. 1449, საქმე № 877, ფურცელი 1-2; საქმე, № 879, ფურცელი 4; საქმე 1190.
2, Фонд - 489, опись 1, дело 41, 294, л. 21.
3. Фонд 8(9), дело 236, л.л 1-2.
4. Фонд 8(9), дело 236, л.л. 7-16.
5. фонд 254, опись 1, дело 892, л л. 79-83.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

1. ფონდი. QD, საბ. 420, საბ. 457, საბ. № 986; ფ. AD, საბ. 1146; ფ. HD, საბ. № 13151, 3135, 10215, 10386.
2. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 30; QD-986; საბუთები № 1; 2; 3; 4; 5; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21; 22; 23; 25; 27; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 37; 38; 39; 40; 41; 42; 43; 44; 46; 47; 48; 50; 51; 52; 53; 54.
3. მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, საბუთები: № 8; 9; 10; 11; 12; 14; 15; 16; 17; 18; 19.
4. დიმიტრი ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, საბუთები: № 17; 113; 142; 153.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

1. საბ. 4850/1; საბ. 7486; საბ. 7648, ნაწილი 4, № 50; ფ. „წერილები და საბუთები“, № 9435; 1, 2, 3; საბ. 7555, რვეული 1, 2, 3, 4; საბ. 5944.

Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН)

1. Фонд - Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვერდები: 63-100; 100-125; 126-130.

პრესა

1. გაზ. „გამარჯვება”, 20. 10. 1989 წ. № 126.
2. გაზ. „დროება“, 24. 11. 1867 წ. № 47.
3. გაზ. „დროება, 15 (27). 12 1867 წ. № 50.
4. გაზ. „დროება” 12. 01. 1868, № 2.
5. გაზ. „დროება”, 16 02. 1868 წ. №7.
6. გაზ. „დროება”, 23. 01. 1869 წ. № 4.
7. გაზ. „დროება”, 03 (15). 04. 1869 წ. № 14.
8. გაზ. „დროება”, 25. 09. 1869 წ. № 39.
9. გაზ. „დროება”, 05. 03. 1870 წ. №9.

10. გაზ. „დროება, 17. 12. 1876 წ. № 137.
11. გაზ. „დროება“, 24. 08. 1879 წ. № 176.
12. გაზ. „ივერია“, 01. 05. 1886 წ. № 94.
13. გაზ. „ივერია”, 26 01. 1884 წ. № 1.
14. გაზ. „ივერია“, 14. 04, 1892, № 76.
15. გაზ. „ივერია“, 17. 04. 1892, №79.
16. გაზ. „ივერია“, 18. 04. 1892, № 80.
17. გაზ. „ივერია“, 25. 05. 1892, № 106.
18. გაზ. „ივერია“, 20. 06. 1895 წ. № 128.
19. გაზ. „ივერია“, 29. 08. 1895 წ. № 192.
20. გაზ. „ივერია“, 12. 05. 1898, № 98.
21. გაზ. „ივერია“, 24. 10. 1898, №227.
22. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 22. 12. 1896, № 64.
23. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 26. 01. 1897, № 98.
24. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 17. 09. 1901, № 1581.
25. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 14. 11. 1902, № 1984.
26. გაზ. „ცნობის ფურცელი”, 29. 07. 1904 წ. № 2568.
27. ჟურნ. „ომეგა“, № 4 (30), აპრილი 2002.
28. ჟურნ. „ცისკარი” 1859 წ. №4.
29. ჟურნ. „ცისკარი”, 1859 წ. № 8.
30. ჟურნ. „ცისკარი” 1860 წ. №4.
31. ჟურნ. „ცისკარი” 1860 წ. №7.
32. ჟურნ. „ცისკარი”, 1869 წ. № 10.
33. გაზ. „Кавказ”, 1850, №35.
34. გაზ. „Кавказ“, 21.09.1851, № 72.
35. გაზ. „Кавказ”, 1852, № 43; 66; 70.
36. „Кавказский календарь”, 1849 г. отд, IV.
37. „Кавказский календарь”, 1850 г. отд. IV.

ლიტერატურა

1. აბაშიძე ზაზა, ვაშაკიძე ვალერი, მირიანაშვილი ნათია, ჭეიშვილი გიორგი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძვ. დროიდან დღემდე), თბ., 2014.
2. აბრამიშვილი ვაჟა, გორიჯვარი, ალ. ტაბატაძის რედ., თბ., 1994.
3. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). „დარგოს ექსპედიცია შამილის წინააღმდეგ 1845 წელს და წყაროთა ინტერპრეტაცია“, ჟურნ. „ანალები“, № 9, 2013, გვ. 65-74
4. ალიმბარაშვილი იოსებ. დიმიტრი ბაქრაძისა და დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2013, გვ. 116-117.
5. ალიმბარაშვილი იოსებ. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობი დეტალები, კრებულში: „ინტერდისციპლინარული არქეოლოგია“, II, თბ., 2013, გვ. 118-129.
6. ალიმბარაშვილი იოსებ. ოქროპირიძეთა ერთი ლაპიდარული წარწერის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წმ. მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძის დაბადებიდან 190-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 05.06.2015.

7. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). „ქართული არქეოლოგიის სათავეებთან“ (დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული № 5, თბ., 2014, გვ. 384-394.
8. „არ არის დასავიწყებელი დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი“, ინტერვიუ იოსებ ალიმბარაშვილთან, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 19.09.2014, № 19(227), გვ. 28-29.
9. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო), დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის გენეალოგიისათვის, პროფ. გივი წულაიას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ. 94-103.
10. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის შიდა ქართლში მოგზაურობა (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით), პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2015, გვ. 446-491.
11. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). დ. მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა ქვემო ქართლსა და სომხითში, „ანალები“ № 11, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შეწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2015. გვ. 333-362.
12. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). მოგზაურობა დავითის ნაკვალევზე (დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის იმერეთში მოგზაურობის მასალები), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული № 8, თბ., 2016, გვ. 8-68.
13. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). დიმ. მეღვინეთხუცესიშვილის რაჭა-სამეგრელოში მოგზაურობის დღიურები, როგორც საისტორიო წყარო, „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XVII-XVIII, 2015-2016, გვ. 117-132.
14. ალიმბარაშვილი იოსებ. ორი დიმიტრი და ხიდისთავი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნ. „ჩვენი უნივერსიტეტი“, №2(28), თბ., 2015, გვ. 38-41.
15. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). *ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია,* გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული № 6, თბილისი, 2014, 8-24.
16. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო), ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან, თბ., 2012.
17. ალიმბარაშვილი სოსო, „პეტრე ბაგრატიონი და ხიდისთავი”, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, №2; თებერვალი 2011. გვ. 48-49.
18. ანთელავა ილია, ლევან II დადიანი, თბ., 1990.
19. ბაგრატიონი იოანე, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.
20. ბარნაველი თეიმურაზ. მანგლისის ტაძრის წარწერები, თბ., 1961.
21. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
22. ბაქრაძე დიმიტრი, არქეოლოგიური მოგზურობა გურიასა და აჭარაში, ხარ. ახვლედიანის რედაქციით, „საბჭოთა აჭარა“, 1987.
23. ბერიძე ვახტანგ, სავანე (XI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი) ქართული ხელოვნება, I, თბ., 1942.
24. ბერიძე ვახტანგ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
25. ბერძენიშვილი დევი. ახტალის მონასტერი, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1998 წ. № 2.
26. ბერძენიშვილი დევი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), I, თბ., 1979.
27. ბერძნიშვილი ილია, დიმიტრი მეღვინეთხუციშვილი, გაზ. „სტალინელი“, 27. 04. 1957 წ. № 84.
28. ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983.
29. გამბა ჟაკ ფრანსუა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები და ურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I, თბ., 1987.

30. გამყრელიძე გელა, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი (1815-1878), ჟურნ. „ძიებანი“, 1999, № 4.
31. გაჩეჩილაძე ამბერკი. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957.
32. გაფრინდაშვილი გ. 1000 წლის სამშენებლო წარწერა ქორეთის ეკლესიაზე, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1970, № 21.
33. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 1962.
34. გოებაშვილი იაკობ. „როგორც დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება”, თხზულებანი 10 ტომად, ტ. IV, თბ., 1955.
35. დადიანი ნიკო. ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.
36. დვალი მალაქია. მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ., 1974.
37. დოდაშვილი რუსუდან, მარი ბროსე ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962.
38. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940.
39. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, თბ., 2008.
40. თაყაიშვილი ე. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული „ძველი საქართველო”, ტ. III, ტფ., 1913-1914.
41. თაყაიშვილი ე. საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909.
42. თოდრია თენგიზ. მანგლისის ხევი. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1970 წ. № 21.
43. იოსელიანი პლატონ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას რედ, თბ., 1978.
44. ჩიქოვანი იური, ბიჭიკაშვილი იოსებ. ქართული წარჩინებული გვარები, მიქელაძეთა საგვარეულო, წიგნი III, თბ., 2005.
45. ჩიქოვანი იური, ბ ბიჭიკაშვილიიოსე, ჩხეიძე შოთა. ქართული წარჩინებული გვარები, ჩხეიძეთა საგვარეულო (ისტორიულ გენეალოგიური გამოკვლევა), წ. II, თბ., 2004.
46. კაკაბაძე სარგის. გენიალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ტფ., 1912.
47. კაკაბაძე ს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I, ტფ., 1921.
48. კაკაბაძე ს. საისტორიო მოამბე, № 1, ტფ., 1924.
49. კალანდია გიორგი, ასათიანი ქეთი. ქობერის მონასტრის უცნობი ქართული წარწერები, ჟურნ. „არტ პალასი“, №3(01). 29.07.2011.
50. კასრაძე ოთარ, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი - მეცნიერი და თეატრალი, ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, №1. (იანვარ-თებერვალი), 1986 წ.
51. კეკელია იგორ. აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი 2011.
52. კოშორიძე თამილა, მარი ბროსე და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, II, თბ., 2002.
53. მამისთვალიშვილი ელდარ, გორის ისტორია, ტ. II, ქართლი, 1999.
54. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) მასალები შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953.
55. მანსვეტაშვილი იაკობ. მოგონებანი, ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ტფ., 1936.
56. „მატიანე ქართლისაი“. ქართლის ცხოვრება. ტ. I ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
57. მელიქსეთ-ბეგი ლეონ. ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ-ს შრომები, ტ. 108, თბ., 1964.
58. მესხი სერგეი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1964.
59. მეღვინეთხუცესიშვილი დიმიტრი, სადილი გორის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოთა, ჟურნ. „ცისკარი“, 1860 წ. აპრილი, № 4.
60. მეღვინეთხუცესოვი დიმიტრი. ექიმბაში, თფილისი 1876.
61. ოთხმეზური გიორგი. მეტეხის წარწერები, ჟურნ. „კლიო”, № 18, თბ., 2003, გვ. 3-12.

62. ოთხმეზური გიორგი, შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVIII სს.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.
63. ჟორდანია თედო. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი» ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896.
64. ჟღენტი ნიკოლოზ. მეფე დავით IV-ის „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცენდენტები, „ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელი“, კრებულში: „ქართული წყაროთმცოდნეობა 2011/2012, ტ. XIII-XIV.
65. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964.
66. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990.
67. „საქართველოს კალენდარი”, 1893 წ.
68. „საქართველოს კალენდარი“, 1895 წ.
69. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ენრიკო გაბიძაშვილისა და ექვთიმე კოჭლამაზაშვილის რედ., თბ., 2007.
70. საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. III, ტფ., 1910.
71. სილოგავა ვალერი. ბეთანიის წარწერები, თბ., 1994.
72. სოსელია ოლღა. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბ., 1973.
73. უთურაშვილი ი. გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX ს-ის II ნახევარში (გორის მაზრის მასალების მიხედვით). თბ., 1957.
74. ქავთარაძე ეთერ, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დრამატული მოღვაწეობიდან, „მაცნე“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, № 4 (49) თბ., 1969.
75. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი 1903.
76. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, ირ. აბაშიძის რედ., თბ., 1983.
77. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბ., 1985.
78. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ, თბ., 1965.
79. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბ., 1976.
80. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977.
81. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981.
82. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985.
83. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
84. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბ., 1980.
85. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი II (1213 წლიდამ – 1700 წლამდე). გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ჟორდანიამ, ტფ., 1897.
86. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს.60 – იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბ., 1967.
87. ყუბანეიშვილი სოლომონ, აკად. მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწე დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილისადმი, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 5944.
88. შანიძე აკაკი. კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, „მიმომხილველი“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ორგანო, № 1, თბ., 1926.
89. ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950.

90. ჩიღვინაძე გ. დავით მიტროპოლიტი. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „ხომლი“, თბ., 2013, № 3.
91. ციციშვილი ირაკლი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1994.
92. ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე) ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.
93. წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, გ. აბზიანიძის რედ., თბ., 1961.
94. ხანთაძე შოთა. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, კრებულში: „საისტორიო მოამბე“, № 6, თბ., 1952.
95. ხერხეულიძე ომან. მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989
96. ხორავა ბეჟან. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.) თბ., 1996.
97. ხორნაული გიგი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 2008.
98. ხუციშვილი ნიკო, „მარი ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობა გაზეთ „კავკაზის” ფურცლებზე”, კრებულში: „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები”, ისტორიის სერია, II, თბ., 2002.
99. ხუციშვილი სოლომონ. „გამოუცდელობა, ანუ დროებით განშორება საყვარელთან“, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 21, 1950 წ.
100. ხურციძე ბეჟან. იმერეთის ეპარქია 1821-1917 წლებში. *გივი ტყეშელაშვილის რედ.,* ქუთაისი 2008.
101. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი ტ. VI, თბ., 1982.
102. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977.
103. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1996.
104. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966.
105. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919.
106. ჯავახიშვილი მიხეილ. არსენა მარაბდელი, თბ., 1989.
107. ჯოჯუა თემურ. მეტეხის ოთხთავი, „მრავალთავი” XXI, თბ., 2005.
108. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею т. I, Тифл., 1866.
109. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею т. II. ч. I, Тифл., 1868.
110. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею т. VII, Тифл., 1878.
111. Алимбарашвили И.Г. Из взаимоотношений Мари Броссе и Димитрия Мегвинетухуцесишвили, ЖУРН., "ПИСЬМЕННЫЕ ПАМЯТНИКИ ВОСТОКА", № 1(20), Москва, 2014, СТР . 225-231.
112. Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства, Тифл., 1875.
113. Броссе М. Опить разбора надписей Манглисского Храма, газ. „Кавказ” 09. 09. 1850, № 71.
114. Буачидзе Гастон, Мари Броссе (страницы жизни), Тб., 1983.
115. Гагарин Григол. Бетания, «Кавказ», 21.09.1851, № 72.
116. Джанашия Симон. Об одном примере искажения исторической правды (по поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении»), в. сб. «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», Тб., 2009.
117. Ерицов А. Монастырь Ахтала, Кавказская Старина, I, Тифл., 1872.
118. Орбели Р. Р. Грузинские рукописи института востокаведения, Тб., 1956.
119. Такаишвили Е. Грузинские надписи Ахталы. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXIX, Тифл., 1901.
120. Такаишвили Е. О надписиях манглисского храма. Археологические экскурсии, разискания и заметки. вып. IV, Тб., 1913.
121. Тер-Аветисиян С. Крестьянский самосуд над помещиками Бараташвили, Бюллетень Кавказского историко-археологического института, Тб., 1930, № 6.
122. Уварова П. Тигви. Материалы по археологии Кавказа, вып. IV, Москва 1894.

123. Церетели Г., Саванская базилика, Материали по археологии Кавказа, вып. VII, под. ред. графинии Уваровой, Москва 1898.
124. Хантадзе Ш., Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970.
125. Хаханов А. Ксанское ущелье, Экспедиций на Кавказь, Материали по археологии Кавказа, вып. VII, под. ред. графинии Уваровой, Москва 1898.
126. M. Brosset, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848. SPB 1850, II.
127. M. Brosset, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans I' Armenie, exsecute en 1847-1848 SPB 1849-1851, I; III, VI.
128. **M. Brosset.** Notice detaillee sur les eglises de Sawane et de Manglis (Avec deux Planches lithographiees), Mélanges Asiatiques tirés du Bulletin de l'Académie impériale des sciences de St.-Pétersbourg, t. III (1857-59).

ელ. რესურსები:

www.vostlit.ru/journal/journal1-**20**.htm
www. orthodoxy.ge/eklesiebi/betania.htm
http://armenianchurch.ge/ka/eparqia/istoria
http://saunje.ge/index.php?id=1295&lang=ka
http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/axtala.html
http://books.google.ge/books?id=4ZuBhpTCme4C&pg=PAPP9&redir_esc=y#v=onepage&q&f=false.
http://books.google.ge/books?id=jVLnp3G7YcAC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false
http://books.google.ge/books?id=jVLnp3G7YcAC&source=gbs_similarbooks.
http://kubangenealogy.ucoz.ru/index/sb_kavkaz_3/0-197
http://www.nplg.gov.ge/dspace/handle/1234/93430
http://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=hvd.32044083797084;view=1up;seq=9

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3
დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის წინაპრები 12
ოჯახი, ბავშვობისა და ყრმობის წლები 32
შეხვედრა და ურთიერთობა მარი ბროსესთან 35
რუკა: დ. მელვინეთხუცესიშვილისა და მარი ბროსეს ერთობლივი მოგზაურობა აღმ. საქართველოში 50
მოგზაურობა შიდა ქართლში (1848-1849 წლებში) 51
დანართი - დ. მელვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა შიდა ქართლში 66
მოგზაურობა ქვემო ქართლსა და სომხითში 91
მოგზაურობა ტბილისის ღუბერნიასა შინა (ტექსტი) 96
შენიშვნები 101
რუკა - დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა ქვემო ქართლსა და სომხითში 109
მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში 110
მოგზაურობა და მოხილვა იმერეთისა (ტექსტი) 125
შენიშვნები 150
რუკა - დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში 159
ისტორიკოსი, არქეოლოგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე 160
დრამატურგიული და პოეტური მემკვიდრეობა 182
დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი და ხიდისთავი 197
ქველმოქმედება 199
დავა მამულებისათვის 202
რუკა - ხიდისთავი XIX საუკუნეში 213
გარდაცვალება და საზოგადოების შეფასება 215
P. S. 217
რეზიუმე (რუსულ ენაზე) 220
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 226
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა 231
საძიებლები:
ა) პირთა 239
ბ) გეოგრაფიული 242

საძიებლები

ა) პირთა

აბაზაშვილები 30.
აბაზაძე დავით 23.
აბაშიძე ანა 120, 142.
აბაშიძე დათიკო 168.
აბაშიძე დიმიტრი 168.
აბრამაშვილი ბერო 24.
აბულაძე თამარ 4.
ავალიშვილი გიო 16.
ავალიშვილი გიორგი 79.
ავალიშვილი ზაზა 60.
ავალიშვილი თინათინ 80.
ავალიშვილი პეტრე 20.
ავშანდაძე (დავით აღმაშენებლის მკურნალი) 114, 127.
ალექსანდრე I დიდი 171.
ალექსანდრე მაკედონელი 134, 172.
ალექსანდრე I (რუსეთის იმპ.) 6, 17.
ალექსანდრე II (იმერეთის მეფე) 128.
ალექსანდრე III (იმერეთის მეფე) 118, 136, 168.
ალექსანდრე V (იმერეთის მეფე) 153.
ალექსანდრე (სოლომონ I-ის ძე) 121, 142, 145.
ალექსიშვილები 22.
ალიხანოვი იაგორ 183.
ალიხანოვი ელისაბედ (გიორგი ერისთავის მეუღლე) 183.
ამბრიაშვილი ივანე 178, 179.
ამბრიაშვილი სეხნია 21, 22.
ამბრიაშვილი ტატო 28.
ამილახვარი ამირინდო 63.
ამილახვარი ანდუყაფარ 64, 86.
ამილახვარი ანნა 94, 95, 100.
ამილახვარი გაიანე 88.
ამილახვარი გივი 64, 83, 85, 86.
ამილახვარი გიორგი (ეშიკაღასბაში) 85.
ამილახვარი დემეტრე 64, 87.
ამილახვარი იოთამ 54, 64, 87.
ამილახვარი ოთარ 20.
ამილახვარი ფარემუზ 64, 86.
ამირეჯიბი ზაზა 63, 83.
ამირეჯიბი ქაიხოსრო 14.
ანანია მთავარეპისკოპოსი 73.
ანნა (ქსნის ერისთავის ას.) 52.
ანტონოვი ზურაბ 30, 163, 184, 186.
არდაზიანი ლავრენტი 184.
არუთინი (სანაიანის მონ. წინამძღვარი) 94, 99.
არჩილ მეფე 119, 140.
ანტონ II კათალიკოსი 59.
აღა-მაჰმად-ხანი 59, 107.
აჯოლედიანი სოსია 148.
აჯოლედიანი ფარსადან 148.

ბაბალაშვილი ავთანდილ 23.
ბაგრატ III 60, 73, 74, 119, 140.
ბაგრატ IV 40, 62, 79, 115, 140.
ბაგრატ VI (ქართლ-იმერეთის მეფე) 120, 127, 143, 151.
ბაგრატიონი ვახუშტი 43, 46, 47, 54, 77, 106, 108, 110, 111, 123, 148, 150, 154-156, 172.
ბაგრატიონი იოანე 12, 13.
ბაგრატიონი პეტრე 23.
ბაჟენოვი ევგენი (ეგზარქოსი) 105.
ბარათაშვილი ანა 56.
ბარათაშვილი გოგია 93, 99.
ბარათაშვილი დავით 101.
ბარათაშვილი დარეჯან 56.
ბარათაშვილი ზაალ 94, 95, 100, 108.
ბარათაშვილი ნიკოლოზ 27.
ბარათაშვილი ქაიხოსრო 56.
ბარათაშვილი შერმაზან 56.
ბარათოვი გიორგი 100, 171.
ბატონიშვილი ალექსანდრე (ერეკლე II-ის ვაჟი) 23.
ბატონიშვილი აშოთან 56.
ბატონიშვილი გიორგი 20, 23.
ბატონიშვილი დავით 22, 107.
ბატონიშვილი ვახტანგ 23, 62.
ბატონიშვილი თამარ (გივი ამილახვრის მეუღლე) 85, 86.
ბატონიშვილი იოანე 20.
ბატონიშვილი იულონ 15, 23.

ბატონიშვილი ლევან (ერეკლე II-ს ძე) 61, 77.
ბატონიშვილი ლევან (ვახტანგ V-ის ძე) 80.
ბატონიშვილი მამუკა (ალექსანდრე III-ის ძმა) 136.
ბატონიშვილი მირიან 23.
ბატონიშვილი ფარნაოზ 23, 52.
ბაქარი (მირიან III-ის ძე) 170.
ბაქრაძე ავგუსტინე 25.
ბაქრაძე ანა 25-27, 164, 208, 210.
ბაქრაძე დიმიტრი 4-6, 9, 25, 26, 30, 33, 45, 47-49, 125, 164-166, 174, 199, 200, 209, 210, 212, 214.
ბაყათარ გოლიათი 54.
ბეზობრაზოვი (რუსი გენერალი) 170.
ბელიავსკი კონსტანტინე (ქუთაისის გუბერნატორი) 129, 150.
ბენკენდორფი (რუსი გენერალი) 170.
ბერია ლავრენტი 29.
ბერიკაშვილი ანდრია 186.
ბერძნიშვილი ილია 216.
ბერძნიშვილი მაქსიმე 214.
ბესარიონ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი 116, 131, 134.
ბიბილაშვილი გ. 33.
ბიძინა (სადგერის ხეობის მოურავი) 79.
ბროსე ლაურენტ 6.
ბროსე მარი 3-6, 8-10, 11, 32, 33, 35-52, 55, 60, 65, 66, 72-74, 81, 84, 87, 89, 92, 95, 103-106, 110-113, 121, 135-137, 144, 145, 154-161, 163, 164, 166, 171, 173-175, 178, 181-185, 189, 195-197, 200, 201, 214, 216.
ბურგელოვი ნინია 24.

გაბრიელ ლიპარიტიან-ჭყონდიდელი 115, 131.
გაბუნია ნატო 184, 185.
გაგარინი გრიგოლ 101, 162.
გამბა ჟაკ ფრანსუა 110, 111, 118, 153.
გამბა შარლოტა 111, 118, 153.
გამყრელიძე გელა 4.
გარაყანიძე გიორგი 147.
გარაყანიძე იოანე 147.
გარაყანიძე მიხეილ 147.
გარაყანიძე ფორთი 147.
გარსევანიშვილი ანდრია 170.
გედევანიშვილი მიხეილ 27.
გიგაშვილი მარინე 11.
გიორგი მამასახლისი 20.
გიორგი I 73, 105.
გიორგი II 150.
გიორგი III 88.
გიორგი V 60, 74, 155, 156.
გიორგი VI მცირე 156.
გიორგი X 107.
გიორგი XI 82.
გიორგი XII 16, 17, 22, 94, 100, 108.
გიორგი მთაწმინდელი 44.
გიორგი უფლისწული (გიორგი I) 60.
გიულდენშტედტი იოჰან 107.
გოგიბაშვილი პაატა 62, 79.
გოგოლაძე თამილა 54.
გოდუნოვი ბორის 164.
გრაფი სელივანოვი 3, 164.
გრაფი სოლოგუბი 164.
გრაფინია უვაროვა 3, 74, 164.
გრიგოლი ჭყონდიდელი მიტროპოლიტი 115, 130.
გრიგოლ ხანძთელი 155.
გუნია ვალერიან 216.
გურანდუხტ (ბაგრატ III-ის მეუღლე) 73, 74.
გურგ ასლანიშვილი ბეჟან 61, 75.
გურგ ასლანიშვილი ნიკოლოზ 61.
გურგ ასლანიშვილი ქაიხოსრო 75.
გურიელი თუთა 86.
გურკო (რუსი გენერალი) 170.

დადიანი ალექსანდრე 117, 135, 153.
დადიანი გიორგი 116.
დადიანი ანტონ (ჭყონდიდელი ეპისკოპოსი) 115, 118, 152, 175.
დადიანი დავით 116, 134, 146, 152.
დადიანი ვამეყ 116, 130, 134, 152.
დადიანი ვარდან 115, 129.
დადიანი ლევან (იხ. ლევან II დადიანი)
დავიდოვი დიმიტრი 204, 206.
დავით IV აღმაშენებელი 61, 77, 106, 114, 115, 122, 127, 129, 146, 151, 164, 173.
დავით მხეიძე 10.

დავითი (იმერეთის მიტროპოლიტი) 113, 114, 126.
დანდარაშვილი 19.
დარეჯან დედოფალი 16, 23.
დიუბუა დე მონპერე 161.
დოღუზაშვილი ალექსი 213.
დოღუზაშვილი ნიკო 210, 211.
დოღუზაშვილი სოლომონ 28.
დუნდუკო ხაზიმ 196.

ევდემოზ დიასამიძე (კათალიკოსი) 62, 78.
ევსევი ილინსკი (საქართველოს ეგზარქოსი) 175.
ელენე (ბაგრატ VI-ის მეუღლე) 114, 127.
ელენე (ბიზანტიის დედოფალი) 51, 111, 117, 134, 135.
ელენე (ვამიყ ლიპარიტიანის მეუღლე) 130.
ელისე (ურბნელი ეპისკოპოსი) 62, 63, 82.
ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანი 14.
ერეკლე II 3, 7, 11, 14-23, 38, 52, 65, 83, 107, 163, 173-175, 215.
ერისთავი ალექსანდრე შანშეს ძე 153, 170, 182.
ერისთავი გიორგი 3, 10, 35, 153, 182-184, 186, 209.
ერისთავი ეკატერინე 155.
ერისთავი ელიზბარ 35.
ერისთავი კონა 35.
ერისთავი ნესტორ 155.
ერისთავი ნიკო 170.
ერისთავი ოქრო 35.
ერისთავი შანშე 4, 24.
ერუშნელისძე სოფრონ 115, 129.
ესტატე-კახა (საორბისის მონ. ქტიტორი) 54.
ექვთიმე (გურიის ეპისკოპოსი) 116, 131.

ვანიშვილი ალექსი 26.
ვანიშვილი ზაქარია 26.
ვანიშვილი იოსებ 26.
ვაჟა-ფშაველა 27.
ვაჩე ყანჩაელი 64.
ვახტანგ გორგასალი 9, 54, 55, 105.
ვახტანგ V შაჰ-ნავაზი 12, 85, 119, 140.
ვახტანგ VI 80, 118, 132, 140, 154.
ვორონცოვი მიხეილ 37, 38, 41, 42, 45, 46, 102, 153, 160, 162, 163, 169, 170, 174, 180-183.

ზევდგენიძე ამირინდო 85.
ზეიდლიცკი ივანე 3, 164.
ზუბალოვი კონსტანტინე 170, 206.

თავზარაშვილი კონსტანტინე 11.
თამარ მეფე 12, 95, 101, 103, 111, 123, 154, 156, 173, 191.
თამარი (გივი ამილახვრის მეუღლე) 64.
თამარი (დავით აღმაშენებლის ქალიშვილი) 61, 77.
თარხნიშვილი ბეცია 19.
თაყაიშვილი ექვთიმე 92, 103-105, 125, 151, 152.
თევდორე ივანეს ძე (რუსეთის მეფე) 172.
თეიმურაზ I 134.
თემურ ლენგი 173.
თინათინ დედოფალი (ლევან კახთა მეფის მეუღლე) 55.
თუთუნაშვილი დავით 23.
თუმანიშვილი ანასტასია 6, 151.
თუმანიშვილი გიორგი 151.
თუმანიშვილი (თუმანოვი) მიხეილ 25, 114, 151.
თუმანიშვილი შიოშ 205, 206, 208, 210.
თუმანოვი ისააკ 6, 210.

იესე მეფე 57.
ივანე IV მრისხანე 6, 174.
ილარიონ სამთავნელი 39, 40.
ილარიონ ყანჩაელი 64.
იოანე ნიკოლოზ (ბერძენი არქიმანდრიტი) 121.
იოსებ აფხაზეთის კათალიკოსი 118, 138, 153.
იოსებ ფლავიოსი 134.
იოსელიანი ონისიმე 198.
იოსელიანი პლატონ 3, 5, 114, 162, 167, 176.
ისიდორე (საქართველოს ეგზარქოსი) 151.

კაკაბაძე სარგის 151.
კარამზინი ნიკოლოზ 174.
კარბელაშვილი პოლიევქტოს 56.

კარგანოვი (რუსი არქეოლოგი) 3, 166.
კარიჭაშვილი გიორგი 51.
კარიჭაშვილი დავით 3.
კასრაძე ოთარ 213.
კატაპარიაშვილი ქიტესა 203.
კეთილაძე სპირიდონ 102.
კერესელიძე ივანე 184.
კვიცაშვილი შოთა 31.
კიკნაძე კაცია 112, 113, 125.
კირილე იერუსალიმელი 51.
კოვზიაშვილი ლია 11.
კონსტანტინე დიდი (ბიზანტიის იმპ.) 51, 111, 117, 134, 135.
კონსტანტინე მხეიძე 10.
კოშორიძე გიორგი 52.
კოხი კარლ (გერმანელი მოგზაური) 43, 45, 110.
კურნატოვსკი ივან 150.

ლარაძე პეტრე 134.
ლევან კახთა მეფე 55.
ლევან II დადიანი 115, 116, 118, 133, 135, 136, 152, 168.
ლელი (ვორონცოვის კანცელარიის მოხელე) 136.
ლიპარიტ ბაღვაში 104.
ლიპარიტიანი გაბრიელ (იხ: გაბრიელ ლიპარიტიან-ჭყონდიდელი)
ლიპარიტიანი ვამიყ 115.
ლორთქიფანიძე გიორგი 136.
ლუარსაბ I 54.
ლუი დაგერი 157.
ლუკაშვილი სერგო 204-206, 209.

მაიორი ტიტოვი 5, 24.
მაკალათია სერგი 76, 77.
მამაცაშვილი ანნა (ანეტა) 13, 165.
მამაცაშვილი დიმიტრი 33.
მამაცაშვილი ზაქარია 46, 198.
მამაცაშვილი იოსებ 32, 33, 35, 165, 197, 199.
მამაცაშვილი კონსტანტინე 3, 166, 177.
მამაცაშვილი ნიკოლოზ 33.
მამაცაშვილი ქრისტეფორე 35, 164.
მანველიძე თეოდორე 93, 98.
მართა დედოფალი 62, 79.
მარიამ დედოფალი (როსტომ ხანის მეუღლე) 61, 63, 75, 83.
მარიამ დედოფალი (სოლომონ I-ის მეუღლე) 119, 142.
მაქსიმე (ქუთათელი მიტროპოლიტი) 138.
მაღალაშვილი გიორგი 57.
მაღალაშვილი (მაღალოვი) დავით 65.
მაღალაშვილი (მაღალოვი) დიმიტრი 6, 8.
მაღალაძე სოლომან 55.
მაჩაბელი ფარსადან 18, 21.
მაჩაბლები 21.
მაწონაძე გაბრიელ 202.
მაწონაძე დავითი 202.
მაწონაძე თევდორე 202.
მაწონაძე ივანე 23, 202.
მაწონაძე იოსებ 202.
მაწონაძე ნასყიდა 202.
მაწონაძე სერგო 204.
მაწონაძეები 194.
მაჭავარიანი ელიზბარ 120, 142, 154.
მედოიძე თომა 26.
მედოიძე სვიმონ 26.
მელიქიშვილი (მელიქოვი) ივანე 93, 94, 100.
მელიქოვი ლევან 168.
მელიქოვი კორხმაზ 94, 100.
მერლინი (იმერეთის მმართველი) 150.
მესროპ მაშტოცი 172, 173.
მესხი სერგი 184.
მეღვინეთხუცესიშვილი ალექსანდრე 13, 32, 33.
მეღვინეთხუცესიშვილი ბარბარე 25, 26.
მეღვინეთხუცესიშვილი ბეჟან 13.
მეღვინეთხუცესიშვილი გიორგი 13, 14, 25, 200, 202-207.
მეღვინეთხუცესიშვილი დავით 13, 32, 33.
მეღვინეთხუცესიშვილი დიმიტრი 3-8, 10, 11-14, 17, 26, 27, 30, 32, 33, 35-66, 71-74, 76, 87-89, 91-95, 102-123, 150, 151, 153-164, 168, 170-186, 189, 195, 199-207, 209-212, 214-218.
მეღვინეთხუცესიშვილი ელენე 13, 209.
მეღვინეთხუცესიშვილი ვასილ 4, 13, 14, 27, 28, 202, 209.

მეღვინეთხუცესიშვილი ზაქარია 13.
მეღვინეთხუცესიშვილი ზურაბ 13.
მეღვინეთხუცესიშვილი თარხან 13.
მეღვინეთხუცესიშვილი თეიმურაზ 29.
მეღვინეთხუცესიშვილი თომა 3, 13-23.
მეღვინეთხუცესიშვილი კეკე 13, 32, 34.
მეღვინეთხუცესიშვილი კონსტანტინე 3, 4, 13, 23, 24, 28, 29, 32, 33, 209.
მეღვინეთხუცესიშვილი ლუარსაბ (ლუკა) 13, 14, 202-204, 206-209.
მეღვინეთხუცესიშვილი ნიკოლოზ 13.
მეღვინეთხუცესიშვილი ნინო (ნინა) 13, 32, 33, 164, 202.
მეღვინეთხუცესიშვილი ოლგა 13.
მეღვინეთხუცესიშვილი პაატა 3, 13, 15, 16, 19-22.
მეღვინეთხუცესიშვილი რევაზ 13.
მეღვინეთხუცესიშვილი როინ 13.
მეღვინეთხუცესიშვილი როსტევან 14.
მეღვინეთხუცესიშვილი სალომე 13.
მეღვინეთხუცესიშვილი სვიმონ 13-15, 23-25, 204-210.
მეღვინეთხუცესიშვილები (მეღვინეთხუცესოვები) 3, 12, 14, 18-24, 30, 32, 210.
მეღვინეთხუცესიშვილი (ღვინიევი) ბეჟან 13.
მეღვინეთხუცესიშვილი (ღვინიევი) იოსებ 25, 26.
მეღვინეთხუცესიშვილი (ღვინიევი) რომანოზ 25, 37.
მზარეულოვი დავით 210.
მინინი კუზმა 174.
მიქელაძე გიორგი 153.
მიქელაძე ივანე 118, 138, 153.
მიქელაძე როსტომ 153.
მოსე (ეპისკოპოსი) 172.
მურავიოვი ნიკოლოზ 105.
მურვან ყრუ 10, 173.
მძინარიშვილი დეკანოზ 33.
მძინარიშვილი იასონ 52.
მხარგრძელი ავაგ 151.
მხარგრძელი ივანე 108.

ნადირ-შაჰი 38, 65.
ნაზირი ბარამ 15.
ნაზირი იოსებ 16.
ნებალაძე გიორგი 204.
ნესტან-დარეჯანი (ლევან II დადიანის მეუღლე) 116, 133.
ნიკოლაი ალექსანდრე 102.
ნიკოლოზ VII (კათალიკოსი) 55.
ნიკოლოზ VIII (კათალიკოსი) 55, 56.
ნიკოლოზ მოლარეთუხუცესი 11.
ნონიკაშვილი ივანე 23.

ოთხმეზური გიორგი 54, 55.
ომარ-ხანი 16, 107.
ორბელიანი ალექსანდრე 180.
ორბელიანი გრიგოლ 102.
ორბელიანი ელენე 154.
ორბელიანი ილია 170.
ოტრეპიევი გრიგოლ („ცრუ დიმიტრი") 174.
ოქროპირ „ბლაღოჩინი" 122, 123, 147, 148.
ოქროპირიძე ბასილ 102.

პიროს ბრეთელი 62.
პლინიუსი 169.
პოლონსკი იაკობ 36.
პოლტარაცკაია ნინო 26.
პოლტარაცკი ივანე 26.
პონტოელი პილატე 70.
პოპოვა ირინა 10.
პოჟარსკი დიმიტრი 174.

ჟორდანია თედო 56, 125, 151.
ჟღენტი ნიკოლოზ 151.

რატიშვილი ივანე 27.
რაფაელ ბერძენთა არქიმანდრიტი 62, 73.
როსტომ-ხანი 61, 75.
რუსთაველი შოთა 48, 193.
რუსიტაშვილი ალექსი 209, 210.
რუსიტაშვილი დავითი 210.

სააკაძე გიორგი 52.
სააკაძე გოგია 18.
სააკაძე გრიგოლ 52.

ააკაძე ზაქარია 215.
ააკაძე ზურაბ 52.
ააკაძე ივანე 215.
ააკაძე ქაიხოსრო 215.
აამიშვილი დავით 15.
სალმანასარ III 172.
სამთავნელი ვაჩე 87, 90.
სამთავნელი ილარიონ 87, 90.
სამთავნელი იოანე 88.
საფონოვი სტეფანე 42.
სემიონოვი დიმიტრი 27.
სენკოვსკი ოსიპ 172.
სიპიაგინი (რუსი გენერალი) 176.
სოლომონ I 119, 121, 145, 153.
სოლომონ II 146, 150.
სულხან საბა ორბელიანი 155.
სუმბატ ბაგრატუნი (სომხეთის მეფე) 173.
სტალინი 30.
სტრაბონი 171.
სჩერბინინი (მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელე) 183.

ტატიშვილი ტარიელ 28.
ტატუაშვილი სოსანა 209.
ტლაშაძე ანდრია 26.
ტლაშაძე ვალერი 28.
ტლაშაძე იასე 23.
ტლაშაძე ივანე 26.
ტლაშაძე იოანე 19.
ტლაშაძე ნუგზარ 11.
ტლაშაძე რევაზ 28.
ტორმასოვი ალექსანდრე 23.

უვაროვა პრასკოვია იხ: გრაფინია უვაროვა.
უფლოსი 162.

ფავლენოვი 8.
ფალავანდიშვილი ზაალ 61, 77.
ფანასკერტელი ფარსადან 62, 82.
ფანასკერტელ-ციციშვილი ზაზა 59.
ფანასკერტელ-ციციშვილი ნოდარ 14.
ფარნავაზ მეფე 10.
ფაღავა გიორგი 153.
ფერაძე ხათუნა 8.
ფიცხელაურები 8.
ფურცელაძე 8.

ქავთარაძე დავით 149.
ქავთარაძე ეთერ 4, 188.
ქარსიძე ნიკოლოზ 170.
ქარქიევი ლევან 114, 126, 150.
ქებაძე პეტრე 48, 198.
ქვაკრეფიაშვილი გოგია 213.
ქვაკრეფიაშვილები 25.
ქუთათელაძე არისტო 101.

ღოღობერიძე გრ. 7.
ღოღობერიძე ელიზბარ 136.
ღოღობერიძე მარეხ 118, 139, 140.

ყიფიანი დიმიტრი 25, 167, 177.
ყიფიანი ნიკოლოზ 121, 145.
ყიფიანი მაშო 184.
ყუბანეიშვილი სოლომონ 214.

შამილი 9, 34, 174, 182, 196.
შანიძე აკაკი 77, 92, 103-105.
შარვაშიძე მიხეილ 24.
შაჰ-აბას I 57, 107, 123, 148, 156.
შაჰ-თამაზი 52.
შაჰყულოვი რომან იაკულიჩი 188.
შერაზადიშვილი ზვიად 215.

ჩაჩანიძე გაბრიელ 151.
ჩინგიზ ყაენი 173.
ჩიტუაშვილი აბრამა 210.
ჩიტუაშვილი ბერი 208.
ჩიტუაშვილი გლახა 206.
ჩიტუაშვილი გიორგი 205, 206.
ჩიტუაშვილი ნინუა 205.
ჩიჯავაძე ვახუშტი 118, 119, 139, 140, 153.
ჩიჯავაძე საზვერელ 118, 140, 154.
ჩიჯავაძე ნიკოლოზ 119, 140, 154.
ჩოლოყაშვილი ზაქარია 35.

ჩოლოყაშვილი ქეთევან 63, 83.
ჩუბინაშვილი დავით 46.
ჩხეიძე ბეჟან 61, 75.
ჩხეიძე გერასიმე 120, 143.
ჩხეიძე დავით 111, 131.
ჩხეიძე ევდემოზ 130, 131.
ჩხეიძე თამარ 144.
ჩხეიძე თეიმურაზ 120, 143, 144.
ჩხეიძე მელიტონ 116, 131, 152.
ჩხეიძე ნიკოლოზ 63, 84.
ჩხეიძე ნოდარ 120.
ჩხეტიძე ევდემოზ (კათალიკოსი) 115.
ჩხიტაური ალექსი 22.

ცაგარელი ავქსენტი 29.
ციმაკურიძე ზურაბ 170.
ციციშვილი დავით 174.
ციციშვილი დიმიტრი 118.
ციციშვილი ელენე 93, 98.
ციციშვილი ზაქარია 15.
ციციშვილი ივანე 170.
ციციშვილი ნიკოლოზ 15
ციციშვილი ნოდარ 59.
ციციშვილი პაატა 15.
ციციშვილები 14, 60, 71, 72.
ციციანოვი დიმიტრი 16, 23.
ციციშვილი (ციციანოვი) დავით 16, 24, 59.

წერეთელი აკაკი 3, 6, 167, 168, 180.
წერეთელი ალექსანდრე 122, 146, 155.
წერეთელი გრიგოლ 122, 155.
წერეთელი დავით (მიტროპოლიტი) 122, 123, 146, 150, 155.
წერეთელი ზურაბ 150.
წერეთელი სვიმონ 122, 146.
წერეთელი ნესტორ 122, 146.
წერეთელი-ანდრონიკოვისა სალომე 122, 146.
წინამძღვრიშვილი ანა 32.
წინამძღვრიშვილი ივანე 32.
წინამძღვრიშვილი ილია 32.
წინამძღვრიშვილი იოსებ 32.
წმ. გაიანე 94, 100.
წმ. ნინო 51, 94, 100, 172, 173.
წმ. რიფსიმე 94, 100.
წულუკიძე ექვთიმე 152.
წუწკოვი ყაზარა 186, 187.
წყნარისახარი (იოანე ბ-შვილის გამდელი) 10.

ჭავჭავაძე ალექსანდრე 4, 33, 167, 195.
ჭავჭავაძე გულბაათ 116.
ჭავჭავაძე ილია 27, 177.
ჭავჭავაძე მარიამ 116.
ჭავჭავაძე ეკატერინე 152.
ჭავჭავაძე ნინო (გრიბოედოვის მეუღლე) 195.
ჭილაძე ანა 119, 153.

ხათუნცოვი ნიკოლოზ 126, 150.
ხანთაძე შოთა 4, 216.
ხარშილაძე ნინო 215.
ხერხეულიძე ომან 163.
ხმალაძე 8.
ხორენაცი მოვსეს 171, 172.
ხოშტარია თევდორე 115, 130.
ხუბულური გია 29.
ხუბულური მართა 28.

ჯავახიშვილი ალექსანდრე 53, 177.
ჯავახიშვილი ივანე 101, 151.
ჯავახიშვილი მიხეილ 108.
ჯავახიშვილი ქაიხოსრო 52.
ჯავახიშვილი ქეთევან 166.
ჯავახიშვილები 53.
ჯალა (მესროპ მაშთოცის თანამგზავრი) 172.
ჯალალიანცი სარგის 107.
ჯამბაკურ-ორბელიანი დიმიტრი 169.
ჯანაშვილი მოსე 56.
ჯაფარიძე დავით 26.
ჯომარდიძე ავთანდილ 14.
ჯომარდიძე დიმიტრი 210.
ჯომარდიძეშვილები 12.
ჯოჯუა თემურ 56.

ჰარუნბეგოვი ტერ-ოჰანეზა 93, 99.

გ) გეოგრაფიული

აბანო (სოფ.) 141, 152.
აბაშისწყალი (მდ.) 118, 135, 152.
აბიბოს მონასტერი 44.
აბოცის მთა 94.
აგარაკის ეკლ. 108.
ათონის მთა 39.
აია სოფიას ტაძარი 60, 72.
ალავერდი 91, 94, 99, 107.
ალგეთი 108.
ალექსანდროპოლი 43.
ამაღლება (სოფ.) 44, 112, 118, 138.
ანაკერტი 44.
ანაკლია 117, 134.
ანანური 167.
ანატოლია 107.
ანდი 34, 172.
ანჩის მონასტერი 44.
ანჩისხატი 33.
არადეთი 62, 63, 81.
არგვეთი 136.
არტაანი 42, 44.
არტანუჯი 44.
ასპინძა 19.
ასურეთი 170.
ატენი 14, 21, 22, 26, 35, 166, 204, 208.
ატენის სიონი (მონ.) 37.
ატენის ხეობა 52, 54.
ატოცი 61, 77.
აფხაზეთი 36, 128, 138, 150, 153.
აქსაი (მდ.) 166.
აღმ. საქართველო 25, 44, 50, 156.
აღმ. სომხეთი 107.
აღსტაფის ციხე 44.
აშურიანი 39, 40, 64, 88.
აჩაბეთი 36.
აჭარა 43, 45, 65, 92, 124, 150.
ახალდაბა 60.
ახალქალაქი 43.
ახალციხე 93, 158.
ახალციხის მაზრა 44, 98.
ახალციხის საფაშო 39, 42, 62, 81.
ახალჯვარი 51, 52, 92, 103, 199, 215.
ახპატი 44, 91, 99, 100, 106, 107.
ახტალა 44, 91, 94, 95, 100, 107, 108.
ავჯამეთი 136, 153.
ავჯამურა (მდ.) 143.
ავჯამურას ხევი 120, 144.

ბაგრატის მონ. 113, 119, 152, 154.
ბაიბურთი 45.
ბამბაკის ხეობა 106.
ბანა 44.
ბარალეთი 19.
ბეთანია 44, 101.
ბელოთი 15.
ბერდუჯი (მდ.) 93.
ბიეთი 63, 84.
ბიზანტია 51.
ბნავისი 205.
ბობნევი 52.
ბოლნისი 44.
ბოროდინო 23.
ბორცვის ჯვარი 36.
ბორჩალო 106, 108, 169.
ბორჯომი 22, 28, 62, 78.
ბორჯომის ხეობა 74, 75.
ბრეთი 62, 78.
ბრუტსაბძელი 44.

განჯა 44.
გეგუთი 113, 114, 126, 150.
გელათის მონ. 114, 115, 129, 147, 151, 153.
გელზელაური 169.
გერგეტი 45.
გველეთი 44.
გიუმიშხანე 99.
გომი 57, 58.
გორი 8, 10, 11, 14, 20, 21, 24, 25, 27, 34, 35, 38, 48, 57, 65, 84, 85, 124, 153, 160-162, 166, 168, 173, 174, 182, 200, 201, 204, 208.
გორის მაზრა 7, 24, 25, 32, 35, 36, 38, 57, 67, 163, 169, 179, 182.

გორიჯვარი 35, 191.
გომის ციხე 57.
გოსტიბეს წყალი (შაბწყალა) 54.
გრემი 134.
გროზნო 168.
გუდარეხი 93, 99.
გუდარეხის ხევი 93, 99.
გურია 45, 65, 65, 92, 114, 116, 128, 152.

დაბა (სოფ.) 74.
დამასკო 170.
დარუბანდი 127, 129.
დას. საქართველო 66, 67, 95, 110, 112, 124, 150, 153.
დარგო 35, 135, 153, 174.
დაღესტანი 168.
დებედა (მდ.) 93, 94, 99, 107.
დმანისი 44.
დოლისყანა 44.
დორთ-ქილისა (იხ: ოთხთა ეკლესია)
დრისის (ჯავახიანთ) ციხე 54.
დუშეთის მაზრა 44.

ეგვიპტე 172.
ენგური (მდ.) 117, 134.
ერგნეთი 62, 78.
ერევანი 105.
ერუშეთი 105.
ეჩმიაწინი 107.

ვანი 118, 119, 138, 140, 154.
ვარდისგორა 136.
ვარდისუბანი 44.
ვარციხე 118, 137, 138.
ვარძია (სოფ. იმერეთში) 111, 120, 121, 144, 145, 153, 154.
ვერე 37, 59, 68, 113.
ვიატკა 33.
ვლადიკავკაზი 169, 170.

ზარზმა 44.
ზედაველა 10, 18, 212.
ზემო ავჭალა 147.
ზესტაფონი 154.
ზუგდიდი 117, 134, 152.

თავრიზი 161.
თათე მამებელის უდაბნო 65.
თბილისი 4, 10, 16, 25-29, 32-36, 42, 52, 58, 92, 95, 101, 115, 130, 134, 150, 161, 162, 163, 166, 169, 178, 180, 183, 187, 197, 200, 209, 210, 214.
თბილისის გუბერნია 7, 25, 96, 147, 169, 170, 174.
თელავი 59.
თერგი (მდ.) 169.
თეძამი (მდ.) 54.
თეძმის ხეობა 53.
თირი 36.
თიღვა 61, 76, 77.
თონეთი 93, 98.
თრიალეთი 108.
თრუსო 45.
თურქეთი 43, 107.
თუხარისის ციხე 44.

იგორეთი (სოფ. იმერეთში) 121, 145.
იერუსალიმი 120, 131, 144, 174.
იკვი (მონ.) 54.
იკორთა 36, 155.
ილემი (სოფ.) 119, 141, 154.
იმერეთი 7, 36, 44, 110-112, 118, 121, 124, 125, 127, 132, 134, 136, 145-148, 150, 151, 153, 156, 168, 174.
ინგალისხევი 44.
ინდოეთი 56, 94, 106.
იტრია (მონ.) 61, 75.
იშხანი 44.

კაენი 44.
კავთისხევი 161.
კავკასია 5, 9, 37, 105, 168-172, 180, 196.
კაიწონი 44.
კალმახი 44.

კარწახის ტბა 44.
კასპი 64, 88, 168.
კასრისხევი 44.
კახეთი 13, 167, 171.
კვირიკეთი 44.
კიევი 176.
კიმოთესუბანი (კიმოთისმანი) 60, 74, 75, 191.
კინოთი 120, 144.
კირბალი 63, 84.
კლარჯეთი 42, 44.
კობერტი 44.
კოდორი (მდ.) 116, 130-132.
კოლა 42, 44.
კოლხეთი 117, 135.
კონსტანტინოპოლი 139.
კორინთა 36.
კორტოხის მთა 124, 150.
კულა 116, 132.

ლარგვისი 36.
ლარგვისის მონ. 167.
ლაშე 121.
ლაშეს ხეობა 145.
ლიახვი (მდ.) 176.
ლიპარიტის უბანი 44.
ლომისა 44.
ლორე 44, 107.

მანგლისი 44, 92, 93, 97, 98, 101-105.
მარაბდა 93, 99.
მარტვილი 111, 117-119, 131, 134, 135, 141.
მეტეხი 20, 54-56.
მირაშკანი 64.
მისირი 78.
მოლითი 112, 125, 150.
მოსკოვი 194.
მრავალძალი (მონ.) 123, 148, 156.
მოწამეთა (მონ.) 117, 131, 153.
მჟავე წყლები 111, 123, 148.
მტკვარი (მდ.) 42-44, 58.
მტკვრის ხეობა 162.
მცხეთა 58, 172.
მძოვრეთის ხეობა 59, 71.
მწვერის ციხე 111, 124.
მჭადიჯვარი 36.

ნათლისმცემელი (მონ.) 44, 121.
ნაწრეტის მინდორი 167.
ნიქოზი 36.
ნოქალაქევი 44, 117, 135, 153.
ნუნისი 44, 111, 112, 121, 122, 145, 146.

ოდიში 36, 115, 129, 131, 134-137, 152.
ოვსეთი 54.
ოთხთა (დორთ ქილისა) 44.
ოლთისი 44.
ონი 123, 147, 148, 155, 156.
ოსმალეთი 45, 65, 92, 151.
ოქონა 61, 77.
ოძისი 36.

პალესტინა 170.
პანაკარი 44.
პარიზი 110, 153.
პატარა თონეთი 98.
პეტერბურგი 3, 6, 9, 11, 28, 32, 35, 36, 38, 39, 41, 45-48, 52, 55, 66, 95, 101, 110, 113, 163, 174, 183, 200, 214.

რაჭა 123, 147.
რაჭის ქედი 156.
რიონი (მდ.) 123, 125, 126, 136, 147, 148, 150, 153, 156.
რკონი 52-54, 166.
რუისი 6, 33, 35, 173.
რუსეთი 33, 36, 45, 147, 152, 165, 174, 175, 180.

საამილახვრო 63, 84.
საბარათისშვილო 106.
საბაწმინდა 36.
საბევა (სოფ.) 140, 154.
სადახლო 93, 95, 99.
სადგერის ხეობა 79.

სავანე 111, 123, 148, 149.
საკრაულა 120.
სამეგრელო 36, 111, 118, 134, 150, 152, 168, 176.
სამთავისი 39, 40, 64, 65, 85, 86.
სამცხე 64.
სანაგირი 44.
სანაინის მონ. 90, 99, 106, 107.
საორბისის მონ. 54.
სარკის მონ. 59, 69.
სასირეთი 20.
საფრანგეთი 153.
საქართველო 5-7, 9, 35-38, 41, 42, 47, 48, 51, 57, 59, 64-66, 90, 92, 100, 106, 112, 118, 122, 128, 134, 140, 145, 147, 151-153, 156, 163, 165, 168, 170-172, 174, 176-178, 189, 191, 200, 201, 204, 214, 216.
საქარიის ქედი 121, 145.
საჩინო 44, 112, 118, 134, 138, 141.
საჩხერე 122, 123, 146-148.
საციციანო 38, 69, 72.
საღირაშენი 93, 99.
საღოლაშენი 63, 82.
საჯავახოს მთა 52.
სვანეთი 36, 117, 123, 134, 137, 147.
სვერი 146.
სილიანის ტბა 135.
სირია 170.
სკანდა 114, 127, 136.
სომხეთი 39, 90, 94, 100.
სომხითი 66, 90, 95, 106, 171.
სპერი 41.
სორგითი (სოფ.) 155.
სტეფანწმინდა 45.
სურამი 26, 61, 77, 81, 82, 124, 150, 174.
სუჯუნა 115, 116, 130, 131, 152.
სხიერი (სოფ.) 123, 148, 156.

ტაბაკინი 44, 112, 120, 142, 144.
ტანა (მდ.) 201, 206.
ტანას ხეობა 206.
ტანძია 44.
ტაო-კლარჯეთი 41, 42, 44, 45, 158.
ტაშირი 106.
ტბეთი 36, 44.
ტეხური (მდ.) 117, 135, 153.

უბისა 111, 121, 145, 155.
უდაბნო (სოფ.) 5.
ურბნისი 35, 164.
ურიათუბანი 140, 154.
უფლისციხე 5, 41, 46, 161-163, 173, 174.
უცუნი 44.

ფანასკერტის ციხე 44.
ფასანაური 45, 167.
ფარავნის ტბა 44.
ფიტარეთი 44.
ფოკა 44.
ფორჩხა 44.

ქართლი 3, 8, 12, 13, 36, 39, 51, 64, 65, 91, 94, 106, 107, 117, 121, 122, 134, 145, 150, 166, 169, 171-173, 176, 177.
ქართლ-კახეთი 18, 23, 25, 106, 169.
ქვაშავი 205.
ქვახვრელი 206.
ქვ. ქართლი 66, 90, 91, 92.
ქვემო ჭალა 63, 84.
ქვემო წყლულეთი 102.
ქობერის მონ. 108.
ქობულეთი 45, 128, 151.
ქოზიფას მონ. 5.
ქსნის საერისთავო 173.
ქუთაისი 9, 113, 114, 115, 118, 119, 125-127, 129, 132, 136, 137, 140, 141, 150-153, 155.
ქუთაისის გუბერნია 150, 151, 168.

ღართისკარი 36.
ღვარები 35.
ღვინიაანთ საყდარი 30, 212, 215.

ყაზახი 15, 167.
ყაიყული 106.
ყანჩაეთი 36.
ყარაბაღი 106.
ყარაღაჯი 167.
ყველის ციხე 44.
ყვირილა (მდ.) 114, 119, 127, 137, 141, 145, 146, 148, 153.
ყინწვისი 59, 70.
ყირიმი 45.
ყულევი (რედუტ-კალე) 117, 134, 152, 153.
ყუმური (მდ.) 154.

შაბწყალა (იხ: გოსტიბეს წყალი).
შავი ზღვა 117, 134.
შავშეთი 46.
შამშადილი 15.
შამლუღი 90, 99.
შემოქმედი (მონ.) 154.
შიდა ქართლი 51, 66.
შინდისი (სოფ.) 36, 63, 83.
შორაპანი 119, 120, 141-144.
შუამთა (სოფ.) 154.
შულავერი 92, 98.
შუშა 59.
შქმერი (ჩქმერი) (სოფ.) 123, 147, 148, 155.

ჩაჩუბეთი 52.
ჩიხორი 136.
ჩრდ. კავკასია 34, 182, 194.
ჩხარი 114, 127, 136.
ჩხერიმელა (მდ.) 112, 121, 125, 145, 150, 155.
ჩხერის ციხე 155.

ციმბირი 29.
ცურტავი 44.
ცხენისწყალი (მდ.) 115, 129, 131, 136.
ცხინვალი 35.

ძეგლევი 123, 156.
ძევარის წყალი (მდ.) 127.
ძელი ჭეშმარიტი 44.
ძირულა (მდ.) 116, 117, 138, 139, 151.
ძორაგეტი (მდ.) 104.

წედისი 4, 11, 16, 17, 22, 201, 202, 204, 206.
წევა (სოფ.) 116, 117, 139, 151.
წვიმოეთის ნათლისმცემელი (იხ: ხცისი)
წილკანი 36.
წინამძღვრიანთკარი 32.
წირქოლი 36.
წიქარისწყალი 44.
წრომი 60, 72.
წურწუმის მონ. 44.
წუნარი 36.
წუღრუღაშენი 44.
წყაროსთავი 44.

ჭალა (სოფ. იხ: ქვემოჭალა)
ჭორვილა 122, 146.
ჭოროხი (მდ.) 45.
ჭოროხის ხეობა 42, 43, 45.
ჭოჭკანი (სოფ.) 92, 94, 98, 100.
ჭოჭკანის ხეობა 108.
ჭყონდიდი 111, 117.

ხანდაკი 20.
ხარაგაული 44, 112, 150, 154, 155.
ხარაგაულის ციხე (იხ. მწვერის ციხე)
ხარისთვალა (მდ.) 147.
ხეფინისხევი 146.
ხიდისთავი 3-5, 7, 10-12, 14, 17, 30, 32, 35, 48, 51, 52, 69, 71, 72, 88, 163, 166, 178, 183, 197-204, 209-211, 214, 215.
ხოვლე 52, 54, 178.
ხობი 116, 133.
ხობისწყალი (მდ.) 152.
ხონი 44, 112, 115, 118, 129, 134.
ხრამი (მდ.) 92, 98.
ხურვალეთი 65.
ხცისი (მონ.) 60, 72, 113.

ჯავახეთი 44.
ჯებირი 205.

ჯეჯორას ხეობა 155.
ჯიქეთი 116, 133, 152.
ჯრუჭის მონ. 122, 123, 147, 150, 15